



Երկրորդին
հինգ
Երկրորդին ժողովոն

I

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF HUMANITIES

სტუდენტური საისტორიო ძიებანი

STUDENT HISTORICAL RESEARCHES

I



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

2022

სარედაქციო კოლეჯია

მთავარი რედაქტორები:

მიხეილ ქართველიშვილი

ნიკოლოზ სარაჯიშვილი

სარედაქციო საბჭო:

გიორგი არქანია, საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამა, თსუ

მიხეილ ბარნოვი, ისტორიის დოქტორი, თსუ ასისტენტ-პროფესორი
ალექსანდრე ბოშიშვილი, ისტორიის დოქტორი, თსუ ასისტენტ-პროფესორი

ზაალ გოგენია, ისტორიის დოქტორი, თსუ ასისტენტ-პროფესორი
ელენე გოგიაშვილი, ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი

თეა გოგოლიშვილი, შუა საუკუნეების ისტორიის სადოქტორო პროგრამა, თსუ

მანუჩარ გუნცაძე, საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა, თსუ

ბექა კვაჭაძე, შუა საუკუნეების ისტორიის სადოქტორო პროგრამა
შოთა მათითაშვილი, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის მაგისტრი, ისტორიის დოქტორი, თსუ

ლალი მექერიშვილი, საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა, თსუ

ბაჩანა რუხაია, საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა, თსუ

ზაზა ქარჩავა, ძველი ენებისა და ცივილიზაციების სამაგისტრო პროგრამა, თსუ

ნოდარ ჩხაიძე, საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამა, თსუ
ჯონდი ხუხია, მედიევსტიკის სამაგისტრო პროგრამა, თსუ

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2022

ISSN 2720-8354

ISBN 977-2720-835-00-2

სარჩევნი

სარედაქციო კოლეგიისაგან.....	5
ზაზა ქარჩავა	
თავისუფალი ადამიანისა და „მონის“ გატაცება-გაქცევის შემთხვევები ხეთური კანონების მიხედვით.....	10
Zaza Karchava	
Cases of Abduction and Escape of a Free Person and „Slave“ According to the Laws of the Hittites (Summary).....	23
ლალი მექერიშვილი	
ლეონ სპათარიოსის ბიზანტიური მისია საქართველოში.....	24
Lali Mekerishvili	
Byzantine Mission of Leo Spatharios in Georgia (Summary).....	41
ჯონდი ხუხია	
ჯოვანი ტომაზო მინადოისა და ანონიმი ავტორის ცნობები სიმონ I-ის ოსმალებთან ბრძოლის შესახებ.....	43
Jondi Khukhia	
The references of Giovanni-Tommaso Minadoi and anonym author about the battle of Simon I against The Ottomans (Summary).....	51
სერგი ადამია	
ვალენშტაინის მკვლელობის მიზეზების შეფასების საკითხისთვის.....	52
Sergi Adamia	
To assess the causes of Wallenstein’s assassination (Summary).....	65
მარიამ ხამიტაშვილი, თამარ სამარგულიანი	
აბორიგენი ინდიელების მდგომარეობა კანადაში – კულტურული გენოციდი თუ დისკრიმინაცია.....	66
Mariam Khamitsashvili, Tamar Samarguliani	
The conditions of the First Nation in Canada - the cultural genocide or the discrimination (Summary).....	80
ნიკოლოზ სარაჯიშვილი	
ახალი მასალები 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების შესახებ.....	81
Nikoloz Saradjishvili	
New materials on the 1924 anti-Soviet uprising (Summary).....	96

გოგა ცხვედიაშვილი

რიჩარდ ნიქსონი და ახალი ეტაპი აშშ-ჩინეთის ურთიერთობებში97

Goga Tskhvediasvili

Richard Nixon and a New Stage in US-China Relations (Summary)..... 106

გიორგი ბუცხრიკიძე

1991 წლის „აგვისტოს პუტჩი“ მოსკოვში და საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება მისდამი (ბრიტანული და ირლანდიული პრესის მასალების მიხედვით) 108

Giorgi Butskhrikidze

„August coup“ of 1991 in Moscow and the attitude of the Georgian government towards it (According to British and Irish press materials) 114

იაკობ ლაჩაშვილი

ქართულ-ოსური კონფლიქტის გადაჭრის მცდელობები და მათი წარუმატებლობის მიზეზები 1991-2003 წლებში 115

Iakob Lachashvili

Conflict Resolution efforts of Georgian-Ossetian conflict and the reasons for their failure in 1991-2003 (Summary)..... 131

ივეტა ცერცვაძე

ინდივიდუალური და კოლექტიური შემოქმედების ურთიერთმიმართება შიოლა ღუდუშაურის ციკლის ტექსტებში.....134

Iveta Tsertsvadze

Interrelationship of individual and collective creativity in a cycle text of Shiola Ghudushauri (Summary) 144

ელენე ნამორაძე, თათია გურგენიძე

საჩუქართან დაკავშირებული რიტუალები და მატერიალური „შენიშვნები“ ქართული ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით.....145

Elene Namoradze, Tatia Gurgenidze

Gift-related rituals and material „sacrifice“ according to Georgian ethnographic data (Summary)..... 160

რუსულიდან თარგმნა ნიკოლოზ სარაჯიშვილმა

გიორგი ზდანოვიჩის აქამდე გამოუქვეყნებელი წერილი163

მარკ ბლოკი

ფეოდალური საზოგადოება წიგნი პირველი: უკანასკნელი შემოსევები თავი პირველი (ფრანგულიდან თარგმნა ანანო ნატროშვილმა) 172

სარედაქციო კოლეგიისაგან

ქართული სამეცნიერო სივრცე დიდად განებივრებული არ გახლავთ საისტორიო პროფილის სამეცნიერო პერიოდული გამოცემებით. ალბათ ერთი ხელის თითებზე შევძლებთ ჩამოთვლას ისტორიული თემატიკის სამეცნიერო ჟურნალებისა, რომლებიც ჩვენში მეტ-ნაკლები სტაბილურობით გამოდის. ამ არცთუ სახარბიელო ფონზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა გადავწყვიტეთ, დაგვეფუძნებინა ჟურნალი „სტუდენტური საისტორიო ძიებანი“.

„სტუდენტური საისტორიო ძიებანი“ სამეცნიერო-პერიოდული გამოცემაა, რომელშიც იბეჭდება საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის საკითხებთან დაკავშირებული სამეცნიერო სტატიები და გამოდის წელიწადში ორჯერ. სტუდენტური კვლევების, აკადემიური თარგმანების, წყაროთა და საარქივო მასალების გამოქვეყნება შეეძლებათ სამივე საფეხურის სტუდენტებს.

გამოგზავნილი სტატია გადის ანონიმურ რეცენზირებას, რადგან მიგვაჩნია, რომ სხვა ფაქტორებთან ერთად ესეც არის აკადემიური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა.

ჟურნალის დამფუძნებლების უმთავრესი მიზანია, რომ შევავსოთ ის ვაკუუმი, რომელიც სამეცნიერო-პერიოდული გამოცემების ნაკლებობით არსებობს და რაც ყველაზე მძაფრ პრობლემად, სწორედ, სტუდენტებს უდგათ. ჟურნალის სარედაქციო კოლეგია ვიმედოვნებთ, რომ ეს წამოწყება ხელს შეუწყობს ჩვენს დარგში სამეცნიერო ხარისხის გაუმჯობესებასა და ისტორიული თემატიკით მკითხველთა ფართო წრის დაინტერესებას.

სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია დიდი მადლობა მოვახსენოთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომლის ფინანსური მხარდაჭერითაც გამოდის

ჟურნალის პირველი ნომერი. დიდ მადლობას მოვახსენებთ რეცენზენტებს, რომელთაც დანვრილებით განიხილეს დასაბეჭდად გამოგზავნილი ყოველი სტატია. ცხადია, ყველაზე დიდი მადლობა ეკუთვნით ავტორებს, რომლებიც გვენდნენ და პირველსავე ნომერში გამოგვიგზავნეს თავიანთი სტატიები, რამაც ჟურნალის პირველი ნომერი თემატურად უხვი, ხოლო შინაარსობრივად საინტერესო გახადა.

ჟურნალის სარედაქციო კოლეგია მზად არის ითანამშრომლოს საქართველოს უმაღლესი აკრედიტებული სასწავლებლების სამივე საფეხურის სტუდენტებთან.

იმედს ვიტოვებთ, რომ ჩვენი გამოცემა ფართო დაინტერესებას გამოიწვევს და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მომავალი თაობების პროფესიული დაოსტატების რთულ და საპასუხისმგებლო საქმეში.

**ჟურნალ „სტუდენტური საისტორიო ძიებანის“
სარედაქციო კოლეგია**

საშეცენიერო სტატისტიკა

იხილეთ

თავისუფალი ადამიანისა და „მონის“ გატაცება- გაქცევის შემთხვევები ხეთური კანონების მიხედვით¹

საკვანძო სიტყვები: ხეთური კანონები, თავისუფალი ადამიანი და მონა, გაქცევა-გატაცება, არცავას ქვეყნები

Keywords: The Laws of the Hittites, free person and slave, escape-abduct, Arzawa countries

გასული საუკუნის დასაწყისამდე სამართლის ისტორიას ძველი საბერძნეთის სამართლის ისტორიით იწყებდნენ და რომის სამართლის განხილვით აგრძელებდნენ, თუმცა მეცხრამეტე საუკუნის მიწურულიდან ახლო აღმოსავლეთში წარმოებულმა ინტენსიურმა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა სამართლის ისტორიასა და ზოგადად, საკაცობრიო ისტორიასაც, შემატა მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ძეგლები. ამის შემდეგ ძველი აღმოსავლეთის სამართლის ისტორია ჩაითვალა სამართლის ისტორიის პირველ საფეხურად, პირველ პერიოდად.

საკანონმდებლო ძეგლები განსაკუთრებულად მნიშვნელოვან საისტორიო წყაროს წარმოადგენს ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიული, ეკონომიკური, სოციალური, სახელმწიფოებრივი, სამართლებრივი თუ კულტურული საკითხების შესასწავლად. სწორედ ამიტომაც ამ საკანონმდებლო ძეგლების აღმოჩენამ სრულიად ახლებურად დაანახვა მკვლევრებს ძველი აღმოსავლეთის საზოგადოებები.

ძველი აღმოსავლური სამართლის ძეგლებზე საუბრისას ყველას ბაბილონის მეფის, ხამურაბის მიერ შედგენილი კანონთა კოდექსი ახსენდება, თუმცა ამ კანონთა კოდექსს თავისი მასშტაბურობით არაფრით ჩამოუვარდება ხეთური კანონები. ხეთების სახელმწიფო სხვა ძველ აღმოსავლურ სახელმწიფოებთან შედარებით უფრო ნაკლები დროით არსებობდა, თუმცა მათ მიერ დატოვებული მემკვიდრეობა საკმაოდ

1 სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია, შენიშვნებისა და მითითებებისათვის მადლობა მოვახსენოთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ქალბატონ ირინე ტატიშვილს.

მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანია. ეს ძველ აღმოსავლური სახელმწიფო ძვ. წ. XVII-XII საუკუნეებში არსებობდა. ხეთების სახელმწიფოს შესახებ, მეტწილად, არაფერი იყო ცნობილი ვიდრე გერმანელმა არქეოლოგმა ჰუგო ვინკლერმა 1906-1912 წლებში არ გათხარა თანამედროვე სოფელი ბოლაზქოი, რომელიც ხეთების ძლევამოსილი იმპერიის დედაქალაქი ხათუსა აღმოჩნდა. ბოლაზქოის არქივში აღმოჩნდა ლურსმული დამწერლობით შესრულებული ათასობით ფირფიტა, რომელთა შორის იყო ლიტერატურული, ადმინისტრაციული, პოლიტიკური და რელიგიური შინაარსის ტექსტები. ამ ტექსტებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები კანონთა კრებული. ცხადია, ამ ტექსტების შინაარსი იმთავითვე ცნობილი არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ ტექსტები მკვლევართათვის უკვე კარგად ცნობილი ლურსმული დამწერლობით იყო შესრულებული, მათი შინაარსის გაგება ვერ მოხერხდა, რადგანაც ხეთური, იგივე ნესიტური დამწერლობა ჯერ გაშიფრული არ იყო. ბოლაზქოიში აღმოჩენილი ტექსტების კვლევა არაერთმა მეცნიერმა დაიწყო, თუმცა მათ შორის ყველაზე დიდ წარმატებას ჩეხმა ასირიოლოგმა ბედრჟიხ ჰროზნიმ მიაღწია. ჰროზნიმ ისე, რომ კვლევა ჯერ კიდევ ბოლომდე არ ჰქონდა დასრულებული 1915 წლის დეკემბერში ჟურნალში „გერმანიის აღმოსავლური საზოგადოების მოამბე“, გამოაქვეყნა სტატია სათაურით „ხეთების პრობლემის ამოხსნა. წინასწარი მოხსენება“. ჰროზნი ორ ძირითად მიზეზს ასახელებდა, თუ რატომ გამოაქვეყნა ჯერ კიდევ დაუსრულებელი შრომა: „მხედველობაში მივიღე, რომ, ერთი მხრივ, ომი უეჭველად შეაფერხებს ჩემი შრომების დამთავრებასა და გამოქვეყნებას, ხოლო მეორე მხრივ, ალბათ, სხვები გამოაქვეყნებენ თავიანთ ნიგნებს ხეთების პრობლემაზე, გადავწყვიტე, აღარ მეცადა და შემოკლებულად გამომექვეყნებინა ჩემი შრომის შესავალი თავი „გერმანიის აღმოსავლური საზოგადოების მოამბეში“ (კერამი 1966: 72). პირველმა მსოფლიო ომმა მართლაც შეუშალა ჰროზნის ხელი, რადგანაც იგი ავსტრია-უნგრეთის არმიას გაიწვიეს, თუმცა ომის დასრულების შემდეგ მან ხეთოლოგიის საკითხებზე ინტენსიური მუშაობა დაიწყო.

1922 წელს სწორედ ხეთური ფირფიტების პირველგამშიფრავმა ჰროზნიმ ფრანგულ ენაზე გამოსცა ხეთური კანონები, მალევე ტექსტის გერმანული თარგმანი შეასრულეს ი. ფრიდრიხმა და გ. ციმერნმა. 30-იან წლებში ხეთური კანონები გამოიცა ინგლისურად, იტალიურად, თურქულად და სხვა მრავალ ენაზე. ამჟამად ყველაზე სრულყოფილად

ჰარი ჰოფნერის გამოცემა ითვლება (Hoffner 1997). ხეთური კანონების პირველი სრული თარგმანი რუსულ ენაზე შეასრულა ი. დიაკონოვმა (Дьяконов 1952: 259-284). ქართულ ენაზე ხეთური კანონები პირველად ისიდორე დოლიძემ თარგმნა. ი. დოლიძემ კანონები ი. დიაკონოვის რუსული გამოცემიდან გადმოიღო (დოლიძე 1960: 102-129). მოგვიანებით ხეთურიდან თარგმანი აკად. გრიგოლ გიორგაძემ შეასრულა, თუმცა მან მხოლოდ კანონების პირველი ფირფიტა თარგმნა (გიორგაძე 1990: 210-220). უკანასკნელ პერიოდში ხეთური კანონები ქართულ ენაზე სრულად გამოსცეს პროფესორებმა მაია ლამბაშიძემ და ერეკლე ასტახიშვილმა, მათი გამოცემა ჰოფნერის თარგმანს ეფუძნება (ლამბაშიძე, ასტახიშვილი 2021: 357-384).

ხეთური სამართლის ძეგლები ხეთურ-ნესიტურ ენაზეა შესრულებული. თანამედროვე ნუმერაციით ხეთური კანონები 241 პარაგრაფს მოიცავს. არსებობს, ტექსტის რამდენიმე ვარიანტი. ეს ვარიანტები სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნება, მაგალითად, კანონების ოთხი ასლი ძვ. წ. 1650-1500 წლებით თარიღდება, არის ასევე კანონების უფრო გვიანდელი ტექსტი, რომელიც ხეთების ახალი სამეფოს პერიოდს განეკუთვნება. გვიანდელი ტექსტები არა მხოლოდ ადრინდელის გადაწერილი ვარიანტებია, არამედ მასში მთელი რიგი შინაარსობრივი ცვლილებებიც არის შეტანილი. ამ ცვლილებების მიხედვით სასჯელთა უდიდესი ნაწილი გამარტივებულია. მკვლევართა ვარაუდით კანონების გვიანდელი ვარიანტი არნუვანდა III-ის ან თუთხალია IV-ის ეპოქით თარიღდება (გიორგაძე 1988: 119). ხეთური კანონების ფირფიტების მიხედვით ვიგებთ, რომ ხეთმა კანონმდებლებმა მთლიანი ტექსტი ორ ძირითად ნაწილად გაყვეს. პირველი მუხლიდან მეასე მუხლის ჩათვლით ტექსტს უწოდეს „უკეთუ კაცი“, ხოლო მეასედან მეორასე მუხლის ჩათვლით „უკეთუ ვაზი“. პირველი ფირფიტა შეიცავს ადამიანის პირადი უფლებებისა და საკუთრების უფლების განმარტებებს, აღწერილია თავისუფალი კაცისა და „მონის“ მდგომარეობა. მოცემულია სასჯელთა სისტემა ადამიანის მოკვლისა თუ დაშავებისათვის, ქურდობისა თუ მოტაცებისათვის, განხილულია საოჯახო და საქორწინო სამართლის ნორმები. კანონთა კრებულის მეორე ფირფიტა კი ეხება მინათმფლობელობის სხვადასხვა ფორმის სამართლებრივი დაცვის საკითხებს, მოცემულია ფასები, ასევე განხილულია სექსუალური ხასიათის დანაშაულებები და ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელები. ამ ორ ფირფიტაზე ჩამოწერილ კანონებს რვა ძირითადად ჯგუფად ყოფენ: I ჯგუფი

მოიცავს აგრესიის, თავდასხმისა და გატაცების შემთხვევებს, II ჯგუფი ოჯახურ ურთიერთობებს შეეხება, III ჯგუფი – ვალდებულებებს, IV ჯგუფი – ქონების ხელყოფასა და ქურდობას, V ჯგუფი – ხელშეკრულებებსა და ფასებს, VI ჯგუფი – საკრალურ საკითხებს, VII ჯგუფი – კონტრაქტებსა და ტარიფებს, VIII ჯგუფი კი სექსუალური ხასიათის დანაშაულებებს. ჩვენ გარკვეული ნიშნით პირველი ჯგუფიდან გამოვყავით ის კანონები, რომლებიც თავისუფალი ადამიანის გატაცებისა და „მონის“¹ გაქცევა-გატაცების შემთხვევებს შეეხება და სწორედ ამ მუხლების დეტალური განხილვისა და სხვა ძველ აღმოსავლურ კანონებთან შედარების გზით ვაპირებთ გამოვიტანოთ გარკვეული სახის ზოგადი დასკვნები ხეთური საზოგადოების ძირითადი მახასიათებლებისა და ამ საზოგადოების სოციალური ბუნების შესახებ. საკითხზე მუშაობისას ვეყრდნობით სამ ძირითად თარგმანს – ჰოფნერისეულ, გიორგაძისეულ და ასევე ვიყენებთ დიაკონოვის მიერ შესრულებულ თარგმანს, მართლია, ეს უკანასკნელი ხეთოლოგიის დღევანდელი მიღწევების ფონზე შეიძლება მოძველებულად გამოიყურებოდეს, თუმცაღა დიაკონოვისეული ინტერპრეტაციების წარმოჩენაც საინტერესოდ გვეჩვენება.

პირველი შემთხვევა, სადაც ადამიანის გატაცებაა აღწერილი არის მეცხრამეტე მუხლი. მეცხრამეტე მუხლის A ნაწილში გვაქვს შემთხვევა, როდესაც ლუვიელი იტაცებს თავისუფალ ადამიანს ხეთის ქვეყნიდან და მიჰყავს ის ლუვიაში (არცავაში).² დიაკონოვს ეს მუხლი შემდეგნაირად აქვს ნათარგმნი: „თუ კი ვინმე ლუვიელი გაიტაცებს ადამიანს ხათიდან, იქნება ეს კაცი, თუ ქალი და წაიყვანს მას არცავაში, ხოლო ბატონი იპოვის მას, შეუძლია წაიყვანოს მთელი მისი სახლი“ (Дьяконов 1952: 261). გრ. გიორგაძე აღნიშნულ მუხლს შემდეგნაირად თარგმნის: „უკეთუ რომელიმე ლუვიელი ადამიანს, კაცს ან ქალს ქ. ქათუსაში მოიპარავს და მას არცავას ქვეყანაში წაიყვანს, ბატონი მისი იპოვის, იგი მხოლოდ თავის სახლში წამოიყვანს“ (გიორგაძე 1990: 212). რაც შეეხება ჰოფნერისეულ თარგმანს იგი ასე გამოიყურება: „თუ ლუვიელი გაიტაცებს თავისუფალ ადამიანს, კაცს ან ქალს, ხეთის ქვეყნიდან და წაიყვანს მას არცავას ქვეყანაში, და შემდგომ გატაცებული პირის მფლო-

1 ხეთურ კანონებში მოცემულ სიტყვას „ARAD (İR)“ თარგმნიან, როგორც მსახური, მონა, ყმა (ხეთურ-ქართული ლექსიკონი 2013: 24). იმის გათვალისწინებით, რომ ხეთური კანონების ყველა თარგმანში „ARAD“ თარგმნილია როგორც მონა ჩვენც ვარჩიეთ, სწორედ, ეს სიტყვა გამოგვეყენებინა, თუმცა კი შესაძლოა, შინაარსით, „მონა“ მთლად ზუსტად ვერ შეესაბამებოდეს ხეთური კანონების „ARAD (İR)“-ს.

2 არცავას ქვეყნები, ძირითადად დასახლებული იყო ხეთების მონათესავე ინდოევროპელი ტომებით, ლუვიელებით, ამიტომაც ხეთები ამ ტერიტორიას ლუვიასაც ეძახდნენ.

ბელი ამოიცნობს მას, უნდა ჩამოართვას მისი ქონება“ (Hoffner 1997: 30). დავიწყოთ იმ გარემოებით, რომ თავისუფალ ადამიანს ჰყავს ბატონი. გრიგოლ გიორგაძე მიუხედავად იმისა, რომ ტექსტში თავისუფალ ადამიანზეა საუბარი, გატაცებულს მაინც არათავისუფლად მიიჩნევს, რადგანაც გატაცებულ ადამიანს ჰყავს ბატონი (გიორგაძე 1973: 264). თუმცა აშკარაა, რომ მთელ მეცხრამეტე მუხლში „მონა“ არსად ფიგურირებს და აღნიშნული მუხლის განხილვის მთავარ საგანს, სწორედ თავისუფალი ადამიანის გატაცების შემთხვევა წარმოადგენს. სწორედ ამიტომაც გასაზიარებელი ჩანს ჰოფნერის მართებული შენიშვნა, რომ მფლობელი/მესაკუთრე უნდა აღნიშნავდეს არა ბატონს, არამედ სახლის, ოჯახის მეთაურს (Hoffner 1997: 30), გატაცებულის „ჭირისუფალს“. ასევე ვიზირებით ჰოფნერის თარგმანის მეორე ნაწილს, სადაც დანაშაულისთვის სასჯელია მოცემული, აღსანიშნავია, რომ იმავეს წერს დიაკონოვიც. გიორგაძისა და ლამბაშიძე-ასტახიშვილის მიხედვით, ისე გამოდის, რომ ლუვიელის მიერ თავისუფალი ადამიანის გატაცება დანაშაულს არ წარმოადგენს, რადგანაც გატაცებულის პატრონმა, მხოლოდ გატაცებული უნდა წაიყვანოს შინ. გაუგებარია, თუ რატომ უნდა ყოფილიყო ასეთ უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენებული ლუვიელი, როდესაც შემდგომი მუხლების განხილვა სულ სხვა რამეში დაგვარწმუნებს. ამრიგად, 19A-ში გვაქვს ასეთი სურათი: ლუვიელი ხათუსადან იტაცებს თავისუფალ ადამიანს და მიჰყავს ის არცაჟაში, ამისათვის კი სასჯელი არის ქონების ჩამორთმევა.

19B-ში გვაქვს საპირისპირო შემთხვევა, როდესაც გამტაცებელი ხეთია, ხოლო გატაცებული ლუვიელი. დიაკონოვის თარგმანის მიხედვით ეს მუხლი ასე გამოიყურება: „თუ კი ხათუსადან რომელიმე ხეთი გაიტაცებს ლუვიელს და წაიყვანს მას ლუვიაში, ადრე აძლევენ 12 თავს, ახლა კი მან უნდა მისცეს 6 თავი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით“ (Дьяконов 1952: 261). გრ. გიორგაძე ამ მუხლს შემდეგნაირად თარგმნის: „უკეთუ ვინმე ხეთი ქ. ხათუსაში ლუვიელს მოიპარავს და მას ლუვიის ქვეყანაში წაიყვანს, წინათ 12 თავს იხდიდნენ, ახლა იგი 6 თავს გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს“ (გიორგაძე 1990: 212). ჰოფნერი ამ მუხლს იდენტურად თარგმნის, თუმცა ხეთური კანონებისათვის დამახასიათებელი ფორმულის „pár-na-aš-še-a šu-wa-i-ez-zi“-ის სულ სხვანაირ ინტერპრეტაციას გვთავაზობს, კერძოდ: „მან (ე. ი. დამნაშავემ – ზ. ქ.) უნდა მიხედოს მის (ე. ი. დაზარალებულის – ზ. ქ.) სახლს“. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში გასაზიარებელი ჩანს გიორგაძის ინტერპრეტაცია, რადგა-

ნაც „სახლ-კარით პასუხისგება“ და „დაზარალებულის სახლზე მზრუნველობაც“ ამ დანაშაულთან დაკავშირებით უმართებულოა, ამ ფორმულას ვხვდებით უფრო მსუბუქი დანაშაულების დროსაც, სადაც „სახლ-კარით პასუხისგება“ ან „დაზარალებულის სახლზე მზრუნველობა“, საერთოდ არ მოდის შესაბამისობაში დანაშაულის სიმძიმესთან. აქვე დგება ერთი მნიშვნელოვანი საკითხი გატაცებულის ბედის შესახებ. ამ მუხლში არ ჩანს, რომ გატაცებული უნდა განთავისუფლდეს, ჩვენი აზრით ეს გარემოება იმდენად ცხადი და ნათელი უნდა ყოფილიყო, რომ მისი სპეციალურად კანონებში არ ჩაწერილა, გატაცებულის დაბრუნების შესახებ საუბარი არც 19A-ში გვხვდება, თუმცა ის გარემოება, რომ მას ამოიცნობენ ავტომატურად მიგვანიშნებს იმაზე, რომ საკუთარ სახლსაც უნდა დაუბრუნდეს. 19B ასევე იმითაც არის საინტერესო, რომ აქ მოცემულია როგორც ადრინდელი სასჯელი, ასევე კანონის დანერის მომენტი სათვის დაწესებული სასჯელიც. ეს მუხლი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ იშვიათი გამონაკლისის გარდა, სასჯელები ყოველთვის მარტივდება და უფრო მსუბუქიც ხდება.

მომდევნო მუხლები, კერძოდ მეოცე და ოცდამეერთე, უკვე „მონის“ გატაცების შემთხვევებს ეხება. მე-20 მუხლში აღწერილია ასეთი შემთხვევა: „უკეთუ რომელიმე ხეთი ხათის მონას ლუვიადან გაიტაცებს და მას ხათის ქვეყანაში მოიყვანს. ხოლო ბატონი მისი იპოვის მას, იგი მასში 12 სიკლ ვერცხლს გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს“ (გიორგაძე 1990:212). „pár-na-aš-še-a šu-wa-i-ez-zi,“ ამ ფორმულას ჰოფენერი აქაც ისეთივე ინტერპრეტაციას უკეთებს, როგორც ზემოთ დასახელებულ შემთხვევაში, ხოლო დიაკონოვი ისევ სახლ-კარით პასუხისგებაზე აქცენტირებს. ღამბაშიძე-ასტახიშვილი „pár-na-aš-še-a šu-wa-i-ez-zi“-ის სულ სხვანაირ ინტერპრეტაციას გვთავაზობენ, რომელიც კიდევ უფრო ნაკლებად გასაზიარებელი ჩანს, ეს ინტერპრეტაცია ასე გამოიყურება: „მან (ე. ი. გამტაცებელმა – ზ. ქ.) თავისი სახლიდან უნდა მოიტანოს“ (ღამბაშიძე, ასტახიშვილი 2021: 362). ამ შემთხვევაშიც გიორგაძის თარგმანი უფრო მართებულად გვეჩვენება. აქაც „მონის“ ბედი თითქოს გაუგებარი ჩანს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც აშკარა უნდა იყოს, რომ „მონა“ ისევ ძველ ბატონს უნდა დაუბრუნდეს, ხოლო გამტაცებლის მიერ გადასახდელი 12 სიკლი ვერცხლი, ჩვენ მიგვაჩნია იმ ზარალის ანაზღაურებად, რაც „მონის“ გატაცების შედეგად მიადგა ბატონსა და მის მეურნეობას და იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაითვალოს, თავად „მონის“ გამოსასყიდ თანხად. განსხვავებული შემთხვევა გვაქვს მოცემული 21-ე მუხლში,

კერძოდ: „უკეთუ ვინმე ლუვიელის მონას ლუვიას ქვეყნიდან გაიტაცებს და მას ხათის ქვეყანაში წაიყვანს, ხოლო ბატონი მისი იპოვის მას, იგი მხოლოდ თავის მონას დაუბრუნებს. ანაზღაურება არ არის“ (გიორგაძე 1990: 212). ეს მეტად საინტერესო შემთხვევაა, რადგანაც არცაა დადანი ლუვიელის „მონის“ გატაცება და მისი ხათის ქვეყანაში წაყვანა, რეალურად, დანაშაული არ არის, რადგანაც გამტაცებელს ამის გამო სასჯელი არ ეკისრება, სწორედ ამიტომაც განსაკუთრებულადაა აქცენტირებული, რომ ძველ ბატონს მხოლოდ „მონა“ უნდა დაუბრუნდეს და გამტაცებელს სასჯელი არ ეკისრება. მეოცე და ოცდამეერთე მუხლებზე მსჯელობისას აკად. გრიგოლ გიორგაძე თავის ნაშრომში „ხეთების სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საკითხები“ წერს, რომ ხეთური კანონები ითვალისწინებდა „მონის“ წარმოშობას (გიორგაძე 1973: 264). ამ მოსაზრებას, რთულია დავეთანხმოთ, ამ მუხლებში კანონთა ინტერესის მთავარ ობიექტს წარმოადგენს ის თუ ვისი „მონა“ გატაცებული და საიდანაა გატაცებული. ის ფაქტი, რომ „მონა“ ვთქვათ არცაა ტერიტორიიდან არის გატაცებული არ ნიშნავს ავტომატურად იმას, რომ გატაცებული „მონა“ ლუვიელია ან თუ მონა ხეთის ქვეყნიდანაა გატაცებული – ის ხეთია. გრიგოლ გიორგაძე თვითონვე წერს, რომ მას შემდეგ რაც ბატონი იპოვის გატაცებულ „მონას“, მონა უნდა დაბრუნდეს იმ ქვეყანაში, საიდანაც გაიტაცეს (გიორგაძე 1973: 265). ამრიგად, კანონის ინტერესის არეალს წარმოადგენს, რომ „მონა“ დაბრუნდეს ბატონის ქვეყანაში და ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს თავად „მონის“ წარმომავლობას. ცხადია, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ხეთურ კანონებს „მონის“ უფლებები არ აინტერესებს, შესაძლოა ეს ჩვენ მიერ განხილულ მუხლებში ნაკლებად ჩანდეს, თუმცა ირიბად ეს მუხლებიც იცავს „მონის“ უფლებებს, რადგანაც უბრუნველყოფს „მონის“ დაბრუნებას იქ, სადაც შესაძლოა იყოს მისი სამშობლო და სადაც შესაძლოა ჰყავდეს ოჯახი.

„მონის“ გატაცების შემთხვევებთან დაკავშირებით ედუარდ მენაბდე წერს, რომ გატაცება ყოველთვის არ შეიძლება კვალიფიცირდეს, როგორც „მონის“ ძალმომრეობით წაყვანა. იგი მიუთითებს, რომ შესაძლოა ბატონები ერთმანეთის „მონების“ გადაბირებას ცდილობდნენ (Менабде 1961: 28). ჩვენი აზრით, ორაზროვნებას არ უნდა ინვევდეს, რომ მე-20 და 21-ე მუხლებში, სწორედ მონის ძალით გატაცების შემთხვევებია აღწერილი. მით უმეტეს, რომ „მონის“ გაქცევის შემთხვევები, რომელიც დიდი ალბათობით მონის სურვილი უნდა ყოფილიყო, ხეთურ კანონებში ცალკეა განხილული. საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ კანონში

გამოყენებული ტერმინი ორაზროვნებას არ უნდა იწვევდეს. დღესაც კანონი უნდა იყოს კომპაქტური და ზუსტი, რადგან დაინტერესებულ მხარეს არ ჰქონდეს მისი ინტერპრეტაციის საშუალება. ის მკაცრი ფორმულები, რაც ხეთურ კანონებში გვაქვს, გვარწმუნებს, რომ კანონებს ამგვარად უყურებდნენ ძველი აღმოსავლეთის ხალხებიც. სხვა ამბავია, რომ ჩვენ, ახ. წ. III ათასწლეულში მცხოვრებთ გვიჭირს აღვიქვათ ძვ. წ. II ათასწლეულში მცხოვრები ხეთისთვის რას ნიშნავდა კანონებში მოცემული მკაცრი ფორმულირებანი, რომელნიც ხეთებისთვის დიდი ალბათობით არანაირ ორაზროვნებას არ იწვევდა. ამ ფონზეც კი მე-20 და 21-ე მუხლებში, აშკარაა, რომ „მონის“ გატაცება არც ბატონის სურვილია და დიდი ალბათობით, არც მონისა, რადგანაც გატაცებული „მონა“ დიდი ალბათობით ისევ ვიღაცის „მონა“ უნდა გამხდარიყო.

22-ე მუხლიდან უკვე „მონის“ გაქცევის შემთხვევები გვაქვს აღწერილი. 22A ამგვარადაა ფორმულირებული: „უკეთუ მონა კაცი გაიქცევა და მას ვინმე უკან დააბრუნებს, თუკი მას ახლოს შეიპყრობს, იგი მას ფეხსაცმელს მისცემს“ (გიორგაძე 1990: 212). ამ მუხლთან დაკავშირებით დგება ორი მნიშვნელოვანი საკითხი. პირველი არის თუ, რა იგულისხმება ახლოს შეპყრობაში, საიდან ახლოს? „მონის“ გაქცევის ადგილიდან ანუ ბატონის სახლიდან, თუ იქიდან სადაც მპოვნელი ცხოვრობს? ჩვენი აზრით აქ „მონის“ გაქცევის ადგილი უნდა იგულისხმებოდეს და არა მპოვნელის საცხოვრებელი ადგილი, ამაზე მიგვანიშნებს მპოვნელისადმი მისაცემი საჩუქარიც – ფეხსაცმელი. ის ფაქტი, რომ „მონის“ ბატონმა მპოვნელს ფეხსაცმელი უნდა გადასცეს, რომელიც სავარაუდოდ, 22B-ს მიხედვით 2 სიკლზე ნაკლები უნდა ღირებულიყო, მიუთითებს, რომ ასეთ მცირე საჩუქარს „მონის“ ბატონი გასცემს იმიტომ, რომ დიდი ალბათობით ახლოს მყოფი „მონის“ დაჭერას ისიც შეძლებდა, თუ რატომ მაინცდამაინც ფეხსაცმელი ეს რთული სათქმელია.¹ 22B-ში უკვე მოცემულია შემთხვევები როდესაც „მონა“ გაქცევის ადგილიდან შორს არის წასული. თუ „მონა“ მდინარეს არ გასცდენია და ისე შეიპყრობენ, ამისათვის ბატონმა 2 სიკლი ვერცხლი უნდა გასცეს, ხოლო თუ მდინარის გადაღმა შეიპყრობენ – 3 სიკლი ვერცხლი. მდინარეში იგულისხმება კლასიკური ხანის ჰალისი, თანამედროვე ყიზილ-ირმაკი, რომელსაც ხეთები მარასანთას უწოდებდნენ.

23-ე მუხლი 22-ის გაგრძელებას წარმოადგენს იმ თვალსაზრისით,

1 შესაძლოა ეს იყოს საზღაური იმისთვის, რომ მპოვნელმა ფეხსაცმელი გაცვითა, როცა ჯერ მონა შეიპყრო, ხოლო შემდეგ ბატონსაც მიჰგვარა, ამასთანავე არ არის გამორიცხული, რომ ფეხსაცმლის ჩუქებას, რაიმე საკრალური დატვირთვა ჰქონდეს.

რომ „მონის“ გაქცევისა და პოვნის არეალი ფართოვდება. თუკი „მონა“ ლუვიას ქვეყანაში გაიქცევა, მისი დაბრუნებისთვის ბატონმა 6 სიკლი ვერცხლი უნდა გაიღოს, ხოლო მტრის ქვეყანაში გაქცეული „მონა“ მპოვნელს რჩება. თუმცა ამ უკანასკნელთან დაკავშირებით საინტერესო პროცედურასთან გვაქვს საქმე. მტრის ქვეყანაში „მონის“ მპოვნელმა კაცმა, ეს „მონა“ ჯერ ბატონთან უნდა დააბრუნოს და მხოლოდ ამის შემდეგ რჩება მას ეს „მონა“. ეს კარგად მიგვანიშნებს თუ რაოდენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ხეთები კანონის აღსრულებასა და პროცედურებს. ამრიგად გვაქვს ასეთი სურათი, რომ ბატონი, მხოლოდ, მაშინ კარგავს უფლებას „მონაზე“, როდესაც ეს უკანასკნელი მოახერხებს გაქცევას „მტრის“ ქვეყანაში. აქვე დგება კიდევ ერთი საკითხი – რას უნდა ნიშნავდეს მტრის ქვეყანა, თუმცა სანამ ამ საკითხზე გადავიდოდეთ, იქამდე აუცილებლად უნდა შევხვით არცავეს საკითხს. არცავეა/ლუვია, როგორც ვნახეთ არაერთხელ შეგვხვდა და საზოგადოდ არცავეს ქვეყნები არაერთხელ გვხვდება ხეთების ისტორიაშიც. ლუვიას ანუ არცავეს ქვეყანა მცირე აზიის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა. არცავეს ქვეყნები ხათის ტერიტორიისაგან იზოლირებულნი არ ყოფილან და არცავეს თითოეული ქვეყანა, უშუალოდ ესაზღვრებოდა ხათის განაპირა ოლქებს (გიორგაძე 1960: 22-23). ხეთების ახალი სამეფოს პერიოდისათვის არცავეს ქვეყნები ხეთების სახელმწიფოსადმი ნახევრად-ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ, რაც ხელშეკრულებებითაც იყო განმტკიცებული. სწორედ ეს ხელშეკრულებები განსაზღვრავდა ხათუსადან ლუვიაში და პირიქით ლუვიადან ხათუსაში, თავისუფალი ადამიანების გატაცებისა და „მონების“ გაქცევა-გატაცების შემთხვევებს. არცავეს ყველა ქვეყნის მბრძანებლებთან დადებულ ხელშეკრულებებში გატაცებული ადამიანების, მათ შორის „მონებისა“ და სამხედრო ტყვეების, გაცვლა-დაბრუნების შესახებ სპეციალური პარაგრაფებია მიძღვნილი. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ „მტრის ქვეყანა“ აღნიშნავდა ისეთ ქვეყანას, რომელთანაც ხეთებს ამგვარი ხელშეკრულება დადებული არ ჰქონდათ და ასეთ ქვეყნებთან საკითხი შედარებით უფრო მარტივადაც წყდებოდა ხოლმე.

უკანასკნელი მუხლი, რომელსაც განვიხილავთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით არის 24-ე. მოცემული გვაქვს ასეთი შემთხვევა: „თუკი კაცი ან ქალი მონა გაიქცევა, მან, ვის სახლშიც მონის პატრონი იპოვის მას, უნდა გადაუხადოს ერთი თვის ანაზღაურება: 12 სიკლი ვე-

რცხლი კაცისთვის, 6 სიკლი ვერცხლი ქალისთვის“ (Hoffner 1997: 33). ამ მუხლის მეორე ვარიანტში გვაქვს ერთი წელი, ხოლო ანაზღაურება კაცი მონის გამო არის 100 სიკლი, ქალისათვის – 50 სიკლი. როგორც ედუარდ მენაბდე წერს, ეს ანაზღაურება დიდად არ აღემატებოდა დაქირავებული მუშის ანაზღაურებას. მისი აზრით ამ ანაზღაურებაში: „...დიდი ალბათობით, უმთავრესად, იგულისხმება სხვისი მონის დროებითი ექსპლუატაციისთვის გადასახდელი, განსაზღვრული ოდენობა“ (Менабде 1961: 29). ჩვენი აზრით აქაც „მონა“ ბატონს უნდა დაბრუნებოდა და გადასახდელი თანხა იყო იმ ზარალის კომპენსაცია, რაც შესაძლოა, მის საოჯახო მეურნეობას მისდგომოდა ამ „მონის“ გაქცევითა და მის მეურნეობაში არმუშაობით. ამ მუხლთან დაკავშირებით წამოიჭრება ერთი ასეთი შეკითხვა, მართალია, ამ კანონებში მითითებულია ერთი თვე და ერთი წელი, მაგრამ რა ხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ „მონა“ გაქცეული იყო და თავს სხვაგან აფარებდა ერთ თვეზე ან ერთ წელზე მეტი ხნით, ისევ იგივე თანხა იყო გადასახდელი თუ დროის რაოდენობის გაზრდის მიხედვით თანხაც იზრდებოდა. ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი ვარიანტი ნაკლებად მისაღები ჩანს, სავარაუდოა, რომ ეს იყო ფიქსირებული თანხა, რაც პირვანდელ ვერსიაში შედარებით ცოტაა, ხოლო გვიანდელ ვარიანტში უფრო გაზრდილია, თუმცა გაზრდილია დროც, ერთი თვის ნაცვლად გვაქვს ერთი წელი.

საინტერესო ჩანს იმავე თემატიკის მუხლების შედარება სხვა ძველ აღმოსავლურ საკანონმდებლო ძეგლებთან. გატაცებული „მონა“ ერთგან ფიგურირებს, ეშნუნას კანონების¹ 49-ე მუხლში: „თუ კი კაცი დაეპატრონება გატაცებულ მონას ან მონა-ქალს, მან უნდა მიუყვანოს (სავარუდოდ, ძველ ბატონს – ზ. ქ.) მონა მონაში, მხევალი მხევალში“ (Kitchen, Lawrence 2012: 105). აღსანიშნავია, რომ ამ მუხლში ის ვინც „ეპატრონება მონას“, რამდენად არის მისი გამტაცებელი რთული სათქმელია. სავარაუდოა, რომ მუხლში მოყვანილი სასჯელი, თავად გამტაცებელს არ უნდა მიემართებოდა და სასჯელის ობიექტს წარმოადგენს ის ვინც იყენებს „მონის“ შრომას, ხოლო თავად გამტაცებელი, დიდი ალბათობით, სიკვდილით უნდა დასჯილიყო. ამაში გვარწმუნებს ისიც, რომ ეშნუნას კანონებში არსად არ გვხვდება თავისუფალი ადამიანის გატაცების შემთხვევა, რომელიც ასევე სიკვდილით უნდა დასჯილიყო. დაახლოებით

1 შუმერული ქალაქ-სახელმწიფო ცენტრალურ მესოპოტამიაში. ეშნუნას კანონები აღმოჩნდა თანამედროვე ერაყში 1945-1947 წლების არქეოლოგიური გათხრებისას. კანონთა ფირფიტები თარიღდება ძვ. წ. XIX საუკუნით.

იდენტური შემთხვევა გვაქვს ისინის მეფე ლიფითიშთარის კანონებში.¹ ლიფითაშთარის კანონების მეთორმეტე და მეცამეტე მუხლში მითითებულია, რომ ის კაცი ვინც გაქცეულ „მონას“ შეიფარებს, ერთ „მონას“ გაიღებს, ხოლო თუ „მონა“ არ ჰყავს, მაშინ 15 სიკვლ ვერცხლს გადაიხდის (Kitchen, Lawrence 2012: 75). არც ლიფითიშთარის კანონებში გვაქვს აღწერილი თავისუფალი ადამიანისა და „მონის“ გატაცების შემთხვევები, ხოლო ის რაც კანონში მითითებული არ იყო, სავარაუდოა, რომ სიკვდილით ისჯებოდა. გატაცება-გაქცევის საკითხებს ვრცლად ეხება ხამურაბის კანონები. ხამურაბის კანონების მიხედვით თავისუფალი ადამიანის ან „მონის“ გატაცება ან თუნდაც გაქცეული მონის შეფარება უპირობოდ სიკვდილით ისჯებოდა, ამასთანავე ხამურაბის კანონებში არ გვაქვს ისეთი დეტალიზაცია, როგორც ხეთურ კანონებში (ხამურაბის კანონები 1988: 12). დაახლოებით იდენტური ვითარება გვაქვს სხვა ძველ აღმოსავლურ კანონებშიც, აღარაფერს ვამბობთ ანტიკური პერიოდის სამართლის ძეგლებზე, სადაც „მონა“ კიდევ უფრო აქტიურად იყო ჩართული სანარმოო ურთიერთობებში. აშკარაა, რომ ხეთური კანონები ბევრად უფრო მსუბუქ სასჯელებს აკისრებენ თავისუფალი ადამიანისა და „მონის“ გამტაცებლებს. ამ გარემოების შესახებ ხეთური კანონების გამოქვეყნებისთანავე დაიწყეს მეცნიერებმა საუბარი. ბედრჟინ ჰროზნი, ედუარდ მაიერი, ალბრეხტ გოეტცე და სხვანი გაკვირვებით მიუთითებდნენ ხეთების ჰუმანურ-სამართლებრივ დამოკიდებულებაზე დამნაშავისადმი (ტატიშვილი 2009: 22-23). თუმცა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ხეთების ჰუმანურობაზე საუბარი ჩაითვადა ინდოევროპელთა უპირატესობის მტკიცებად სემიტ ხალხებზე. აკად. ვასილი სტრუვე წერდა, რომ „ხეთური კანონების ე. წ. ჰუმანურობა ერთი მხრივ განპირობებული იყო ხეთების სახელმწიფოს მონათმფლობელური ხასიათით, ხოლო მეორე მხრივ მასში მონათმფლობელური არისტოკრატიის ბატონობით, რომლებმაც დაიმორჩილეს ხალხიც და სამეფო ძალაუფლებაც“ (Струве 1947: 20). მიუხედავად სტრუვეს მტკიცებისა, ეს ჰუმანიზმი აშკარად შესამჩნევია არა მხოლოდ ხეთური სამართლის ძეგლებში, არამედ სხვა ტიპის წერილობით ძეგლებშიც, იქნება ეს ლოცვები, მითები თუ ნარატიული ხასიათის წყაროები, მაგალითად, თუნდაც ხათუსილი III-ის ავტობიოგრაფიაში, რომლის დეტალურ ანალიზსაც აქ არ შევუდგებით (ხათუსილი III-ის ავტობიოგრაფია 1990: 202-209).

¹ ლიფითიშთარი იყო ისინის ქალაქ-სახელმწიფოს მეხუთე მეფე. 1947 წელს აღმოჩენილ იქნა მისი სახელით შედგენილი კანონები, რომელიც 38 მუხლისაგან შედგებოდა.

ამრიგად, ჩვენ მიერ განხილული მუხლების შედეგად, აშკარაა ხეთური საზოგადოების ჰუმანური ხასიათი და განსაკუთრებული დამოკიდებულება პიროვნებისადმი. ამასთანავე ამ მუხლების განხილვამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ხეთურ საზოგადოებაში „მონასაც“ გააჩნდა უფლებები და იგი ხეთურ კანონებში ძალიან ხშირად წარმოგვიდგება, როგორც კანონის სუბიექტი. ხეთური კანონების მიხედვით „მონებს“ ჰქონდათ ქონება და ჰყავდათ ოჯახი, მათ შეეძლოთ თავისუფალ ადამიანებზე დაქორწინება ისე, რომ თავისუფალთა სოციალური სტატუსი ამითი არ იცვლებოდა, ხოლო „თავისუფალისა“ და „არათავისუფალის“ ქორწინების შედეგად დაბადებული შვილები „თავისუფალნი“ იყვნენ. საბჭოთა სამეცნიერო სკოლამ კი, როგორც პროფესორი ლევან გორდუზიანი შენიშნავს, „კლასიკოსთა ცალკეული გამონათქვამების აბსოლუტიზაციისა და დოგმებად ქცევის შედეგად მთელი ძველი სამყარო მონათმფლობელურად მონათლა, ხოლო ნებისმიერი არათავისუფალი ამ სამყაროში – მონად“ (გორდუზიანი 1999: 8). ამიტომაც, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გაბატონებული შეხედულება, რომ ხეთურ საზოგადოებაში მონა სრულად უფლებო იყო, მეტწილად სიმართლეს არ შეესაბამება (Струве 1947: 20; Менабде 1961: 56). თუმცა იმ მოსაზრებისგანაც შორს ვართ, რომ მონები თავისუფალ ადამიანებს ამოვუყენოთ გვერდში (Bryce 2002: 55), სხვა რომ არაფერი, აშკარაა, რომ „მონები“ ძალიან კარგ პირობებში, რომ ყოფილიყვნენ, თავიანთი ბატონების სახლებიდან არ გაიქცეოდნენ, როგორც ჩანს „მონათა“ გაქცევას ისეთი სიხშირე მაინც ჰქონდა, რომ ეს საკითხი ხეთი კანონმდებლების ყურადღების ქვეშ მოექცა.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

- ▶ გიორგაძე 1988: გიორგაძე გრიგოლ, ათასი ღვთაების ქვეყანა, თბილისი, „მეცნიერება“, 1988;
- ▶ გიორგაძე 1960: გიორგაძე გრიგოლ, რამდენიმე შენიშვნა არცაგას ქვეყნების ლოკალიზაციის შესახებ, აღმოსავლური კრებული I, 1960, გვ. 5-28;
- ▶ გიორგაძე 1990: გიორგაძე გრიგოლ, ხეთური კანონები, წიგნში ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, რედ. გრ. გიორგაძე, თბილისი, „მეცნიერება“, 1990;
- ▶ გორდუზიანი 1999: გორდუზიანი ლევან, B-ხაზოვანი ტექსტების DO-E-RO ძველი სამყაროს სოციალური ისტორიის კონტექსტში, თბილისი, „ლოგოსი“, 1999;
- ▶ დოლიძე 1960: დოლიძე ისიდორე, ძველი აღმოსავლეთის სამართალი, თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1960;
- ▶ კერამი 1966: კერამი კურტ, ხეთების საიდუმლოება, მთარგმნელი: თ. თაქთაქიშვილი, თბილისი, „ნაკადული“, 1966;
- ▶ ტატიშვილი 2009: ტატიშვილი ირინე, მოსაზრებები ხეთების საზოგადოების ჰუმანურობის შესახებ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები IV, 2009, გვ. 22-31;
- ▶ ღამბაშიძე, ასტახიშვილი 2021: ღამბაშიძე მაია, ასტახიშვილი ერეკლე, ხეთური კანონები, ჟურნ. ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია №6, 2021, გვ. 357-384;
- ▶ ხათუსილი III-ის ავტობიოგრაფია 1990: ხათუსილი III-ის ავტობიოგრაფია, ხეთურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ირინე ტატიშვილმა, წიგნში ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, რედ. რედ. გრ. გიორგაძე, თბილისი, „მეცნიერება“, 1990;
- ▶ ხამურაბის კანონები 1988: ხამურაბის კანონები, აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზურაბ კიკნაძემ, თბილისი, „მეცნიერება“, 1988;
- ▶ ხეთურ-ქართული ლექსიკონი 2013: ხეთურ-ქართული ლექსიკონი, ნაკვეთი 9: შუმეროგრამები, შემდ. ირ. ტატიშვილი, თბილისი, „ლოგოსი“, 2013;
- ▶ Bryce 2002: Bryce Trevor, Life, and Society in the Hittite World, New York, Oxford University Press, 2002;
- ▶ Hoffner 1997: Hoffner Harry Angier, The Laws of the Hittites, Leiden, New York, Koln, „Brill“, 1997;
- ▶ Kitchen, Lawrence 2012: Kitchen Kenneth A., Lawrence Paul J. N., Treaty, Law and Covenant in the Ancient Near East Part 1: The Texts, Wiesbaden, „Harrassowitz Verlag“, 2012;
- ▶ Гиоргадзе 1973: Гиоргадзе Григорий, Очерки по социально-экономической истории Хеттского государства, Тбилиси, „Мецниереба“, 1973;

- ▶ Дьяконов 1952: Дьяконов Игор, Законы Вавилонии, Ассирии и Хеттского царства, Вестник древней истории №4, 1952, 33. 259-308;
- ▶ Менабде 1961: Менабде Эдуард, О рабстве в Хеттском государстве, Переднеазиатский сборник, Вопросы хеттологии и хуритологии, 1961, 33. 11-56:
- ▶ Струве 1947: Струве Василий, О „гуманности“ хеттских законов, Вестник древней истории №4, 1947, 33. 11-20.

Zaza Karchava

MA Program In Ancient Languages and Civilizations
Faculty of Humanities, TSU

CASES OF ABDUCTION AND ESCAPE OF A FREE PERSON AND „SLAVE“ ACCORDING TO THE LAWS OF THE HITTITES (SUMMARY)

Legislative monuments are important sources for studying historical, economical, social, state, legal, and cultural issues of any country. Therefore, the laws of the Hittites, which were discovered in 1906-1912 are a valuable source for studying the history of the Hittites kingdom.

I focused on the articles, which described the cases of abduction and escape of a free person and „slave“. These articles: 19th, 20th, 21st, 22-nd, 23-rd, and 24th. It is through a detailed review of these articles and comparisons with other ancient Eastern laws that we intend to draw some kind of general conclusions about the basic characteristics of the Hittite community and the social nature of this community. In addition, the discussion of these articles gave us an interesting picture of the relations between the Hittites and the Arzawa countries. During the working on the issue, I used three main translations of Hoffner, Giorgadze, and also the translation by Diakonoff.

These articles confirm the humanity and special attitude toward a person in the society of the Hittites. At the same time, the discussion of these articles once again assured us, that in a society of the Hittites, the „slave“ also had rights.

According to the laws of the Hittites „slaves“ had property and had a family, also „slaves“ were allowed to marry a free person, without changing the social status of the free person.

ლალი მექერიშვილი

საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თსუ

ლეონ სპათარიოსის ბიზანტიური მისია საქართველოში

საკვანძო სიტყვები: ლეონ სპათარიოსი, ბიზანტიის იმპერია, თეოფანე ჟამთააღმწერელი, დასავლეთ საქართველო, ბიზანტიური მისია, დიპლომატია, არაბთა დომინირება

Keywords: Leo Spatharios, Byzantine Empire, Theophanes the Confessor, West Georgia, Byzantine mission, Diplomacy, Arab domination

VIII საუკუნის დასაწყისი ერთ-ერთი საკმაოდ რთული პერიოდია საქართველოს ისტორიაში. ერთი მხრივ, ამიერკავკასია არაბი ხალიფების ყურადღების ცენტრში მოექცა, მეორე მხრივ, ბიზანტიის იმპერია არანაკლებ ყურადღებას უთმობდა თავისი პოლიტიკური გავლენის მოპოვებას საქართველოში, ამიტომ იდეოლოგიური, რელიგიური თუ კულტურული კუთხით ცდილობდა გავლენის შენარჩუნებასა და გაზრდას ამ ტერიტორიაზე. ამას ემატებოდა გაძლიერებული ხაზართა ხაკანატის გავლენა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, ამიტომ არაბების მიერ საქართველოში შექმნილ შფოთვისა და ძარცვა-რბევას ემატებოდა ხაზართა განუწყვეტელი თავდასხმები. სწორედ აღნიშნული პოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე, მოცემულ პერიოდში ქართველთა უთანასწორო ბრძოლას აკად. სიმონ ჯანაშიამ სწორად უწოდა ქართველთა მიერ „სამი მხრით ხმლის ქნევა“.

ბიზანტიის იმპერიამ ჯერ კიდევ VII საუკუნის შუა ხანებიდან გააუქმა ლაზიკაში მეფობა და დასავლეთ საქართველოს იმპერატორის მოხელეები – აბაზგიის არქონტი და ლაზიკის პატრიკიოსი მართავდნენ. აქ არსებული პოლიტიკური ერთეულები ხშირად მიმართავდნენ ზომებს,

რათა მოეპოვებინათ არაბთა მხარდაჭერა ბიზანტიის წინააღმდეგ, რამაც სახალიფოს საქართველოზე გავლენის მოპოვების საშუალება მისცა. VIII საუკუნის დასაწყისისთვის არაბებს ფეხი ჰქონდათ მოკიდებული ლაზიკა-ეგრისის განაპირა მხარეებში, მათი გარნიზონები იდგა კოდორის ხეობის ციხეებში (პაპასქირი 2003ა: 172). აბაზგია-აფხაზეთსაც, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას მდ. გუმისთის ჩრდილოეთით – მდ. ბზიფის შესართავამდე (პაპასქირი 2003ბ: 42), აღიარებული ჰქონდა სახალიფოს უზენაესობა, თუმცა უზენაესობის ნამდვილად აღიარებასთან ან არ აღიარებასთან დაკავშირებით ისტორიოგრაფიაში ერთი გამოკვეთილი აზრი არ არსებობს. ერთი რამ ცალსახაა, რომ არაბები ფაქტობრივად დაეპატრონენ საქართველოს, მაგრამ ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტსაც, რომ დასავლეთ საქართველოში ფეხის მოკიდება არაბებს სამხედრო ექსპანსიით არ მიუღწევიათ, ეს მათი დიპლომატიური წარმატების შედეგი უფრო იყო. ამის დადასტურებაა ჯერ კიდევ 697 წელს ლაზიკის პატრიკიოსის სერგი ბარნუკის ძის აჯანყება, რომელმაც ქვეყანა არაბებს დაუმორჩილა. ზემოაღწერილი სიტუაცია ბიზანტიური დიპლომატიის სრულ კრახზე მიუთითებდა.

სწორედ აღნიშნული პოლიტიკური პროცესები, არაბთა დომინირება დასავლეთ საქართველოში, იძლევა იმის საფუძველს, რომ ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე II-ს მეორედ გამეფების დროს (705-711) თავისი მოხელე ლეონი,¹ რომელსაც იმპერატორისგან სპათარიოსის სამოხელეო ტიტული ჰქონდა მინიჭებული, გაეგზავნა ალანიაში, რათა ეწარმოებინა მოლაპარაკებები აბაზგებსა და ალანებს შორის. მისი პირდაპირი დავალება იყო ალანების მოსყიდვა, წაქეზება და დაპირისპირება აბაზგიისთვის, როგორც ბიზანტიის იმპერიის „მოლაღატისთვის“ და ამ გზით ბიზანტიის გავლენის აღდგენა დასავლეთ საქართველოზე, რასაც მოჰყვებოდა არაბთა დომინირების შემცირება.

ცნობილი ბიზანტიელი მემათიანე და ბერი თეოფანე ჟამთააღმწერელი, რომელიც კათოლიკურმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა, გვანვდის საკმაოდ ვრცელ ინფორმაციას ჩვენთვის საინტერესო პერიოდის შესახებ თავის თხზულებაში „ქრონოგრაფია“. იგი გადმოგვცემს ამბებს უძველესი პერიოდიდან 810 წლამდე. სხვადასხვა ინფორმაციაზე დაყრდნობით ასკვნიან, რომ მან დიდი ნაწილი თავისი თხზულებისა დაწერა გიორგი სვანგელოზის ცნობებზე დაფუძნებით, ხოლო გიორგი სვანგელოზმა თავისი ისტორიიდან ცნობები მერვე საუკუნის შესახებ თარგმნა

1 მომავალში იმპერატორი ლეონ III ისავრიელი.

სირიული თხზულებიდან, კონკრეტულად, თეოფილე ედესელის ნაშრომიდან (თავაძე 2020: 24).

თეოფანე ჟამთააღმწერელის თხზულება ერთადერთ წყაროს წარმოადგენს, რომელიც დეტალურად ასახავს ლაზიკის მმართველი სერგი ბარნუკის ძის განდგომისა და ლეონ სპათარიოსის ბიზანტიური მისიის მიმდინარეობის ამბებს. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ თეოფანეს თავისი თხზულება უნდა დაეწერა დაახლოებით 811-814 წლებში (პაპასქირი 2016: 177). რაც შეეხება ქართულ საისტორიო ტრადიციას, ის მეტად კონცენტრირებულია ქართლზე და დასავლეთ საქართველო ძირითადად იგნორირებულია, აქედან გამომდინარე, ქართულ საისტორიო ტრადიციაში ლეონ სპათარიოსის მოვლინების ამბავი არ არის გადმოცემული, თუმცა ქართულ ისტორიოგრაფიაში ვხვდებით ცდებს, რომ გარკვეული კავშირი იპოვონ თეოფანე ჟამთააღმწერელის მიერ გადმოცემულ ამბებსა და „ქართლის ცხოვრებაში“ დაცულ ცნობებს შორის (გოილაძე 2018: 448-456).

ლეონ სპათარიოსის ბიზანტიური მისიის მიმდინარეობის განხილვამდე საჭიროდ მიგვაჩნია მისიის მოწყობის წინაპირობების მოკლედ განხილვა, თუ როგორი პოლიტიკური სიტუაცია იყო VII-VIII საუკუნეების მიჯნაზე ბიზანტიის იმპერიასა და არაბთა სახალიფოში და რა პოლიტიკურმა პროცესებმა განაპირობა მისიის მოწყობის აუცილებლობა.

VII საუკუნის მიწურულისთვის საქართველოში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაზე დიდი გავლენა ჰქონდა ახლად გამოჩენილ ძალას – არაბობას. ეს არის პერიოდი, როდესაც არაბი ხალიფები დიდ ყურადღებას აქცევენ ამიერკავკასიას. განსაკუთრებით ეს შეიმჩნევა ხალიფა ვალიდ I-ის (705-715) მეფობის დროს, როდესაც არაბთა დაპყრობებმა და ექსპანსიურმა პოლიტიკამ ზენიტს მიაღწია (ჯანაშია 1936: 23), თუმცა არაბთა ძალის გარდა, ამიერკავკასიისადმი დიდ ინტერესს იჩენდა ხაზართა ხაკანატი და ბიზანტიის იმპერია, ამიტომ სამივე ძალა აქტიურად ცდილობდა საკუთარი ინტერესების დაცვასა და გავლენის მოპოვებას ამიერკავკასიაში.

ხალიფატის წარმატებულ საგარეო პოლიტიკაზე საუბარი შეიძლება დავიწყოთ ხალიფა აბდ ალ-მალიქის (685-705) ხალიფობის დროიდან, რომლის სახელსაც მიაწერენ სახალიფოში არაბთა ჯარის რეორგანიზაციას, რამაც სახალიფოს ექსპანსიურ დაპყრობით პოლიტიკას შეუწყო ხელი (თავაძე 2020: 62). ყოველივე აღნიშნული პირდაპირ უკავშირდებოდა ბიზანტიის იმპერიის გავლენის შესუსტებას კავკასიაში, რასაც

ემატებოდა იმპერიაში არსებული შიდა აშლილობა. ეს არის პერიოდი, როდესაც ქვეყანაში ხელისუფლება შვიდჯერ შეიცვალა, რამაც ქვეყნის სტაბილურობაზე ნეგატიურად იმოქმედა.

ჯერ კიდევ 695 წელს ძალისმიერი მეთოდით ტახტიდან ჩამოაგდეს იმპერატორი იუსტინიანე II, რომელიც ხერსონესში გადასახლებული ფაქტობრივად ტყვეობაში აღმოჩნდა. ხელისუფლება კი გადავიდა უზურპატორ ლეონტის ხელში, რომლის მმართველობა დიდხანს არ გაგრძელებულა და იგი მალევე ჩაანაცვლა ასპიმარმა, რომელიც ისტორიოგრაფიაში ტიბერიუს III ასპიმარის (698-705) სახელითაა ცნობილი. მისი იმპერატორობის პერიოდში კიდევ უფრო გამოიკვეთა დაპირისპირება ბიზანტიის იმპერიასა და ხაკანატს შორის. სიტუაცია სტაბილურდება მას შემდეგ, რაც იუსტინიანე მოახერხებს მეორე ვადით საიმპერატორო ტახტის მოპოვებას და დინასტიური ქორწინების გზით ხაკანატთან ურთიერთობის დალაგებას, მან ცოლად შეირთო ხაზართა ხაკანის იბუზინ გლიავანის და (თავაძე 2020: 63). იბუზინ გლიავანი ხაზართა იმ ხაკანების პოლიტიკის გამგრძელებელი გახლდათ, რომელიც აქტიურად მიისწრაფოდა ამიერკავკასიის ათვისებისკენ. აქედან გამომდინარე, ძლიერ ძალას, რომელსაც კავკასიაში უპირისპირდებოდა, ეს იყო სახალიფო, რომელიც საერთო მტრად მოეწოდებოდა ბიზანტიის იმპერიასა და ხაკანატს. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, სამი ძალის პირობებში, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული პოლიტიკური გაერთიანებები მაქსიმალურად ცდილობდნენ ლავირების პოლიტიკისთვის მიემართათ, რათა ნაკლები დანაკარგი ჰქონოდათ და დაეცვათ საკუთარი მიწა-წყალი.

ბიზანტიის იმპერიაში არსებულმა შიდა არეულობამ საშუალება მისცა ხალიფატს, რომ თავისი ხელისუფლება კავკასიაში გაემყარებინა. VII საუკუნის 90-იან წლებში არაბებს უკვე დაკავებული ჰქონდათ ალვანეთი, ქართლი, სომხეთი და დასავლეთ საქართველოში არსებული ეგრისიც. თუმცა მას შემდეგ, რაც იმპერატორი ტიბერიუს III ასპიმარი გახდა, იგი აშკარად დაუპირისპირდა სახალიფოს და დიდი არმიით გზავნის ამიერკავკასიაში თავის ძმას ჰერაკლე პატრიკიოსს, რომელმაც სომხეთში გარკვეულ წარმატებებს მიაღწია არაბთა წინააღმდეგ და გაძარცვა არაბთა გავლენის ქვეშ მყოფი ქალაქები (Theophanes the Confessor 1997: 518; Treadgold 1997: 339). საპასუხოდ 700 წელს ხალიფამ გაგზავნა სადამსჯელო ექსპედიცია თავისი შვილის აბდალლა იბნ აბდ ალ-მალიქის მეთაურობით, რომელმაც ქალაქ თეოდოსიოპოლისს ალყა

შემოართყა, რაც წარუმატებლად დასრულდა, ეს არის თანამედროვე არზრუმის ტერიტორია, რომელსაც არაბები კალიკალას უწოდებდნენ (Theophanes the Confessor 1997: 519; თავაძე 2020: 64). ხალიფამ თავისი შვილის წარუმატებელი ოპერაციის შემდეგ მეორე წელს გააგზავნა ნახევარძმა მუჰამედ იბნ მარვანი არმენიაში სალაშქროდ, რაც, რა თქმა უნდა, განპირობებული იყო ხალიფატის სურვილით, რომ ამიერკავკასია მათ დაქვემდებარებაში მოქცეულიყო. აღნიშნული ლაშქრობა გამოირჩეოდა თავისი მასშტაბურობით, რაზეც ის ფაქტიც მოწმობს, რომ არაერთი წყარო მოგვითხრობს მის შესახებ, როგორებიცაა: ლევონდი, მოსეს კალანკატუაცი, იბნ ალ-ასირი, ალ-იაკუბი და სხვები (თავაძე 2020: 65). სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა ქართლზე არაბთა გავლენის გაზრდა. ამას თავად ნუმისმატიკური მასალაც ადასტურებს, რომლის მიხედვითაც მუსლიმებმა დედაქალაქი დაიკავეს და არაბული მონეტების მოჭრა დაიწყეს (თ. დუნდუა, გ. დუნდუა 2006: 167).

705 წელს აბდ ალ-მალიქის სიკვდილის შემდეგ მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა, რის შედეგადაც მუჰამედ იბნ მარვანი საერთოდ გაეცალა არმენიას და ამასთანავე, ქართლს (თავაძე 2020: 69). ამას ემატებოდა ისიც, რომ ბიზანტიის იმპერატორი გახდა იუსტინიანე II, რომელმაც დაიწყო აქტიური შეტევა არაბების წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთის იშხან სუმბატ ბაგრატუნს პრობიზანტიური ორიენტაცია ჰქონდა, იგი დამარცხდა მუჰამედ იბნ მარვანის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში. ასევე პრობიზანტიური ორიენტაციის იყვნენ ქართლის ერისმთავრები ძმები არშუშა და ვარაზ ბაკური. რომლებსაც მიღებული ჰქონდათ ბიზანტიური ტიტულები (თავაძე 2020: 69-70). არაბთა პოზიციები ქართლში თანდათან შესუსტდა, რასაც ნუმისმატიკური მასალაც ასახავს, რომლის მიხედვითაც 704 წლიდან არაბული მონეტების მოჭრა თბილისის ზარაფხანაში შეწყდა და ის მონეტები, რაც მანამდე მოიჭრა ეს ერთგვარად პოლიტიკური გამოვლინება უნდა ყოფილიყო, ვიდრე ეკონომიკური და ფართო ემისიისთვის ნაკლებად უნდა ყოფილიყო გამიზნული (თ. დუნდუა, გ. დუნდუა 2006: 167).

დასავლეთ საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას რომ შევეხოთ, ამ პერიოდის ეგრისი ქართლის გავლენის ქვეშაა, პატრიკიოსმა სერგი ბარნუკის ძემ 697 წელს აჯანყების შედეგად პროარაბული ორიენტაცია აირჩია (თეოფანე ჟამთააღმწერელი 1941: 105), მაგრამ ის ფაქტიცაა გასათვალისწინებელი, რომ არაბთა გავლენა დასავლეთ საქართველოში დიდხანს არ შენარჩუნებულა, რადგან 702-704 წლის

ლაზიკის აპოთეკეს კომერციაროსის ტყვიის საბეჭდავების მიხედვით ქვეყანა ბიზანტიელთა გავლენის ქვეშაა. ამას ისიც ემატებოდა, რომ 706 წელს ფოთში ჩაასახლეს არმენიელები, ამიტომ ეგრისი პრობიზანტიური ძალებით გარშემორტყმული აღმოჩნდა. ეგრისის დასავლეთ მხარეში ჩაასახლებულნი იყვნენ სომხები სუმბატ ბაგრატუნის მეთაურობით, აღმოსავლეთით მას პრობიზანტიური არშუშა ერისთავი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს ბიზანტიური არმენიაკონის თემი ესაზღვრებოდა (თავაძე 2020: 74).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სერგი ბარნუკის ძე მხოლოდ არაბთა სამხედრო ძალის დახმარების იმედზე დარჩენილიყო, რაც 707 წელს სრულდება იმით, რომ მუჰამედ იბნ მარვანი თავისი არმიით ჯერ არმენიაში შევიდა, ხოლო შემდეგ ქართლში, სადაც არაბთა ხელისუფლება განამტკიცა, რის შემდეგაც ეგრისს მიადგა და სერგი ბარნუკის ძეს საშუალება მიეცა დაებრუნებინა საკუთარი პოზიციები ეგრისში. ამასთანავე, არაბებს მორჩილება გამოუცხადა აბაზგიის მთავარმა. არაბთა დომინირებაზე მიუთითებს თეოფანე ჟამთააღმწერელის ცნობაც: „სარკინოებს ეპყრათ აბაზგიაც, ლაზიკიც და იბერიაც“ (თეოფანე ჟამთააღმწერელი 1941: 107; Theophanes the Confessor 1997: 542), მაგრამ მიუხედავად ამისა, დასავლეთ საქართველოში კვლავ რჩებოდნენ პრობიზანტიურად განწყობილი ძალა დიოფიზიტი ეგრისელებისა და აფშილების სახით (თავაძე 2020: 65). ასევე იმპერატორის მოკავშირეები იყვნენ ალანები, რომელთა ფულით მოსყიდვა აუცილებელი იყო, რათა აბაზგიაში იუსტინიანეს თავისი პოზიციები დაებრუნებინა.

აქედან გამომდინარე, მუჰამადის მიერ მოწყობილი ლაშქრობა ერთგვარი ბოლო აკორდი უნდა ყოფილიყო იმისა, რომ ბიზანტიის იმპერიას დაეწყო აქტიური მსჯელობა კავკასიაში ლაშქრობის მოწყობაზე, რათა დაებრუნებინა და განემტკიცებინა დაკარგული პოზიციები, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ამიტომ, სავარაუდოა, რომ ამ პერიოდში იუსტინიანე II-ის ინიციატივით მოწყობილიყო ბიზანტიური მისია საქართველოში გამოცდილი და გამჭრიახი პოლიტიკოსის ლეონის მეთაურობით, რომელსაც სპათარიოსის ტიტული ჰქონდა ნაბოძები იმპერატორისგან, რათა ალანები მოესყიდა და წაექეზებინა ბიზანტიის „მოღალატე“ აბაზგიის წინააღმდეგ, ამასთანავე დაეცვა და აღედგინა ბიზანტიის ინტერესები დასავლეთ საქართველოში (თავაძე 2020: 65).

მისიის მოწყობის წინაპირობების განხილვის შემდეგ შეგვიძლია გა-

დავიდეთ თეოფანე ჟამთააღმწერელის თხზულების ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდზე. ქრონოგრაფიაში დაცული ცნობის მიხედვით, ლეონი წარმოშობით გერმანიკიდან, კონკრეტულად კი ისავრიიდან გახლდათ (თეოფანე ჟამთააღმწერელი 1941: 106; Theophanes the Confessor 1997: 542). ჯერ კიდევ იუსტინიანეს პირველად გამეფების დროს ლეონი ოჯახითურთ გადასახლდა თრაკიის მესარაბიაში. მაშინ, როდესაც იუსტინიანე მეორედ გახდა იმპერატორი, მას ლეონი მიეგება და საჩუქრად 500 ცხვარი გადასცა. სწორედ ამ ჟესტით ნასიამოვნებმა იმპერატორმა მას სპათარიოსის ტიტული უბოძა და თავის ახლო მეგობრად მიიღო. ლეონის დაწინაურებამ სამეფო კარზე და იმპერატორთან დაახლოებამ ზოგიერთის გაღიზიანება ნამდვილად გამოიწვია, რის გამოც, ლეონი იმპერატორთან დააბეზღეს, თითქოს იგი სამეფო ძალაუფლებისკენ მიისწრაფვოდა. აღნიშნული ამბავი სწრაფადვე გავრცელდა მთელ იმპერიაში და იუსტინიანეც გულის სიღრმეში დარწმუნებული იყო აღნიშნული ამბის სისწორეში, ამიტომ, როგორც თეოფანე აღნიშნავს, ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ იმპერატორს ლეონი დიპლომატიური მისიით გაეგზავნა ალანიაში დიდძალი ფულით და თავიდან მოეშორებინა ტახტისთვის მებრძოლი პრეტენდენტი (თეოფანე ჟამთააღმწერელი 1941: 106; Theophanes the Confessor 1997: 542).

თეოფანე ჟამთააღმწერელის მიერ გამოთქმული მოსაზრება ლეონის მოვლინების შესაძლო მიზეზთან დაკავშირებით შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენოთ. თუ იმპერატორის ნება ნამდვილად იყო ლეონის მოშორება სამეფო კარისგან შორს, რამდენად შეიძლება ასეთი ადამიანისთვის, რომელიც იმპერატორის ძალაუფლების დაუფლებისკენ მიისწრაფვოდა, ჩაებარებინა დიდძალი ფული, ასევე დაევალებინა ბიზანტიის ინტერესების დაცვა და გავლენის აღდგენა კავკასიაში. შეიძლება ვიფიქროთ, რომ იუსტინიანე II ბიზანტიის ინტერესების აღდგენასა და იმპერიის პრესტიჟის დაცვას მისთვის ერთ დროს სანდო და გამჭრიახ ადამიანს ანდობს, მთავარი მიზეზი, შესაძლოა, ეს ყოფილიყო, რაც თავის მხრივ, არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ ამ გზით ლეონი სამეფო კარისგან შორს იქნება. აღნიშნულის გათვალისწინებით იუსტინიანე II-სთვის ორმაგად მნიშვნელოვანი იყო აღნიშნული მისიის დაგეგმვა, როდესაც არაბებს უკავიათ აბაზგია, ლაზიკა და იბერია.

მას შემდეგ, რაც ლეონი იწყებს ბიზანტიურ მისიას კავკასიაში, პირველი პუნქტი, სადაც ჩავიდა, ეს იყო ლაზიკა, ხოლო ქრთამის სახით წამოღებული ფული ფაზისში (ფოთი) დატოვა, რის შემდეგაც რამდენიმე

ადგილობრივთან ერთად აფშილეთში გადავიდა. მან გადალახა კავკასიის მთები და ჩავიდა ალანიაში (თეოფანე ჟამთააღმწერელი 1941: 107; Theophanes the Confessor 1997: 542). ამასთანავე, თეოფანე ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ფაზისში დატოვებულ ფულს იუსტინიანე უკან წაიღებს, ამ გზით მას თითქოს ლეონის საბოლოოდ განადგურება სურდა. მოცემული ინფორმაციით თეოფანე კიდევ უფრო ამყარებს ზემოაღნიშნულ აზრს, რომ იმპერატორ იუსტინიანე II-ს ლეონის, როგორც ტახტისთვის მებრძოლი კანდიდატის, საბოლოოდ მოცილება სურდა კავკასიაში წარვლენის გზით. ამასობაში ლეონი ალანებმა დიდი პატივით მიიღეს, მოიწონეს და შეასრულეს სპათარიოსის ნათქვამი, რომ შეჭრილიყვნენ და ხელში ჩაეგდოთ აბაზგია, რასაც მოყვა აბაზგიის მთავრის დიპლომატიური მოლაპარაკება ალანებთან. მეორე მხრივ, აბაზგიის მთავარი ალანებს მოუწოდებდა სამასი ნომისმის ფასად გადაეცათ ის ადამიანი, რომელმაც შუღლი ჩამოაგდო მათ შორის, გარდა ამისა, აბაზგიის მთავარი აფრთხილებდა მათ, რომ თანხა, რომელსაც ლეონი მათ დაპირდა აბაზგიაში სალაშქროდ და ფაზისში ეგულებოდათ, უკვე იმპერატორს უკან ჰქონდა წაღებული, ამიტომ დარბევისთვის განკუთვნილ თანხას ვეღარ მიიღებდნენ. აღნიშნულ შემოთავაზებაზე ალანთა პასუხი ერთგვარად გამომხატველი იყო იმპერატორის ერთგულებისა, რომ ამ ყველაფერს აკეთებდნენ არა ფულისთვის, არამედ იმპერატორისთვის (თეოფანე ჟამთააღმწერელი 1941: 107-108; Theophanes the Confessor 1997: 542-543). მიუხედავად ამისა, მას შემდეგ, რაც შეთავაზებული ქრთამი 6,000 ნომისმამდე გაიზარდა, ალანებმა მიიღეს მათი წინადადება, კარგად გაანალიზეს არსებული სიტუაცია და სულ სხვა გეგმა დაისახეს აღნიშნულთან დაკავშირებით. მათი მიზანი იყო ლეონ სპათარიოსის უსაფრთხოდ დაბრუნება კონსტანტინოპოლში და რადგანაც ამას ის რთული ვითარებაც ემატებოდა, რომ რომანიისკენ გზა ჩაკეტილი იყო, ალანებმა განიზრახეს აბაზგიაში გაეგზავნათ სპათარიოსი ალანების მცირერიცხოვან რაზმთან ერთად, რათა დაეზვერათ იქაურობა, შეესწავლათ გადმოსასვლელები, სპათარიოსი უსაფრთხოდ დაებრუნებინათ უკან და შემდეგ დაუფლებოდნენ მთლიან აბაზგიას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ალანებსა და აბაზგებს ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ. როგორც თეოფანე ჟამთააღმწერელი აღნიშნავს, აბაზგების წინადადების მიღება იმითაც იყო განპირობებული, რომ სავაჭრო ურთიერთობები მათ შორის არ გაფუჭებულიყო, ამიტომ აბაზგთა ელჩებს დიდძალი საჩუქრების სანაცვლოდ გადასცე-

მდნენ სპათარიოსს. მას შემდეგ, რაც აბაზგ ელჩებს ლეონი გააყოლეს, ალანებმა მოახერხეს გზაშივე დაწეოდნენ, სპათარიოსი გადაემაღათ და თავიანთი მთავრის, ვინმე იტაზის, მეთაურობით მოერბიათ მთელი აბაზგია (თეოფანე ჟამთააღმწერელი 1941: 109; Theophanes the Confessor 1997: 544). ერთი რამ ცალსახაა, რომ ალანებსა და აბაზგებს შორის კონფლიქტი ნამდვილად ჩამოვარდა, რამაც იმპერატორ იუსტინიანეს მოწონება ორმაგად დაიმსახურა, იქიდან გამომდინარე, რომ ლეონმა აღნიშნული მისია მატერიალური სახსრების გარეშე შეასრულა. იმპერატორმაც ლეონს საქმე დაუფასა და აბაზგებს გაუგზავნა წერილი, რომ ყველაფერს აპატიებდა იმ შემთხვევაში, თუ უსაფრთხოდ გადმოატარებდნენ მის მოხელეს, რაზეც აბაზგები დასთანხმდნენ, თუმცა ლეონ სპათარიოსმა მოთმენა ამჯობინა, მან კატეგორიული უარი განაცხადა აბაზგიის გზაზე გაევიდო, რის გამოც, სპათარიოსის კავკასიაში დარჩენა კიდევ უფრო გახანგრძლივდა. ხელსაყრელი დრო დადგა მაშინ, როდესაც ბიზანტიელები და არმენიელები (სომხები) შეიჭრნენ ლაზიკაში, მათ ალყა შემოარტყეს არქეოპოლისს (ციხე-გოჯი), თუმცა არაბების გამოჩენის გამო იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ, მაგრამ 200 კაციანი რაზმი კავკასიაში მაინც დარჩა, რათა აფშილეთი და კავკასიის მიდამოები მოერბიათ (თეოფანე ჟამთააღმწერელი 1941: 110; Theophanes the Confessor 1997: 543). მათ კავკასიაში ყაჩაღობა დაიწყეს.

კავკასიაში ბიზანტიელთა ჯარის ყოფნის ამბავს მშვიდად არ ჩაუვლია, როდესაც ალანებმა მათი კავკასიაში ყოფნის ამბავი გაიგეს, სწრაფადვე ლეონ სპათარიოსს გააგებინეს, გადალახეს თოვლიანი კავკასიონი და შეხვდნენ ბიზანტიელთა ჯარს, რომელიც არაბთა თავდასხმის გამო ვერ ბრუნდებოდნენ რომანიაში. აღნიშნული სიტუაცია ნათელი ილუსტრაციაა იმისა, რომ იმპერატორის მოხელე და ბიზანტიელთა რაზმი ვერ ბრუნდება რომანიაში კავკასიაში არაბთა მომძლავრებული მდგომარეობის გამო. ერთადერთი გამოსავალი ბიზანტიელების მიერ ე. წ. „რკინის ციხეზე“ კონტროლის მოპოვება იყო, სადაც სარკინოზთა დანიშნული მოხელე ფარასმანი იჯდა, რომელსაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა არმენიელებთან. არსებული ვითარების გათვალისწინებით, ლეონმა შესაძლებლად ჩათვალა, რომ ფარასმანს შეეძლო მათი დახმარება, ამიტომ მასთან რამდენიმე კაცი გაგზავნა და შეუთვალა, რომ დამორჩილებოდა იმპერატორს და ციხე ჩაებარებინა, რათა ზღვის ნაპირამდე ჩასულიყვნენ და ტრაპეზუნტში გადასულიყვნენ, თუმცა ფარასმანი არაბთა ერთგული დარჩა. ფარასმანის პროარაბული ორიენტა-

ციის გამო ლეონი იძულებული გახდა სხვა გზისთვის მიემართა. მან ჯარს დაავალა ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩასაფრებულიყვნენ და ციხიდან გამოსულებს თავს დასხმოდნენ, თუმცა ციხე იმდენად კარგად გამაგრებული აღმოჩნდა, რომ სპათარიოსმა ციხე ვერ აიღო. როგორც თეოფანე ჟამთააღმწერელი აღნიშნავს, სპათარიოსმა წარმატებას მხოლოდ მას შემდეგ მიღწია, რაც „აფშილთა შორის უპირველესი“ (თეოფანე ჟამთააღმწერელი 1941: 112; Theophanes the Confessor 1997: 544) მარინოსი (მარინე) მათ დაეხმარა და ზღვის ნაპირამდე მშვიდობიანად გადასვლის შესაძლებლობა აღუთქვა. ამასთანავე თეოფანე დამატებით აღნიშნავს, რომ „აფშილთა შორის უპირველესმა“ ეს ყველაფერი გააკეთა კავკასიაში დასარბევად მყოფი ბიზანტიელების შიშის გამო, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ აღნიშნული ჟესტით მან თავიდან აიცილა ბიზანტიელთა თავდასხმა, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები არსებობს, რასაც ქვევით კიდევ უფრო დაწვრილებით შევხებით.

მას შემდეგ, რაც ლეონ სპათარიოსის მოკავშირე „აფშილთა შორის უპირველესი“ გახდა, ფარასმანი იძულებული აღმოჩნდა გარკვეულ დამოუკიდებლობაზე წასულიყო, მან სპათარიოსს მძევლად საკუთარი შვილი გადასცა და უსაფრთხოდ გადასვლის შესაძლებლობა აღუთქვა, მაგრამ ლეონი გამოცდილი დიპლომატი გახლდათ და ერთგულების დამტკიცებისთვის მასთან პირისპირ შეხვედრა მოისურვა, რაზეც ფარასმანი იძულებული იყო, რომ დასთანხმდებოდა იმ პირობით, თუ მას გარანტიას მისცემდა, რომ არ ავნებდა, თუმცა სპათარიოსმა ხელშეუხებლობის პირობა დაარღვია, გამოავლინა თავისი გამჭრიახი ბუნება, ციხეში შესვლისთანავე მან ციხის აღების განკარგულება გასცა. მათ მთლიანად გაძარცვეს და დაწვეს ციხე, რომელსაც ცეცხლი დაახლოებით 3 დღის განმავლობაში ეკიდა და მას შემდეგ, რაც იქაურობა მიწასთან გაასწორეს, სპათარიოსმა თავის რაზმთან ერთად გადაინაცვლა აფშილეთში, საიდანაც უსაფრთხოდ ჩავიდა ზღვის ნაპირას, გაემგზავრა კონსტანტინოპოლისკენ და ჩავიდა იმპერატორ იუსტინიანესთან. შემდეგ, როგორც თეოფანე აღნიშნავს, იმპერატორი იუსტინიანე II მოკლეს, ხოლო შემდეგი იმპერატორი ვარდან ფილიპიკოსი დააბრმავეს და ტახტი არტემიმ (ანასტასი II-მ) დაიკავა, თუმცა მისი მეფობა დიდხანს არ გაგრძელდებულა. იგი ჩაანაცვლა თეოდოს III-მ, რომლის მეფობაც ასევე ხანმოკლე აღმოჩნდა. აღნიშნულ პერიოდში ლეონს დაწინაურებულ თანამდებობაზე ველარ ვხედავთ, თუმცა თეოდოსის მეფობას დაე-

რომ ბიზანტიელთა შიდა პოლიტიკური სიტუაციის გართულება და ბარბაროსთა შემოსევები. აღნიშნული პოლიტიკური სიტუაციით კარგად ისარგებლა მოხერხებულმა და გამჭრიახმა პოლიტიკოსმა ლეონმა და თეოდოსის ჩამოგდების შემდეგ ტახტი თავად დაიკავა. ერთგვარად მისიის შესრულებიდან მალევე ლეონი მოგვევლინა ბიზანტიის იმპერატორად, ლეონ III ისავრიელის სახელით.

ლეონ სპათარიოსის კავკასიაში მოწყობილი მისიის გაცნობის შემდეგ შესაძლებელია, რომ უკვე ყურადღება გავამახვილოთ მისიის შედეგებზე. ბიზანტიის საიმპერატორო კარი დიდ იმედებს ამყარებდა ლეონ სპათარიოსის მისიის წარმატებაზე, რადგან მასზე იყო დამოკიდებული ბიზანტიის გავლენის დაბრუნება და არაბთა ძალის შესუსტება კავკასიაში. მნიშვნელოვნებას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ლეონის მისიის მიმდინარეობისას ბიზანტიიდან გადასროლილ მედესანტეთა რაზმს დამატებითი სახით სწორედ არმენიელთა (სომეხთა) რაზმი ახლდა თან, რომლებმაც ალყა შემოარტყეს არქეოპოლისს. ერთი რამ ცალსახაა, რომ ლეონის მისიის შედეგად დასავლეთ საქართველოში არაბთა პოზიციები შედარებით შესუსტდა, თუმცა ეს მხოლოდ ლეონის დიპლომატიის შედეგად არ უნდა მივიჩნიოთ. მას დიდი დახმარება აღმოუჩინა „აფშილთა შორის უპირველესმა“ მარინოსმა. ორი სიტყვით შეიძლება შევეხოთ საკითხს მარინოსის ორიენტაციასთან დაკავშირებით.

ისტორიოგრაფიაში განსხვავებული აზრი არსებობს ამ საკითხთან დაკავშირებით, თუ რატომ აღმოუჩინა დახმარება თეოფანეს მიერ დასახელებულმა მარინოსმა ლეონს, რომელიც უკან დაბრუნებას ვერ ახერხებდა. ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს გამონვეული იყო მარინოსის და ასევე მოსახლეობაში მძლავრად არსებული პრობიზანტიური ორიენტაციით. მოსახლეობამ და თავად არისტოკრატებმა, რომელთათვისაც არაბთა ჩაგვრა უკვე აუტანელი აღმოჩნდა, აირჩიეს პრობიზანტიური კურსი და ამის გამომხატველი იყო მარინოსის მოქმედება, რომ დახმარებოდა იმპერატორის წარმომადგენელს კავკასიაში, რაც აზრს მოკლებული არ უნდა იყოს, თუმცა აქ კიდევ ერთი მოსაზრება უნდა აღინიშნოს, რომლის მიხედვითაც, „აფშილთა შორის უპირველესის“ ამგვარი მოქმედება მთლიანად ანტიარაბულად განწყობილი არისტოკრატის სურვილის შედეგი უნდა ყოფილიყო, რათა ამასთანავე გათავისუფლებულიყვნენ ლაზიკის გავლენისგან (პაპასქირი 1998: 106).

ერთი რამ შესამჩნევია, რომ მარინოსის (მარინეს) მიერ აღმოჩენი-

ლმა მხარდაჭერამ შედეგი გამოიღო, მან გარკვეული სუვერენიტეტი ნამდვილად მოიპოვა და გათავისუფლდა არაბთა გავლენისგან, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მოგვიანო პერიოდის მოვლენებში, 738 და 740 წლებში, მარინოსი მოხსენიებულია პატრიკიოსის ტიტულით (პაპასქირი 1998: 107), რასაც, როგორც ცნობილია, ბიზანტიის დაქვემდებარებაში მყოფი მმართველები იღებდნენ. ამის შემდეგ აფშილეთი წყაროებში ფაქტობრივად აღარ ჩანს,¹ თუმცა თუ თეოფანე ჟამთააღმწერელის მიერ გადმოცემულ ინფორმაციას გავიხსენებთ, იგი აღნიშნავს, რომ მარინოსის დახმარება გამონვეული იყო კავკასიაში გამოჩენილი ბიზანტიელთა რაზმით, რომელიც მეტად მრავალრიცხოვნად მიაჩნდა, ვიდრე ის სინამდვილეში იყო (თეოფანე ჟამთააღმწერელი 1941: 112). ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ მარინოსი ლეონს დახმარებას აღმოუჩენს მას შემდეგ, რაც ბიზანტიელთა ჯარის კავკასიაში ყოფნის ამბავს გაიგებს. თუ დავუშვებთ, რომ მარინოსი მყარად იდგა თავის პრობიზანტიურ კურსზე, მაშინ კითხვა ჩნდება, თუ რატომ არ აღმოუჩინა სათანადო დახმარება საწყის ეტაპზე კავკასიაში იმპერატორის მიერ მოვლენილ წარმომადგენელს?! აღნიშნული გარემოება გვაფიქრებინებს, რომ მარინოსის ქმედების მთავარი მაპროვოცირებელი ძალა სწორედ ბიზანტიური არმიის კავკასიაში ყოფნის შიში იყო, მაგრამ ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ფაქტი არ გამორიცხავს აზრს მოსახლეობაში და არისტოკრატიაში არსებული შესაძლო ანტიარაბული განწყობის შესახებ, რამაც კიდევ უფრო გაამყარა აფშილთა მმართველის გადაწყვეტილება, რასაც შედეგად მოჰყვა ბიზანტიის იმპერატორისგან პატრიკიოსის ტიტულის მიღება და არაბთაგან გათავისუფლება. აღნიშნული მოვლენა, ის ფაქტი, რომ აფშილეთში საიმპერატორო კარმა გავლენა მოიპოვა, ლეონ სპათარიოსის მისიის წარმატებად შეგვიძლია მოვიანზროთ.

გარდა აფშილეთისა, ლეონის მისიის შედეგად აბაზგიაც ბიზანტიის გავლენის ქვეშ მოექცა და გათავისუფლდა, როგორც ლაზიკის, ასევე არაბების გავლენისგან. ბიზანტიის უზენაესობის ცნობა იმითაც გამოიხატებოდა, რომ აბაზგიას ამიერიდან „ერისთავი კეისრისა“ მართავდა (პაპასქირი 2003ა: 173).

ამრიგად, ბიზანტიამ ნაწილობრივ მაინც აღადგინა თავისი გავლენა დასავლეთ საქართველოში, აბაზგიაზე, ასევე იმპერატორის მოკავში-

1 ვახტანგ გოილაძეს ეჭვი შეაქვს მარინოსის, როგორც აფშილთა პატრიკიოსის მიჩნევის საკითხში. იგი ვარაუდობს, რომ თეოფანესთან აღნიშნული „პატრიკიოსი მარინე“ უნდა მივიჩნიოთ ეგრისის პატრიკიოსად (გოილაძე 2018: 455-456).

რეთა რიგებში აღმოჩნდნენ ალანები და აფშილები, მოშალეს არაბთა მიერ გამაგრებული ე. წ. „რკინის ციხე“ და რაც ყველაზე მეტად გასათვალისწინებელია, ყოველივე ზემოჩამოთვლილს ლეონმა ფაქტობრივად მატერიალური დახმარებისა და დიდი ლაშქრის გარეშე მიაღწია, თუმცა ნაკლებადაა ცნობილი როგორი სიტუაცია იყო ლაზიკის შიდა რეგიონებში. იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ თეოფანე ჟამთააღმწერელის მიერ გადმოცემულ ამბებში არაბებმა უყურადღებოდ არ დატოვეს ბიზანტიელების მიერ არქეოპოლისის ალების მცდელობა და სწრაფადვე უკუაგდეს ისინი, ამიტომ არაბები რამდენად უყურადღებოდ დატოვებდნენ აბაზგიისა და აფშილეთის განდგომის ამბავს და ბიზანტიის გავლენის მოპოვებას, საფიქრებელია, თუმცა მოგვიანო პერიოდში არაბთა გავლენა დასავლეთ საქართველოში, ლაზიკა-ეგრისზე, თანდათან შეირყა (პაპასქირი 1998: 107).

შემდეგი საკითხი, რომელზეც ყურადღება უნდა გავამახვილოთ, ეს არის დათარიღება, თუ როდის შეიძლება შეესრულებინა ლეონს იმპერატორ იუსტინიანეს მიერ დაკისრებული მისია. მიუხედავად იმისა, რომ თეოფანე ჟამთააღმწერელი საკმაოდ დეტალურად აღგვინერს ლეონის მოგზაურობას კავკასიაში, იგი თარიღებს არ უთითებს. არც ქართულმა საისტორიო ტრადიციამ შემოგვინახა აღნიშნული მისიის მოწყობის თარიღი, ამიტომ დათარიღებასთან დაკავშირებით ისტორიოგრაფიაში ერთი გამოკვეთილი კონკრეტული აზრი არ არსებობს და სხვადასხვა მკვლევარი განსხვავებულ თარიღს ასახელებს.

მკვლევრები ერთხმად თანხმდებიან იმასთან დაკავშირებით, რომ ლეონის მოგზაურობა კავკასიაში VIII საუკუნის დასაწყისში უნდა განხორციელებულიყო. ნაწილი იმასაც ამატებს, რომ მისი კავკასიური ვოიაჟი რამდენიმე წელი უნდა გაგრძელებულიყო. აკადემიკოსი ფ. უსპენსკი აღნიშნავდა, რომ ლეონის კავკასიაში ყოფნის პერიოდად უნდა მივიჩნიოთ 711-713 წლებში. 713 წელს ლეონი დაბრუნდა კონსტანტინოპოლში, სადაც ტახტი ანასტასი II-ს ეკავა, ხოლო იუსტინიანე II და მისი მემკვიდრე ვარდან ფილიპიკოსი უკვე ჩამოგდებულნი არიან ტახტიდან (Успенский 1996). ასევე 713 წლით ასრულებს ლეონის მოგზაურობას მ. კანარდი, თუმცა ს. ზეტეიშვილი მისიის დამთავრების თარიღს უფრო ადრეულ პერიოდად მოიაზრებს და აცხადებს, რომ ლეონი კონსტანტინეპოლში ჯერ კიდევ 711 წელს უნდა დაბრუნებულიყო, ეს მაშინ, როდესაც იუსტინიანე ჯერ კიდევ იმპერატორია და ტახტიდან არ ჩამოუგდიათ (Зетейшвили 1976: 82-83).

განსხვავებულ პოზიციას გვთავაზობს ი. ჩიჩუროვი, რომელიც სახვებით დამაჯერებლად გვისახელებს 708-711 წლებს. იგი თავის მსჯელობას შემდეგნაირად აგებს, რომ ლეონის მოგზაურობის ქვედა ზღვარად უნდა მივიჩნიოთ 705 წელი, ეს არის იუსტინიანე II-ის მეორედ გამეფების თარიღი, რომელიც იყო ბიზანტიური მისიის მოწყობის ინიციატორი. თუ თეოფანე ჟამთააღმწერელის ცნობას გავითვალისწინებთ, ლეონმა მოახერხა იმპერატორთან დაახლოება და მის ახლო მეგობრად ჩარიცხვა, რასაც გარკვეული დრო მაინც დასჭირდებოდა. ეს დრო ი. ჩიჩუროვს 3 წლით აქვს განსაზღვრული, რის შემდეგაც, ლეონის კონსტანტინოპოლიდან გასვლის თარიღად 708 წელს ასახელებს, ხოლო დამთავრების თარიღად 711 წელს მიიჩნევს (Чичуров 1980: 140-141). აღნიშნულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებს სარწმუნოდ მიიჩნევს ზურაბ პაპასქირიც (პაპასქირი 2016: 176).

თ. ბერაძე და მ. სანაძე სხვადასხვა წყაროს ანალიზის საფუძველზე ასკვნიან, რომ ლეონ სპათარიოსის კავკასიაში ყოფნის ხანგრძლივობა 711-714 წლებით უნდა შემოიფარგლოს (სანაძე, ბერაძე 2004: 73).

დათარიღების საკითხს ეხება ასევე ვახტანგ გოილაძე. იგი აღნიშნავს, რომ ლეონის კავკასიაში გამოგზავნის ზედა ზღვრად უნდა მივიჩნიოთ 711 წელი, იქიდან გამომდინარე, რომ 711 წლის ოქტომბრიდან იუსტინიანე II უკვე ტახტიდან ჩამოგდებულია. მან ასევე შემოგვთავაზა თეოფანე ჟამთააღმწერლის მიერ გადმოცემული ამბების თარიღი, კონკრეტულად, მან დაათარიღა არაბთა შემოსვლა ლაზიკაში ბიზანტიელებისგან არქეოპოლისის დასაცავად მასლამას მეთაურობით, რადგან, მისი აზრით, იმ პერიოდში მასლამას გარდა სხვას ვერ ეყოლებოდა მრავალრიცხოვანი არმია (გოილაძე 2018: 451). იგი არაბების შემოსვლის თარიღად 713/714 წლებს გვისახელებს და ამავე პერიოდში უნდა გადასულიყო ლეონი ალანიიდან ეგრისში, ასევე „რკინის ციხის“¹ ალების ამბავი. იგი ეყრდნობა მოსეს კალანკატუაცის ცნობებს და პარალელს ავლებს თეოფანეს ცნობებთან, რომლის მიხედვითაც ლეონი კონსტანტინოპოლში ბრუნდება არტემის (ანასტასი II) ზეობისას, რომელიც ტახტზე 713-715 წლებში იჯდა. აქედან გამომდინარე ვახტანგ გოილაძე ასკვნის, რომ ლეონი დასავლეთ საქართველოსა და ალანიაში იმყოფებოდა 711-713/714 წლებში (გოილაძე 2018: 452-453).

1 ვახტანგ გოილაძე მიიჩნევს, რომ თეოფანესთან ნახსენები „რკინის ციხე“ „ქართლის ცხოვრებაში“ მირისა და არჩილის პერიოდის აღწერის მონაკვეთში აღნიშნული „სობლის ციხეა“, ხოლო „ერისთავი კეისრისა ლეონ“ სწორედ ლეონ სპათარიოსია, რასაც იზიარებენ მ. სანაძე და თ. ბერაძე (გოილაძე 2018: 452-453).

ეს არის ძირითადი ქრონოლოგიური ჩარჩოები, რომლებშიც ათავსებენ ლეონ სპათარიოსის კავკასიაში მოგზაურობის პერიოდს. ჩვენი აზრით, იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ 707 წლის ზაფხულში მუჰამედ იბნ მარვანი შეიჭრა არმენიაში (Abū 'Amr Khalifa ibn Khayyat al Laythī al 'Usfurī 2015: 172; თავაძე 2020: 74-75) და ამავე პერიოდში გააძლიერა არაბთა გავლენა ქართლზე, ხოლო დასავლეთ საქართველოში გაიმტკიცეს პოზიციები, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მუჰამედის აღნიშნული ლაშქრობა უნდა ყოფილიყო ერთგვარად ლეონის თაოსნობით კავკასიაში გამართული მისიის მოწყობის მაპროვოცირებელი ფაქტორი, რათა ბიზანტიის იმპერატორს დაეწყო ფიქრი დასავლეთ საქართველოში გავლენის მოპოვებაზე. ამ ფაქტის გათვალისწინებით ლეონის კავკასიაში გაგზავნის ქვედა ზღვრად შეგვიძლია მივიჩნიოთ 707/708 წლები, როდესაც მუჰამედმა უკვე ილაშქრა არმენიაში. რაც შეეხება ზედა ზღვარს, დათარიღების საკითხს კიდევ ის ფაქტი ართულებს, რომ თეოფანე ჟამთააღმწერელი ზუსტად მაინც არ უთითებს იუსტინიანე II ტახტიდან ჩამოგდებული იყო თუ არა ლეონის დაბრუნებისას. სიმონ ყაუხჩიშვილი ლეონ სპათარიოსის დაბრუნების ეპიზოდს შემდეგნაირად გვანვდის: „გადასცურა გადაღმა ნაპირისაკენ და მივიდა იუსტინიანესთან“ (თეოფანე ჟამთააღმწერელი 1941: 113). აღნიშნული მონაკვეთის გათვალისწინებით, ლეონ სპათარიოსი ჯერ კიდევ მაშინ დაბრუნდა უკან, როდესაც იუსტინიანე ცოცხალი იყო, რაშიც ეჭვი არ ეპარებათ ინგლისურენოვან აკადემიურ ლიტერატურაში. კ. მანგოსა და რ. სკოტის ინგლისურენოვან თარგმანშიც იგივე აზრია გატარებული, რომ ლეონი ჩავიდა იმპერატორთან და ცალსახად არ ჩანს საიმპერატორო კარზე იყო თუ არა არეულობა (Theophanes the Confessor 1997: 544), ამიტომ ჩვენ შეგვიძლია მათ ნდობა გამოვუცხადოთ და ზედა ზღვრად მოვიაზროთ 711 წელი, სანამ იუსტინიანე II-ს ტახტიდან ჩამოაგდებენ, ამიტომ მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე, ლეონის ბიზანტიური მისია კავკასიაში შეიძლება შემოვფარგლოთ 707/708-711 წლებით.

ამრიგად, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლეონ სპათარიოსის საქართველოში მოვლინება ერთი შეხედვით განპირობებული იყო ძლიერი ანტიბიზანტიური განწყობითა და არაბთა გავლენის მომძლავრებით არა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში, არამედ დასავლეთ საქართველოში არსებულ პოლიტიკურ გაერთიანებებზე. კონკრეტულად ეს შეიძლება დავუკავშიროთ 707 წელს არაბთა სარდლის მუჰამედ იბნ მარვანის ლაშქრობას ამიერკავკასიაში, რითაც სახალი-

ფომ ფეხი მოიკიდა დასავლეთ საქართველოში და განამტკიცა ანტი-ბიზანტიურად განწყობილი ლაზიკის პატრიკიოსის სერგი ბარნუკის ძის პოზიციები.

რაც შეეხება ლეონის მისიის შეფასებას, მისი წარმატება განპირობებული იყო „აფშილთა შორის უპირველესის“ მარინოსის დახმარებით, ხოლო დახმარების სურვილი, შესაძლოა, გამონვეული ყოფილიყო კავკასიაში დასარბევად და ძარცვისთვის დარჩენილ ბიზანტიელთა რაზმის თავიდან აცილების გამო, რასაც თეოფანე ჟამთააღმწერელი თავადვე უთითებს, ასევე შეგვიძლია ყურადღება გავამახვილოთ გამჭრიახი და გამოცდილი პოლიტიკოსის ლეონ სპათარიოსის დიპლომატიურ შესაძლებლობებზე. მან შეძლო აღნიშნულ მისიას ფინანსური სახსრებისა და დიდი ლაშქრის გარეშე გაძლოლოდა, თუმცა მიმართა მოტყუებისა და მუქარის მეთოდებს, რამაც ასევე წარმატება მოუტანა, რომ მომავალში იმპერატორის ტახტი დაეკავებინა. ლეონ სპათარიოსის მისიის წყალობით VIII საუკუნის დასაწყისში ბიზანტიის იმპერიამ შეცვალა ძალთა თანაფარდობა კავკასიაში, გარკვეულწილად აღდგა ბიზანტიის პოზიციები დასავლეთ საქართველოში, ალანები, აფშილები და აბაზგები ჩაირიცხნენ იმპერატორის მოკავშირეთა რიგებში და რაც მთავარია, არაბთა გავლენა მომავალში საგრძნობლად შესუსტდა დასავლეთ საქართველოზე, თუმცა პოზიციების აღდგენის ძალა სახალიფოს მომავალში უკვე აღარ შესწევდა.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

ა) წყაროები

- ▶ **თეოფანე ჟამთააღმწერელი 1941:** თეოფანე ჟამთააღმწერელი. გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. IV, ნაკ. I. გამოსცა სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბ. 1941.
- ▶ **Abū 'Amr Khalifa ibn Khayyat al Laythī al 'Usfurī 2015:** Abū 'Amr Khalifa ibn Khayyat al Laythī al 'Usfurī, Khalifa ibn Khayyat's History on the Umayyad Dynasty (660-750), Translated by Carl Wurtzeled, Robert G. Hoyland, Liverpool University Press, 2015.
- ▶ **Ghewond 2006:** Ghewond, History, trans. by R. Bedrosian. Sources of

the Armenian Tradition. Long Branch. N.J. 2006.

- ▶ **Theophanes the Confessor 1997:** The Chronicle of Theophanes Confessor Byzantine and Near Eastern History AD 284-813, Translated with introduction and commentary by C. Mango and R. Scott, Clarendon Press – Oxford, 1997.

ბ) სპეციალური ლიტერატურა

- ▶ **გოილაძე 2018:** გოილაძე ვახტანგ, ახადი გამოკვლევები, თბილისი, „საჩინო“, 2018.
- ▶ **დუნდუა თ, დუნდუა გ. 2006:** დუნდუა თედო, დუნდუა გიორგი, ქართული ნუმისმატიკა, ნაწ. I, თბილისი, „არტანუჯი“, 2006.
- ▶ **თავაძე 2020:** თავაძე ლერი, საქართველო VIII საუკუნეში, თბილისი, „უნივერსალი“, 2020.
- ▶ **ლომოური 2011:** ლომოური ნოდარ, საქართველოს და ბიზანტიის იმპერიის ურთიერთობა (IV-IX სს.), ნაწ. I, თბილისი, „ლოგოსი“, 2011.
- ▶ **პაპასქირი 1998:** პაპასქირი ზურაბ, აფხაზეთი საქართველო, თბილისი, „აღმაშენებელი“, 1998.
- ▶ **პაპასქირი 2003ა:** პაპასქირი ზურაბ, ნახკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წახსურვიდან უძველესი დროდან 1917 წლამდე, ნაკვ. I, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003.
- ▶ **პაპასქირი 2003ბ:** პაპასქირი ზურაბ, ქართული პოლიტიკური სამყარო საერთაშორისო არენაზე VIII ს-ში, ქართული დიპლომატიის ისტორია, რედ. რ. მეტრეველი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003.
- ▶ **პაპასქირი 2016:** პაპასქირი ზურაბ, საქართველო: ისტორიული წახსურვი და თანამედროვეობა, თბილისი, „მერიდიანი“, 2016.
- ▶ **სანაძე 2016:** სანაძე მანანა, ქართველთა ცხოვრება: ქართლის მეფეებისა და პატრიკიოსების ქრონოლოგია (ფარნავაზიდან აშოტ კურაპალატამდე), წ. III, თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016.
- ▶ **სანაძე, ბერაძე 2004:** სანაძე მანანა, ბერაძე თამაზ, VIII ს-ის I ნახევრის ქართლისა და ეგრისის პოლიტიკური ისტორიიდან, ქართული წყაროთმცოდნეობა X. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობა „მემატთანე“, 2004.
- ▶ **ჯანაშია 1963:** ჯანაშია სიმონ, ახაბობა საქართველოში, თბილისი, თბილისის დაუსწრებელი პედიუსტიტუტის გამომცემლობა, 1936.
- ▶ **Treadgold 1997:** Treadgold Warren, A History of the Byzantine State and Society, Stanford University Press, 1997.
- ▶ **Зетейшвили 1976:** Зетейшвили С. Г. Сведения об аланах в «Хронографии» Феофана. — В кн.: Древнейшие государства на территории СССР. Материалы и исследования. М., 1976.

- ▶ **Успенский 1996:** Успенский. Ф.И. История Византийской империи, М. 1996. ხელმისაწვდომია <http://www.sedmitza.ru/text/442832.html> ბოლოს დამონმეებულია: 11.06.2022.
- ▶ **Чичуров 1980:** Чичуров. И. С. Византийские исторические сочинения, М. 1980.

Lali Mekerishvili

MA program in Georgian History
Faculty of Humanities, TSU

BYZANTINE MISSION OF LEO SPATHARIOS IN GEORGIA (SUMMARY)

The article presents a political situation at the beginning of the 8th century, which is one of the most difficult parts of Georgian history. Byzantine Empire, Arab Caliphate, and Khazar Khaganate were trying to spread their religion, political or cultural influence on Georgia. At that time, there were different political unions in West Georgia: Lazica, Abasgia, and Apsilia. They were using diplomacy and had to become allies of one or another country to maintain their territories. Especially, at the end of the 7th century Arabs achieved success in Caucasia. East and also West Georgia were strongly under the control of the Caliphate. Sergi, the son of Barnuk, rebelled against the emperor and handed over the country to Caliphate in 697. Also, Lasica and Abasgia recognized the superiority of the Caliphate. The political situation directly showed that Empire was losing positions in Caucasia. In addition, the main reason for Arab success was anarchy in Byzantine Empire. This was a period of seven revolutions. Justinian II (705-711), who was elected a second time in the imperial court of Byzantium, decided to send Leo spatharios (future Emperor) for a mission against Caliphate. Firstly, he had to confront Alania against Abasgia, as a “traitor” to Byzantine Empire. Emperor hoped to reestablish the power in Georgia in this way.

The Chronicle of Theophanes Confessor is one of the important sources of Byzantine history. Theophanes the Confessor described the mission and the route of Leo’s spatharios in detail. In addition, he tried to answer the main questions, for instance, why did Byzantine Emperor choose Leo for the lead of

the mission? Or how did he achieve his goals? According to The Chronicle of Theophanes Confessor, the main real reason for the emperor's decision was the strong willingness to send Leo far from the royal throne, because he had a piece of information that Leo was trying to seize the royal throne. Leo was an ambitious and clever politician man, we think, only he could successfully lead the mission and protect Empire's positions in Caucasia. That is why he led the mission.

The first place, where Leo arrived, was Phasis (Poti). There he left money, which was a bribe for the Alans against Abasgia, but during the mission, Justinian II took the money back. According to The Chronicle of Theophanes Confessor, Emperor tried to interfere in the mission. Nevertheless, Leo achieved his goals without financial resources. Sometime later an army of Romans and Armenians entered Lasica and about 200 men stayed in the Caucasian mountains as robbers. Marinus, the chief of the Apsilians, was seized by fear that Leo had a big army with him and we think, that was the main reason when Marinus promised spatharios to accompany him safely as far as the coast to protect his people. After that, Leo arrived in Trebizond, then Constantinople.

Thus, Leo succeeded with his political moves. He caused much destruction among the Abasgians. In addition, the Alans, the Abasgians, and the Apsilians became allies of the Byzantine Empire, which increased the influence of the Byzantine Empire on West Georgia.

ჯოვანი ტომაზო მინადოისა და ანონიმი ავტორის ცნობები სიმონ I-ის ოსმალებთან ბრძოლის შესახებ

საკვანძო სიტყვები: სიმონ I, ირან-ოსმალეთის დაპირისპირება, 1578-1590, ევროპელი ავტორები საქართველოს შესახებ, ანტიოსმალური კოალიციები, სიქსტუს V, გორის ციხე, შაჰ მოჰამედ ხოდაბენდე, ჯოვანი ტომაზო მინადოი, რუდოლფ II, საღვთო რომის იმპერატორი

Keywords: Simon I, confrontation between Safavid Persia and Ottoman Empire – 1578-1590, European authors about Georgia, Anti-Ottoman alliances, Pope Sixtus V, castle of Gori, Mohammad Khodabandeh, Giovanni-Tommaso Minadoi, Rudolf II, Holy Roman Emperor

XV საუკუნის შუა ხანები გარდამტეხი პერიოდია ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნების ურთიერთობაში. ბიზანტიის იმპერიის განადგურებამ კარდინალურად შეცვალა ევროპის პოლიტიკური რუკა. დაიწყო მუდმივი მცდელობები ანტიოსმალური კოალიციების შექმნისა. ოსმალთა იმპერიის სამხედრო ძლიერებამ დააფრთხო დასავლეთით ევროპის სახელმწიფოები, აღმოსავლეთით – ირანი. მოგვიანებით, ინტერესთა თანხვედრამ სეფიანთა ირანი უკიდურესი დასავლეთით მდებარე ჰაბსბურგთა ესპანეთთანაც კი დააკავშირა (Hernan, Ferrer... 2016: 20). ანტიოსმალური კოალიციების მთავარ ინიციატორებად რომის პაპები გვევლინებოდნენ (პაპაშვილი, ქარჩავა... 2021: 288). ამ დროიდან მოყოლებული, დიპლომატიურ სარბიელზე საქართველოც გამოჩნდა.

ანტიოსმალური კოალიციების სიმრავლით განსაკუთრებით XVI საუკუნე გამოირჩეოდა. აღნიშნულ პერიოდში ბევრი ევროპელი მოგზაური, დიპლომატი თუ საიდუმლო მისიით წარგზავნილი პირი დეტალურად აღწერს აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებს. მათ შორის არის XVI საუკუნის II ნახევრის ორი ავტორის, ჯოვანი ტომაზო მინადოისა¹ და ანონიმი იტალიელის² ნაშრომები, რომლებიც სიმონ I-ის ოსმალებთან

1 ჯოვანი ტომაზო მინადოის ნაშრომი გამოიცა რომში 1587 წელს, ავტორმა იგი მიუძღვნა რომის პაპს – სიქსტუს V-ს (1585-1590).

2 რელაციის ავტორი საკმაოდ დეტალურად გადმოსცემს 1577-1581 წლებში ირანისა და ოსმალეთის სამხედრო დაპირისპირებას და ქართველების მონაწილეობას

ბრძოლის შესახებ საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვან ცნობებს გვანვდიან. კვლევის ფარგლებში შევეცადეთ, რომ წყაროების კრიტიკული ანალიზისა და კომპარატივისტული მეთოდების მეშვეობით გამოწვლილვით შეგვესწავლა ზემოხსენებული ავტორების ცნობები, რომლებიც ერთსა და იმავე პერიოდს შეეხება და სიმონ მეფის წინამძღოლობით ქართველების ბრძოლის სხვადასხვა ეპიზოდს წარმოგვიდგენს.

„მინადოის ნაშრომი არ არის მოხსენება მიმდინარე მოვლენებზე, არც ზოგადი ისტორია, არამედ ეს არის მონოგრაფიული ისტორია ერთი ომისა“ (Siraisi 2007: 252). მისი ნაშრომი ცხრა თავისგან შედგება და სრულდება წერილით მარიო კორადოსადმი (Minadoi 2019: ix). ავტორი აგროვებს და აზუსტებს ინფორმაციას ოსმალებისა და მათი მტრების შესახებ. მინადოი გამოხატავს სიმპათიას ირანისადმი, თუმცა მისი ნამუშევარი როდია სეფიანებისადმი მიძღვნილი ოდა. მისთვის ირანელებიცა და ოსმალებიც ბარბაროსები არიან და თუკი ზოგ შემთხვევაში ირანისკენ იხრება, მხოლოდ იმიტომ, რომ, მისივე აზრით, ოსმალეთი ქრისტიანობისათვის უფრო დიდ ბოროტებას წარმოადგენს. ჯოვანი ტომაზო მინადოი გამოთქვამდა სურვილს და იმედოვნებდა, რომ მისი წიგნი „გამოაცოცხლებდა ქრისტიან უფლისწულებს, რათა აღემართათ იარაღი ბარბაროსების წინააღმდეგ, რომელთა მმართველობის ქვეშაც ბევრი ცნობილი და ერთ დროს ძლევამოსილი ერი განადგურდა“ (Minadoi 2019: 2). ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც მთელი წიგნი მიეძღვნა დეტალურ აღწერას ომის მიმდინარეობისა და მონაწილე მხარეების ძალთა შესახებ. ჯოვანი ტომაზო მინადოი და როვიგოს პრაგმატიზმი, ვენეციელისთვის დამახასიათებელი რაც შეიძლება მეტი და ზუსტი ინფორმაციის შეგროვების სურვილი და ინფორმატორული მოხერხებულობა ნაშრომს კიდევ უფრო ღირებულს ხდის. მინადოის აქვს გამოკვეთილი მიზანი: შეეხება რა ბრძოლის მიმდინარეობასა და დაპირისპირებაში ჩართულ მხარეებს, მაქსიმალურად ცდილობს დაადგინოს ოსმალეთის ძლიერების საზღვრები. ამასთანავე, ოსმალეთის მომხრეთა თუ მოწინააღმდეგეთა ისტორიით დაინტერესებული მინადოი დამატებით ინფორმაციასაც გვანვდის მათი შორეული წარსულის, ქვეყნის სიძლიერისა თუ კავშირების შესახებ, რაც კიდევ უფრო ამრავალფეროვნებს წყაროს.

ქართველების შესახებ ინფორმაციას მინადოის წიგნის პირველ თავ-

ვშივე ვხვდებით. ჩილდირის ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, ოსმალთა ბანაკს სწვევიან მანუჩარ ათაბაგი და მისი ელჩები. გადასცეს რა მუსტაფა ლალა ფაშას, რომ მას ესტუმრა „ქართველი ქვრივის – დედისიმედის უმცროსი ვაჟი – მანუჩარი“ და რომ იგი იყო მოსული მორჩილების გამოსახატავად და უნდოდა შეეთავაზებინა მისთვის (მუსტაფასთვის – ჯ. ხ.) მსახურება, დიდი პატივითა და ზარ-ზეიმით შეეგებნენ. მუსტაფა კი მიეგება და „მეგობრულად“ მიიღო იგი (Minadoi 2019: 23). თემის მთავარ მიზანს რომ არ გადავუხვიოთ, არ შევჩერდებით მანუჩარის ქმედების ავკარგიანობაზე. მას რომ უბრალოდ არ ჰქონდა სხვა გზა და შექმნილი პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე მოუწია მსგავსი ნაბიჯის გადადგმა, კარგად ჩანს სხვა წყაროების განხილვის საფუძველზე (მამისთვალისშვილი 2009: 407-410). მეორე თავში მინადოი ეხება საქართველოს, რომელსაც „ანტიკურ პერიოდში იბერია ეწოდებოდა. დასავლეთით მდებარეობდა კოლხეთი, რომლის მცხოვრებლებსაც დღეს მეგრელებს უწოდებენ“ (Minadoi 2019: 34). ამას მოჰყვება დეტალური გეოგრაფიული აღწერილობა, ფლორითა და ფაუნით. ვფიქრობთ, ძალზედ საინტერესოა მინადოის ფრაზა „ეროვნებითა და რელიგიით ქართველი“ (Minadoi 2019: 36). ქართველი და ქრისტიანი, ფაქტობრივად, სინონიმებად იყო ქცეული. საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ძმების – სიმონისა და დაუდ ხანის ისტორია. სიმონთან მიმართებით ავტორი არ იშურებს საქებარ სიტყვებს. მას დაუმსახურებია შაჰ თამაზის ვაჟის, ისმაილის პატივისცემა მისი განსწავლულობით სამხედრო ხელოვნებაში, ცოდნით პოეზიასა და ფილოსოფიაში. მინადოი უარყოფითად აფასებს ძმების მიერ სარწმუნოების შეცვლას, თუმცა დავითის შემთხვევაში ეს განპირობებული იყო შურითა და მტრობით ძმისადმი; სიმონს კი სხვა გზა არ ჰქონდა, რათა ტყვეობიდან თავი გამოეხსნა. ძალაუფლების წყურვილით შეპყრობილმა დავითმა შეთავაზებისთანავე მიიღო სარწმუნოების შეცვლის წინადადება და შეიცვალა რჯული, ქრისტიანულ პოზიციებზე მტკიცედ მდგარ სიმონს კი მრავალწლიანი პატიმრობის გამოვლა მოუწია ამის საფასურად. გარკვეული ხნის შემდეგ სიმონი იძულებული გახდა გამოეცვალა სარწმუნოება. მინადოი გაგებით ეკიდება სიმონის ქმედებას და ასახელებს კიდევ რამდენიმე მიზეზს, პირველი და უმთავრესი ის იყო, რომ ამდენი წლის პატიმრობამ მასზე იმოქმედა და თვითონაც ხვდებოდა, რომ სხვაგვარად ვერ დაიხსნიდა თავს. მეორე ფაქტორი შაჰ თამაზის ვაჟთან, ისმაილთან მეგობრობა იყო, ხოლო მესამე – ღირსების აღდგენისა და

პატივის დაბრუნების სურვილი. ისმაილის სიკვდილმა სიმონი საგონებელში ჩააგდო, მისი საბშობლოში დაბრუნება კი მინადოის მიხედვით შაჰ მოჰამედ ხუდაბენდეს უკავშირდება (Minadoi 2019: 87). ზოგიერთი წყარო სიმონის ტყვეობიდან გათავისუფლებას შაჰ თამაზის სახელს მიაწერს. არსებობს სხვა ვერსიებიც. საერთო ჯამში, როგორც ქართული, ასევე უცხოური წყაროების შეჯერების საფუძველზე მინადოის ცნობა ყველაზე დამაჯერებელი ჩანს (მამისთვალიშვილი 2009: 200-202). საქართველოში დაბრუნებული სიმონი ყიზილბაშთა სარდალ ალიყული ხანთან ერთად აქტიურ საომარ მოქმედებაზე გადადის ოსმალთა წინააღმდეგ. ყიზილბაშთა მხარდამხარ ქართველთა გმირული ბრძოლის არაერთი ეპიზოდია გადმოცემული მინადოის მეოთხე და მეხუთე წიგნში. მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია სიმონის მხედართმთავრული ნიჭი, ავლენს რა დიდ გამჭრიახობას სამხედრო საქმეში. მინადოის გადმოცემული ცნობები ზოგ შემთხვევაში ქართული წყაროებითაც დასტურდება. ერთ-ერთ ეპიზოდში, ელჩის ფორმაში გადაცემულ სიმონს მოუხსენებია მუსტაფა ლალა ფაშასთვის, თითქოს მის ვასალად სურდა თავის აღიარება. სიმონთან შესახვედრად გაგზავნილთაგან კი უკან არავინ დაბრუნებულა. ეს ერთგვარი ხრიკი იყო, რომლითაც სიმონმა მტრის შესახებ ინფორმაციაც შეაგროვა და მათი ნაწილი გაანადგურა კიდევ. ანალოგიური მიმდინარეობა მოვლენებისა გადმოცემული აქვს ბერ ეგნატაშვილს თავის ნაშრომში (პაპაშვილი 2008: 148). ამგვარი დამთხვევა ფაქტის სანდოობასაც ადასტურებს და მის უტყუარობაშიც გვარწმუნებს. ბრძოლის კიდევ ერთი საინტერესო ეპიზოდია მინადოის მეექვსე წიგნში, სადაც აღწერილია 4000-მდე ქართველის უთანასწორო და ულმობელი ბრძოლა გაცილებით მრავალრიცხოვან ოსმალთა წინააღმდეგ, ამ ბრძოლაში ქართველები ალყაში მოქცეულან, სიმონს ცხენი დაუკარგავს, ყველანი ტყვედ ჩავარდნის საფრთხის წინაშე იდგნენ. მეთაურის ასეთ მდგომარეობაში ნახვას ჯარზეც უმოქმედია, რომ არა სიმონის მყისიერი მოქმედება, ყველანი ტყვედ ჩავარდებოდნენ (Minadoi 2019: 159).

როგორც ვხედავთ, ირანის ანტიოსმალურ კამპანიაში აქტიურად იყო ჩართული სიმონ I. ცნობილია, რომ ჯოვანი ტომაზო მინადოის წიგნი გამოქვეყნებიდან მალევე ითარგმნა სხვადასხვა ევროპულ ენაზე (პაპაშვილი, ქარჩავა... 2021: 285). ბუნებრივია, ეს ფაქტი კიდევ უფრო გაზრდიდა ინტერესს ქართველთა მეფის მიმართ. ამის ლოგიკური შედეგია ის დიდი ავტორიტეტი, რომლითაც სარგებლობდა ქართველი პრინცი

– სიმონ I ევროპის ქვეყნებში. იგი მოხვდა შუა საუკუნეების ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი გრავიორისა და მხატვრის, კუსტოს დომინიკუსის ალბომშიც, რომელიც საღვთო რომის იმპერიის იმპერატორის, რუდოლფ II-ის კარზე მსახურობდა (ბოშიშვილი 2013: 18). აღსანიშნავია, რომ დომინიკუსის ალბომში წარჩინებულები, სახელმწიფოთა ცნობილი მოღვაწენი, დიდებულები ხვდებოდნენ.

ქართველების მუდმივი ბრძოლისა და მათი მამაცი და წინდახედული სარდლის, სიმონ I-ის გმირული სახე აისახა გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსის ჟაკ ოგიუსტ დე ტუს „უნივერსალურ ისტორიაში“, რომელიც აქტიურად იყენებს ტომაზო მინადოის ნაშრომს. ამასთანავე, დე ტუ იყენებს სხვა წყაროებსაც, რომელთა შესახებაც არაფერს ამბობს. მის „ისტორიაში“ გადმოცემულია საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ნაწილი, კერძოდ, საუბრობს ლუარსაბ I-ის მემკვიდრეებზე, სამცხის საათაბაგოსა და კახეთზე. ყურადღებას ამახვილებს სიმონ მეფის ბრძოლისას მის ტაქტიკურობასა და მოხერხებულობაზე (პაპაშვილი 1997: 48).

მინადოის ნაშრომს ბევრი სხვა ავტორიც იყენებდა, მათ შორის პიეტრო ბიძაროც, რომლის წიგნი უფრო ადრე გამოვიდა და მოიცავდა ოსმალეთ-ირანის დაპირისპირებისა და მასში ქართველების მონაწილეობის ვრცელ მონაკვეთს (პაპაშვილი, ქარჩავა... 2021: 286). 1578-1590 წლების ომს აღწერს თავის ვრცელ „რელაციაში“ დონ ხუან დე სპარსელი. სასარგებლო და საინტერესო ცნობებს ქართველების ბრძოლის შესახებ მასთანაც ვხვდებით, თანაც, იგი თავად უნდა ყოფილიყო ამ ომის მონაწილე (სვანიძე 1971: 27).

ანონიმი, რომელიც არის ავტორი რელაციისა „თურქეთ სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები 1577-1581“, განსწავლულია რა სამხედრო საქმეში, გვანჯდის საკმაოდ დეტალურ ინფორმაციას მონაწილედ მხარეების ჯართა ოდენობის, შეიარაღების, ლაშქრობათა მარშრუტების და სხვა ტექნიკური საკითხების შესახებ. რამდენადაც კარგად იცნობს ოსმალეთის საშინაო და საგარეო საქმეებს, იმდენად ცუდად ერკვევა ირანის პოლიტიკურ მდგომარეობაში. ზედაპირული და არადამაჯერებელია მისი არგუმენტები ირან-ოსმალეთის ომის დაწყების მიზეზებზე. ანონიმი ავტორი ისე დანწრილებით მიუყვება მოვლენების განვითარებას, რომ ფაქტობრივად, დაეჭვების საფუძველს არ გვიტოვებს. სავარაუდოა, რომ თვითონ იყო ამ პროცესის მონაწილე ან მიღებული ინფორმაცია უშუალოდ მოვლენების შემსწრეებისაგან აქვს მიღებული. ასეთი ტიპის წყარო გამორჩეულია მეტი ობიექტურობითაც, განსხვავ-

ვებით ირანული და ოსმალური წყაროებისგან, რომელთა ავტორები ხშირად ტენდენციურები არიან და მიზანმიმართულად ცდილობენ ქართველთა დამსახურების დაკნინებას, უგულვებელყოფას (ანონიმი 1987: 14). წინამდებარე ნაშრომის ავტორი საუბარს შაჰ თამაზის გარდაცვალებით იწყებს. მან შაჰის გარდაცვალების არც ზუსტი თარიღი და არც ადგილმდებარეობა არ იცის. თხრობა ირანის გართულებული საშინაო მდგომარეობის აღწერით გრძელდება, რის შემდეგაც სპარსეთსა და ოსმალეთს შორის ურთიერთობის დაძაბვის მიზეზებზე და ომისთვის სამზადისზეა საუბარი. ავტორი ცდილობს ზუსტი ქრონოლოგიური მიმდევრობით აღწეროს მოვლენების განვითარება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ცნობა, იქნება ეს დათარიღებასთან და თუ სხვა საკითხთან დაკავშირებული, დიდად განსხვავდება აღნიშნულ საკითხზე არსებული სხვა წყაროების ინფორმაციისგან (ანონიმი 1987: 43-57).

ანონიმის ცნობით, ტყვეობიდან გათავისუფლებულ სიმონს მალევე შეუქმნია პრობლემები თურქებისა და მათი მოკავშირეებისთვის. სიმონის შეპყრობა მოუნდომებიათ, თუმცა ვერ მოუხერხებიათ მისი პოვნა. ამრიგად, 1578 წლის შემოდგომაზე თბილისში დაბანაკებული ოსმალთა ჯარი არზრუმისკენ გაეშურა. მალალ მთებსა და ვიწრო ხეობებთან ერთად, გადაადგილების პრობლემას თურქებს თოვლიც უქმნიდა. სიმონს პარტიზანული ბრძოლის ტაქტიკა აურჩევია. მცირე ჯარით, მოულოდნელად ესხმოდა თავს ოსმალებს და დიდ ზიანსაც აყენებდა. ხელში ჩაიგდო მათი სურსათი, ფული, იარაღი. რთულ სიტუაციაში მყოფი ოსმალები კი ვერაფერს უპირისპირებდნენ საპასუხოდ. ასეთმა მეთოდმა გაამართლა და როგორც ანონიმი ავტორი წერს, ხუთი ათასზე მეტი თურქი დაიხოცა (ანონიმი 1987: 34). წარმატებით დასრულდა სიმონის მიერ ალყაშემორტყმული გორის ციხის აღებაც. შიმშილის გამო ციხე დანებდა. ციხის გარნიზონი კი ამოხოცეს. სიმონმა ბრძანა მხოლოდ ციხისთავის ცოცხლად დატოვება, რომელიც ჯორზე შესვა და თავის გენერალთან ამბის წასაღებად გაუშვა.

ცხადია, ჩვენ მიერ განხილულ ამ და სხვა ევროპელ ავტორთა ნაშრომებშიც, ყურადღების ცენტრში ორი უძლიერესი მოწინააღმდეგე, ოსმალეთის იმპერია და სპარსეთი დგას. ქართველთა ბრძოლების ასეთი დეტალური აღწერა კი მხოლოდ იმის მანიშნებელია, რომ ორ იმპერიას შორის დანაწილებული, დანაწევრებული საქართველო მაინც ახერხებს ძალების მოკრებას და ბრძოლას და წარმოადგენს ანგარიშგასაწევ ძალას. ევროპელი ავტორებისთვის ქართველთა ბრძოლის ეპიზოდების

ასახვა შეიძლება ერთგვარი აგიტაციის საშუალებადაც მივიჩნიოთ. ეს იყო პატარა ქრისტიანული სახელმწიფო, რომლის წარმატებული ბრძოლის მაგალითი მისაბადი უნდა გამხდარიყო ევროპელთათვის. ანტიოსმალური განწყობის ზრდისა და ევროპის აღმოსავლურ პოლიტიკაში გააქტიურების პარალელურად იზრდებოდა ინტერესი საქართველოს მიმართ. ევროპელი ელჩების მთავარი მიზანი იყო ანტიოსმალურ ლიგაში სპარსეთის ჩართვა. საქართველო რომ ანგარიშგასაწევ ძალად ითვლებოდა, კარგად ჩანს ვენეციელი ელჩის დ'ალესანდრის ცნობითაც. იგი ელჩად ყოფნის დროს ეწვია ყაზვინს და ძალზედ საინტერესო ცნობებიც დაგვიტოვა საქართველოსა და ირანის ურთიერთობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ საქართველო მიიჩნევა არა ირანის დაპყრობილ ქვეყნად, არამედ ბუნებრივ მოკავშირედ (გაბაშვილი 1954: 81).

ამრიგად, ახლო აღმოსავლეთის დიდ პოლიტიკაში პატარა ქრისტიანული სამეფო მნიშვნელოვან ძალად იქცა. ამიტომაც გამოირჩევა აღნიშნული პერიოდი ევროპულ წყაროებში საქართველოს შესახებ უხვი ცნობებით. სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველოს ისტორიაში, არც სიმონ I-მდე და არც სიმონ I-ის შემდგომ არ ჰქონია ადგილი შემთხვევას, რა დროსაც დასავლეთი იღებდა პერმანენტულ ცნობებს როგორც დიპლომატიური არხების მეშვეობით, აგრეთვე სპეციალურად წარგზავნილი ინფორმატორების მიერ შეგროვებული მონაცემებით. ჩვენ მიერ განხილული ორივე წყარო სიმონ I-ის შესახებ უამრავ საინტერესო ცნობას გვაწვდის, რომელთა ნაწილი ქართულ წყაროებში არ გვხვდება და სიახლეს წარმოადგენს, ხოლო ნაწილი კი ამყარებს ან ეჭვქვეშ აყენებს სხვა წყაროებში დაცულ ინფორმაციას. ზემოთ განხილული წყაროების კიდევ ერთი დამსახურება საქართველოს, როგორც ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლი ერთ-ერთი მთავარი ძალის წარმოჩენაა. და ბოლოს, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მინადოის ცნობებს სხვა ევროპელი ავტორებიც იყენებდნენ, ვინაიდან იგი სანდოობის მაღალი ხარისხით სარგებლობდა.

ყოველივე ეს კიდევ უფრო ამყარებს მოსაზრებას, რომ სიმონ მეფის ბრძოლა, მიმართული ოსმალების წინააღმდეგ, საერთო ევროპულ კონტექსტში განიხილებოდა. ავტორთა მიზანი ქართველთა მეფის გმირული და მებრძოლი ხასიათის წარმოჩენით ევროპელთა გააქტიურება და გამოფხიზლება იყო.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

- ▶ **ანონიმი 1987:** თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები 1577-1581. იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ელდარ მამისთვალი შვილმა. თბილისი, „მეცნიერება“, 1987;
- ▶ **ბოშიშვილი 2013:** ბოშიშვილი ალექსანდრე. ჯოვანი ორლანდის ნახატი „სიმონი პრინცი საქართველოდან“. ჟურნ. „ჰეროლდი“, საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის ეროვნული საბჭო, 2013, გვ. 18-22;
- ▶ **გაბაშვილი 1954:** გაბაშვილი ვალერიან, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან (საქართველო და ანტიოსმალური კოალიციები XVI-XVII სს.) მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის, ნაკვ. 31, თბ., 1954;
- ▶ **მამისთვალიშვილი 2009:** მამისთვალიშვილი ელდარ, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია I (XV-XVI სს.), თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2009;
- ▶ **პაპაშვილი 2008:** პაპაშვილი მურმან, ტომაზო მინადოი და როვიგოს ორი ცნობა ოსმალეთის წინააღმდეგ სიმონ I-ის უჩვეულო ბრძოლის შესახებ. ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“, თბილისი, 2008. №16, გვ. 147-150;
- ▶ **პაპაშვილი 1997:** პაპაშვილი მ. ფრანგი ისტორიკოსი ჟაკ ოგიუსტ დე ტუ სიმონ I-ის თურქების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, ჟურნ. „საქართველო-ევროპა-ამერიკა“, ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 1997, ტ. 2, გვ. 44-51;
- ▶ **პაპაშვილი, ქარჩავა.. 2021:** პაპაშვილი მ., ქარჩავა თ., წითლანაძე თ., გოგოლაძე ა., სილაგაძე ნ. საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში, თბილისი, 2021;
- ▶ **სვანიძე 1987:** სვანიძე მ. საქართველო-ოსმალეთის სურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს. თბილისი, „მეცნიერება“, 1971;
- ▶ **Hernan, Ferrer... 2016:** Hernan E. G., Ferrer G. K., Matthee R. The Spanish Monarchy and Safavid Persia in the Early Modern Period: Politics, War and Religion. Albatros Ediciones. 2016;
- ▶ **Minadoi 2019:** Minadoi G. T., The War Between The Turks and The Persians: Conflict and Religion in the Safavid and Ottoman Worlds. Translated by Abraham Hartwell. I.B TAURIS. 2019;
- ▶ **Siraisi 2007:** Siraisi Nancy G., History, Medicine and the Traditions of Renaissance Learning. The University of Michigan Press, 2007.

**THE REFERENCES OF GIOVANNI-TOMMASO MINADOI AND
ANONYM AUTHOR ABOUT THE BATTLE OF SIMON I AGAINST
THE OTTOMANS
(SUMMARY)**

The article reviewed the references about the King of Kartli – Simon I by the anonym Italian author and Giovanni-Tommaso Minadoi. In the second half of the XVI century in the great politics of the near east, Georgia was divided into small kingdoms, and principalities represented essential power. During this period Western Europe had been receiving permanent reports about the east's current events in diplomatic ways, and also gathered information from special representatives. The major part of the notes which are represented in the article can hardly be seen within the Georgian sources and another part just prove or disprove them. Besides the myriad resources of that time, the records discussed by us help us regard King Simon I as a talented general, who was well-known in every single part of the European space.

ვალენშტაინის მკვლელობის მიზეზების შეფასების საკითხისთვის

საკვანძო სიტყვები: ვალენშტაინი, 30-წლიანი ომი, იმპერატორი, ფერდინანდ II, მკვლელობა, გუსტავ-ადოლფი, პილზენის მოლაპარაკებები, საღვთო რომის იმპერია; ჰაბსბურგთა დინასტია, კურფიურსტები, კათოლიკური ეკლესია

Keywords: Wallenstein, thirty years' war, Emperor, Ferdinand II, assassination, Gustavus Adolphus, Pilsen peace talks, Holy Roman Empire, House of Habsburgs, kurfürst, Catholic Church

ალბრეხტ ფონ ვალენშტაინი – ევროპის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სისხლისმღვრელი და გეოპოლიტიკური ცვლილებების გამომწვევი კონფლიქტის – ოცდაათწლიანი ომის (1618-1648 წწ.) ერთ-ერთი გამორჩეული სამხედრო ლიდერი და პოლიტიკური ფიგურაა. მის სამხედრო წარმატებებს გენერალისიმუსის ჩინიც ადასტურებს, რომლის მფლობელობის პატივიც, ისტორიაში მხოლოდ 21 ადამიანს ჰქონდა. ვალენშტაინი ამ სიაში ისეთ გამორჩეულ ადამიანებთან და ლიდერებთან ერთადაა, როგორებიც არიან: იოსებ სტალინი, ფრანსისკო ფრანკო და ერთ-ერთი დიდი სტრატეგოსი ალექსანდრე სუვოროვი. გამორჩეული სამხედრო კარიერისა და დიდებული გამარჯვებების გარდა ვალენშტაინის ცხოვრება სავსეა პოლიტიკური ინტრიგებითაც, რამაც მისი ცხოვრება ერთ-ერთი ყველაზე მისტიური და რთულად საკვლევი მასალა გახადა ისტორიკოსებისთვის. მის მიზნებსა და ამბიციებზე საუბარი დღემდე დაუსრულებელი დავის საგანია. ვალენშტაინის დაუსრულებულმა პოლიტიკურმა ინტრიგებმა კი ის 1634 წლის 24 თებერვალს ქალაქ ეგერში¹ ტრაგიკულ აღსასრულამდე მიიყვანა. ვალენშტაინის მკვლელობა საკმაოდ კომპლექსური პროცესი იყო, ვინაიდან ამ მკვლელობების მიზეზები თანდათანობით და მრავალი წლის განმავლობაში ყალიბდებოდა. ამ მოვლენამ დაინტერესება არა მარტო ისტორიკოსებში, არამედ მწერლებში, დრამატურგებში, კომპოზიტორებსა და ეკონომისტებშიც კი ჰპოვა. მათ შორის ყველაზე გამორჩეულია XVIII საუკუნის დიდი გერმანელი დრამატურგი ფრიდრიხ შილერი, რომელ-

1 დღევანდელი ჩეხეთი, ქალაქი ჩეხი.

მაც სწორედ ვალენშტაინის მკვლევლობის ეპიზოდს მიუძღვნა თავისი ერთ-ერთი გამორჩეული პიესათა ტრილოგია „ვალენშტაინი“. ერთ-ერთ საკვანძო საკითხს ჩვენს ნაშრომში წარმოადგენს იმპერატორ ფერდინანდ II-ისა და მისი სამეფო კარის დამოკიდებულება ვალენშტაინისადმი, ასევე განვიხილავთ მის მიერ იმპერიის მოწინააღმდეგე მხარესთან გამართული სამშვიდობო მოლაპარაკებების სავარაუდო მიზნებსა და მოტივებს. ეს საშუალებას მოგვცემს უკეთ გავიგოთ, თუ რამ განაპირობა ახალი ისტორიის ერთ-ერთი გამორჩეული პერსონის მკვლევლობა საკუთარი თანამებრძოლების მიერ. მოცემული სტატიაც სწორედ რომ ამ მიზანს ემსახურება.

პიროვნება

ვალენშტაინის პიროვნების რამდენიმე თავისებურება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ჩვენს სასაუბრო თემასთან დაკავშირებით, მათგან ყველაზე გამორჩეულია ამბიციურობა და ძალაუფლების წყურვილი.

მისი ამბიციურობის საფუძვლები ჯერ კიდევ მის ბავშვობაში უნდა ვეძიოთ. ალბრეხტ ფონ ვალენშტაინი ერთ დროს მდიდარი და ძლევამოსილი, მაგრამ მისი დაბადებისას უკვე გაღარიბებული ბოჰემური ოჯახის შთამომავალი იყო. ამას მნიშვნელოვანი გავლენა უნდა ჰქონოდა ვალენშტაინის პიროვნებაზე. ფსიქოლოგიაში არსებობს პიროვნების თვითშეფასების ერთ-ერთი სახე – სოციალური შედარება. სოციალური შედარება გულისხმობს ინდივიდის მიერ საკუთარი თავის გარკვეულ პიროვნებებთან მიკუთვნებას და საკუთარი თავის მათში დანახვას, რაც შემდგომ თვითშეფასების ამაღლებასა და ამბიციურობას იწვევს (Guadagno, Lankfor... 2010). ამ მხრივ ვალენშტაინის ოჯახის დიდებული წინაპრები შესანიშნავი მასალა იქნებოდა პატარა და შემდგომ მოზრდილი ვალენშტაინისთვის მათთვის თავის შესადარებლად, რასაც უნდა გამოეწვია მისი ამბიციურობა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნებოდა ნაადრევად დაობლებაც, რადგან ეს პატარა ვალენშტაინის თვალში მშობლების გაიდებას გამოიწვევდა, რაც წინაპრებთან ერთად დამატებითი ფაქტორი იქნებოდა სოციალური შედარებისთვის. ბავშვობიდან კიდევ ერთი გამორჩეული ეპიზოდია ბიძამისის მიერ მისი პრინცივით მედიდური საუბრის ტონის აღნიშვნა, რაზეც პატარა ვალენშტაინმა უპასუხა: „თუ პრინცი არ ვარ, ჯერ კიდევ

შემიძლია იქამდე ვიცოცხლო, სანამ არ გავხდები“ (Hart 1927: 161), ეს ეპიზოდი კი ზემოთ ნახსენებ მოსაზრებას მეტ სანდოობას სძენს.

ამბიციურობას კი ყველაზე მეტად ძალაუფლების გემოს გაგება აძლიერებს და ადამიანს მასზე დამოკიდებულს ხდის. ადამიანებს, როგორც წესი, ეშინიათ მისი დაკარგვის და მათი გონება მთლიანად მოცულია ძალაუფლების გაზრდის ან უკვე არსებული შენარჩუნების სურვილით. სწორედ ძალაუფლების დაკარგვის შიშს უნდა მივანეროთ ვალენშტაინის პოლიტიკურ ინტრიგებში მუდმივი მონაწილეობა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, მისი პოლიტიკური ცხოვრებიდან გამოთიშვა სრულიად ლოგიკური იქნებოდა.

მეორე ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია ვალენშტაინის ამპარტავნობა, რომელიც მეკლენბურგის ჰერცოგის ტიტულის მიღების შემდეგ გამოვლინდა. როგორც ისტორიკოსი ჯეოფ მორტიმერი აღნიშნავს, ამ დროიდან დაიწყო ვალენშტაინის უშუალო ურთიერთობის დაკარგვა პირველ რიგში თავის ჯარისკაცებთან (Mortimer 2010: 243). აქამდე ხშირად ხდებოდა, რომ ვალენშტაინის მაგიდასთან უბრალო ჯარისკაციც კი შეიძლებოდა მოხვედრილიყო, მაგრამ დიდი თანამდებობებისა და იმპერიის სამეფო კარის ელიტაში ადგილის მიღების შემდგომ, ეს მიდგომა რადიკალურად შეიცვალა. ჩემი აზრით, ამ უშუალო დამოკიდებულების დაკარგვამ გამოიწვია მკვლელობის წინ საკუთარი ჯარის მიერ მისი მიტოვებაც.

ამპარტავნობამ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზედმეტად ცუდი გავლენა მოახდინა ვალენშტაინზე. ის თავის მოწინააღმდეგეებს შესაბამისად ველარ აფასებდა, აღარ ცდილობდა თავი შეეწუხებინა მათი მიზნებისა და გეგმების დადგენით. მას ვერც კი წარმოედგინა, რომ ვინმეს შეეძლო მას ტოლსწორად დაჰპირისპირებოდა. მისი გონება მთლიანად მოცული იყო იმ გრანდიოზული გეგმებითა და ამოცანებით, რომლებიც მას ჰქონდა დასახული. ზუსტად ასე ვერ გათვალა თავისი უახლოესი თანამებრძოლების ღალატი და ზუსტად თავისი ამპარტავნობის გამო ვერ წარმოედგინა, რომ ჯარი მის თავს იმპერატორს არჩევდა. ასეთმა დამოკიდებულებამ უფრო მეტად შეუწყო ხელი მის მტრებს მისთვის ზიანის მისაყენებლად.

ცნობილი ფსიქოლოგის ფრედერიკ სკინერის რადიკალური ბიჰევიორიზმის თეორიის თანახმად, ადამიანთა ქცევები და თვისებები მეტწილად გარემოებებითაა განპირობებული (ხეჩუაშვილი 2013: 138), გამარჯვებებისგან და წარმატებებისგან მიღებული ეიფორია კი პიროვნებას

ზედმეტად თავდაჯერებულს და ხშირ შემთხვევაში, ამპარტავანს ხდის. ის ნელ-ნელა იჭერებს, რომ შეუმცდარია და არავინაა მასზე უკეთესი. ისტორიაში ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითები ნაპოლეონ ბონაპარტი და ადოლფ ჰიტლერი არიან. ომებში თავბრუდამხვევი წარმატებებისა და ნახევარი ევროპის დამორჩილების შემდგომ, მათაც ზუსტად შეუმცდარები და დაუმარცხებლები ეგონათ საკუთარი თავები, თუმცა, ორივე მათგანის ამბიციები რუსეთის ტერიტორიაზე ლაშქრობამ ჩაფუშა, სადაც იმაზე მეტი სტრატეგიული შეცდომა დაუშვეს, ვიდრე ერთად აღებულ წინა სამხედრო კამპანიებში. ანუ შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამარჯვებების ეიფორიამ მათი გამჭრიახი და მუდმივად ტონუსში მყოფი გონება მოადუნა და სტრატეგიული ფაქტორებისა და მრჩეველთა აზრების უყურადღებობისკენ უბიძგა, რაც საბოლოო ჯამში ორივესთვის ისეთივე დამღუპველი გამოდგა, როგორიც ვალენშტაინისთვის. რადიკალური ბიჰევიორიზმის თეორიაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვალენშტაინის ცხოვრებაში შექმნილი გარემოებებიდან გამომდინარე, მისი მოქმედებები სხვანაირი ვერც იქნებოდა და ყოველი მისი მოქმედება სრულიად ბუნებრივი იყო.

ამპარტავნობას ემატებოდა ვალენშტაინის ხისტი ხასიათი და ხშირად უხეში საუბრის სტილი, რომელმაც სამეფო კარზე მას მრავალი მტერი შესძინა, რომლებიც პირადად იყვნენ დაინტერესებულნი იმპერატორის თვალში მისი დისკრედიტაციით, მაგრამ ამას თვითონ ვალენშტაინიც მშვენივრად ახერხებდა ხოლმე. გამოსაყოფია ორი მნიშვნელოვანი ეპიზოდი: მანტუას კრიზისის¹ დროს იტალიაში ჯარის გაგზავნაზე ვალენშტაინის ნათქვამი უარი, როდესაც მან თქვა: ერთ ჯარისკაცსაც არ გავაგზავნი თვით იმპერატორმაც რომ მთხოვოსო. მეორე ეპიზოდი კი 1632 წელს მის გუსტავ-ადოლფის წინააღმდეგ ბრძოლაში დაბრუნებას უკავშირდება, როდესაც მის მიერ ახალშეკრებილი არმიის თანამეთაურობა იმპერატორის მემკვიდრემ და უნგრეთის მეფე ასევე ფერდინანდმა მოინდომა თუმცა ამაზე ვალენშტაინის პასუხი იყო, რომ მეთაურობას თვით იესო ქრისტესაც არ გაუყოფდა (Hollway 2013).

მიუხედავად იმისა, რომ ვალენშტაინის ორივე შენიშვნა საკმაოდ სამართლიანი იყო, უნდა ითქვას, რომ სამეფო კარზე და მითუმეტეს, მონარქთან საუბარს სხვანაირი დიპლომატიური ენა და ეტიკეტი სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი შანსია საკუთარი თავისთვის პრობლემების შექმნის, რაც ვალენშტაინმა თავის თავზე იწვნია.

1 საფრანგეთსა და ესპანეთს შორის მანტუას მემკვიდრეობისთვის ომი, სადაც საღვთო რომის იმპერია ესპანეთს ეხმარებოდა (Wedgwood 1944: 247).

იმპერატორის დამოკიდებულება

ვალენშტაინის მკვლევლობაში უმნიშვნელოვანესი როლი ჰქონდა იმპერატორ ფერდინანდ II-ის დამოკიდებულებას მის მიმართ, რომელმაც დროთა განმავლობაში მკვეთრი ცვლილება განიცადა. მიუხედავად იმისა, რომ მასთან დაახლოებული პირები, მათ შორის ბავარიის მთავარი მაქსიმილიანი, მუდმივად ვალენშტაინის წინააღმდეგ აქებებდნენ, ფერდინანდმა მას მაინც მიანიჭა გენერალისიმუსისა და მეკლენბურგის ჰერცოგის ტიტულები. მაინც რა მოხდა ისეთი, რამაც ასე დაახლოებული ორი ადამიანი მოსისხლე მტრები გახადა?

მიზეზი მონარქიათვის დამახასიათებელ ერთ-ერთ მთავარ თვისებაში უნდა ვეძებოთ: პატივმოყვარეობა. ლიუბეკის ზავის (1629 წ.) შემდეგ ომის II ეტაპის გამარჯვებით დასრულება ყველაზე მეტად ვალენშტაინის დამსახურება იყო და შესაბამისად, გამარჯვებით მიღებული დიდებაც მას ხვდა წილად. ეს კი დიდი დარტყმა უნდა ყოფილიყო ფერდინანდისთვის, რადგან სწორედ ის იყო იმპერიის მმართველი და გამარჯვებების მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი თავად უნდა ყოფილიყო. ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ფერდინანდს ბავშვობიდან გამორჩეულად ზრდიდნენ, როგორც სამეფო ოჯახის წევრს, ვალენშტაინის წარმატებებმა კი მას ეს მითი დაუმსხვრია და ეგო დაუზიანა, რაც ქვეცნობიერი ზიზღის მიზეზი უნდა გამხდარიყო.

შემდგომ უკვე საქმეში ერთვება მმართველის შიში ძლიერი ქვეშევრდომის მიმართ. მმართველს ეშინია, რომ დიდების გზაზე მიმავალი ქვეშევრდომი იმდენად გაძლიერდება, რომ მისი ძალაუფლების შეკვეცის ან თუნდაც მისი ადგილის დაკავების სურვილი გაუჩნდება. 30-წლიანი ომის II ეტაპის შემდეგ კი ვალენშტაინს ამ ყველაფრის ცდის შესაძლებლობა ნამდვილად ჰქონდა. შეშინებული და დაეჭვებული მონარქი კი ძალიან მარტივი სამანიპულაციოა. ამის მაგალითები ისტორიაშიც მრავლად გვაქვს. თუნდაც სულთან სულეიმანის მიერ თავისი საუკეთესო მეგობრის იბრაჰიმ-ფაშასა და საკუთარი შვილის შეჭზადე მუსტაფას სიკვდილით დასჯა რად ღირს, რომელნიც სწორედაც რომ სულთნის ძალაუფლების დაკარგვის შიშს ემსხვერპლნენ (Jenkins 1911: 114; Peirce 1993: 81). ზუსტად ასეთი შემთხვევა საქართველოს ისტორიაში, ვალენშტაინის თანამედროვე ეპოქაში გვაქვს, ეს ლუარსაბ II-ის მიერ გიორგის სააკაძის მკვლევლობის მცდელობას ეხება, როდესაც სააკაძის მოწინააღმდეგე დიდმა ფეოდალებმა მისი ძალაუფლების დაკარგვის

შიშით ისარგებლეს და სააკაძის მოღალატეობაში დაარწმუნეს (ჯამბურია 1973: 289). ძალაუფლების დაკარგვის შიშმა აიძულა ფერდინანდის მაცხიმილიან ბავარიელისა და სხვა მთავრების ნებას დაჰყოლოდა და რეგენსბურგის ყრილობის შემდეგ (1630 წ.) ვალენშტაინი ჯარების მთავარსარდლობიდან გადაეყენებინა.

1630 წელს 30-წლიან ომში შვედეთის მეფე გუსტავ-ადოლფი ჩაერთო, რომელმაც 1630-1631 წლებში იმპერიას არაერთი მარცხი აგემა. ამის გამო იმპერატორს მოუწია თავი დაემცირებინა და არა მარტო დაბრუნება ეთხოვა, არამედ მისთვის ნებისმიერ მთავარსარდალზე მეტის, დიპლომატიური მოლაპარაკებების წარმართვის უფლება მიეცა, რაც მომავალში იმპერატორს ცუდად შემოუტრიალდა. ასეა თუ ისე, ვალენშტაინის დაბრუნებამ მდგომარეობა იმპერიის სასარგებლოდ შეცვალა, რასაც შეიძლებოდა ხალხში იმპერატორის ავტორიტეტის დაკარგვა და ვალენშტაინის პიროვნების გაიდეალურება გამოეწვია.

უბრალო მოსახლეობის მაშინდელ ცრუმორწმუნე ხასიათზე დაყრდნობით კი სრულიად შესაძლებელი იყო გუსტავ-ადოლფის ლუცენის ბრძოლაში დაღუპვაც ვალენშტაინისთვის მიეწერათ და საერთოდ მითიურ პერსონად ექციათ. თავად ვალენშტაინის დაბრუნების მიზანიც ხომ იმპერატორზე შურისძიება და „იმპერიის მხსნელის“ სახელის მიღება იყო. ლუცენის ბრძოლიდან მოყოლებული, სავარაუდოდ, იმპერატორის დაკვეთით ვრცელდებოდა პამფლეტები, სადაც ვალენშტაინი I საუკუნეში მოღვაწე რომის პრეტორიული გვარდიის პრეფექტ სეიანუსთან იყო გაიგივებული, რომელმაც საკუთარ იმპერატორ ტიბერიუსის წინააღმდეგ ინტრიგების ხლართვა დაიწყო და ლათინისთვის სიკვდილით დაისაჯა. ამ ეპიზოდიდან საკმაოდ ნათლად ჩანს როგორი დამოკიდებულება და შიშები ჰქონდა ფერდინანდს ვალენშტაინის მიმართ.

კათოლიკე კურფიურსტებისა და ეკლესიის დამოკიდებულება

ახლა კი უნდა შევხვთ იმ ადამიანთა დამოკიდებულებებს ვალენშტაინისადმი, რომლებმაც წარმატებით მოახერხეს ფერდინანდის შიშების გამოყენება ვალენშტაინის წინააღმდეგ და საბოლოოდ, მის მკვლელობაშიც დიდი წვლილი დაიდეს.

კურფიურსტების რადიკალურად უარყოფით დამოკიდებულებას ვალენშტაინისადმი რამდენიმე ახსნა აქვს. პირველ რიგში, ვალენშტაინი

მათ თვალში დაბალი სოციალური წარმოშობის ადამიანს წარმოადგენდა და მისი თანამდებობების, ქონებისა და გავლენების თანდათანოთობითი და შეუჩერებელი ზრდა მთავრებისთვის აუტანელი იქნებოდა. მათ უკვე უწევდათ ვალენშტაინისთვის, როგორც თანასწორისთვის ისე შეეხედათ და შესაბამისი პატივით მოპყრობოდნენ. გენერალისიმუსის ტიტულის მიღების შემდგომ კი ვალენშტაინი მათზე მაღლაც კი დადგა. შესაბამისად სახეზე გვაქვს კურფიურსტთა შურისა და მაღალი ეგოს შელახვის შემთხვევა. სხვადასხვა ფენებს შორის დაპირისპირება და შუღლი იმდროინდელი ეპოქისთვის უცხო სრულიად არაა და შესაბამისად, ზემოთნახსენები ფაქტორიც სრულიად ბუნებრივი მოვლენაა.

მეორე ფაქტორი ფერდინანდზე საუბრისასაც გამოჩნდა და აქაც სახეზე გვაქვს. ვალენშტაინის წარმატებები ომის მიმდინარეობისას მთავრებს თავს დამცირებულად აგრძნობინებდა, რადგან მათ დიდ წარმოდგენებს საკუთარ თავზე სრულიად ამსხვრევდა. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა შვედების წინააღმდეგ ბრძოლაში ვალენშტაინის წარმატებების შემდგომ, რადგან მის დაბრუნებამდე იმპერიის ჯარების ბრძოლა შვედებთან, როგორც წესი, სრული კრახით მთავრდებოდა, ვალენშტაინის დაბრუნებამ კი ეს შეცვალა და მათ საკუთარი უსუსურობა დაანახა.

მესამე ფაქტორი ვალენშტაინის მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. ის ნიკოლო მაკიაველის „მთავარის“ დიდი თაყვანისმცემელი გახლდათ და შესაბამისად მაკიაველიზმის იდეების გამზიარებელიც. მისთვის მისაღები იყო აბსოლუტური, შეუზღუდავი და ცენტრალიზებული მონარქია, სადაც მსხვილ მინათმფლობელებს და სხვა გარეშე პირებს მინიმალური ჩარევის საშუალება უნდა ჰქონოდათ. საღვთო რომის იმპერიის თავისებურებებს თუ გადავხედავთ, ნათლად დავინახავთ, რომ იმპერიის ტერიტორიები კურფიურსტებს და ეკლესიას შორის იყო დაქუცმაცებული, რომლებიც ფართო ავტონომიით სარგებლობდნენ და შესაბამისად მონარქის ძალაუფლება შეზღუდული იყო. ვალენშტაინის პიროვნებაში კი ისინი სრულიად ადეკვატურ საფრთხეს ხედავდნენ: ამ ადამიანს უკვე ჰქონდა საკმარისი გავლენა და შესაძლებლობები იმისთვის, რომ აბსოლუტური მონარქიის დასამყარებლად ფერდინანდისთვის ან სხვა რომელიმე ახალი იმპერატორისთვის ხელი შეეწყო, ეს კი მათთვის გავლენების დაკარგვას უდრიდა. აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია რატომაც ცდილობდნენ ისინი ასე ერთიანად ფერდინანდის თვალში ვალენშტაინის დისკრედიტაციას. მათი ლიდერი

კი ბავარიის კურფიურსტი მაქსიმილიანი გახლდათ.

ცალკე გამოსაყოფი და განსახილველია ეკლესიის დამოკიდებულება ვალენშტაინისადმი, რომელიც კურფიურსტთა მსგავსად რადიკალურად უარყოფითი იყო. ასეთი დამოკიდებულების ყველაზე მეტად ხელშემწყობი ფაქტორი კი ფერდინანდ მეორის მიერ რესტიტუციის ედიქტის¹ მიღება იქცა, რომელსაც ვალენშტაინი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა, რადგან თვლიდა, რომ ეს პროტესტანტებს იმპერიის ხელისუფლების წინააღმდეგ უფრო მეტად დარაზმავდა და მათთან სამშვიდობო მოლაპარაკებებიც ჩიხში შევიდოდა (Wilson 2009: 322).

ასევე მნიშვნელოვანია ვალენშტაინის დამოკიდებულება ზოგადად რელიგიისადმი. ამ ჰოროსკოპით ერთობ გატაცებულ ადამიანს დაახლოებით ანრი IV ბურბონის² მსგავსი დამოკიდებულება ჰქონდა რელიგიისადმი და პოლიტიკური მიზნებისთვის მისი შეცვლა ან უბრალოდ რელიგიური ფაქტორების უგულვებელყოფა სრულიად ბუნებრივი რამ იქნებოდა (Mortimer 2010: 56).

აქედან გამომდინარე, ეკლესიამ ვალენშტაინის გაძლიერებაში საკუთარი ძალაუფლების დაკარგვის საფრთხე დაინახა, ეს საფრთხე განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც ვალენშტაინმა პროტესტანტულ მხარესთან საზავო მოლაპარაკებები დაიწყო. ეკლესიისთვის ნათელი გახდა, რომ მშვიდობის დასამყარებლად და პირადი სარგებლის მისაღებად ვალენშტაინი პროტესტანტებისთვის სასარგებლო პირობებზე დასაყაბულებლად სრულიად მზად იყო, რაც იმპერიაში კათოლიკური ეკლესიის გავლენას გაანადგურებდა. საერო არისტოკრატის მსგავსად, სასულიერო არისტოკრატსაც გვარიანად სარგებლობდა იმპერატორის ძალაუფლების შეზღუდვით და ქონებასა და გავლენას იზრდიდა. შესაბამისად, ვალენშტაინის მაკიაველისეული მიდგომები მათთვისაც განგაშის სიგნალი უნდა ყოფილიყო. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, მაღალ საეკლესიო პირთა უარყოფითი დამოკიდებულება ვალენშტაინისადმი სრულიად ბუნებრივია. ეკლესიისა და კურფიურსტთა გაერთიან-

1 ედიქტი, რომელიც ითვალისწინებდა 1555 წლის აუგსბურგის რელიგიური ზავის შემდგომ კათოლიკური ეკლესიისგან პროტესტანტთა სასარგებლოდ სეკულარიზებული მიწების ისევ კათოლიკური ეკლესიისთვის დაბრუნებას. მიუხედავად ამისა, პროტესტანტთა წინააღმდეგობის გამო ედიქტი პრაქტიკაში ვერ განხორციელდა (Wilson 2009: 321).

2 ანრი IV ბურბონი (1553-1610 წწ.) – საფრანგეთის მეფე 1589-1610 წლებში. ისტორიაში ყველაზე მეტად ცნობილია იმით, რომ პოლიტიკური მიზნების გამო რელიგია კალვინიზმიდან კათოლიციზმდე და პირიქით დაახლოებით 5-ჯერ შეიცვალა (1554, 1570, 1572, 1576, და 1593 წლები). მისი ყველაზე ცნობილია ფრაზაა კორნაციისას თქმული „პარიზი მესად ღირს“ (Horne 2002: 76).

ნებული ძალებით კი მოხერხდა ფერდინანდის დარწმუნება ვალენშტაინის თანამდებობიდან გადაყენებაზე და შემდგომ მისი დაპატიმრების ბრძანების გაცემაზე.

პილსენის¹ საზავო მოლაპარაკებები და ვალენშტაინის მკვლელობა

ყველა ზემოთ ნახსენები ფაქტორი კი თავს 1633 წლიდან დაწყებულ საზავო მოლაპარაკებებში იყრის, რაც გადამწყვეტი გამოდგა ვალენშტაინის მკვლელობისთვის. ამ საზავო მოლაპარაკებებისას დროს ყველაზე კარგად გამოჩნდა ვალენშტაინის „ორსახა პიროვნება“, რომელმაც წინა შემთხვევებისგან განსხვავებით, მას ველარ უშველა. 1633 წლის ოქტომბერში პილსენში დაბანაკებულმა ვალენშტაინმა საზავო მოლაპარაკებების წარმოება დაიწყო საფრანგეთის, შვედეთისა და იმპერიის პროტესტანტი კურფიურსტების წარმომადგენლებთან. სანამ უშუალოდ მოლაპარაკებების მიმდინარეობაზე გადავალთ, უნდა აღინიშნოს, რომ ვალენშტაინის წინააღმდეგ მიმართული ბრალდება თითქოს მის ინტერესებში მშვიდობა იქამდე არ შედიოდა, სანამ მის პირად ინტერესებს არ დასჭირდა, ძალიან უსამართლოა, რადგან რესტიტუციის ედიქტის და მანტუაში ლაშქრობის წინააღმდეგი ის მშვიდობის შენარჩუნების მიზნით იყო. მას არ უნდოდა თავის ქვეყანაში პროტესტანტი ამბოხებულების რაოდენობის გაზრდა და მანტუის ლაშქრობით საფრანგეთის უშუალო ჩართვა ომში. ასევე იმპერიაში მშვიდობის დამყარებას ემსახურებოდა პოლონეთის მეფე სიგიზმუნდის ჯარით დახმარება გუსტავ-ადოლფთან ბრძოლაში, რადგან ამ უკანასკნელს იმპერიასთან ომში ჩასართავად ველარ მოეცალა. სამშვიდობო მოლაპარაკებების ვალენშტაინის მიზნებზე და ამოცანებზე მრავალი მოსაზრება, ჭორი თუ მითია გავრცელებული, ზუსტი პასუხი კი დღემდე დაუდგენელია.

ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად ვალენშტაინი იბრძოლებდა პროტესტანტთა მხარეს იმ პირობით, თუ ისინი მას იმპერატორის ტახტს მოაპოვებინებდნენ (Rabb 1973: 115). ეს მოსაზრება, ვფიქრობთ, სრულიად აბსურდულია, რადგან გაუგებარია 51 წლის უშვილო და ასევე იმპერატორობისთვის ერთობ დაბალი წარმოშობის ადამიანს როგორ უნდა მოეხერხებინა ტახტის დიდი ხნით შენარჩუნება. გავრცელებული მოსაზრებაა ის, რომ ვალენშტაინი თანხმდებოდა იმპერიის ნაწილებად და-

1 დღევანდელი ჩეხეთი, დასავლეთ ბოჰემია

ყოფას თუ ის ბოჰემიის მეფედ იქნებოდა აღიარებული, ვენას კი საფრანგეთის მეფე ლუი XIII დაიკავებდა (Wedgwood 1944: 355). ვალენშტაინის ცხოვრება და მისი მოქმედებები ამ მოსაზრების მიმართ სკეპტიკურად განმანწყობს, რადგან ის ყოველთვის იმპერიის ძლიერებისა და მთლიანობის შესანარჩუნებლად იბრძოდა და არა მის ნაწილებად დასაშლელად. ვფიქრობ, ყველაზე სარწმუნო და დამაჯერებელი მოსაზრება ამ საკითხზე შემდეგია: ვალენშტაინი იბრძოლებდა პროტესტანტთა მხარეს და დაეხმარებოდა ჰაბსბურგთა დინასტიის, როგორც საღვთო რომის იმპერიიდან, ასევე ესპანეთიდან გასაძევებლადაც. იმპერატორად კი აირჩეოდა პროტესტანტი კურფიურსტებიდან, თუნდაც საქსონიის ან ბრანდენბურგის, ამ იმპერატორის გარშემო უნდა მომხდარიყო მთლიანი იმპერიის გაერთიანება, გაერთიანებული იმპერია კი შვედ და ფრანგ ინტერვენტებს ქვეყნიდან გააძევებდა, თვითონ ვალენშტაინი კი მიიღებდა დიდძალ მიწებს და თავის დარჩენილ ცხოვრებას მშვიდად გაატარებდა. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე ვალენშტაინი შვედებთან და ფრანგებთან ორმაგ თამაშს თამაშობდა, რაც საბოლოოდ მათი ქვეყნის ტერიტორიიდან გაძევებით უნდა დასრულებულიყო (Rabb 1973: 127).

ვალენშტაინის ჰაბსბურგთა სახლის წინააღმდეგ ამხედრებასაც თავისი ბუნებრივი მიზეზები ჰქონდა. უმთავრესი იყო სრულიად სამართლიანი პირადი წყენა იმპერატორ ფერდინანდის მიმართ. იმისდა მიუხედავად, რომ ვალენშტაინმა იმპერიას კონკურენტუნარიანი ჯარი და ფლოტი შეუქმნა, იყო დანიის მეფე ქრისტიან IV-ის სრული კრახისა და ლიუბეკის ზავის მთავარი შემოქმედი, ფერდინანდმა მას ღვაწლი არ დაუფასა და საკუთარ შიშებს და რეგენსბურგის ყრილობის რჩევებს დაჰყვა მისი თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე. ასეთი დაუფასებლობა კი ძალიან დიდი დამცირება უნდა ყოფილიყო ვალენშტაინის მსგავსი პატივმოყვარე ადამიანისთვის, რასაც ის ძნელად თუ დაივინწყებდა.

მეორე მიზეზი ფერდინანდ II-ის პოლიტიკაში უნდა ვეძებოთ. ვალენშტაინისთვის ნათლად დასანახი უნდა ყოფილიყო მისი უსუსურობა ქვეშევრდომებზე საკუთარი ძალაუფლების თავზე მოხვევაში. შესაბამისად, ის ვერ იქნებოდა მაკიაველისეული „მთავარი“, რომელიც იმპერიის ცენტრალიზაციას და ამით მის გაძლიერებას შეძლებდა. მეორე საკითხია ფერდინანდის რადიკალური ანტიპროტესტანტული პოლიტიკა, რაც იწვევდა როგორც იმპერიის ტერიტორიიდან მოსახლეობის დიდი ნაწილის მიგრაციას, ასევე სამშვიდობო მოლაპარაკებების შანსებსაც

სპობდა. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ჰაბსბურგთა დინასტია იქცა „სხეულის დაზიანებულ ნაწილად“, რომლის ამპუტაციაც უნდა მომხდარიყო სხეულის ანუ იმპერიის გადარჩენად და მოსულიყო უფრო ძლიერი.

როგორც არ უნდა ყოფილიყო მოლაპარაკებების პირობები, ზუსტად რაც ვიცით ისაა, რომ ვალენშტაინმა ვერ მოახერხა პროტესტანტთა მხარის დარწმუნება იმაში, რომ ის თავის პირობებს შეასრულებდა. შვედეთის კანცლერ აქსელ ოქსენშერნაზე დაყრდნობით მას ეჭვი ჰქონდა ვალენშტაინის ორმაგ მოთამაშეობაზე და შესაბამისად მის მიმართ ნდობით ვერ განეწყო (Wilson 2009: 380; Hart 1927: 202).

პილსენის მოლაპარაკებების შემდგომ ნათლად ვხედავთ ვალენშტაინის ზემოთხსენებულ „ორსახა“ პიროვნებას. ვალენშტაინის ამპარტავანმა გონებამ ვერ გათვალა საკუთარ უახლოეს გარემოცვაში იმპერატორის ინფორმატორები, მათ შორის მისი პირადი ასტროლოგიც. ის ვერც კი უშვებდა, რომ ვინმეს შეეძლო მისთვის დალატი გაეხებდა. ოტო პიკოლომინისგან მიღებული წერილებიდან გამომდინარე კი ვენაში გადაწყვეტილება მიღებული ჰქონდათ: რაიხსტაგის რჩევით იმპერატორმა ხელი მოაწერა ბრძანებას ვალენშტაინის კრიმინალად და მოლაღატედ გამოცხადებაზე, მას ერთმეოდა მთლიანი ქონება და დაკავებული თანამდებობები, დაუყოვნებლივ უნდა მომხდარიყო მისი დაპატიმრება (Wilson 2009: 379). შემდეგ ის შეეცადა იმპერატორთან მოლაპარაკებებს, მასთან გაგზავნილ წერილში, რასაც ხელს მისი ოფიცრებიც აწერდნენ, კი მას ერთგულებას ეფიცებოდა და სიცოცხლისა და ქონების შენარჩუნების სანაცვლოდ თავისი სურვილით გადადგომას სთავაზობდა (Wilson 2009: 378). აქ ჩანს მისი პიროვნების ფარისევლური მხარე, რაც მას დიდ დადს ასვამს. ამ წერილის მიუხედავად ვალენშტაინის სიტყვის აღარავის სჯეროდა, მოლაღატედ შერაცხულს კი სხვა გზა აღარ ჰქონდა იმის გარდა, რომ ყოველგვარი პირობების გარეშე პროტესტანტების მხარეზე გადასულიყო. მათთან მოსალაპარაკებლად ის ქალაქ ეგერში დაბანაკდა. მის ჯარისკაცებს ვალენშტაინის მოლაღატედ გამოცხადებაზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რაც შეეხება მის თანაშემწეებს, ის ვერც კი წარმოიდგენდა, რომ საკუთარი უახლოესი თანამებრძოლები მის თავს იმპერატორს და მისგან სარგებლის მიღებას ამჯობინებდნენ, მაგრამ ყველაფერი უკვე დაგეგმილი იყო. 1634 წლის 24 თებერვლის ღამეს, ვალენშტაინის თანამებრძოლები, შოტლანდიელი ვოლტერ ლესლი და ირლანდიელი ვოლტერ ბატლერი ჯარისკაცებთან ერთად იმ სახლში

შეიქრნენ, სადაც ვალენშტაინი იმყოფებოდა, თვითონ ვალენშტაინი კი ინგლისელი ვალტერ დევერიუს ხელით იქნა მოკლული, მასთან ერთად დაიღუპნენ ბოლომდე მისი ერთგული ფელდმარშლები ადამ ტრცკა და ქრისტიან ფონ ილოვი.

ვალენშტაინის მკვლელობა ხალხის დიდი პროტესტის საწყისი გახდა, რომელიც ასეთი მუხანათური და უსამართლო მკვლელობის გამო დამნაშავეთა დასჯას ითხოვდა. მიუხედავად იმისა, რომ ვალენშტაინის მკვლელობის გამო ჯამში 24 ადამიანი დაისაჯა, დამგეგმავები და უშუალო შემსრულებელი იმპერატორისგან მიწებითა და თანამდებობებით სათანადოდ დაჯილდოვდნენ. მათ შორის ყველაზე დიდი სარგებელი მათიას გალასმა ნახა, რომელმაც ვალენშტაინი იმპერიის მთავარსარდლის თანამდებობაზე შეცვალა. თვითონ ფერდინანდი ჰენრი II-ისა და თომას ბეკეტის შემთხვევის მსგავსად, სიცოცხლის ბოლომდე უარყოფდა ვალენშტაინის მკვლელობაში რაიმე სახით მონაწილეობას, თუმცა მისი მკვლელების გულუხვად დაჯილდოება ამ სიტყვებში დაეჭვების სერიოზულ საფუძველს გვაძლევს.

საბოლოო ჯამში, ყველა ფაქტორიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვალენშტაინის ამბიციებმა, ამპარტავნობამ და დაუსრულებელმა პოლიტიკურმა ინტრიგებმა ის საკუთარ დაცემამდე და სიკვდილამდე მიიყვანა. ვალენშტაინის პიროვნულ ნაკლოვანებებს თან დაერთო იმპერატორისა და ძალაუფლების მქონე მისი ქვეშევრდომი პირების შიშები და ვალენშტაინის აღზევებისა და დიდებული გამარჯვებების შური. გავიმეორებ დასაწყისში ჩემ მიერ ნათქვამ სიტყვებს, რომ ასეთი დიდი რაოდენობის ფაქტორების ერთობლიობა ვალენშტაინის მკვლელობას ერთ-ერთ ყველაზე კომპლექსურ და მისტიურ შემთხვევად ხდის მსოფლიო ისტორიაში. საკმაოდ რთულია ზუსტად დადგენა თუ ვინ იყო ვალენშტაინი: მხოლოდ საკუთარი პირადი გამორჩენისთვის მებრძოლი და სხვა ღირებულებების არმქონე მეგალომანიაკი თუ იმპერიის ერთიანობისთვის მებრძოლი. რაც არ უნდა იყოს, იმ ფაქტს გვერდს ვერ ავუვლით, რომ ვალენშტაინი 30-წლიან ომში იმპერიის ჯარების ტრიუმფების მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი იყო, მისი სიკვდილის შემდგომ კი იმპერიის საქმე არც თუ ისე სახარბიელოდ წარიმართა, რაც 1648 წელს ვესტფალიის ზავითა და ევროპაში ჰაბსბურგთა გავლენის შესუსტებით დასრულდა.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

- ▶ დანი, კრაიგი 2019: დანი ვენდი ლ., კრაიგი ჯეიმს ჯ., ადამიანის განვითარება, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019;
- ▶ ჯამბურია 1973: ჯამბურია გივი, ქართველი ხალხის ბრძოლა არსებობის შენარჩუნებისათვის XVII ს. პირველ მესამედში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე, ტომის რედაქტორი მამია დუმბაძე, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“; 1973;
- ▶ წერეთელი 2012: წერეთელი მზია, კოგნიტური ფსიქოლოგია 1 – აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, სალექციო კურსი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა; 2012;
- ▶ ხეჩუაშვილი 2013: ხეჩუაშვილი ლილი, პიროვნება: შესავალი პიროვნების ფსიქოლოგიაში I, თბილისი, 2013;
- ▶ Guadagno Lankford... 2010: Guadagno Rosanna E., Lankford Adam, Muscanell Nicole L.,
- ▶ Okdie Bradley M., McCallum Debra M., Social influence in the online recruitment of
- ▶ Terrorists and Terrorist sympathizers: implications for social psychology research; ხელმისაწვდომია: <https://www.cairn.info/revue-internationale-de-psychologie-sociale-2010-1-page-25.htm> ბოლოს დამოწმებულია 18.05.2022;
- ▶ Hart 1927: Hart B. H. Liddell, Great Captains Unveiled; Edinburgh and London; William Blackwood and Sons Ltd. 1927; ხელმისაწვდომია <https://archive.org/details/in.ernet.dli.2015.526540>; ბოლოს დამოწმებულია 02.06.2022;
- ▶ Hollway 2013: Hollway Don, Wallenshtein: Generalissimo. ხელმისაწვდომია:
- ▶ <http://donhollway.com/wallenstein/> ; (ბოლოს დამოწმებულია 16.05.2022);
- ▶ Horne 2002: Horne Alistair, Seven ages of Paris, New York Random House... inc.. 2002;
- ▶ Ingrao 1994: Ingrao Charles W., The Habsburg monarchy 1618-1815, Cambridge university press. 1994;
- ▶ Jenkins 1911: Jenkins Hester Donaldson, Ibrahim Pasha: Grand Vizier of Suleiman the Magnificent; New-york; 1911;
- ▶ Johnson 2016: Johnson Francis, Famous Assassinations in History; Librivox, აუდიოწიგნი ხელმისაწვდომია: https://archive.org/details/famous_assassinations_1612_librivox/famousassassinations_13_johnson_128kb.mp3 ბოლოს დამოწმებულია 16.05.2022
- ▶ Mortimer 2010: Mortimer Geoff, Wallenstein – The Enigma of The Thirty Years War; Palgrave Macmillan, 2010;

- ▶ Peirce 1993: Peirce Leslie P., *The Imperial harem: Women and sovereignty in the Ottoman Empire*, New York, Oxford university press, 1993;
- ▶ Rabb 1972: Rabb Theodore K., *The thirty years' war*; Canada; DC. Health and company; 1972;
- ▶ Wedgwood 1944: Wedgwood C. V., *the thirty Years' war*; London, The Bedford historical series; 1944;
- ▶ Wilson 2009: Wilson Peter H., *Europe's tragedy: A history of the thirty years' war*; London; Penguin Group; 2009.

Sergi Adamia

BA program in History
Faculty of Humanities, TSU

TO ASSESS THE CAUSES OF WALLENSTEIN'S ASSASSINATION (SUMMARY)

Albrecht Von Wallenstein – one of the most prominent military leaders and political figures in one of the most bloody and geopolitically changing conflicts in European history – the thirty years war. His military success is evidenced by the honorary title of Generalissimo, the possession of which has been held by only 21 people in history. In addition to his distinguished military career and glorious victories, Wallenstein's life was also full of political intrigue, which made his life one of the most mystical and difficult to research for historians. Talking about his goals and ambitions is the subject of an endless dispute to this day. Wallenstein's endless political intrigues led him to a tragic end on February 24, 1634, in the city of Eger.

The assassination of Wallenstein was a rather complex process, because, the causes of these murders were gradually and over many years formed. This event found interest not only in historians but also in people of other professions. The most prominent of them is the great German playwright of the XVIII century Friedrich Schiller, who dedicated the episode of Wallenstein's assassination to one of his outstanding plays trilogy „Wallenstein“. An analysis of Wallenstein's personality, the attitude of the emperor and his royal court towards the person Wallenstein, and an analysis of the probable motives and

goals of his peace talks with the opposing protestant side allow us to better understand what led one of the most prominent figures in modern History to his assassination. This article also serves this purpose. To better express my opinions, parallels from the history of different epochs will be drawn, which are directly related to the topic.

მარიამ ხამცაშვილი, თამარ სამარგულიანი

ისტორიის საბაკალავრო პროგრამა
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თსუ

აბორიგენი ინდიელების მდგომარეობა კანადაში – კულტურული გენოციდი თუ დისკრიმინაცია

საკვანძო სიტყვები: აბორიგენი ინდიელები, კანადა, სკოლა ინტერნატები, „ინდიელთა აქტი“, გენოციდი, რეზერვაციები, სამოციანების წმენდა, საშვის ნებართვის სისტემა

Keywords: The Indigenous People, Canada, Residential school, The Indian act, Genocide, Reservation, Sixties Scoop, The Pass System

წინამდებარე სტატიის კვლევის საგანია კანადის მთავრობის მიერ აბორიგენ ინდიელთა წინააღმდეგ გატარებული პოლიტიკა, რომელიც ძირითადად სკოლა ინტერნატების დაარსებასა და „ინდიელთა აქტის“ დადასტურებით გამოიხატა. ინტერნატები და მის გარშემო განვითარებული საკითხი, რომელმაც XIX-XX საუკუნეები მოიცვა, აქტუალობას არც დღევანდელ ეპოქაში კარგავს. დღემდე არსებობენ ამ დისკრიმინაციის მომხსრენი და მსხვერპლნი, რომლებიც ჯერ კიდევ ცდილობენ გადატანილ ტრავმასთან გამკლავებას. საზოგადოებამ მოითხოვა პასუხი ეგო კანადის მთავრობას ჩადენილი სისტეკისთვის (Parrott 2014).

განსახილველ საკითხზე, ქართულ სამეცნიერო თუ პოპულარულ სივრცეში ლიტერატურა არ არსებობს, შესაბამისად, ეს თემაც – აბორიგენ ინდიელთა ეთნიკური იდენტობის დათრგუნვა კანადაში, ქართველი მკითხველისთვის ჯერ კიდევ სრულებით უცნობია. ჩვენი მიზანია, გავაცნოთ მკითხველს კანადის ტერიტორიაზე მცხოვრები ინდიელების ისტორიული წარსული, განვიხილოთ მისი დადებითი და უარყოფითი

მხარეები, შევაფასოთ, თუ რამდენად შესაძლებელია ეს მოვლენა შეფასდეს გენოციდად და შუერთდეს იმ სიას, რომელშიცაა: ჰოლოკოსტი, ჰოლოდომორი და ა.შ.

ინდიელთა კულტურასა და ისტორიაში დიდ გარდამტეხ მოვლენად და ტრავმად იქცა „გაევროპელების“ მცდელობები კანადის მთავრობის მხრიდან. ევროპელების მიზანი იყო გარდაექმნათ ადგილობრივი მოსახლეობა, მიეღოთ მათი მიწები და მიეღნიათ მათი ასიმილაციისთვის, ანუ დაეთრგუნათ მათი წარსული და კულტურა. სახელმწიფოს დაფინანსებისა და ეკლესიის ხელშეწყობით, კანადის მთავრობის მიერ რამდენიმე ძირეული რეფორმა გატარდა ინდიელთა ინტეგრაციისთვის და, უფრო სწორი იქნება, ვთქვათ, იძულებითი ასიმილაციისთვის. ეს იყო „ინდიელთა აქტი“, რეზერვაციები, სკოლა-ინტერნატები და საშვის-ნებართვის სისტემა.

პირველი და ერთ-ერთი უმთავრესი იყო „ინდიელთა აქტი“, სამართლებრივი კანონების კრებული, რომელიც განსაზღვრავდა ინდიელთა სტატუსს და ზღუდავდა მათ შესაძლებლობებსა და თვითგამოხატვას. „ინდიელთა აქტი“ იურიდიულად მიღებულ იქნა 1876 წელს, თუმცა, მასში შემავალი მუხლები XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდანვე გამოიყენებოდა ინდიელთა წინააღმდეგ. სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი ცვლილებებით, „აქტი“ უკეთ მოერგო ინდიელთა უფლებებს და ამოღებულ იქნა დისკრიმინაციული მუხლები. აქტი არ ეხება კანადელ მეტისებსა¹ და ინუიტებს², მასში განხილულია მხოლოდ „პირველადი ერის“³ უფლებები. „ინდიელთა აქტით“ განისაზღვრა ინდიელთა იდენტობა, მათი პოლიტიკური უფლებები, სამთავრობო აპარატი, მათი კულტურული ცხოვრებისა და განათლების უფლებები. წინამდებარე სტატია ეცდება განიხილოს თითოეული ზემოთ ხსენებული. „ინდიელთა აქტით“ „მოგვარდა“ საზღვრის პრობლემები ინდიელებსა და კანადის მთავრობას შორის. ინდიელები გადანაწილდნენ შესაბამის რეზერვაციებში, რომლებიც ნაკლებად ნაყოფიერ მიწებზე მდებარეობდა და რომლებიც, საბოლოო ჯამში, შედიოდა კანადის სახელმწიფო საზღვრებში. თვითმმართველობის შესანარჩუნებ-

1 კანადელი მეტისები (The Métis) – ადამიანთა ჯგუფი, რომელთა ერთი მშობელი ევროპული წარმოშობისაა, მეორე კი აბორიგენ ინდიელებს განეკუთვნება.

2 ინუიტები (The Inuit) – არქტიკული კანადის, ალასკისა და გრენლანდიის აბორიგენი მოსახლეობა. ტერმინი ამ ხალხის ენიდან ითარგმნება, როგორც „ხალხი“.

3 ლიტერატურაში აბორიგენი ინდიელები მოიხსენიებიან როგორც: „the First Nations“.

ლად შემოიღეს სპეციალური მოწყობა „ბენდის“ (The Band) სახელწოდებით. ეს ადმინისტრაციული თვითმმართველი ორგანო არჩევითი იყო და ცვლიდა ბელადის პოზიციას. ბენდის არჩევნებში მონაწილეობის მიღება მხოლოდ ინდიელის სტატუსის მქონე მოქალაქე მამაკაცს შეეძლო, რომელიც ჩანერილი იყო შესაბამის ადმინისტრაციულ ოლქში. „ინდიელთა აქტი“ ასევე განსაზღვრავდა ინდიელის სტატუსს. მამაკაცი, რომელიც დაბადებული იყო ასევე ინდიელთა სტატუსის მქონე ოჯახში და ტრადიციულად მიიჩნეოდა რომელიმე კონკრეტული ტომის წევრად, იღებდა მსგავს სტატუსს. ქალის შემთხვევაში კი მსგავსი სტატუსის მიღება ქორწინებით ხდებოდა. 1951 წლის შესწორებით ინდიელის სტატუსის მქონე მამაკაცი, რომელიც გახდებოდა ექიმი ან იურისტი, ავტომატურად კარგავდა ამ სტატუსს. კანადურ არჩევნებში მონაწილეობა ინდიელის სტატუსით შეუძლებელი იყო.

მოკლედ რომ შევაფასოთ, იმისათვის, რომ აბორიგენ ინდიელს მიეღო კანადის მოქალაქეობა, მას უარი უნდა ეთქვა თავის წარმოშობაზე, რადგან „აქტის“ მიხედვით არ შეიძლებოდა ყოფილიყო სტატუსით აბორიგენი ინდიელი და ამავდროულად კანადელი. ეს მუხლი ლეგალური იყო 1960 წლამდე (Indian Act 2006).

ინდიელები არც რეზერვაციებში იყვნენ სრულიად თავისუფლები. კანადის მთავრობა იჭრებოდა რეზერვაციის საზღვრებში და ზღუდავდა იქ მცხოვრებთა თავისუფლებას. ინდიელთა „აქტის“ 1895 წლის შესწორებით აბორიგენ მოსახლეობას აეკრძალა „Paw Wow“¹ და „Potlatch“-ის,² ასევე მზის ცეკვის რიტუალების შესრულება. ხოლო 1925 წლის შესწორებით, აიკრძალა ყველა რიტუალური ცეკვა რეზერვაციის საზღვრებს მიღმაც კი. ამგვარი შეზღუდვები მიუღებელი იყო თავად ინდიელებისათვის, ვინაიდან ეს ყოველივე ინდიელთა თვითგამორკვევას ზღუდავდა, რამაც რეზერვაციებში ხშირი აჯანყებები და დაუმორჩილებლობა გამოიწვია.

„ინდიელთა აქტით“ სტატუსის მქონე აბორიგენები ვალდებულები იყვნენ შვილები გაეგზავნათ სკოლა-ინტერნატებში, სადაც ხდებოდა ბავშვებისთვის ევროპული კულტურის გაცნობა და სწავლება. ინდიე-

1 „Paw Wow“ – ამერიკელ ინდიელთა რიტუალი, რომლის მიმდინარეობისას იკრიბება სხადასხვა ადგილობრივი ერის წარმომადგენელი ცეკვის, სიმღერის და წინაპართა ტრადიციების პატივისცემის მიზნით.

2 „Potlatch“ – აღნიშნავს საზეიმო დღესასწაულს, რომელიც გამოიყენება ჩრდილოდასავლეთ სანაპიროზე მცხოვრები ინდიელების მრავალფეროვან ჯგუფში, როგორც ძირძველი კულტურის განუყოფელი ნაწილი, რომელსაც აქვს მრავალი სოციალური მნიშვნელობა.

ლები თავდაპირველად ამ ცვლილებებს დადებითად შეხვდნენ, რადგანაც მიაჩნდათ, რომ სკოლა-ინტერნატები მათ შვილებს დაეხმარებოდა გარემოსთან უკეთეს ინტეგრაციაში, თუმცა მოხდა საპირისპირო, რასაც მოგვიანებით უფრო ვრცლად შევეხებით.

„ინდიელთა აქტი“ 1985 წლის შესწორებებით უფრო პროგრესული მუხლები შევიდა, რითაც გამარტივდა ინდიელთა ყოფა და ყოველდღიურობა. მაგალითად, მათ მიენიჭათ კანადური მოქალაქეობა და შესაბამისად, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება. აღსანიშნავია, რომ „ინდიელთა აქტი“ დღემდე არსებობს და განსაზღვრავს ინდიელთა სტატუსსა და უფლებებს.

ინდიელთა თავისუფლების შესაზღუდად აქტიურად გამოიყენებოდა სასაზღვრო სისტემა. აბორიგენთა უფლებები რეზერვაციის საზღვრებში მათი შექმნის მომენტიდან იზღუდებოდა, თუმცა ამას არ ჰქონია საყოველთაო ხასიათი 1885 წლამდე. ამ დროს კანადის მთავრობის მხრიდან კონტროლის გამკაცრება, ერთი მხრივ, გამოიწვია ამავე წელს მომხდარმა ინდიელთა საკმაოდ მასშტაბურმა და ორგანიზებულმა აჯანყებამ,¹ მეორე მხრივ კი კანადის მთავრობის სურვილმა, ეკონტროლებინა ინდიელთა კომუნა და ხელი შეეშალა კანადელ მოსახლეობასთან მათი ინტეგრაციისთვის. ზემოთ თქმულის განსახორციელებლად, პრემიერ-მინისტრ ჯონ მაკდონალდის² განკარგულებით, რეზერვაციების ერთმანეთისგან დასაშორებლად, სოციალური და ეკონომიკური მხარის საკონტროლებლად, შემოღებულ იქნა სისტემა, რომელიც მკაცრად იცავდა რეზერვაციის საზღვრებს.

რიგით ინდიელს რეზერვაციის დასატოვებლად სჭირდებოდა ხელი-სუფლების თანხმობა და შესაბამისი საშვი. ამგვარად, რეზერვაციაში მცხოვრები ინდივიდები მუდმივი კონტროლის ქვეშ იყვნენ. მათ არ შეეძლოთ რეზერვაციის დატოვება რიტუალების შესასრულებლად (რაც, როგორც ვახსენეთ, მოგვიანებით კანონითაც განისაზღვრა), რომლებიც ტარდებოდა საკრალურ ტერიტორიაზე. საშვის სისტემა ასევე ზღუდავდა მშობლის უფლებას მოენახულებინა შვილები სკოლა-ინტერნატებში. გართულებული ბიუროკრატია და გაუმართავი სისტემა ზოგჯერ

1 ჩრდილო-დასავლეთის ამბოხი (The North-West rebellion) 1885 წელს ლუის რიელის ხელმძღვანელობით მოეწყო სასაკაჩევანის პროვინციაში, კანადაში. აჯანყების ძირითად მიზეზს წარმოადგენდა კანადელების ექსპანსია დასავლეთის მიმართულებით და მეტისებისა და პირველადი ერის, ანუ აბორიგენი ინდიელების უფლებათა უგულვებლყოფით გამოწვეული უკმაყოფილება. აჯანყება 5 თვის შემდეგ ჩაახშო მთავრობამ. ლიდერი – ლუის რიელი სიკვდილით დასაჯეს.

2 კანადის პირველი პრემიერ-მინისტრი 1878-1891 წლებში.

ისე აგვიანებდა საშვის გაცემას, რომ ინდიელს ზედმეტად მორჩენილი და გასაყიდად გამზადებული ნაწარმი მთლიანად უღებოდა. უნდა ითქვას ისიც, რომ საშვის სისტემას ინდიელთა ეკონომიკაზე დღემდე საკმაოდ დიდი დალი აქვს დასმული. ამან ხელი შეუშალა რეზერვაციებში მეურნეობის დანინაურებას და განვითარებას, შესაბამისად კი – ვაჭრობას.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ საშვის სისტემა არასოდეს ყოფილა იურიდიულად დაკანონებული და კანადის მთავრობა ამგვარ დისკრიმინაციას და ზეწოლას უკანონოდ ეწეოდა. ამის გააზრება და გათვითცნობიერება აბორიგენტთა რეზერვაციების მიერ მოხდა ეტაპობრივად და საშვის სისტემა თანდათანობით გაქრა.

ინდიელების გასაკონტროლებლად და მათი ეკონომიკური შესაძლებლობების შესაზღუდად ინდიელ ფერმერებს რეზერვაციებში მიწის დამუშავებისას ტექნიკის გამოყენება ეკრძალებოდათ (Kerstetter 1995: 165). მათ უნდა ეწარმოებინათ იმდენი, რამდენიც მათ ოჯახს სჭირდებოდა. ყველანაირი ტექნიკა, რომელიც შრომას გაამარტივებდა და უხმოსავლიანობას შეუწყობდა ხელს, აკრძალული იყო. ამგვარი მიდგომა საზოგადოებას არ აძლევდა ვაჭრობის განვითარების საშუალებას, აქცევდა ჩაკეტილ საზღვრებში და ზღუდავდა ეკონომიკურ შესაძლებლობებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ზედმეტი ნაწარმი განწირული იყო დაღობისთვის და, ბუნებრივია, მისი გაყიდვა ხშირად სრულიად წარმოუდგენლად მიიჩნეოდა.

სკოლა ინტერნატები, შეიძლება ითქვას, ინდიელთა ტრადიციებისა თუ იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე ეფექტური საშუალება იყო. თავის დროზე ჯონ მაკდონალდმა განაცხადა: „დავიმორჩილოთ ბავშვები და ჩვენ შევძლებთ მშობლის დამორჩილებას [...] მხოლოდ დაჟინებული განათლების სისტემატური კურსით (ამ სიტყვის სრული და ყველაზე პრაქტიკული მნიშვნელობით) შევძლებთ ვიყოთ იმედიანად და მივაღწიოთ სასურველ მიზანს“ (Blackstock, Clarke, Cullen... 2004: 20).

ტერმინი სკოლა-ინტერნატები გულისხმობდა კანადის ტერიტორიაზე დაარსებულ ვრცელ სასკოლო სისტემას, რომელსაც აფინანსებდა სახელმწიფო და ამავედროულად ხელშეწყობა ეკლესიის მხრიდანაც ჰქონდა. მათი ნომინალური მიზანი ადგილობრივი ბავშვების აღზრდა, მათთვის ცივილიზაციის გაცნობა იყო, თუმცა ამაშიც იკვეთებოდა ინდიელებისათვის საზიანო და წინასწარ განზრახული მიზანი. სკოლები იქმნებოდა აბორიგენი ახალგაზრდების კანადურ საზოგადოე-

ბაში ასიმილაციის მიზნით მათში ტრადიციული აზროვნების ამოშლის მცდელობის წყალობით.

სკოლა-ინტერნატები იმ ტრამვების დამაჯერებელ მტკიცებულებას წამოადგენს, რომელიც ამ ბავშვებმა განიცადეს იქ ყოფნის დროს. ამ თემით დაინტერესება ადრეულ პერიოდში (1960-70-იან წლებში) იწყება და პიკს მას შემდეგ აღწევს, რაც ყოფილი საცხოვრებელი სკოლის ტერიტორიაზე, მასობრივ სამარხში 215 ბავშვის ნეშტი (მათ შორის სამ წლამდე ასაკის) იპოვეს. „დაწესებულება ოდესღაც წარმოადგენდა კანადის საერთო ეროვნული ძალისხმევის ნაწილს, რათა ასიმილაციის მცდელობის მიზნით, მკვიდრი ბავშვები თავიანთი ოჯახებისგან განეშორებინათ“ (Davis 2021).

ვიდრე სკოლა-ინტერნატები თავის რეალურ სახეს მიიღებდა, არსებობდა რელიგიური ორდენების მიერ ძირძველი ბავშვებისათვის და არსებული მისიონერული სკოლები (1600-იანი წლების დასაწყისიდან 1800-იან წლებამდე), რომლებიც ინტერნატების წინამორბედად ითვლება. „საცხოვრებელ სკოლებს დიდი ხნის ისტორია აქვთ კანადაში. პირველი საცხოვრებელი დაწესებულებები შეიქმნა ახალ საფრანგეთში¹ კათოლიკე მისიონერების მიერ ინდიელთა მოვლისა და სწავლის უზრუნველსაყოფად. თუმცა, კოლონიურმა მთავრობებმა ვერ შეძლეს ძირძველი ხალხის იძულება, მონაწილეობა მიეღოთ სკოლებში, რადგან პირველადი ერების ხალხი ძირითადად დამოუკიდებელი იყო, მაშინ, როცა ევროპელები პირიქით, ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით მათზე იყვნენ დამოკიდებული“ (Residential Schools in Canada 2012). მიუხედავად იმისა, რომ მე-17 საუკუნეში ახალ საფრანგეთში უკვე არსებობდა სკოლები, საცხოვრებელი სკოლების სისტემა ოფიციალურად ამოქმედდა 1880-იანი წლებიდან და მე-20 საუკუნის 90-იან წლებამდე იარსება.

1883 წლიდან მოყოლებული მთელი ქვეყნის მასშტაბით სკოლა-ინტერნატებში 150 ათასი ბავშვი სწავლობდა. მიუხედავად იმისა, რომ ინდიელთა მშობლებმა არ იცოდნენ რა იყო და რას ითვალისწინებდა ამ სკოლაში ცოდნის მიღება, გაუცნობიერებლად თვლიდნენ, რომ ამ დაწესებულებაში სწავლა საუკეთესო იყო მათი შვილებისთვის, სადაც სრულფასოვან, ევროპულ განათლებას მიიღებდნენ. თუ 1920 წლამდე სკოლაში წასვლა ნებაყოფლობითი იყო, ამ წლიდან სკოლა-ინტერნა-

1 ახალი საფრანგეთი – New France (Nouvelle-France) იყო საფრანგეთის კოლონია ჩრდილოეთ ამერიკაში, დღევანდელი კანადის ტერიტორიაზე. 1763 წელს პარიზის ზავით ეს ტერიტორია ინგლისის შემადგენლობაში გადავიდა.

ტებში გადასვლა და განათლების მიღება სავალდებულო და იძულებითი გახდა. ხშირად ხდებოდა, რომ ინდიელ ბავშვებს შუა გზიდან იყვანდნენ და იძულებით მიჰყავდათ სკოლა-ინტერნატებში. „საცხოვრებელ სკოლაში ცხოვრება რთულია – ისეთი შეგრძნებაა, თითქოს შენში არსებული მთელი ბედნიერება ამონურულია და შიშისა და შფოთვის გრძნობით შეიცვალა“ (Niessen 2017: 8).

სკოლა-ინტერნატები ინდიელებისთვის მხოლოდ ცუდ მოგონებებთან დაკავშირებული ადგილია. ის, რაც მათთვის სინწინდეს წარმოადგენდა – ართმევდნენ, 5-6 წლის ბავშვებს ავინყებდნენ ოჯახებს, მათ წარსულს, მათ კულტურას, იმას, რაც მათი იდენტობის ნაწილს წარმოადგენდა. პროცესს ყველა ბავშვი გადიოდა, განურჩევლად სქესისა. მას შემდგომ, რაც სკოლა-ინტერნატებში მოხვდებოდნენ, ბავშვებს მათთვის ყველაზე მნიშვნელოვან და საკრალურს – თმებს – ჭრიდნენ, წინააღმდეგობის შემთხვევაში კი მკაცრად ისჯებოდნენ. თითქოს სირცხვილის გრძნობას აკარგვინებდნენ მას შემდეგ, რაც ყველა ბავშვი ერთდროულად შეყავდათ აბანოებში და აიძულებდნენ ერთმანეთის წინაშე მდგარიყვნენ სამოსის გარეშე.

მათი გარეგნობის შეცვლაში ბოლო შტრიხს სამოსი წარმოადგენდა – ის, რაც მათ სრულიად განარჩევდათ და განასხვავებდათ ევროპელებისგან, ის, რაც მათი იდენტობის ერთ-ერთი ნაწილი იყო. ამას ერთვოდა ისიც, რომ ახალგაზრდა ინდიელ გოგო-ბიჭებს არ ჰქონდათ პირადი სივრცე, სადაც თავს კომფორტულად იგრძნობდნენ. მათ, ყველას ერთ დიდ ოთახში აწვენდნენ, რაც წლების განმავლობაში გრძლდებოდა.

მათი ყოველდღიური რუტინა არასდროს შეცვლილა. დღის მანძილზე ბავშვები სწავლასთან ერთად ლოცულობდნენ, ეწეოდნენ ღვთისმსახურებას, დღის უმეტეს ნაწილს კი „შრომაში“ ატარებდნენ. ამ შრომის გასამართლებლად ასახელებდნენ სულის წვრთნას, რეალურად კი ბავშვები იაფ მუშა-ხელს წარმოადგენდნენ, რომლებიც სკოლის და არა მხოლოდ სკოლის, ყველა საჭიროებას ფარავდნენ.

ინდიელ ბავშვებს აკრძალული ჰქონდათ საკუთარ ენაზე საუბარი, მათი ტომის ენაზე გაუაზრებლად წარმოთქმული სიტყვების თქმისას კი სასტიკად ისჯებოდნენ. არსებობდა სასჯელის რამდენიმე ფორმა: ხელებში ჯოხის დარტყმა, გამათრახება, თანატოლებთან დამცირება, ბნელ ოთახში ჩაკეტვა ან თუნდაც საკვების გარეშე ყოფნა. „გაქცევისთვის სასჯელი განსხვავებული იყო. ერთი ბიჭი დირექტორმა ყველა შეკრებილი მოსწავლის თვალწინ პრინციპულად აიყვანა. ამ კაცს ბო-

როტი ადამიანის რეპუტაცია ჰქონდა. მან ბიჭი დიდი ტყავის მათრახის 10-15-ჯერ დარტყმით დასაჯა. გოგოებს, თუ გაქცევას შეეცდებოდნენ, ხშირად თმის ბოლომდე გაპარსვით სჯიდა. საშინელი იყო. ძალიან მრცხვენოდა. რამდენჯერმე კბილის ჯაგრისით კბილების გახეხვაც მოგვინია“ (Sanderson 2015).

ინდიელი ბავშვები ამ დაწესებულებებში იყვნენ არა განათლების მისაღებად (რომელიც ხარისხით არ გამოირჩეოდა და მხოლოდ საბაზისო ცოდნას ფარავდა), არამედ იმისთვის, რომ მიეღოთ რელიგიური ცოდნა, მომზადებულიყვნენ ფიზიკური შრომისთვის და რაც მთავარია, ამოშლოდათ ტრადიციული „აზროვნება“ და ეგრძნოთ სირცხვილი თავიანთი წარმომავლობის გამო. მოსწავლეთა მოგონებებში, როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითშიც ჩანს, აუხსნელი და გაუმართლებელი სისასტიკეც აღიბეჭდა. არაჰუმანურმა მოპყრობამ: ფიზიკურმა დასჯამ, სიტყვიერმა შეურაცხყოფამ, გონებრივმა სისასტიკემ და სექსუალურმა ძალადობამ, გამოიწვია ტრავმა, რომელსაც ინდიელი ხალხი დღესაც ებრძვის და ცდილობს მისგან გათავისუფლებას.

ბოლო სკოლამ 1996 წლამდე იარსება. ამავე წელს გასაჯაროვდა კომისიის მიერ გამოქვეყნებული მოხსენება: „1998 წელს, კომისიის რეკომენდაციების საფუძველზე და სასამართლო საქმეების გათვალისწინებით, კანადის მთავრობამ საჯაროდ ბოდიში მოუხადა ყოფილ მოსწავლეებს იმ ფიზიკური და სექსუალური ძალადობის გამო, რომლებიც მათ საცხოვრებელ სკოლებში განიცადეს“ (Hanson 2009). ამას მალევე მოჰყვა სპეციალურად ინდიელებისთვის შექმნილი ფონდის დაარსება, რომლის ბიუჯეტიც 350 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა. მთავრობა გეგმავდა, ეს თანხა თერაპიული მკურნალობისთვის გამოეყენებინათ იმ დაზარალებულ ინდიელებზე, რომლებმაც წლები გაატარეს სკოლა-ინტერნატებში და რამაც მძიმე ფიზიკური თუ სულიერი ტრავმა გამოიწვია მათში.

ცნობილია, რომ კანადის სკოლა-ინტერნატებში სულ მცირე 6,000 ბავშვია დაღუპული სხვადასხვა მიზეზით: გრიპით, წითელათი, ტუბერკულოზით. თუმცა, გარდა ამისა, სიკვდილიანობის სხვა მიზეზებიც სახელდება, მაგ.: თვითმკვლელობა, ხანძარი, არასათანადო მოპყრობა. „2008 წლის 11 ივნისს პრემიერ-მინისტრმა სტივენ ჰარპერმა ბოდიში მოიხადა ყოფილი საცხოვრებელი სკოლის მოსწავლეებისთვის ყველა კანადელის სახელით. მან აღიარა, რომ სკოლების უპირველესი დანიშნულება იყო ბავშვების სახლებიდან და ოჯახებიდან გაყვანა, რათა

ასიმილირებულიყვნენ დომინანტ კულტურაში“ (Langevin 1883: 2).

ძალიან დიდი დალი დაასვა აბორიგენებს, მათ კულტურას და თვით-გამორკვევას ე. წ. „Sixties Scoop“¹-ის მოძრაობამ, რომელსაც ადგილი მეოცე საუკუნის სამოციან წლებში ჰქონდა. კანადის ხელისუფლების მიერ გატარებულმა რეფორმებმა, რომლებზეც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, რეზერვაციებში ბუნებრივად გამოიწვია ინდიელთა საზოგადოების ეკონომიკური სიდუხჭირე, სოციალური პრობლემები და სხვა. კანადის ხელისუფლებამ დიდი ყურადღება მიაქცია აბორიგენ ბავშვთა განვითარებას და იმ მიზეზით, რომ რეზერვაციებში ინდიელი ბავშვების რეალიზაცია არ ხდებოდა, ეკონომიკური პირობები და სხვა ფაქტორები არ იძლეოდა ბავშვის სრულყოფილად აღზრდის შესაძლებლობას, ნაცვლად არსებული პრობლემების მოგვარებისა და ინდიელთა მძიმე მდგომარეობის შემსუბუქებისა, კანადის ხელისუფლებამ მასობრივ გაშვილებას მიმართა. რეზერვაციიდან ხდებოდა აბორიგენი, მცირეწლოვანი ბავშვების იძულებით წაყვანა და ქვეყნის გარეთ მათი გაშვილება. მასშტაბებზე რომ ვისაუბროთ, 1951 წლისთვის, ბრიტანეთის კოლუმბიაში² 29 აბორიგენი ინდიელის გაშვილების ფაქტი დაფიქსირდა, მაშინ როცა 1961 წელს იგივე მაჩვენებელი 1,466-ს შეადგენდა. თუკი 1950-იანი წლებისთვის მინდობით აღზრდაში მყოფი კანადელი ბავშვების მხოლოდ 1% იყო ინდიელი, 60-იანი წლებისთვის ეს მაჩვენებელი 33%-მდე გაიზარდა. ბოლო კვლევებით, 1960-1990 წლებში გაშვილებული უნდა იყოს 20 000-ზე მეტი ბავშვი, რაც, ინდიელთა დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით, საკმაოდ დიდი მაჩვენებელია. გაშვილება ძირითად შემთხვევაში კანადის საზღვრებს გარეთ ხდებოდა, ხშირი იყო აშშ-ში გაშვილების ფაქტები. 1990-იან წლებში საკმაოდ გახმაურებულმა სასამართლო საქმეებმა, რომელიც პროვინციული ხელისუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული, ამ ერთგვარ მოძრაობას ბოლო მოუღო. თუმცა იმ მიზეზით, რომ ეკონომიკური მდგომარეობა რეზერვაციებში დღემდე მძიმეა, აბორიგენი ინდიელი ბავშვების პროცენტული რაოდენობა მინდობით აღზრდაში ჯერ კიდევ მაღალია.

სასამართლო პროცესებმა დაადასტურა, რომ კანადის ხელისუფლებას არ უცდია მცირეწლოვანი ბავშვებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა, არ უფიქრია იმ ემოციურ დაღზე, რომელიც მათ ფსიქიკაზე დატო-

1 „Sixties Scoop“ ქართულად შესაძლოა ვთარგმნოთ, როგორც „სამოციანების წმენდა“. დაკავშირებულია დროის პერიოდთან, მეოცე საუკუნის სამოციან წლებთან და გამოხატავს პროცესის მასშტაბურობას.

2 ბრიტანული კოლუმბია (The British Columbia) პროვინცია კანადაში.

ვებდა კვალს. გაშვილება ხდებოდა ბავშვებისთვის უცხო და მიუღებელ გარემოში, საზოგადოებაში, სადაც ისინი მათ მსგავსს ვერ ხედავდნენ. საკუთარ ფესვებს მოწყვეტილები ევროპულ საზოგადოებაში არაეფროპელებად იზრდებოდნენ. იმის გათვალისწინებით, რომ მთელი ეს მოძრაობა ბავშვთა „კეთილდღეობის მიზეზით“ შეიმოსა, აშკარაა, რომ მთავრობას მათ კეთილდღეობაზე დიდხანს არ უფიქრია.

მას შემდეგ, რაც ინდიელთა თემამ აქტუალობა შეიძინა, პრესის წარმომადგენლებმა აქტიურად დაიწყეს იმ ადამიანთა ძებნა, რომლებიც ამ სისტემას გადაურჩნენ. დაზარალებული ადამიანები იხსენებენ და ყვებიან, თუ როგორ დააცილეს ისინი მშობლებს, რა სისტემა მოქმედებდა სკოლებში და რა სახით ისჯებოდნენ, თუ არ დაემორჩილებოდნენ მოცემულ კანონებსა და წესებს. დღესდღეობით, მედიასაშუალებებით ხდება მათი გამოცდილების გაზიარება და ფართო აუდიტორიისთვის გაცნობა. „როცა მან (იგულისხმება და-მარი ბაბტიტი, რომელიც სავარაუდოდ ერთ-ერთი მასწავლებელი უნდა იყოს – მ. ხ., თ. ს.) ჩემს ენაზე ლაპარაკი გაიგონა, ხელები აღმართა და ჯოხი ჩამართყა. ხელებზე ჯერ კიდევ მაქვს მუწუკები და ნაწიბურები. სპეციალური ხელთათმანების ტარება მიწევს, რადგან სიცივეზე ხელები ძალიან მტკივა. ძალიან ვცდილობდი არ მეტირა როცა მცემდნენ და შემეძლო არ ავყოლოდი ჩემს გრძნობებს... და გამიმართლა. ჩემი ასაკის ბევრმა მამაკაცმა თავი მოიკლა, ან ძალადობრივი სიკვდილით დაიღუპა, ან გალოთდა. და ეს არ იყო მხოლოდ ჩემი თაობა. ბებიაჩემისთვის, რომელიც ოთხმოცდაათიანების თაობაა (უნდა იგულისხმებოდეს XIX საუკუნის 90-იანი წლები – მ. ხ., თ. ს.), დღემდე ძალიან მტკივნეულია სკოლაში მომხდარზე საუბარი“ (Kilkenny 2017). გარდა დოკუმენტური სიუჟეტებისა, საკმაოდ ხშირია ამ ტრავმის მხატვრული ფილმებში გადმოცემის შემთხვევებიც. ამ მიზნით შეიქმნა ისეთი ფილმები, როგორებიცაა „Indian Horse“, „We were children“, „Sisters & Brothers“ და სხვა მრავალი. ფილმებში გადმოცემულია ინდიელ ბავშვთა განცდები, როდესაც მშობლებს ძალით აშორებდნენ, როდესაც ერთ სკოლაში მყოფ და-ძმას ერთმანეთს არ ანახებდნენ. ექცეოდნენ არაჰუმანურად, სცემდნენ, აუპატიურებდნენ, რასაც წლების განმავლობაში უყურებდნენ და თავის თავზეც უწევდათ განცდა.

არის თუ არა კანადის ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმები ინდიელების მიმართ განხორციელებული ქმედებები გენოციდი? ამ თემასთან დაკავშირებით მეცნიერებს შორის განსხვავებული აზრები არსებობს. არიან ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ ინდი-

ელთა სკოლა ინტერნატებში განვითარებული მოვლენები არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ინდიელთა გენოციდი და ამას თავისივე არგუმენტებით ხსნიან. მაგალითად, ამას ამტკიცებს ისტორიის დოქტორი ჯიმ მილერი და ამბობს, რომ ადამიანები სრულიად უსაფუძვლოდ ამტკიცებენ და ადანაშაულებენ კანადის ლიდერებს ინდიელთა გენოციდში და მინიმუმ ეს მოსაზრება რომ გამოვთქვათ, გენოციდის მნიშვნელობაზე უნდა შევთანხმდეთ. სიტყვის განმარტებისთვის კი დამადასტურებელ დოკუმენტად ასახელებს და მტკიცებულებად იყენებს 1948 წლის გაეროს კონვენციას, რომელიც განსაზღვრავს გენოციდს, როგორც „ქმედებებს, ჩადენილს ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურების მიზნით“ (Miller 2021). იგი აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმ პოლიტიკისა, რომელიც დამლუპველი აღმოჩნდა ადგილობრივი ინდიელი ბავშებისთვის, არასდროს ყოფილა მიზანმიმართულად განხორციელებული მათი განადგურებისთვის. იმისთვის, რომ გენოციდად ვაღიაროთ ინდიელთა მიმართ გატარებული პოლიტიკა საჭიროა, როგორც განზრახვა, ასევე მტკიცებულებები. დაარსებული სკოლების მიზანი იყო შეეზღუდათ მათი თავისუფლება, შეეცვალათ მმართველობის სისტემა, დაევიწყებინათ და მათში ჩაეკლათ „ინდიელის სული“. მილერის აზრით, ეს სულაც არ ასოცირდება გენოციდთან, რომლის განმარტებადაც მივიჩნევთ მიზანმიმართულ ქმედებას. ამ საკითხს სხვანაირად განიხილავს პოლიტიკური მეცნიერების დეპარტამენტის სრული პროფესორი დევიტ მაკდონალდი. იძულებითი გადაცემის ფორმას ბიოლოგიურ გენოციდად მოიაზრებს და დამადასტურებლად მოჰყავს რაფაელ ლემკინის 1951 წლის დასკვნა, რომ „გენოციდი შეიძლება განხორციელდეს ჯგუფის სრული განადგურებით, ან მისი შვილებისთვის შთამომავლობის, იდენტობის გადაცემისთვის ხელის შეშლით“ (MacDonald 2019: 36). იგი გაეროს გენოციდის კონვენციას მოიაზრებს როგორც კომპრომისს სახელმწიფოებს შორის, რომელთაც ბევრი ცუდი რამ ჩაიდინეს ინდიელებთან მიმართებაში. მაკდონალდი მხარს უჭერს და ემხრობა ინდიელთა წამოყენებულ მოთხოვნებს იმის შესახებ, რომ კანადის მთავრობამ ჩადენილი სისასტიკე გენოციდად აღიაროს (MacDonald 2019: 184). იმ მოსაზრებას, რომ სკოლა ინტერნატებში განხორციელებული მასობრივი სიკვდილი და წამება ინდიელი ბავშვების გენოციდად უნდა შევაფასოთ ამტკიცებს ორგანიზაცია TRC (Truth and Reconciliation Commission of Canada), რომლის საბოლოო მოხსენება სკოლა-ინტერნატების მუშაობას აფასებს როგორც კულტურულ

გენოციდს.

თავად კანადის პრემიერ-მინისტრის, ჯასტინ ტრუდოს (2015 წლიდან დღემდე) მხრიდან, მთელი ეს პროცესი გენოციდად შეფასდა და თუ გავითვალისწინებთ ამ პრობლემის გამოსასწორებლად და აღსაკვეთად გამოყოფილი ორგანიზაციების რაოდენობას და მათ ბიუჯეტს, აშკარაა, რომ კანადის ხელისუფლება „ინანიებს“ დანაშაულს. რთულია გულგრილად შევაფასოთ ინდიელების მიერ გამოვლილი კულტურული ტრავმა. აშკარაა, რომ იძულებით ხდებოდა მათი მეხსიერებიდან აბორიგენობის იდენტობის ამოშლა. მათ უცვლიდნენ სახელებს, რაც ინდიელთა შეხედულებით, მთელი პიროვნების შეცვლის ტოლფასია (Miller 2012), მათ წყვეტდნენ საკრალურ მინას, ოჯახს, ტომს და წინაპართა კულტურას, აშვილებდნენ ქვეყნის საზღვრებს გარეთ, უზღუდავდნენ თვითგამოხატვას, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ უფლებებს. ეს ყველაფერი ხდებოდა მხოლოდ მათი ეთნიკური ჯგუფის გაქრობის მიზნით. ერთადერთი, რაც თითქმის ორსაუკუნოვანმა მცდელობებმა მოუტანა კანადის სახელმწიფოს, არის დიდი გაუცხოება აბორიგენ მოსახლეობასა და „ევროპელ მიგრანტებს“ – კანადელებს შორის. სამწუხაროდ, ხელისუფლების მიერ გამოცხადებული საჯარო ბოდიში და „მორალური ზარალის ასანაზღაურებელი ბიუჯეტი“ წარსულს არ ცვლის. რაც შეეხება გენოციდს, ისტორიოგრაფიაში თუ თანამედროვე მედიაში ბევრისთვის რთულია ჰოლოკოსტის მასშტაბის მქონე გამოცდილების შემდეგ ინდიელთა წინააღმდეგ მიმართულ რეფორმებს გენოციდი ეწოდოს. შესაძლოა, ხელისუფლების მიზანი არ ყოფილა ეთნიკური უმცირესობის უმოწყალოდ ამოხოცვა, მაგრამ მათი იდენტობის ნაშლა, ჩვენი აზრით, დაახლოებით იგივე ზარალის მომტანი უნდა ყოფილიყო. კულტურული გენოციდი, თუ უბრალოდ დისკრიმინაცია, არ ცვლის იმ ფაქტს, რომ ინდიელთა თვითგამოხატვა, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობა, საუკუნოვანი ინტეგრაციის შემდეგაც კი საკმაოდ მძიმეა.

საბოლოო ჯამში უნდა ითქვას, რომ კანადის ხელისუფლების მიერ გატარებულმა რეფორმებმა ვერ შეძლო აბორიგენებისა და ევროპული მოსახლეობის ინტეგრაცია. პირიქით, მიზანმიმართული, რეპრესიული რეფორმებით მხოლოდ უმცირესობის გარიყვა, მათი ეკონომიკური დამოკიდებულება და კულტურული ტრავმა გამოიწვიეს, რომელიც დღემდე დიდ დალად აქვთ დასმული კანადის სახელმწიფოში მცხოვრებ აბორიგენებს.

მოცემული სტატია ჯეროვნად ეხება ინდიელთა მდგომარეობას კანა-

დაში. თითოეულ რეფორმაზე შესაძლებელია ცალკე ნაშრომის დაწერა. უდავოდ ძალიან საინტერესო საკითხია აბორიგენების სოციალურ-კულტურულ მდგომარეობაზე, სკოლა ინტერნატებისა თუ ჩაკეტილი რეზერვაციების გამოცდილებაზე მსჯელობა, კანადის თვითმყოფადობაში ინდიელთა როლი და ზოგადად ინდიელთა იდენტობა თანამედროვე ეპოქაში, თუმცა მოცემული ფორმატი ამის შესაძლებლობას არ იძლევა. დიდ იმედს ვიტოვებთ, რომ საკითხი დაინტერესებას გამოიწვევს და მის ირგვლივ ფართო და კრიტიკულ დისკუსიას დაუდებს სათავეს.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

- ▶ Barron 1988: Barron Laurie F., The Indian Pass System in the Canadian West, 1882-1935, Department of Native Studies University of Saskatchewan, 1988;
- ▶ Blackstock, Clarke, Cullen... 2004: Cindy Blackstock, Sarah Clarke, James Cullen, Jeffrey D'Hondt, Jocelyn D'Hondt, Keeping the Promise The Convention on the Rights of the Child and the Lived Experiences of First Nations Children and Youth, First Nations Child and Family Caring Society of Canada, 2004;
- ▶ Davis 2021: Wynne Davis, The Remains Of 215 Indigenous Children Have Been Found At A Former School In Canada, 2021. ხელმისაწვდომია <https://www.npr.org/2021/05/29/1001566509/the-remains-of-215-indigenous-children-have-been-found-at-a-former-school-in-can> ბოლოს დამონმებულია 29.05.2022;
- ▶ Graham 1997: Elizabeth Graham, The mush hole: life at two Indian residential schools, Waterloo, Ontario, Waterloo, Ont. : Heffle Pub.,1997;
- ▶ Hanson 2009: Erin Hanson, The Residential School System, 2009. ხელმისაწვდომია <https://indigenousfoundations.web.arts.ubc.ca/residential-school-system-2020/> ბოლოს დამონმებულია 05.05.2022;
- ▶ Indian Act 2006: ხელმისაწვდომია <https://thecanadianencyclopedia.ca/en/article/indian-act> ბოლოს დამონმებულია : 24.03.2022;
- ▶ Kerstetter 1995: Todd Kerstetter, Lost Harvests: Prairie Indian Reserve Farmers and Government Policy by Sarah Carter, Great Plains Research Vol. 5, No. 1 (February 1995), pp. 164-166 (3 pages) Accessed 19 Apr. 2022;
- ▶ Kilkenny 2017: Carmel Kilkenny, Residential school apology coming for NL, 2017. ხელმისაწვდომია <https://www.rcinet.ca/en/2017/08/11/residential-school-apology-coming-for-newfoundland-and-labrador/> ბოლოს დამონმებულია 19.04.2022
- ▶ Langevin 1883: Hector Langevin, They came for the children: Canada,

Aboriginal peoples, and residential schools. Public Works Minister of Canada, 1883.

- ▶ MacDonald 2019: MacDonald David B., *The Sleeping Giant Awakens: Genocide, Indian Residential Schools, and the Challenge of Conciliation*, Toronto Buffalo London, University of Toronto Press, 2019;
- ▶ Miller 2012: *Residential Schools in Canada*: ხელმისაწვდომია <https://thecanadianencyclopedia.ca/en/article/residential-schools>. ბოლოს დამოწმებულია 5.10.2021
- ▶ Miller 2017: Miller J. R., *Residential Schools and Reconciliation: Canada Confronts Its History*, Toronto, University of Toronto Press, 2017;
- ▶ Miller 2021: Miller J. R., *Genocide, Macdonald and Canadian History*, 2021; ხელმისაწვდომია <https://nationalpost.com/opinion/j-r-miller-genocide-macdonald-and-canadian-history> ბოლოს დამოწმებულია 08.02.2022
- ▶ Nestor 2018: Nestor Rob, *Pass System in Canada*, 2018. ხელმისაწვდომია <https://www.thecanadianencyclopedia.ca/en/article/pass-system-in-canada> ბოლოს დამოწმებულია 16.05.2022;
- ▶ Niessen 2017: Niessen Shuana, *Shattering the Silence: The Hidden History of Indian residential schools in Saskatchewan*. Regina, SK: Faculty of Education, University of Regina, 2017.
- ▶ Parrott 2014: Parrott Zach, *Government Apology to Former Students of Indian Residential Schools*, 2014. ხელმისაწვდომია <https://www.thecanadianencyclopedia.ca/en/article/government-apology-to-former-students-of-indian-residential-schools>. ბოლოს დამოწმებულია 31.03.2020
- ▶ Regan 2010: Regan Paulette, *Unsettling the Settler Within*, Vancouver, Canada, The University of British Columbia, 2010.
- ▶ Sanderson 2015: Sanderson Geraldine, „Running Away“, 2015. ხელმისაწვდომია <https://allaboutresidentialschools.weebly.com/personal-stories.html> ბოლოს დამოწმებულია 26.02.2015.
- ▶ Sinclair, Dainard 2016: Niigaanwewidam James Sinclair, Sharon Dainard, *Sixties Scoop*, 2016. ხელმისაწვდომია <https://www.thecanadianencyclopedia.ca/en/article/sixties-scoop> ბოლოს დამოწმებულია 17.02.2021
- ▶ Swidrovich 2004: Cheryl Marlene Swidrovich, *Positive Experiences of First Nations Children in non-Aboriginal Foster or Adoptive Care: De-Constructing the „Sixties Scoop“* University of Saskatchewan Saskatoon, 2004.

**THE CONDITIONS OF THE FIRST NATION IN CANADA - THE
CULTURAL GENOCIDE OR THE DISCRIMINATION
(SUMMARY)**

The politic, guided by the government of Canada, which is represented by residential schools, the Indian act, etc is the subject we deem to discuss with this article. The process which happened in the XIX-XX centuries is still active today. People who face discrimination and who were the victims of the regime are still alive and are still trying to process the trauma they had.

The literature in the Georgian language is unavailable and because of that, the subject is unknown to Georgian readers. Our article tries to inform Georgian society about the historical past of the First Nations in Canada, discuss what positive or negative results the policy had, and discuss if it's possible to declare Canadian government reforms as a Genocide such as Holocaust, Holodomor, etc.

The enfranchisement process became a trauma for the first nations. The government tried to transform, and change indigenous people's habits. Helping from the church made it possible to hold the reforms such as The Indian Act, residential schools, Reserves, and the Pass system.

ახალი მასალები 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების შესახებ

საკვანძო სიტყვები: ანტისაბჭოთა აჯანყება, 1924 წლის აჯანყება, პარიტეტული კომიტეტი, დამოუკიდებლობის კომიტეტი, რეპრესიები, საქართველოს ოკუპაცია, სოციალური მდგომარეობა სოფლებში

Keywords: Anti-soviet uprising, the 1924 uprising, parity Committee, independence committee, repressions, Occupation of Georgia, social condition in the villages

XIX-XX საუკუნეების საქართველოს ისტორიის მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი 1. რუსულ ენაზეა შესრულებული და 2. ისინი რუსეთში ინახება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ამ მასალების მოძიება, თარგმნა და ქართულ სამეცნიერო სივრცეში შემოტანა.

დანაწილებით უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონულ სისტემებში მასალების განთავსებითა და მათი ხელმისაწვდომობით რუსული სამეცნიერო სივრცე ბევრად აღემატება ქართულს. ერთ-ერთ საიტზე სხვადასხვა ინფორმაციების ძიებისას ჩვენ გადავანყდით ცნობებს, რომლებიც საქართველოში 1921-1924 წელს შექმნილ ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე გვანვდის ინფორმაციას. გადავწყვიტეთ, ეს წყაროები გვეთარგმნა, შესაბამისი მსვლელობა მიგვეცა და გამოგვექვეყნებინა. ამჯერად მხოლოდ 1924 წლის აჯანყებას შევხებით.

იმ მიზნით, რომ აჯანყება არა მხოლოდ ჩვენი, არამედ უშუალოდ ცენტრალური ხელისუფლების თვალდანაც შევაფასოთ, ეს მასალები დიდ მნიშვნელობას იძენს. ისტორიკოსი ბონდო კუპატაძე თავის სტატიაში „ბოლშევიკური ხელისუფლება და ქართული საზოგადოება 1924 წლის აჯანყების დროს“ რამდენიმე მთავარ აქცენტს სვამს, ერთ-ერთი შემდეგი სახისაა: „რამდენად იყო ინფორმირებული ბოლშევიკური ხელისუფლება აჯანყების და მისი მასშტაბების შესახებ?“ (კუპატაძე 2016: 183). ჩვენ მიერ მიკვლეული დოკუმენტებით ირკვევა, რომ აჯანყების მსვლელობისას ამიერკავკასიიდან სისტემატურად აგზავნიდნენ ცნობებს პირადად იოსებ სტალინთან, ზოგიერთ შემთხვევაში კი განზრახ ან უნებლიეთ მცდარი ფაქტებით. ზოგჯერ ვხვდებით აჯანყებისას წარმოებული დახვრეტების ცნობის დამალვას, რის ახსნასაც ჩვენ ქვე-

მთ შვეცდებით. ხსენებულ დოკუმენტებს ჩვენ აჯანყების მსვლელობის ქრონოლოგიის პარალელურად გავყვებით და შესაბამისად განვიხილავთ.

მასალები პირველად 2000 წელს გამოქვეყნდა კრებულში „СОВЕТСКАЯ ДЕРЕВНЯ ГЛАЗАМИ ОГПУ – Документы и материалы“, ტ. 2. 1923-1929.¹ ქართულ რეალობაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველად ის ჩვენ შემოგვაქვს.

ზოგადად, საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი სწორედ 1921 წლის თებერვალ-მარტის ოკუპაციას უკავია, მასთან ერთად კი ოკუპაციასთან და ფაქტობრივ ანექსიასთან ქართველი ხალხის შეურიგებელ ბრძოლას. „საქართველოში ანტიბოლშევიკური სახალხო განწყობილება იმ წუთიდანვე გახდა საგრძნობი, რა წუთიდანაც რუსულმა ჯარმა ტფილისში შემოდგა ფეხი“ (კირთაძე 1996: 25). პირველი გამოსვლა სვანეთში დაიწყო და საქართველოს მთიანეთში (განსაკუთრებით კი აღმოსავლეთის) პერმანენტული გამოსვლების სახე მიიღო. ამასთან ოკუპაციის პირველივე დღეებიდან საქართველოს „სოფელ-ქალაქებში თითქმის პერმანენტულად მიმდინარეობდა სხვადასხვა სახისა და ფორმის საპროტესტო მოძრაობა... ამ ინტენსიური მოძრაობის ყველაზე აქტიურ ძალას ქმნიდნენ მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდები, ინტელიგენცია, მუშები და სოფლის გლეხური და წვრილბურჟუაზიული მოსახლეობა... (შველიძე 2016: 38).

ხსენებულ პერიოდში ანტისახელმწიფოებრივი ბრძოლის ყველაზე ნათელი დადასტურება კი 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყებაა. წლების მანძილზე ის მრავალი მეცნიერის კვლევის ობიექტი გამხდარა და საკითხით დაინტერესება დღესაც გრძელდება (კირთაძე 1996; ბენიძე 1991; დვალისვილი 2006; ჭიქია 2012; ჭიქია 2012ა; ბერიშვილი 2013; ვადაჭკორია 2016 და სხვა).

აჯანყება, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იგეგმებოდა და მისი დაწყების თარიღიც რამდენჯერმე შეიცვალა, საბოლოოდ 28 აგვისტოს, ქიათურაში დაიწყო და ეს მაშინ, როდესაც შეთანხმებისამებრ ის 29 აგვისტოს უნდა დაწყებულიყო.

თითქმის ყველა დოკუმენტიდან ჩანს, რომ აჯანყების წინაპერიოდის განმავლობაში საბჭოთა სტრუქტურებმა აჯანყების მეთაურთა თითქმის

1 „საბჭოთა სოფელი გსპს-ის თვალთ, დოკუმენტები და მასალები“. ОГПУ – Объединённое государственное политическое управление (გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამართველო) – მის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა კონტრრევოლუციასთან, შპიონაჟთან და ბანდიტიზმთან ბრძოლა.

ყოველი ნაბიჯი იცოდნენ: „შეიარაღებული აჯანყების მზადების შესახებ საქართველოს საგანგებო კომისიას ინფორმაციები 1924 წლის ადრე გაზაფხულზე გააჩნდა“ (ენდელაძე 2004: 5, 5-14; აგრეთვე იხ.: კუპატაძე 2016: 183-206). ამავსე აღნიშნავდა სერგო ორჯონიკიძე ცკ პლენუმზე: „...მენშევიკების გამოსვლის შესაძლებლობა ჩვენთვის მოულოდნელი არ ყოფილა. როგორც პარტიული, ისე საგანგებო კომისიის ხაზით, ყოველთვის გვქონდა ცნობები, რომ მზადდებოდა გამოსვლები“ (1924 წლის ოქტომბერი 1990: 11). ამ ფრაზიდან ისიც იკვეთება, რომ „ჩკ“ და კპ ცენტრში ცალ-ცალკე აგზავნიდნენ ინფორმაციებს. საბჭოთა უწყებებისთვის, არც გამოსვლის ზუსტი თარიღი ყოფილა უცხო. 27 აგვისტოს „საქჩეკას“ თავმჯდომარე ეპიფანე კვანტალიანი „პირდაპირი სატელეფონო ხაზით, დაშიფრული ტექსტით ადგილობრივ ორგანოებს გადასცემს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ უტყუარი მონაცემებით, ანტისაბჭოთა პარტიებს განზრახული აქვთ შეიარაღებული გამოსვლის მოწყობა ღამით 28-29 ან 29-30 აგვისტოს და ავალეხს დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები ყოველგვარი მცდელობის აღკვეთის მიზნით...“, შეინარჩუნონ სიმშვიდე, ხოლო დაშიფრული ინფორმაციები ყოველდღიურად, დღეში სამჯერ, მიანოდონ მაზრის უფროსს. 28 აგვისტოს კი კვანტალიანი ყველა „პოლიტიბუროს“ უფროსს უგზავნის შეტყობინებას ღამის 2 საათზე მოსალოდნელი გამოსვლის შესახებ და ნებას რთავდა, რომ ჩაეტარებინათ მასობრივი ღონისძიებები (ენდელაძე 2004: 14-15).

ჩვენ მიერ მიკვლეული დოკუმენტები მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ აჯანყება მაშინათვე ავანტიურადაა მონათლული, ეს კი იმითაა საინტერესო, რომ შემდეგში „საბჭოთა ხელისუფლებამ 1924 წლის აჯანყების მასშტაბურობით გამოწვეული „უხერხულობის“ თავიდან ასაცილებლად ... საკითხს ტაბუ დაადო და ის ე. წ. „აკრძალულ“ თემათა რიცხვს მიაკუთვნა. საბჭოთა ისტორიოგრაფიამ კი აჯანყება, საბჭოთა ხელისუფალთა დაკვეთით, „ავანტიურად“ მონათლა (ჯიქია 2012: 4).

28 აგვისტოს ღამით ქალაქ ჭიათურის დაკავების შემდეგ ჩამოყალიბდა დროებითი ხელისუფლება, რომელსაც გიორგი წერეთელი ჩაუდგა სათავეში. როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, ჭიათურაში შეიარაღებული აჯანყების დაწყების შესახებ მალევე გაუგზავნიათ შიფრტელეგრამა ბაქოში, ერევანსა და როსტოვში (ენდელაძე 2004: 15).

ჩვენ მიერ მიკვლეულ დოკუმენტებში პირველი შიფროგრამა 30 აგვისტოთი თარიღდება და სერგო ორჯონიკიძე სტალინს აჯანყების შესახებ ატყობინებს, თუმცა სიტყვა „აჯანყება“/„ამბოხება“ ნახსენები

არაა, გამოიყენება „გამოსვლა“. ამასთან, ასლები დაეგზავნათ მიხაილ ვ. ფრუნზესა და ვიაჩესლავ რ. მენჟინსკის.¹

„გუშინ გამთენიისას რამდენიმე ათეული ადამიანისგან შემდგარი ბანდა თავს დაესხა ჭიათურას და განაიარაღა რა ჩვენები, დაიკავა ის. დღეს დილით ადრე ბანდა განდევნილ იქნა ქალაქიდან. დღესვე თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით დაიწყო ყოფილ სახალხო გვარდიელთა და მენშევიკთა ცალკეულ ჯგუფთა გამოსვლები, რომლებიც გაძლიერებულად ემზადებიან თბილისზე თავდასხმისათვის. ღონისძიებები ლიკვიდაციისთვის უკვე მიღებულია. უფრო დეტალურად ხვალ“ (Советская деревня... 2000: 237).

ის, რომ აჯანყებულებისთვის მთავარი სამიზნე დიდი ქალაქები, განსაკუთრებით კი თბილისი იქნებოდა, უცნობი, როგორც ამ შიფროგრამიდანაც ჩანს, არც საბჭოთა სტრუქტურებისთვის ყოფილა. ამასთან, ის ინფორმაციაც, რომ აჯანყებულები დილით ადრევე იქნენ განდევნილი, სიმართლეს უნდა შეესაბამებოდეს. ჭიათურის დროებითმა მმართველობამ 29 საათი იარსება და 29 აგვისტოს დილის 9 საათზე ქალაქი დაკარგულ იქნა (ენდელაძე 2004: 16).

სამწუხაროდ, დაპირებულ „ხვალინდელ“ შიფროგრამას ვერ მივაკვლიეთ და მომდევნო შიფროგრამა უკვე 2 სექტემბრითაა დათარიღებული, გამგზავნი და ადრესატი იგივეა. ამასთან, ეს შიფროგრამა უფრო მეტად ინფორმაციულია.

„გამოსვლამ, დაწყებულმა 28 აგვისტოს ჭიათურაში და ლიკვიდირებულმა 29 აგვისტოს დილას, კომუნართა 40 კაციანი რაზმის მიერ,² 29 აგვისტოს ოზურგეთის მაზრა თითქმის მთლიანად მოიცვა. ქალაქი ჩვენ გვრჩებოდა. გამოსვლების ხასიათი ჩვენთან, ისევე როგორც სხვა ადგილებში, ასეთია: მენშევიკთა ჯგუფები 5-დან 30 კაცამდე თავს ესხმოდნენ ხელისუფლების ორგანოებს, ანაირადებდნენ ჩვენს ამხანაგებს, მათ ადგილზე კი თავიანთ ხალხს აყენებდნენ. ასეთი თავდასხმებით 29 აგვისტოს აღებულ იქნა ახალი სენაკი³ და ზუგდიდი. ეს უკა-

1 მიხაილვასილისძე ფრუნზე (1885-1925) – ОГПУ ხელმძღვანელი გარდაცვალებამდე, ვიაჩესლავ რუდოლფის ძე მენჟინსკი (1874-1934) – პოლონური წარმოშობის რუსი რევოლუციონერი. ფრუნზეს გარდაცვალების შემდეგ სათავეში ჩაუდგა (აგრეთვე გარდაცვალებამდე) ОГПУ-ს.

2 აქ გვინდა ერთი განმარტების გაკეთება. თავდაპირველად 40-კაციანი რაზმით შორაპნიდან ჭიათურაში მართლაც შეიჭრნენ ლობჯანიძე, თავბერიძე, მარქაროვი და რუბენი, თუმცა მათ მალევე წამოეშველნენ ქავთარაძე ჩეკისტების რაზმით და ტალახაძის 6 მზვერავი. ამასთან მათ დახმარებას ავიაციაც უწევდა (ენდელაძე 2004: 15-16), რომელიც აჯანყებულთ თავიდან თავიანთ მხარეს მებრძოლი ეგონათ.

3 თანამედროვე სენაკის რაიონი. რკინიგზის სადგურთან გაჩენილ დასახლებას ახალი სენაკი უწოდეს, რომელიც შემდეგში რაიონული ცენტრი გახდა.

ნასკნელი განთავისუფლებულ იქნა მეორე დღესვე კომუნარტა რაზმის მიერ აფხაზეთიდან, ხოლო ახალი სენაკი – 31 აგვისტოს. ქუთაისისა და შორაპნის მაზრებში აგრეთვე იყო ცალკეული გამოსვლები, მაგრამ უმნიშვნელო, გორის მაზრაში მხოლოდ სოფელ კავთისხევში, თბილისის მაზრაში ხუთ სოფელში, თანაც აქ, საღამოს, გამოსვლა ყველა სოფელში ლიკვიდირებული იყო. სოფლებში მონაწილეობას იღებდა 3-დან 10-მდე ადამიანი. აღმასკომმა დატოვა ზემო სვანეთი. საქართველოს დანარჩენ ნაწილში არანაირი გამოსვლა არ ყოფილა. პარიტეტული კომიტეტი აჯანყებისკენ მოწოდებით გამოვიდა. 29-30 აგვისტოს მოსალოდნელი იყო გამოსვლა თბილისში, მაგრამ მიღებული ღონისძიებების წყალობით ის თავიდან იქნა აცილებული. მოცემულ მომენტში ავანტიურა ლიკვიდირებულად უნდა ჩაითვალოს. დარჩენ ცალკეული ბანდები, რომლებიც გაიფანტნენ საქართველოს მთიანი ნაწილის ტყეებში, მუამბოხეთა ძირითადი ბირთვი მენშევიკები, ყოფილი დიდებულ-თავადები, უმთავრესად, ოფიცრობაა.

გლახობა აჯანყებაში, მცირე გამონაკლისის გარდა, ჩართული არ ყოფილა. მუშები სრულიად მენშევიკების წინააღმდეგ არიან. პარიტეტული კომიტეტი თავის მოწოდებებში მიუთითებდა, რომ აზერბაიჯანი, სომხეთი, ჩრდილოეთ კავკასიის მთიელები აჯანყდნენ და რომ ევროპა მათ დასახმარებლად მოდის. ჩვენი მხრიდან მიღებულია ყველაზე გადამწყვეტი ღონისძიებები ლიკვიდაციისთვის“ (Советская деревня... 2000: 237-238).

ჩვენ ხელთ მოგვეპოვება 2 სექტემბრით დათარიღებული კიდეც ორი შიფროგრამა. ერთ-ერთის ავტორი ა. ფ. მიასნიკოვია, რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის¹ მდივანი, ადრესატი კვლავაც უცვლელი – იოსებ სტალინი.

„უკანასკნელი მოვლენები საქართველოში წარმოიშვა 28 აგვისტოს 4 საათზე მენშევიკთა ბანდის მიერ ჭიათურის ხელისუფლების ხელში ჩაგდებათ. ჭიათურა ერთი დღის შემდეგ უკან დავიბრუნეთ. ჭიათურის მსგავსად, ნახევრადშეიარაღებული ბანდების გამოსვლები 29, 30 და 31 აგვისტოს მოხდა ახალ სენაკში, ზუგდიდში, გურიაში, შორაპნისა და ქუთაისის მაზრების ნაწილში და თბილისისა და გორის მაზრების ზოგიერთ სოფელში. 28 აგვისტოს თბილისიდან მაზრებისაკენ გადაჭი-

1 ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი შეიქმნა 1922 წლის თებერვალში, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციების პირველ ყრილობაზე. 1922-1926 წლებში ამიერკავკასიისა და ჩრდილოკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი იყო სერგო ორჯონიკიძე.

მული მრავალი სატელეგრაფო მავთული გადაიჭრა, მაგრამ კავშირი რამდენიმე საათის შემდეგ აღდგენილ იქნა. 29 აგვისტოს სამტრედია-სთან ახლოს, ბათუმისკენ მიმავალმა მატარებელმა ვერ შეძლო გავლა, მაგრამ ამ გზაზე მოძრაობა მალევე იქნა აღდგენილი. ამ დროისათვის გამოსვლა საყოველთაოდ ლიკვიდირებულია არმიის ნაწილებისა და შეიარაღებული კომუნარების, ნაწილობრივ მოსახლეობის, ძალებით. გამოსვლები, უმეტეს შემთხვევებში, როგორც კახეთსა და გურიაში, ბუტაფორიულ ხასიათს ატარებდა და მცირე ავანტიურის ფორმა ჰქონდა. მუშები მონაწილეობას არ იღებდნენ. გლეხები ზოგან ნეიტრალურად იყვნენ, ზოგან კი ბანდიტებს უთანაგრძნობდნენ. გამოსულები შედგებოდნენ ყოფილი ოფიცრებისგან, დიდებულებისგან, თავადებისგან, აგრეთვე ინტელიგენტებისგან.

ბანდიტებმა წინასწარვე გაავრცელეს ქორი თბილისის დაცემაზე, ინგლისელთა დესანტსა და მენშევიკური მთავრობის ჩამოსვლაზე. გამოსვლა მოსალოდნელი იყო აგრეთვე თბილისში, სადაც ჯერ კიდევ სიმშვიდეა. მუშათა მასებისა და კომუნარების განწყობა მტკიცე და ურყევია...“ (Советская деревня... 2000: 238).

როგორც ზემოთ ვნახეთ, შორაპნის გამოსვლა „უმნიშვნელოდ“ არის მოხსენიებული, თუმცა რეალობა სულ სხვანაირია. შორაპნის მაზრაში აჯანყების ჩახშობა დაევალა ამიერკავკასიის კონტრდაზვერვის განყოფილებისა და საქართველოს მთავარი პოლიტსამმართველოს განყოფილების უფროსს ტიტე ლორთქიფანიძეს, საგანგებო „სამეულის“ ბრძანებით კი სადგურ „ყვირილასთან“ ვაგონებში ჩაკეტილი 100-150 ადამიანი ჩაცხრილეს (ენდელაძე 2004: 18).

გარდა ამისა, შიფროგრამებში ისეა გამოყვანილი, თითქოს აჯანყებას არ აქვს საერთო-ეროვნული ხასიათი და ლოკალურია, თანაც თითქოს მასში მხოლოდ მოსახლეობის ზედა ფენები იღებენ მონაწილეობას. არადა, როგორც ქვემოთ სხვა დოკუმენტებიდან წარმოვადგენთ (თავად საბჭოთა უწყებების შექმნილ), სულ სხვა სურათს შევხვდებით.

ვიდრე გავაგრძელებდეთ, ქრონოლოგიური ჯაჭვის შესანარჩუნებლად მოვიყვანთ შემდეგ პასაჟს. 31 აგვისტოს გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც დაადგინა: „1) ქალაქ თბილისის პარტიულ ორგანიზაციაში მობილიზაციის გამოცხადება და ყაზარმულ მდგომარეობაზე გადაყვანა; 2) თბილისის კომიტეტებთან და რაიკომებთან „დამრტყმელი სამეულების“ შექმნა; 3) ზეპირი და წერილობითი აგიტაციის გაძლიერება

მოსახლეობაში მიმდინარე ვითარების განმარტების მიზნით; 4) პრესის ორგანოების ხელმძღვანელების მხრიდან ზომების მიღება 2 სექტემბერს გაზეთების აუცილებლად გამოშვება; 5) თბილისის კომიტეტთან „დამრტყმელი სამეულის“ კახიანის, ლოლობერიძის, ივანოვ-კავკაზსკის შემადგენლობით შექმნა“ (ენდელაძე 2004: 22).

აღნიშნული მობილიზებაც ცხადყოფს, რომ საქმე არც ისე მარტივად უნდა ყოფილიყო, როგორც შიფროგრამებში წარმოაჩენდნენ.

2 სექტემბერს კიდევ ერთი შიფროგრამა გვაქვს, ავტორიცა და ადრესატიც უცვლელია, თუმცა ამჯერად საუბარი აღმოსავლეთ საქართველოზეა.

„ჩვენ მიერ დევნილი ჩელოყაევის 50 კაციანი ბანდა,¹ დღეს ხუთ საათსა და 30 წუთზე თავს დაესხა დუშეთს, მაგრამ შეხვდა რა ადგილობრივი კომუნარების მკვეთრ დარტყმას, შვიდ საათსა და 30 წუთზე განდევნილ იქნა და მიიმალა დუშეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. ბანდას ჩვენი კავალერია მიჰყვება.

დღეს საღამოს მცხეთასთან, შიო მღვიმის მონასტერში,² აღმოჩენილ იქნენ პარიტეტული კომიტეტის მეთაურები, რომელთა თავმჯდომარე – ანდრონიკოვი და წევრი – ი[ა]სონ ჭავახიშვილი – ჩვენ მიერ აყვანილ და ადგილზე დახვრეტილ იქნენ.

დღეს თბილისში მუშები და მშრომელები დემონსტრირებდნენ მენ-შევიკების წინააღმდეგ და უცხადებდნენ თავის სოლიდარობას საბჭოთა ხელისუფლებას, დემონსტრაცია შთამაგონებელი იყო: მასში მონაწილეობდა დაახლოებით 25 ათასი მუშა, ამასთან სარკინიგზო საოსტატოები – უკანასკნელ ადამიანამდე.

სხვა დანარჩენი უცვლელია“ (Советская деревня... 2000: 238-239).

აღნიშნულ შიფროგრამაში რამდენიმე მომენტს უნდა მივაქციოთ ყურადღება. ჯერ ერთი, რომ კონსტანტინე ანდრონიკაშვილი და იასონ ჭავახიშვილი არ დაუხვრეტიათ, ისინი 1925 წელს გაასამართლეს (ჭიქია 2012: 216-221; ჭიქია 2012ა). თუმცა მათ დაუხვრეტელობას შემდეგი შიფროგრამებიდანაც ვიგებთ. ამასთან, იასონ ჭავახიშვილი არა უბრალოდ წევრი, არამედ კომიტეტის მდივანი იყო. გარდა ამისა, ისტორიკოსები ლევან ჭიქია და დიმიტრი შველიძე ჭავახიშვილისა და ანდრონიკაშვილის დაკავების თარიღად 3 სექტემბერს ასახელებენ (ჭიქია 2012:

1 ტექსტში წერია банда Челокаева. ცხადია იგულისხმება ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მისი შეფიცულთა რაზმი.

2 ტექსტში ვხვდებით შემდეგნაირად: „в Жюгвинском монастыре, что около Ицхета“...

202; შველიძე 2021: 128), ნესტან კირთაძე კი 4 სექტემბერს (კირთაძე 1996: 180). მათი დაპატიმრების თარიღად 4 სექტემბერს აგრეთვე ასახელებს სერგო ორჯონიკიძე 1924 წლის ოქტომბერში გამართულ პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში (1924 წლის ოქტომბერი 1990: 11).

განსაკუთრებით საინტერესოა აგრეთვე ორი სექტემბერის შიფროგრაფია, რომელიც ცენტრიდან, სტალინის მიერ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტში გამოიგზავნა და წინა შიფროგრამების პირდაპირ პასუხად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

„გადმოიცემა პოლიტბიუროს 2 სექტემბრის დადგენილება: „ცკ-მა სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს (სპს) ორგანოებისგან შემთხვევით გაიგო, რომ საქართველოში არასასიკეთო მდგომარეობაა. ხომერიკი, ჩიკვიშვილი¹ მისჯილნი არიან დახვრეტას, რომ არის განაჩენი 25 მენშევიკისა და ეროვნულ-დემოკრატიის დახვრეტის შესახებ. შემთხვევით გაიგო 182 ადამიანის დახვრეტის შესახებ. შინსახკომის სპს-სა და რესპუბლიკის სამხედრო რეოვოლუციური საბჭოს ორგანოებისგან სრულიად შემთხვევით გავიგეთ საქართველოში რიგი პუნქტების დაკარგვისა და მახარაძის, სტურუას, დოლიძის, რუბენისა და სხვების ტყვედ ჩავარდნის შესახებ. ცკ-ის რიგი შეკითხვებისა და მოთხოვნების მიუხედავად, ამიერკავკასიის რაიონული კომიტეტი დუმს, ინფორმაციას არ გვანვდის. ცკ ასეთ მდგომარეობას აუტანლად თვლის. საქართველოში მიმდინარე მოვლენებს მნიშვნელოვანი საერთოპოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ცკ ითხოვს რა აჯანყების ჩახშობისთვის გადამწყვეტ მოქმედებებს, კატეგორიულად უარყოფს დაკავებულთა მასობრივი დახვრეტის პოლიტიკას. ცკ მოითხოვს ამიერკავკასიის ჩეკას გადამწყვეტილებებით დახვრეტის შეწყვეტას. ცკ ამიერკავკასიის რაიონული კომიტეტისგან მოითხოვს სრულ, ობიექტურ, სისტემატიურ ინფორმაციას და მისი მუშაობის გეგმის წარმოდგენას უახლოესი დღეების შესახებ აჯანყებასთან დაკავშირებით. საერთო საბჭოური პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხების თვითნებურად გადამწყვეტა ამიერკავკასიის ჩეკასა და ამიერკავკასიის რაიონული კომიტეტის მიერ დაუშვებელია“ (Советская деревня... 2000: 239).

როგორც ამ შიფროგრამიდან ჩანს, ცენტრმა თითქოს არ იცოდა დახვრეტების შესახებ, არადა, 31 მარტს საქართველოს საგანგებო კომისიის კოლეგიამ განაცხადა: „... უკანასკნელ დღეებში მომხდარმა მოვლენებმა, როდესაც მენშევიკმა ბანდიტებმა თავადებთან, აზნაუ-

¹ ნოე ხომერიკი - დააპატიმრეს 1923 წლის 9 ნოემბერს.

ბენია ჩიკვიშვილი - დააპატიმრეს 1924 წლის 25 ივლისს.

რებთან, გენერლებთან, ვაჭრებთან ერთად (ჩამოთვლილია თითქმის ყველა შესაძლო ფენა გარდა გლეხებისა და მუშებისა – ნ. ს.) მოახდინეს შეიარაღებული გამოსვლა..., დაგვანახა, რომ კონტრრევოლუციონერთა გამოსდომებს ზღვარი არა აქვთ; რომ იმ დამნაშავე პირთა მიმართ, რომელნიც მშრომელ მასებს ითრევენ სისხლიან ავანტურაში, პროლეტარული ხელისუფლების ორგანოების მხრივ მხოლოდ უმკაცრესი სასჯელის განხორციელებას ძალუძს ააცდინოს ქვეყანას მსგავსი უაზრო მცდელობების განმეორება...“ რის შემდეგაც საგანგებო კომისიამ დაადგინა, რომ „მუშურ-გლეხური ხელისუფლების შეურიგებელი მტრები დასჯილ იქნენ უმაღლესი ზომით – დახვრეტით“ (ენდელაძე 2004: 23).¹

თუმცადა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამიერკავკასიიდან ცენტრში შერბილებული ცნობები მიდიოდა და საქართველოში მიმდინარე მოვლენების ზოგიერთ დეტალს ცკ სხვა წყაროებიდან იგებდა. საინტერესოა, რომ დეპეშაში ორჯერ ხაზგასმითაა აღნიშნული ზოგიერთი ცნობის „შემთხვევით გაგების“ შესახებ, რაც საგულისხმო ფაქტი უნდა იყოს. ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს მონაცემების ცვლილება და ცენტრში მსგავსი სახით გაგზავნა.

აღნიშნული კუთხით საინტერესოა ისიც, რომ „აჯანყებულთა წინააღმდეგ რეპრესიების დაწყებისთანავე საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელის, სერგო ორჯონიკიძის სახელზე მოვიდა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის, ალექსი რიკოვის დეპეშა დახვრეტების დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ. ს. ორჯონიკიძემ თავის თანამებრძოლთა „ვიწრო“ თათბირი მოიწვია, სადაც განაცხადა: „ჯერჯერობით ამ დეპეშას ყურადღება არ მივაქციოთ და ენერგიული ზომები გავატაროთ, რათა საქართველო რაც შეიძლება მაქსიმალურად გავწმინდოთ კონტრრევოლუციური უწმინდურობისაგანო“ (ჭიქია 2012ა: 8). სწორედ აღნიშნულით შეიძლება აიხსნას, ერთი მხრივ, დახვრეტების შესახებ არასწორი ცნობები და მეორე მხრივ, რეპრესიების შეუწყვეტლობა.

პარტიის ამიერკავკასიის რაიკომის მდივანმა ა. მიასნიკოვმა სტალინს (პირი გაეგზავნა ფელიქს ძერჟინსკისაც, „ჩეკას“ ხელმძღვანელს) ანდრონიკაშვილისა და ჯავახიშვილის დახვრეტის შესახებ პასუხი 6 სექტემბერს დაუბრუნა:

„გუშინ ასკ (ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი – ნ. ს.) გატყობინებ-

1 დახვრეტელთა შესახებ იხილეთ ენდელაძე 2004: 44-79.

დათ ჩვენ მიერ პარიტეტული კომიტეტის დაკავებისა და მისი თავმჯდომარის – ანდრონიკოვისა და წევრის – ჯავიხიშვილის ადგილზე დახვრეტის შესახებ. ამ შეტყობინების გადაცემის მომენტში დახვრეტის განკარგულება უკვე გაცემული იყო, მაგრამ ღამით საქმემ სხვა მიმართულება მიიღო: უშუალოდ დახვრეტის წინ პარიტეტული კომიტეტის წევრებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ მთლიან აჯანყებას საქართველოში, მოითხოვეს განცხადების გაკეთება, რომელიც იქითკენ მიდიოდა, რომ პარიტეტულმა კომიტეტმა უპირობოდ თქვა უარი საბჭოთა ხელსუფლებასთან ბრძოლაზე. დახვრეტა გაუქმდა. განსაკუთრებით, კლერიტ¹ გატყობინებთ პარიტეტული კომიტეტის განცხადებას, რომელიც დანერილი და ხელმოწერილია საკუთარი ხელით ქართულ ენაზე“ (Советская деревня... 2000: 240).

იმავე დღეს კი მიახნიკოვი უკვე ვიაჩესლავ მოლოტოვს უგზავნის შიფროგრამას, სადაც აღნიშნულია, რომ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ცნობები არასწორია:

„450-ე შიფროგრამაზე ცნობები რომელიც მიიღეთ სპს-გან (სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო – ნ. ს.) არასწორია. მახარაძე ტყვეობაში არ ყოფილა, მამულია გუშინ გამოუშვეს ბანდიტებმა, რუბენი და სტურუა ჯერ კიდევ ბანდიტებს ჰყავთ. მიღებულია ყველა ღონისძიება, რათა განვდევნოთ ისინი რადაც არ უნდა დაგვიჯდეს“ (Советская деревня... 2000: 240).

პოლიტბიუროს მიერ გამოგზავნილი ზემოთმოყვანილი შიფროგრამის პასუხი 5 სექტემბრით თარიღდება. ა. ფ. მიახნიკოვი ი. ბ. სტალინს წერს ასკ (ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა) და საქართველოს ცეკას გადანყვეტილებას:

„1) სასწრაფოდ გამოსცეს მოწოდება საქართველოს ხელისუფლების სახელით მენშევიკთა გამოსვლის ლიკვიდაციის შესახებ და მშვიდობიანი შრომის მოწოდებით. 2) აჯანყებით მოცულ მაზრებში გაიგზავნოს ავტორიტეტული კომისია აჯანყების მიზეზების დეტალური გამორკვევისა და ყველა ადგილობრივი დანაკლისის აღმოჩენისათვის. 3) საქართველოს ცეკას, მითითებული კომისიის მონაცემებზე დაყრდნობით, დაევალოს აჯანყებასთან დაკავშირებით პარტიის მუშაობის დეტალური კონკრეტული გეგმის გამომუშავება. 4) აჯანყებით მოცულ მაზრებში სასწრაფოდ გაიგზავნონ საქართველოს ცკ-ის განსაკუთრებული უფლე-

1 ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ტელეგრამით დაუშიფრავი შეტყობინებების გადაცემას.

ბებით აღჭურვილი ამხანაგები. 5) ცკ-მა სასწრაფოდ გადახედოს ადგილობრივთა შემადგენლობას, და საერთოდ ყველა მუშას საქართველოს მასშტაბით. 6) ხელმძღვანელობაში მიიღოს რკპ ცკ-ის დირექტივა და ჩათვალოს, რომ ბანდიტთა მასობრივი დახვრეტები ყველგან შეწყვეტილია 3 სექტემბერს. 7) ბეჭდვაში ჩაეშვას ფართო განმარტებითი კამპანია აჯანყებაში მენშევიკთა და ეროვნულ-დემოკრატთა როლის გამოაშკარავებით. გამოაშკარავდეს ქართველი ყოფილი თავადების, დიდებულებისა და ოფიცერთა გამოსვლის ტიპური კლასობრივი ხასიათი. 8) ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭო საქართველოს სკს-თვის, აჯანყებით მოცული მაზრებისთვის გაუშვებს 200 ათას რუბლს. 9) საქართველოს აჯანყების ლიკვიდაციის გამოცდილების მონაცემები ეცნობოს აზერბაიჯანისა და სომხეთის ცკ-ებს“ (Советская деревня... 2000: 239-240).

ეს შიფროგრამა ნათლად ასახავს იმ კამპანიას, რომელსაც ოფიცინოზი ეწეოდა 1924 წლის აჯანყების წინამდებე და რაიმე სახის განმარტებას აღარ საჭიროებს.

ჩვენ მიერ მიკვლეული ბოლო შიფროგრამა 9 სექტემბრითაა დათარიღებული. მიასნიკოვი მოლოტოვსა და ძერჟინსკის წერს:

„საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ დაკავებულ იქნა მენშევიკთა მიწისქვეშა ცკ-ის უკანასკნელი წევრი დავით ონიაშვილი. საქართველოს ტერიტორიაზე დაიწყო გლეხთა მასობრივი მოძრაობა ყოფილი მემამულეების წინააღმდეგ, რაც გამოიხატება მათზე თავდასხმაში, მათი სახლების შეპყრობასა და ყველა ყოფილი მემამულის განდევნის მოთხოვნაში. საქართველოს კპ ცკ-მა, სახალხო კომისართა საბჭომ, საქართველოს „ჩეკამ“ და არმიამ გასცეს განკარგულებები, რომ არც ერთ ადგილზე არ დაუშვან არანაირი ექსცესი, თავდასხმა, შეპყრობა, რისი შესრულებაც, რა თქმა უნდა, გამოგვივა. მოძრაობა ძლიერია აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით გორის მაზრაში.

ჩელოყაევის ბანდა ჩვენ მიერ იდენება მუხეთი¹-დუშეთი-თიანეთი-თელავი-საგარეჯო-სართიჭალის რაიონში. სხვა დანარჩენში სიმშვიდეა.

ორჯონიკიძე, ცხაკაია, მახარაძე, ორახელაშვილი, ჩხეიძე, კახიანი, ოჟუგალი, ვაშაძე და სხვები გავიდნენ აჯანყებით მოცულ მაზრებში: სეიზკი,² ზუგდიდში, შორაპანში, ქუთაისსა და ოზურგეთში“ (Советская деревня... 2000: 241).

1 ჩვენი აზრით იგულისხმება მცხეთა.

2 ჩვენი აზრით იგულისხმება სენაკი.

როგორც ზემოთმოყვანილი რამდენიმე შიფროგრამიდან გამოჩნდა, სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო და ამიერკავკასიის ცკ ცენტრში განსხვავებულ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ინფორმაციებს აგზავნიდნენ. ჩვენი აზრით, აღნიშნული მომენტი უბრალო შემთხვევითობა არ უნდა იყოს, რის გამოც ჩვენი ინტერესი ამ მიმართულებით გაორკეცდა.

როგორც გიორგი ციციშვილი შენიშნავს, გარდა იმისა, რომ საბჭოთა სტრუქტურებმა (კერძოდ კი „ჩეკამ“) წინასწარვე იცოდნენ აჯანყების შესახებ, მიიღეს რიგი ღონისძიებებიც მის აღმოსაფხვრელად, თუმცა აქ საგულისხმო ისაა, რომ აჯანყების დაწყების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებული არ ყოფილა – „...მოსალოდნელი აჯანყების ჩახშობისათვის ჩეკას ორგანოები ემზადებოდნენ საქართველოს პარტიული და ხელისუფლების ხელმძღვანელებისაგან ფარულად“ (ციციშვილი 2004: 33). სწორედ ამით ხსნის გიორგი ციციშვილი იმ ფაქტს, რომ საყვედური არა ჩეკას ხელმძღვანელობამ, არამედ სერგო ორჯონიკიძემ და ბესარიონ ლომინაძემ (1923 წლიდან საქართველოს კპ (ბ) პირველი მდივანი) დაიმსახურეს. ამასთან ამ მოვლენებს მათი პოლიტიკური კარიერაც შეეწირა. მაგალითად, აჯანყების შემდეგ ეპიფანე კვანტალიანის ადგილი ლავრენტი ბერიამ დაიკავა (რომელიც მანამდე საქჩეკას საიდუმლო ოპერატიული განყოფილების უფროსი იყო) (ციციშვილი 2004: 33).

გარდა უშუალოდ აჯანყების მსვლელობასთან დაკავშირებული მასალებისა, საინტერესოდ მიგვაჩნია კიდევ ერთ დეტალზე შევაჩეროთ ყურადღება, მით უმეტეს, რომ შეიარაღებული გამოსვლის მიზეზებს საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის პლენუმზე იმავე წლის ოქტომბერში ორი პლენუმი მიეძღვნა.

ჩვენ აგრეთვე მოგვეპოვება ჩვენ მიერ განხილული დოკუმენტების დანართი სათაურით: „ამიერკავკასიის გლეხური მასების პოლიტიკური განწყობისა და ეკონომიკური მდგომარეობის დამახასიათებელი ზოგიერთი მასალა“. ამ დოკუმენტში საუბარია საქართველოზე, სომხეთსა და აზერბაიჯანზე. ჩვენ ყურადღებას მხოლოდ საქართველოზე შევაჩერებთ.

აღნიშნული პირველ რიგში იმითაა საინტერესო, რომ მეტწილად უარყოფს თავად ბოლშევიკთა ნარატივს, თითქოს აჯანყებაში გლეხობა არ მონაწილეობდა. არადა ამ დოკუმენტებში სწორედ უკმაყოფილო გლეხებზეა საუბარი.

საქმე ისაა, რომ „საბჭოთა ხელისუფლებამ 1921-1924 წლებში განხორციელებული აგრარული პოლიტიკით ვერ დააკმაყოფილა ღარიბი გლეხობის საარსებო მოთხოვნილებები, ხოლო მიწაზე „მენშევიკური ხელისუფლების“ დროს არ არსებული გადასახადის შემოღებით, გლეხების ფართო ფენების უკმაყოფილება გამოიწვია“ (ციციშვილი 2004: 22).

მაგალითად, 1924 წლის 17 ივლისით დათარიღებულ ცნობაში აღნიშნულია, რომ რაჭის მაზრაში გლეხობას სასოფლო-სამეურნეო იარაღი სჭირდება. უფრო რთული მდგომარეობა ჩანს ახალქალაქის რაიონში, სადაც დოკუმენტის მიხედვით ხალხი ბალახით იკვებება, სამუშაო საქონელი არ არის, ისევე როგორც სასოფლო-სამეურნეო იარაღი. აღნიშნულია, რომ ბევრი ტანსაცმლის უქონლობის გამო შიშველი დადის, იტანჯებიან მალარიითა და მუნით. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს კი რაიმე დახმარების აღმოჩენის არანაირი საშუალება არ აქვს. თითქმის მთელ საქართველოზე საუბრისას მოუსავლიანობის მიზეზად გვალვას აღნიშნული (Советская деревня... 2000: 242).

გლეხების უკმაყოფილებაა აღნიშნული აგრეთვე ახალციხის მაზრაში, რაც გამოწვეულია მიწების არასწორი გადანაწილებით. აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ერთიანი გადასახადის არასწორი გადანაწილებით. ამასთან დოკუმენტი ამ პროტესტს ადგილობრივი ხელისუფლების ზოგიერთ არასწორ გადაწყვეტილებასაც მიაწერს (Советская деревня... 2000: 243).

გლეხების უკმაყოფილების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი და შესაბამისად, აჯანყების მხარდაჭერა, მაინც რთული სოციალური პირობები უნდა იყოს, რაზეც დოკუმენტშიცაა საუბარი. ამასთან საუბარია ანტირელიგიურ კამპანიაზე, რომელიც აგრეთვე გავლენას ახდენდა მასების დამოკიდებულებაზე. რელიგიური საკითხის მნიშვნელობას ეკონომიკურთან და პოლიტიკურთან ერთად ხაზს უსვამს სერგო ორჭონიკიძეც სკპ (ბ) ცკ პლენუმზე (1924 წლის ოქტომბერი 1990: 11). რელიგიური საკითხი რომ ერთ-ერთი მოტივი იქნებოდა, გასაკვირი არც უნდა იყოს. „საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ანტირელიგიური პროპაგანდა ზოგჯერ მახინჯ ფორმებს ღებულობდა. ბევრგან ადგილობრივი კომკავშირული ორგანიზაციები და მილიციის ორგანოები აშკარად გადავიდნენ რელიგიური დღესასწაულების აკრძალვასა და ეკლესიების დანგრევაზე, ოზურგეთში, სამეგრელოში, იმერეთის რაიონებსა და სხვაგან მილიციის ორგანოების უშუალო მონაწილეობით მრავალი ეკლესია დაინგრა“ (ხვიჩია 1971: 58).

მაინცდამაინც გულმხურვალედ არც მუშები იყვნენ განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. 1921 წელსვე მათ რამდენიმე გაფიცვა მოაწყვეს (შველიძე 2016: 28-29). ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური გაფიცვა პირველ ნოემბერს მოხდა, გაჩერდა ყველანაირი ტრანსპორტი, ქარხნებმა და ადმინისტრაციულმა დაწესებულებებმა მუშაობა შეწყვიტეს (ბერიშვილი 2013: 43). აღნიშნული გასაკვირი არცაა, ვინაიდან „ქვეყნის მუშური მოსახლეობა ხომ ათეული წლების მანძილზე სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მთავარ საყრდენს და რესურსს წარმოადგენდა (შველიძე 2016: 28).

მართალია, ზოგიერთ შემთხვევაში, შიფროგრამებში აღნიშნული ცნობები უცხო ქართული სამეცნიერო სივრცისთვის არ ყოფილა, თუმცა ისინიც კი სხვადასხვა ნარატივების გასამყარებლად მნიშვნელოვანი მასალებია. ამასთან, ნათლად გამოიკვეთა, რომ საბჭოთა ოფიციალური თავიდანვე ცდილობდა აღნიშნული აჯანყების ისე წარმოჩენას, როგორც მათ სურდათ, დაემალათ საერთო-ეროვნული ხასიათი, გამოეკვეთათ კონკრეტული მონაწილე ფენები და მისთვის „ავანტიურის“ იარაღი მიეწებებინათ.

შემდეგ ნომრებში განზრახული გვაქვს სხვა მსგავსი დოკუმენტების განხილვა და გამოქვეყნება, რომლებიც ნათელ წარმოადგენას გვიქმნიან საბჭოთა მმართველობის პირველ წლებში ჩვენს ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

- ▶ ბენიძე 1991: ბენიძე ვალერი, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, თბილისი, სამშობლო, 1991;
- ▶ ბერიშვილი 2013: ბერიშვილი თიერი, 1924, ეროვნული აჯანყება საქართველოში, პარიზი-თბილისი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის, ისტორიისა და გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 2013;
- ▶ დვალისხელი 2006: დვალისხელი ოთარ, 1924 წლის აჯანყება საქართველოში და უცნობი ეროვნული გმირები, ქუთაისი, 2006;
- ▶ ენდელაძე 2004: ენდელაძე თენგიზ, ტრაგიკული 1924, თბილისი, 2004;
- ▶ ვადაჭკორია 2016: შოთა ვადაჭკორია, შეიარაღებული აჯანყების სამხედრო გეგმის გაცემის დაზუსტებისათვის 1924, თბილისი, პარიზი, „გეორგიკა“, 2016;
- ▶ კირთაძე 1996: კირთაძე ნესტან (ელისაბედ), 1924 წლის აჯანყება

- საქართველოში, ქუთაისი, ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის სააქციო საზოგადოება „სტამბის“ საგამომცემლო ცენტრი, 1996;
- ▶ კუპატაძე 2016: კუპატაძე ბონდო, ბოლშევიკური ხელისუფლება და ქართული საზოგადოება 1924 წლის აჯანყების დროს, კრებულში: 1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების 90-ე წლისთავი, პარიზი-თბილისი, მწიგნობარი, 2016, გვ. 183-206;
 - ▶ შველიძე 2016: შველიძე დიმიტრი, საქართველოს მოსახლეობის სოციალური ფენები და რუსეთის საოკუპაციო რეჟიმი 1924 წლის აჯანყებამდე, კრებულში: 1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების 90-ე წლისთავი, პარიზი-თბილისი, მწიგნობარი, 2016, გვ. 25-41'
 - ▶ შველიძე 2021: შველიძე დიმიტრი, საქართველოს უახლესი ისტორია (1917-2012), თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2021;
 - ▶ ციციშვილი 2004: ციციშვილი გიორგი, სიმართლე ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობისა და 1924 წლის აჯანყების შესახებ (მე-80 წლისთავის გამო), თბილისი, 2004;
 - ▶ ხვიჩია 1971: პროკოფი ხვიჩია, საქართველოს საბჭოთა მიილციის ისტორიის ნარკვევები 1921-1937 წწ, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1971.
 - ▶ ჯიქია 2012: ჯიქია ლევან, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2012;
 - ▶ ჯიქია 2012ა: 1924 წლის აჯანყების მონაწილეთა სასამართლო პროცესი, დოკუმენტები და მასალები (1925 წლის ივლისი-აგვისტო), გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო ლევან ჯიქიამ, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012;
 - ▶ 1924 წლის ოქტომბერი 1990: 1924 წლის ოქტომბერი, გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1990, 25 მაისი, №21, გვ. 11-12;
 - ▶ Советская деревня... 2000: СОВЕТСКАЯ ДЕРЕВНЯ ГЛАЗАМИ ОГПУ том 2. 1923-1929 Документы и материалы, ტომის შემდგ. Л. Борисова, В. Данилов, Н. Перемышленникова (პასუხისმგებლები), Т. Голышкина, С. Мьякиньюв, А. Николаев, Т. Сорокина, Москва, РОССПЭН, 2000.

NEW MATERIALS ON THE 1924 ANTI-SOVIET UPRISING (SUMMARY)

In the present article, we have translated and discussed several documents made in the Russian language unknown to the Georgian scientific community. Documents are ciphertext containing interesting information about the course of the 1924 anti-soviet uprising. Most of the documents were sent from the Caucasus to the center, to Joseph Stalin. Observations have shown that the references in ciphertexts are sometimes erroneous and sometimes deliberately altered, which ultimately cost the political careers of several figures. In those documents, in parallel with the course of the uprising, an approach has already been developed in advance, which was to be formed later towards this uprising.

The general national character of the speech was deliberately hidden, as if the peasantry and the workers, that is, the stratum for whose victory the Soviet government was fighting for, did not take part in the uprising. In the following issues, we intend to translate and publish the documents that relate to the situation in Georgia in the first years of Soviet rule, and, as a source, are of great importance.

რიჩარდ ნიქსონი და ახალი ეტაპი აშშ-ჩინეთის ურთიერთობებში

საკვანძო სიტყვები: რიჩარდ ნიქსონი, ჩინეთი, მაო ძედუნი, ჰენრი კისინჯერი, ჯოუ ენ ლაი, ურთიერთობები, დიპლომატიური, ნორმალიზაცია, ტაივანი, შანხაის კომუნისკე

Keywords: Richard Nixon, China, Mao Zedong, Henry Kissinger, Zhou Enlai, Relations, Diplomatic, Normalisation, Taiwan, Shanghai Communiqué

1968 წელი ამერიკის შეერთებული შტატებისთვის საკმაოდ მძიმე გამოდგა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკური თვალსაზრისით. ლინდონ ჯონსონის პრეზიდენტობისას (1963-1969) მთელ რიგმა ეკონომიკურმა და სოციალურმა პრობლემებმა იჩინა თავი. მმართველობის დასაწყისში ჯონსონმა „თავისუფლებასა და კეთილდღეობაზე დაფუძნებული დიდი საზოგადოების შექმნა“ დააანონსა და ამ მიზნით სიღარიბის პრობლემის საბოლოოდ გადაწყვეტა განიზრახა, მაგრამ ვიეტნამის ომში ამერიკის სრულშტაბიანმა ჩართვამ ჯონსონის ოცნება დაჩრდილა (აშშ-მსოფლიო ჰეგემონი 2014: 29). მთელს ქვეყანაში ომის საწინააღმდეგო გამოსვლები დაიწყო. 1964 წელს ლინდონ ჯონსონის მიერ ხელმოწერილი სამოქალაქო უფლებების აქტის მიუხედავად გამძაფრდა რასიზმთან დაკავშირებული პრობლემებიც. გამოჩნდა შავკანიანთა უფლებებისთვის მებრძოლთა ახალი თაობა, რომელიც რევოლუციური ნაციონალიზმისა¹ და შეიარაღებული თავდაცვის მოწოდებით გამოდიოდა. 1968 წლის აპრილში, შავკანიანთა უფლებებისთვის არაძალადობრივი ბრძოლის ლიდერი, მარტინ ლუთერ კინგი თეთრკანიანის ხელით იქნა მოკლული. არ წყდებოდა სტუდენტთა საპროტესტო გამოსვლები ვიეტნამში ამერიკულ სამხედროთა ყოფნის წინააღმდეგ. 1968 წლისთვის ვიეტნამში 536 ათასი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე იმყოფებოდა (კაჭარავა 2018: 383).

შექმნილი საშინაო და საგარეო მდგომარეობიდან გამომდინარე, საჭირო იყო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა და ჯონსონის ადმინისტრაციის

1 რევოლუციური ნაციონალიზმი – ტერმინი, რომელიც გამოიყენებოდა მრავალი სხვადასხვა ტიპის ნაციონალისტური პოლიტიკური მოძრაობის პოლიტიკურ ფილოსოფიაში, რომლებსაც სურდათ თავიანთი მიზნების მიღწევა დადგენილი წესრიგის წინააღმდეგ „რევოლუციის“ გზით.

მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორება. 1968 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, დემოკრატების წარმომადგენელი იყო ლინდონ ჯონსონის ადმინისტრაციის ვიცე-პრეზიდენტი ჰუბერტ ჰამფრი. „დემოკრატებიდან პრეზიდენტობისთვის იბრძოდა გარდაცვლილი პრეზიდენტის – ჯონ ფიცჯერალდ კენედის ძმა რობერტ კენედიც, მაგრამ იგი 1968 წლის 5 ივნისს კალიფორნიაში ამომრჩევლებთან შეხვედრისას მოკლეს (იგი ახალგაზრდა პალესტინელმა არაბმა სირჰან სირჰანმა მოკლა, რომელსაც სძულდა კენედი მისი ისრაელისადმი კეთილგანწყობის გამო)“ (კაჭარავა 2018: 388). რესპუბლიკურ პარტიას კი წარმომადგენდა რიჩარდ მილჰაუს ნიქსონი, რომელსაც ძალიან მდიდარი პოლიტიკური წარსული ჰქონდა. 1947-1950 წლებში ნიქსონი იყო კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრი კალიფორნიიდან, ხოლო 1950-53 წლებში იმავე შტატის სენატორი. 1953-61 წლებში, ეიზენჰაუერის პრეზიდენტობის დროს, ნიქსონი იყო აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი. თუმცა იყო წარუმატებლობაც, როდესაც დამარცხდა 1960 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში. ამის მიუხედავად ფარ-ხმალი არ დაუყრია და 1968 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩაერთო და საბოლოოდ, წარმატებასაც მიაღწია.

აღსანიშნავია, რომ წინასაარჩევნოდ გამოკითხულ ამერიკელთა 51% ქვეყნის მთავარ პრობლემად ვიეტნამის ომს მიიჩნევდა, „შესაბამისად, რესპუბლიკური პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატმა რიჩარდ ნიქსონმაც ძალზე დიდი ყურადღება დაუთმო ამ საკითხს, თუმცა, როგორც პოლიტიკური „ქორი“, ვიეტნამის ომის გამარჯვებით დასრულების მომხრე იყო“ (კაჭარავა 2018: 389). როგორც ნიქსონი თავის მემუარებში წერს, „ვიეტნამი გახლდათ ყველაზე ცხელი ეროვნული საკითხი და არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ რამდენად რბილად შეეხებოდნენ მას კანდიდატები“ (Nixon 1978: 707). საპრეზიდენტო არჩევნები 5 ნოემბერს ჩატარდა და მასში მოსახლეობის 60 პროცენტზე მეტმა მიიღო მონაწილეობა. ხმათა რაოდენობა შემდეგი პრინციპით გადანაწილდა: რესპუბლიკელმა ნიქსონმა საარჩევნო ხმების 43.2% მიიღო, დემოკრატმა ჰამფრიმ – 42.6%, მესამე პარტიის (ამერიკული დამოუკიდებელი პარტია) კანდიდატმა ჯორჯ უოლესმა კი – 12.9%. ნიქსონმა 32 შტატისაგან მიიღო მხარდაჭერა, ჰამფრიმ მხოლოდ 13 შტატში გაიმარჯვა, ხოლო უოლესმა ხუთში. საარჩევნო კოლეგიაში ნიქსონმა 301 ხმა, ჰამფრიმ 191, ხოლო უოლესმა 46 ხმა მოიპოვა (US Election of 1968... 2021).

გაპრეზიდენტების შემდეგ, მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი საგარეო ურთიერთობათა საკითხი, რომელიც გადაწყვიტა რიჩარდ ნიქ-

სონმა თავის პირველ საპრეზიდენტო ვადაში, იყო ურთიერთობების დამყარება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან. მას შემდეგ, რაც ჩინეთის სამოქალაქო ომში 1949 წელს გამარჯვებას კომუნისტურმა პარტიამ მიაღწია მათ ძედუნის მეთაურობით, ჩინეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ყველანაირი ურთიერთობები განყდა. აშშ-მა არ აღიარა კომუნისტური ჩინეთი და ერთადერთ კანონიერ ხელისუფლებად ტაივანის ხელისუფლება გამოაცხადა ჩან კაიშის მეთაურობით. ასევე, აშშ-მა არ სცნო კომუნისტური ჩინეთის უფლება უშიშროების საბჭოში ადგილზე, რომელიც ტაივანმა დაიკავა.

ნიქსონმა პირველად, ჯერ კიდევ 1967 წელს, თავისი მსოფლიო ტურნეს დროს დააყენა საკითხი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ურთიერთობების დაახლოებასთან დაკავშირებით. იმავე წლის მარტში ვარშავაში რუმინეთის ლიდერ ნიკოლაე ჩაუშესკუსთან შეხვედრის დროს ნიქსონმა განაცხადა, რომ „ჩინეთს ჰყავდა 700 მილიონი ადამიანი და ეჭვგარეშედ იყო მნიშვნელოვანი ფაქტორი მსოფლიოში“ (Tudda 2012: 1). ნიქსონმა ასევე უთხრა რუმინეთის ლიდერს, რომ თუ ის (ჩინეთი) იზოლირებული დარჩებოდა... „ოცი წლის შემდეგ, ამ ქვეყანას შეიძლება საფრთხე შეექმნა მსოფლიო მშვიდობისთვის“ (Tudda 2012: 1).

მსოფლიო ტურნეს აზიური ნაწილის ფარგლებში, ნიქსონი ეწვია პაკისტანს და შეხვდა პაკისტანის ლიდერ აიუბ-ხანს, რომელსაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა. აიუბმა ნიქსონს უთხრა, რომ ჩინეთს სურდა აღქმულიყო, როგორც „მსოფლიო ძალა“ შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის მსგავსად. პაკისტანის ლიდერმა ნიქსონს ისიც განუცხადა, რომ ჯოუ ენლაისთან ბოლო საუბრისას, ჩინეთის პრემიერმა „გამოავლინა რუსების მიმართ სრული ზიზღი, მაგრამ ამერიკელების მიმართ პატივისცემა“ (Tudda 2012: 1).

აღსანიშნავია, რომ ნიქსონმა, საჯაროდ, პირველად ისაუბრა შეერთებულ შტატებსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ურთიერთობების მნიშვნელობაზე 1967 წლის ოქტომბერში ჟურნალ „საგარეო საქმეებში“ გამოქვეყნებულ სტატიაში სახელწოდებით – „აზია ვიეტნამის შემდეგ“. ამ სტატიაში ნიქსონმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ვაშინგტონის აზიურმა მოკავშირეებმა უნდა „სწრაფად იმოქმედონ საკუთარი სამომავლო უსაფრთხოების მკვიდრი ჩარჩოს შესაქმნელად, რადგან შეერთებულ შტატებს შესაძლოა აღარ ეთამაშა „მსოფლიო პოლიციელის“ როლი“ (Tudda 2012: 1). 1969 წლის 20 იანვარს, თავის საინაუგურაციო სიტყვაში რიჩარდ ნიქსონმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის

მისამართით გააგზავნა მესიჯი, როდესაც განაცხადა: „ჩვენ ვეძებთ ღია სამყაროს... სამყაროს, რომელშიც არც ერთი დიდი თუ პატარა ხალხი არ იცხოვრებს გამძაფრებულ იზოლაციაში“ (Tudda 2012: 1). ორი კვირის შემდეგ, პირველ თებერვალს, ნიქსონმა თავის მრჩეველს ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ჰენრი კისინჯერს მისწერა შემორანდუმი, რომელშიც მოუწოდებდა, რომ ადმინისტრაციას ყველანაირი გზით გამოეკვლია ჩინეთთან დაახლოვების შესაძლებლობები. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო ფარულად. მთელი 1969 წლის მანძილზე ჩინელები უგულებელყოფდნენ ამერიკელთა მიერ გაგზავნილ ინტერესების დაბალ სიგნალებს. 1970 წლიდან ამერიკელები უფრო სერიოზულად მიუდგნენ ჩინეთთან დიალოგის გახსნის საკითხს.

პირველი სერიოზული საჯარო ნაბიჯი ჩინეთის საკითხზე გადაიდგა 1970 წლის თებერვალში, როდესაც პრეზიდენტმა ნიქსონმა კონგრესს გაუგზავნა საგარეო პოლიტიკის პირველი ანგარიში. ანგარიში იწყებოდა ჩინეთზე საუბრით: „ჩინელები დიდებული და სიცოცხლით სავსე ხალხია, რომლებიც არ უნდა დარჩნენ იზოლირებულნი საერთაშორისო საზოგადოებისაგან ... კომუნისტურ ჩინეთთან ჩვენი ურთიერთობის საფუძვლები მსგავსია იმ პრინციპებისა, რომლებიც განაპირობებენ ჩვენს პოლიტიკას სსრკ-ის მიმართ“ (Nixon 1978: 1177). ანგარიშში ასევე საუბარი იყო იმაზე, რომ შეერთებული შტატების მხრიდან გადაიდგმებოდა ყველა ნაბიჯი პეკინთან პრაქტიკული ურთიერთობების გასაუმჯობესებლად. პეკინში ნათლად გაიაზრეს ამ ანგარიშში არსებული ფორმულირებების მნიშვნელობა. ორი დღის შემდეგ, ვარშავაში აშშ-ის ელჩთან, ვალტერ სტოესელთან შეხვედრის დროს, ჩინეთის ელჩმა მკვეთრად შესთავაზა ამერიკულ მხარეს მათი შეხვედრების, რომლებიც აქამდე სპორადული და არაპროდუქტიული იყო, პეკინში გადატანა. მან ასევე მიაჩნდა, რომ ისინი მიესალმებოდნენ ამერიკელი მაღალჩინოსნის ჩართვას მოლაპარაკების პროცესში. აღსანიშნავია, რომ ვარშავის მოლაპარაკებების პეკინში გადატანის გეგმა მაისში შეფერხდა, როდესაც ამერიკელთა მიერ კამბოჯის ოპერაციის პროტესტის ნიშნად, ჩინელებმა გააუქმეს დაგეგმილი შეხვედრა. მოლაპარაკების პროცესი ჩიხში შევიდა. რამდენიმე თვის შემდეგ, ჩინელებმა მიაჩნდნენ, რომ მზად იყვნენ განეახლებინათ ორმხრივი მოლაპარაკებები. ივლისში მათ განთავისუფლეს ამერიკელი კათოლიკე ეპისკოპოსი ჯეიმს ედვარს უოლში, რომელიც 1958 წელს დააპატიმრეს და თორმეტი წლის განმავლობაში პატიმრობაში ჰყავდათ. ოქტომბრის დასაწყისში პრეზიდენტმა

ნიქსონმა ინტერვიუ მისცა ჟურნალ „Times“-ს, რომელშიც განაცხადა: „თუკი რაიმე მინდა გავაკეთო, სანამ მოვკვდები, ეს ჩინეთში წასვლაა. თუ მე ეს ვერ გავაკეთე, მინდა, რომ ეს ჩემმა შვილებმა გააკეთონ“ (Nixon 1978: 1178). 1970 წლის 25 ოქტომბერს პაკისტანის პრეზიდენტ იაჰია ხანთან შეხვედრის დროს ნიქსონმა მას განუცხადა, რომ ის აპირებს პოლიტიკის შეცვლას კომუნისტური ჩინეთის მიმართ და ურთიერთობის ნორმალიზებას, რაშიც ნიქსონს მისი დახმარება სჭირდებოდა, როგორც შუამავლის. ასე შეიქმნა ე.წ. „იაჰიას არხი“, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობების დაახლოვების საქმეში. პრეზიდენტმა ნიქსონმა მნიშვნელოვანი დიპლომატიური სიგნალი გაუგზავნა კომუნისტურ ჩინეთს, როდესაც 1970 წლის ოქტომბერში, შტატებში ვიზიტით მყოფ რუმინეთის ლიდერ ნიკოლაე ჩაუშესკუს საპატივსაცემოდ გამართულ საზეიმო ვახშამზე თავის სადღეგრძელოში განზრახ მოიხსენია კომუნისტური ჩინეთი თავისი ოფიციალური სახელწოდებით („ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა“). ჩაუშესკუსთან საუბარში ნიქსონმა ისიც განაცხადა, რომ მაშინაც კი, თუ ამერიკული მხარე უგულებელყოფდა ჩინეთთან სრული დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის საბოლოო იდეალს, მაინც შესაძლებელი იქნებოდა მაღალი დონის პირადი წარმომადგენლების გაცვლა. ჩაუშესკუ დასთანხმდა ამ სიტყვის პეკინისთვის გადაცემას და ეს იყო ე. წ. „რუმინული არხის“ დასაწყისი.

1971 წლის 4 აპრილს მაგიდის ჩოგბურთის 31-ე მსოფლიო ჩემპიონატზე აშშ-ის ნაკრების მოთამაშე და მსოფლიოს ჩემპიონი გრინ კოენი შეცდომით ჩაჯდა ჩინეთის ნაკრების ავტობუსში, რომელიც შეჯიბრის ადგილისკენ მიდიოდა. ცნობილი ჩინელი სპორტსმენი ჟუანგ ძედუნი მასთან მეგობრობდა, „ისტორიული ურთიერთქმედება“ და ურთიერთსაჩუქრები ჩინეთ-აშშ-ის „პინგ-პონგის დიპლომატიის“ დასაწყისი გახდა. უფრო მეტიც, თავმჯდომარე მათ ძედუნმა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო და მოიწვია აშშ-ის მაგიდის ჩოგბურთის გუნდი ჩინეთში. ამ ნაბიჯმა, რომელსაც „პინგ-პონგის დიპლომატია“ ეწოდა, მსოფლიო შოკში ჩააგდო. ჩინეთ-აშშ-ის გაცვლის შემდგომმა სერიამ, რომელმაც მსოფლიო გააოცა, კიდევ უფრო გამოიწვია ცუნამი დიპლომატიური ჭიდაობის სფეროში და უნებლიეთ დაიწყო მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებმაც გავლენა მოახდინა მსოფლიოზე.

„პინგ-პონგის დიპლომატიამ“ ხელი შეუწყო ჩინეთ-ამერიკის შერიგების პროცესსა და ურთიერთობების ნორმალიზებას. ჩინეთისა და

შეერთებული შტატების ლიდერების ერთობლივი ძალისხმევით, მაგიდის ჩოგბურთის ამერიკული დელეგაცია, რომელიც მონაწილეობდა მაგიდის ჩოგბურთის მე-3 მსოფლიო ჩემპიონატში 1971 წლის 10-დან 17 აპრილამდე, ეწვია ჩინეთს და გახდა ამერიკელი სტუმრების პირველი ჯგუფი, რომელიც ეწვია ჩინეთს.

„პინგ-პონგის დიპლომატიამ“ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ჩინეთის საგარეო იერსახე. „ჩინეთ-აშშ-ის ურთიერთობებში დრამატულმა ცვლილებებმა პირდაპირ დააჩქარა ახალი ჩინეთის იურიდიული ადგილის აღდგენა გაეროში“ (Nixon 1978: 455).

იაპონიაში საერთაშორისო შეჯიბრის დროს აშშ-სა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის (ჩსრ) მაგიდის ჩოგბურთელებს შორის კარგად ცნობილი დაძმობილების შემდეგ, 1971 წლის აპრილში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ გამოსცა მოწვევა აშშ-ის პინგ-პონგის გუნდის ჩინეთში მატჩის ჩასატარებლად. 1972 წლის აპრილში, ჩსრ-ის პინგ-პონგის გუნდი ეწვია შეერთებულ შტატებს კეთილი ნების ტურით. ამ არაფორმალურმა „პინგ-პონგის დიპლომატიამ“ საჯარო სახე შექმნა უფრო სერიოზული დიპლომატიური მოლაპარაკებებისთვის (Foreign Relations of...2003).

1971 წლის ოქტომბერში, პრეზიდენტ ნიქსონის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, ჰენრი კისინჯერი მეორედ ჩავიდა ჩინეთში. შემდეგ მოხდა მოულოდნელი რამ – 25 ოქტომბერს გაეროს 26-ე გენერალურმა ასამბლეამ აბსოლუტური უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია 2758, რომელიც აღადგენდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა ლეგალურ უფლებებს გაეროში. უდავოა, რომ ჩინეთ-აშშ-ის ურთიერთობების ნორმალიზებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გაეროში ჩინეთის იურიდიული ადგილის აღდგენაში. 1971 წლის 15 ივლისს ჩინეთმა და შეერთებულმა შტატებმა ერთდროულად გამოაცხადეს კისინჯერის ვიზიტი ჩინეთში. ისეთმა ქვეყნებმა, როგორებიცაა იაპონია, ავსტრალია და ახალი ზელანდია, უარი თქვეს გაეროს გენერალურ ასამბლეაში „ორმაგ წარმომადგენლობაზე“. 1971 წელს ჩინეთში ვიზიტმა მტკიცედ შეუწყო ხელი ჩინეთის წარმომადგენლობის აღდგენისათვის ბრძოლაში გამარჯვებას. კისინჯერის მეორე ვიზიტმა ჩინეთში დიდი გავლენა იქონია სასტიკ დებატებზე და აღდგენის კენჭისყრის შედეგებზე.

პეკინის ღირსშესანიშნაობების ფოტოები მაშინვე გამოჩნდა ნიუ-იორკის გაზეთების პირველ გვერდზე. ეს ვიზიტი, როგორც ჩუმი ენა, მიუთითებდა, რომ შეერთებული შტატები მხარს უჭერდა ჩინეთს და მი-

ანიშნებდა, რომ ქვეყნებმა მხარი უნდა დაუჭირონ ჩინეთის გაეროში შესვლას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მისი იურიდიული ადგილის აღდგენამ სწრაფად გააფართოვა ჩინეთის დიპლომატიური ასპარეზი მთელს მსოფლიოში, რითაც შექმნა ახალი ვითარება საგარეო საქმეებში.

მას შემდეგ, რაც კომინტანგის (გომინდანგის)¹ წარმომადგენელი გაეროდან გააძევეს, ტაივანის ხელისუფლება ერთ ღამეში „საერთაშორისო ობოლი“ გახდა. 20-ზე მეტმა ქვეყანამ მაშინვე განწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობები ტაივანთან და აღიარა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. იყო უპრეცედენტო ზრდა ჩინეთთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებაში.

„პინგ-პონგის დიპლომატიის“ დაწყებიდან ერთ წელზე ნაკლები ხნის შემდეგ, ჩინეთმა თანმიმდევრულად დაამყარა ან აღადგინა დიპლომატიური ურთიერთობები, სულ მცირე, ელჩების დონეზე 38 ქვეყანასთან, მათ შორის კანადასთან, იტალიასთან, ავსტრალიასთან, იაპონიასთან, გაერთიანებულ სამეფოსთან და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან. დასავლეთის ქვეყნების უმეტესობამ ასევე დაამყარა ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობები ჩინეთთან და 40-ზე მეტი ქვეყანა, რომელიც თავდაპირველად შეერთებული შტატების გავლენის ან კონტროლის ქვეშ იყო, ასევე შეიკრიბა ჩინეთთან დიპლომატიური ურთიერთობების დასამყარებლად. მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების ნორმალიზაციის რეალიზაციისას, ჩინეთმა ასევე გააძლიერა თავისი საგარეო ეკონომიკური კავშირები და მისი საგარეო ვაჭრობა მნიშვნელოვნად გაიზარდა (The Myths and...2021).

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ ჯოუ-ენ ლაის მიწვევით, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი ეწვია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას 1972 წლის 21 თებერვლიდან 28 თებერვლამდე. პრეზიდენტს თან ახლდა ქალბატონი ნიქსონი, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი უილიამ როჯერსი, პრეზიდენტის თანაშემწე დოქტორი ჰენრი კისინჯერი და სხვა ამერიკელი ოფიციალური პირები.

„პრეზიდენტი ნიქსონი 21 თებერვალს შეხვდა ჩინეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარეს მაო ძედუნს. ორ ლიდერს ჰქონდა აზრთა სერიოზული და გულწრფელი გაცვლა ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობებსა და საერთაშორისო საკითხებზე“ (Nixon 1978: 709). ვიზიტის დროს, პრეზიდენტმა ნიქსონმა და პრემიერმა ჯოუ ენ ლაიმ გამართეს ვრცელი, სერი-

¹ ჩინურად – „ეროვნული პარტია“. ჩინეთის პოლიტიკური პარტია 1894-1949 წლებში. 1949 წლიდან პარტია მოღვაწეობს ტაივანზე.

ოზული და გულწრფელი დისკუსია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ურთიერთობების ნორმალიზაციასა და ორმხრივი ინტერესის სხვა საკითხებზე. გარდა ამისა, იმავე სულისკვეთებით, მოლაპარაკებები გამართეს სახელმწიფო მდივანმა უილიამ როჯერსმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯი პენგ ფეიმ.

პრეზიდენტი ნიქსონი და მისი პარტია ეწვივნენ პეკინს, კულტურულ, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროექტებს, ასევე მოინახულეს ჩინეთის დიდი კედელი და სხვა მნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული ძეგლები. პირველმა ლედიმ – პეტ ნიქსონმა მოინახულა სკოლები, ფაბრიკები და საავადმყოფოები პეკინში, ჰანჯოუსა და შანხაიში პრესის დიდ კორპუსთან ერთად.

დიდი კედელის მონახულების წინა საღამოს ძლიერ თოვდა და პეკინის ათასობით მცხოვრები და ჯარის პერსონალი მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდნენ ქუჩების გასასუფთავებლად, რათა ამერიკელებს შესძლებოდათ ავტომობილის მართვა. ეს საქციელი მნახველებმა ძალიან დააფასეს, მაგრამ თავად კედელმა უფრო დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პრეზიდენტ ნიქსონზე, რომელმაც მას უწოდა „სიმბოლო იმისა, თუ როგორი იყო ჩინეთი წარსულში და რა შეიძლება გახდეს ჩინეთი მომავალში“.

„მას შემდეგ, რაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და ამერიკის შეერთებული შტატების ლიდერებს ამდენი წლის განმავლობაში არ ჰქონდათ კონტაქტი, მათ მიეცათ შესაძლებლობა გულწრფელად გასცნობოდნენ ერთმანეთის შეხედულებებს სხვადასხვა საკითხებზე, რაც ორივე მხარის აზრით სასარგებლოა. მათ მიმოიხილეს საერთაშორისო ვითარება, რომელიც განიცდის დიდ ცვლილებებს და განმარტეს მათი შესაბამისი პოზიციები და დამოკიდებულებები“ (Nixon 1978: 375).

მოგზაურობის დასასრულს, ორმა მთავრობამ გამოსცა შანხაის კომუნიკე, რომელშიც თითოეულმა გამოხატა თავისი პოზიცია ნორმალიზაციის გადამწყვეტ დაბრკოლებაზე ტაივანის საკითხთან დაკავშირებით. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ დაადასტურა, რომ ტაივანი იყო ჩინეთის ნაწილი და რომ ის ეწინააღმდეგებოდა ყველა მცდელობას ორი ჩინეთის, ერთი ჩინეთის და ერთი ტაივანის, ანუ დამოუკიდებელი ტაივანის შექმნის მცდელობებზე. შეერთებულმა შტატებმა განაცხადა, რომ „აღიარებს, რომ ტაივანის სრუტის ორივე მხარეს მყოფი ყველა ჩინელი ამტკიცებს, რომ არსებობს მხოლოდ ერთი ჩინეთი და რომ ტაივანი ჩინეთის ნაწილია“ და რომ იგი არ ეწინააღმდეგებოდა ამ პოზიციას. შეე-

რთებულმა შტატებმა ასევე აღნიშნა ტაივანის საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტის პოვნის მნიშვნელობა და რომ აპირებს ტაივანიდან აშშ-ს დარჩენილი ჯარების გაყვანას (president Nixon arrives in China... 2009).

„შანხაის კომუნიკეში დადგენილმა პრინციპებმა საფუძველი ჩაუყარა ორ ქვეყანას შორის ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას (კარტერის ნორმალიზაციის ეტაპი) 1979 წელს. გლობალურ დონეზე დაახლოებამ ფუნდამენტურად შეცვალა ცივი ომის კონტექსტი და გავლენა მოახდინა შემდგომ მოძრაობაზე დაძაბულობის განმუხტვისკენ შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის“ (normalization and after... 1979).

პრეზიდენტმა ნიქსონმა, ქალბატონმა ნიქსონმა და აშშ-ის დელეგაციამ მადლობა გადაუხადეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას და ხალხს თავაზიანი მასპინძლობისთვის.

შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის ურთიერთობამ მრავალი აღმავლობა და დაცემა განიცადა 1972 წლიდან, მაგრამ, ვფიქრობ, სამართლიანია იმის თქმა, რომ ნიქსონის ისტორიულმა ვიზიტმა შესაძლებელი გახადა „ჩინეთის კარის გახსნა“ და ურთიერთობების აშენება. შეერთებულ შტატებს ახლა შეეძლო გამოეყენებინა უფრო მჭიდრო დიპლომატიური ურთიერთობები ჩინეთთან, როგორც ბერკეტი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობისას, განსაკუთრებით ვიეტნამის საკითხში. გარდა ამისა, შეერთებულ შტატებს შესაძლოა გამოეყენებინა ჩინელები ჩრდილოეთ ვიეტნამის საპირწონედ. სოციალისტური სოლიდარობის შესახებ მათი პრეტენზიების მიუხედავად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა (ჩსრ) და ჩრდილოეთ ვიეტნამი, საუკეთესო შემთხვევაში, ძლიერ საეჭვო მოკავშირეები იყვნენ. როგორც ისტორიკოსმა ვალტერ ლაფებერმა თქვა, ვიეტნამის გამოყენების ნაცვლად ჩინეთის შესაკავებლად, ნიქსონმა დაასკვნა, რომ სჯობდა ჩინეთი გამოეყენებინა ვიეტნამის შესაკავებლად. თავის მხრივ, ჩსრ-ს სურდა კიდევ ერთი მოკავშირე საბჭოთა კავშირთან მზარდი დაძაბული ურთიერთობების დროს და, რა თქმა უნდა, მიესალმა აშშ-ჩინეთის ურთიერთობის გაზრდის შესაძლებლობას.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

- ▶ კაჭარავა 2018: კაჭარავა ვასილ, „დემოკრატიის გაკვეთილები, ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ისტორია 1877-2008 წლები, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018;
- ▶ მსოფლიო ჰეგემონი 2014: XX საუკუნის ისტორია – TIME – აშშ – მსოფლიო ჰეგემონი, თბილისი, გამომცემლობა პალიტრა L, 2014;
- ▶ Nixon 1978: Nixon Richard. RN The Memoirs of Richard Nixon, New York, NY10020, Simon & Schuster, 1978;
- ▶ Tudda 2012: TuddaChris. „A COLD WAR TURNING POINT. Nixon and China,1969-1972“. Published by Louisiana State University Press, 2012;
- ▶ US Election of 1968: US Election of 1968 – Voting Results Map. <https://gisgeography.com/us-election-1968-map/> ბოლოს დამონმებულია 30.03.2022;
- ▶ Foreign Relations of... 2003: Foreign Relations of the United States, 1969–1972 <https://history.state.gov/historicaldocuments> ბოლოს დამონმებულია 30.03.2022;
- ▶ The Myths and...2021: The Myths and Realities of Ping-Pong Diplomacy; <https://www.historytoday.com/miscellanies/myths-and-realities-ping-pong-diplomacy> ბოლოს დამონმებულია 29.03.2022;
- ▶ president Nixon arrives in China... 2009: president Nixon arrives in China for a talk, <https://www.history.com/this-day-in-history/nixon-arrives-in-china-for-talks> ბოლოს დამონმებულია 29.03.2022;
- ▶ normalization and after... 1979: normalization and after: relations with the United States, <https://www.jstor.org/stable/40201818> ბოლოს დამონმებულია 28.03.2022

Goga Tskhvedishvili

BA in History, TSU

RICHARD NIXON AND A NEW STAGE IN US-CHINA RELATIONS (SUMMARY)

The most important event in Sino-US relations in the first half of the twentieth century took place on October 1, 1949, when Mao Zedong announced the creation of the People’s Republic of China in Beijing. It was during this period that, for 22 years, there were no more diplomatic relations between the mainland (Maoist) China and the United States. The “Gordian knot” was

solved by the thirty-seventh president of the United States, Richard Nixon, who, by „opening the door“ to China, made one of the most important diplomatic breakthroughs of the century.

In the run-up to the 1968 presidential election, former US Vice President and Republican Party presidential candidate Richard Nixon hinted at establishing relations with the People’s Republic of China (this presidential election ended with Nixon winning). This reference by Richard Nixon was also correct and timely, as by this time relations between the Sino-Soviet Union were quite strained (the “harmless conflict” over the border territories soon escalated into a bloody confrontation). After entering a hot phase of the Sino-Soviet confrontation, Henry Kissinger, President Nixon’s national security adviser, suggested that Beijing might agree to cooperate with the states against the Soviet Union. Kissinger’s role in opening up China is enormous. The so-called “Ping-pong” or table tennis diplomacy has made it possible to establish relations with China and lay the groundwork for Nixon’s visit to that country. Throughout 1969-70, President Nixon’s administration invited China to negotiate and take friendly steps. The result was not long in coming, and in December 1970, Mao Zedong sent a letter of invitation to Nixon in China.

President Nixon paid a one-week visit to the People’s Republic of China in February 1972. During the visit, Richard Nixon met with Chinese leaders (including Mao Zedong, of course). The American public was allowed to see China for the first time in decades (certainly through photo and video lenses). At the end of the trip, the two governments issued a Shanghai Communiqué in which they each expressed their position on the crucial obstacle to normalization on the Taiwan issue. Richard Nixon called his visit to China “World Replacement Week.”

Thus, as a result of this historic visit of President Nixon, China-US relations, which had been severed for 23 years, were restored and the basis for diplomatic, trade and other relations was laid. Also, rapprochement with China helped the United States end the war diplomatically with a powerful communist country in Southeast Asia (Vietnam).

1991 წლის „აგვისტოს პუტი“ მოსკოვში და საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება მისდამი

(ბრიტანული და ირლანდიული პრესის მასალების მიხედვით)¹

საკვანძო სიტყვები: ბრიტანული პრესა, ირლანდიური პრესა, საბჭოთა კავშირი, მოსკოვი, საქართველო, აგვისტოს პუტი, ზვიად გამსახურდია, მიხეულ გორბაჩოვი, ბორის ელცინი, გენადი იანაევი, ეროვნული გვარდია, თენგიზ კიტოვანი, საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტი

Keywords: British Press, Irish Press, Soviet Union, Moscow, Georgia, August Coup, Zviad Gamsakhurdia, Mikhail gorbachev, Boris Yeltsin, Gennady Ianaev, National Guard, Tengiz Kitovani, State Committee for Emergency Situations

„ცივი ომის“ დასასრულს, როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლის რეალური პერსპექტივა გამოიკვეთა, ქვეყნის შიგნით არსებული ვითარებით დასავლური საზოგადოების ინტერესმა მოიმატა. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა ბრიტანული პრესა, რის დადასტურებასაც წარმოადგენს ბეჭდურ მედიასა და ტელევიზიებში არსებული მასალები. მრავალრიცხოვანი გამოცემები ყოველდღიურ რეჟიმში აწვდიდა ინფორმაციას მკითხველს სსრ კავშირში არსებულ ვითარებაზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა იმ ქვეყნებს, რომლებიც აქტიურად უპირისპირდებოდნენ მოსკოვის დიქტატს, კერძოდ კი ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და საქართველოს.

1991 წლის 18-21 აგვისტოს მოსკოვში მომხდარი მოვლენები ძალიან რთული და კომპლექსურია, ამჯერად კი ჩვენ განვიხილავთ თუ როგორ გაშუქდა ბრიტანულ და ირლანდიურ პრესაში საქართველოს რესპუბლიკის პოზიცია და როგორ აისახა საქართველოზე აღნიშნული პროცესი. დასავლური პრესა აქტიურად წერდა სსრ კავშირის დედაქალაქში მიმდინარე მოვლენებზე, ამავე კონტექსტში, საინტერესო ცნობებს ვხდებით საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულებაზე მოსკოვის

¹ წარმოდგენილი სტატია მოხსენების სახით წაკითხულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საერთაშორისო კონფერენციაზე: „გამოწვევები და ტენდენციები ჰუმანიტარულ მეცნიერებებში“.

პუტჩთან დაკავშირებით.

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების პოზიციებთან დაკავშირებით დღემდე გრძელდება კამათი, აღნიშნული პრობლემის ირგვლივ, როგორც პროფესორი დაზმირ ჯოჯუა აღნიშნავს, „სრულფასოვანი მეცნიერული ატრიბუცია აშკარად გაძნელებულია წყაროებრივი ბაზის უაღრესად შეზღუდული რაოდენობით. გარკვეული მიზეზების გამო პუტჩის მიმართ საქართველოს ხელისუფლების ამსახველი საარქივო მასალა ფაქტობრივად არ არსებობს“ (ჯოჯუა 2007: 323). ჩვენს ნაშრომში ვეცდებით მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს პოზიციასთან არსებული ცნობები გამოვკვეთოთ.

1991 წლის 18 აგვისტოს, საბჭოთა პოლიტიკურმა და სამხედრო ლიდერებმა, „გადაწყვიტეს სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა: „როდესაც გორბაჩოვი თავის ოჯახთან ერთად ისვენებდა ფოროსში, ყირიმის ნახევარკუნძულზე, დაიწყო შეთქმულების პირველი ეტაპი“ (ჯოჯუა 2007: 324). მასთან გაგზავნეს ჯგუფი გენერალური შტაბის უფროსის იური ბოლდინის ხელმძღვანელობით იმ იმედით, რომ გორბაჩოვი მათთან ითანამშრომლებდა და საგანგებო მდგომარეობას გამოაცხადებდა.

მიხაილ გორბაჩოვის უარის შემდეგ პუტჩისტებმა ის თავის რეზიდენციაში დაატყვევეს. ოფიციალურად კი გამოცხადდა, რომ სსრ კავშირის პრეზიდენტი მძიმედ ავად იყო, ამიტომ ქვეყნის მართვას თავის თავზე იღებდა საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტი (ГКЧП).

გადატრიალების მთავარი მიზანი იყო სსრ კავშირის დაშლის შეჩერება და არსებული სისტემის შენარჩუნება. ეს კარგად ჩანს საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტის მიერ 1991 წლის 19 აგვისტოს გამოცემულ ბრძანებულება №1-ში, რომელშიც „პუტჩისტები ღიად აფიქსირებდნენ სახელმწიფო გადატრიალების მიზეზებს – ქვეყნის სუვერენიტეტისათვის დამღუპველი პოლიტიკის შეჩერება და სსრკ-ს ერთიანობის შენარჩუნება“ (ჯოჯუა 2007: 325). მათ ასევე დაიწყეს ბრძოლა ოპოზიციური პარტიებისა და პრესის წინააღმდეგ. იმავე დღეს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა გამოსცა საგანგებო მიმართვა რუსეთის მოქალაქეებისადმი, რომლის მიხედვითაც „ისევე, როგორც საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტი, მისი გამოცემებული ბრძანებები და დადგენილებები არის არაკონსტიტუციური“ (Bonnell, Cooper... 2015: 29). მან დაგმო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა და სამთავრობო სტრუქტურები და ძალოვანი სამინისტროები თავის დაქვემდებარებაში გადაიყვანა, ასევე მოუწოდა მოქალაქე-

ებს გამოსულიყვნენ მოსკოვის ქუჩებში და დაეცვათ სახელმწიფო.

დასავლურმა სახელმწიფოებმა პუტჩის მიმართ თავიდანვე უარყოფითი პოზიციები დაიკავეს. აშშ პრეზიდენტმა ჯორჯ ჰერბერტ უოკერ ბუშმა, გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრმა ჯონ მეიჯორმა და გერმანიის კანცლერმა ჰელმუტ კოლმა და სხვებმა დაგმეს პუტჩისტების ქმედებები. დასავლეთის ლიდერების მხარდაჭერამ კიდევ უფრო გაუმაგრა პოზიციები დემოკრატიულ ძალებს და დაიწყო ხუნტის დემორალიზაცია (Bonnell, Cooper... 2015: 30).

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას პოზიციები და დამოკიდებულება არის განხილული ბრიტანული გაზეთის „The Courier and Advertiser“-ის სტატიაში სათაურით – „ლიდერი მიანიშნებს გადატრიალების მოწყობაზე“, რომელშიც გაანალიზებულია აღნიშნულ საკითხზე ზვიად გამსახურდიასთან დასავლური პრესის სხვადასხვა გამოცემების მიერ ჩაწერილი ინტერვიუები. შესავალში აღნიშნულია, რომ ზვიად გამსახურდია არის საქართველოს ლიდერი და მისმა რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა ამავე წლის აპრილში. ავტორი განიხილავს ამერიკული ჟურნალის „Time“-ის ცნობას, რომ „როგორც საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ გუშინ განაცხადა, დრო გვიჩვენებს ჩაიშალა თუ არა საბჭოთა გადატრიალება, თუ ეს იყო წინასწარ დაგეგმილი ოპერაცია მიხაილ გორბაჩოვის პოზიციების გასამყარებლად“ (Leader hints at „set-up“ coup 1991: 3). იმავე სტატიაში განხილულია ზვიად გამსახურდიას ინტერვიუ ფრანგული გაზეთის „Le Figaro“-ს კორესპონდენტთან, რომელთან საუბრის დროსაც საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ „მომხდარმა პუტჩმა გორბაჩოვს პოპულარობა და ნდობა მოუტანა, ეს კი შესაძლებლობას აძლევს, რომ გაიმარჯვოს საპრეზიდენტო არჩევნებში“. სტატიაში ხაზგასმულია ისიც, რომ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის აზრით, „ყოველივე წარმოადგენდა სპეციალურად დადგმულ „გადატრიალებას“, რომლის მიზანიც იყო გორბაჩოვისთვის ხალხის ნდობის მოპოვება“ (Leader hints at „set-up“ coup 1991: 3).

გაზეთ „Le Figaro“-ს კორესპონდენტთან, ერიკ ფლამანთან ინტერვიუს ქართული თარგმანი გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ სათაურით – „კეთილად დასრულდა საქმე, მაგრამ ეჭვები მაინც მრჩება“ (ფლამანი 1991: 3).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზვიად გამსახურდია იმავეს ამტკიცებდა თავის მოგონებებში: „პუტჩის დღეებში გამოვთქვი მოსაზრება, რომ ეს

დაიდგა გორბაჩოვის ხელმძღვანელობით, კავშირის დაშლის გადარჩენის მიზნით“ (Гамсахурдиа 1996: 86).

აგვისტოს პუტჩთან დაკავშირებით ზვიად გამსახურდიას შეხედულებები განხილულია ირლანდიურ გაზეთ „Irish Independent“-ში, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს პრეზიდენტს არ სჯერა მომხდარი გადატრიალების და ის წინასწარ დაგეგმილ ქმედებად მიაჩნია. „მოდო ვნახოთ რა ბედი ეწევა ვიცე-პრეზიდენტ გენადი იანაევს. თუ ჩატარდება სათანადო სასამართლო პროცესი და მას დააპატიმრებენ, მაშინ მე დავიჯერებ გადატრიალების სინამდვილეს და თუ ის გახდება „თვითმკვლელობის“ მსხვერპლი ან მოულოდნელად მძიმედ დაავადდება, მაშინ ჩავთვლი, რომ ეს იყო ხელოვნურად მოწყობილი „გადატრიალება“ და ხელისუფლება ცდილობს გააქროს მისი ლიდერები პოლიტიკიდან“ (The Collapse Of Soviet Communism 1991: 11).

მომდევნო გამოცემა, რომელიც წერს საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულებაზე 1991 წლის აგვისტოს პუტჩის მიმართ, არის „Sunday Tribune“. მოსკოვში მყოფი მისი კორესპონდენტის ჯონ მიურეის სტატიაში „რესპუბლიკებს ეშინიათ კვლავ დაბადებული რუსული დათვის“, რომელშიც განხილულია მოცემულ პერიოდში სსრ კავშირში შემავალი და მისგან უკვე გამოყოფილ რესპუბლიკებში არსებული ვითარება: „მოსკოვში მიმდინარე გამოსვლების დროს აფხაზი და ოსი მომიტინგეები და კომუნისტები დაატარებდნენ პლაკატს წარწერით – ლენინი გადატრიალების შემდეგ და მხარდაჭერას უცხადებენ საგანგებო კომიტეტს“ (Murray 1991: 11). იმავე ნომერში ვკითხულობთ, რომ „შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს პრეზიდენტი იძულებული გახდა დათანხმებოდა გადატრიალების მეთაურთა ყველა მოთხოვნას“ (Murray 1991: 11).

მოკლედ უნდა განვიხილოთ 1991 წლის აგვისტოს პუტჩის მიმდინარეობის პერიოდში საქართველოში არსებული ვითარება და მისი შედეგების ასახვა საქართველოზე. საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტის მიერ გამოცხადებულ, 1991 წლის 19 აგვისტოს გამოცემულ ბრძანებულება №1-ში, მე-2 მუხლი ითვალისწინებდა: „სსრ კავშირის კონსტიტუციის დაკანონების საწინააღმდეგოდ მოქმედი ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები გასამხედროებული ფორმირებანი“ (ჭოჭუა 2007: 326), რაც პირდაპირ ემუქრებოდა როგორც საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტს, ისე მისი დაცვის გარანტს, ეროვნულ გვარდიას. ამიტომ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა მიიღო

გადამწყვეტილება ეროვნული გვარდიისთვის სტატუსის შეცვლის შესახებ, რომელიც ერთგვარად კომპრომისული ნაბიჯი იყო: „ითვალისწინებდა რა შექმნილ სიტუაციას, გამსახურდიათ გვარდია შინაგან ჯარად გამოაცხადა და იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში შეიყვანა, რაც კრემლის მთავარი მოთხოვნა იყო“ (კვესელავა 2007: 151). თუმცა ამით არც მისი ფუნქცია შეცვლილა და ის არც დაუშლიათ, როგორც ამას პოლიტიკური ოპონენტები წარმოგვიდგენდნენ (საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის განცხადება 1991: 1).

გვარდიის რესტრუქტურისაციის შემდეგ დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლდა მისი სარდალი თენგიზ კიტოვანი (საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება... 1991: 1), რის შემდეგაც მან ეროვნული გვარდიის ნაწილთან ერთად გამოაცხადა დაუმორჩილებლობა და პრეზიდენტის ოპონენტთა მხარეს გადავიდა.

ავვისტოს გადატრიალების დროს მნიშვნელოვანია ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური ნაბიჯების შეფასება. მან 20 ავვისტოს მიმართა დასავლურ საზოგადოებას და სახელმწიფოთა ლიდერებს (მიმართვა დასავლეთის ქვეყნების ხალხებისა და მთავრობებისადმი 1991: 1), სადაც მოუწოდებდა აქტიური ქმედებებისკენ, რომ შეეჩერებინათ სსრ კავშირის შენარჩუნებისა და მასში რესპუბლიკების კვლავ იძულებით გაერთიანების გეგმები – „ასეთი მოვლენების პირისპირ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციას, უკომპრომისო შეფასებას იმისა, რაც ხდება, აგრეთვე აქტიურ დიპლომატიურ თუ სხვაგვარ მოქმედებას“ (საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები 2013: 278). ამავე მიმართვაში „ზვიად გამსახურდია თხოვნით მიმართავს დასავლეთის ქვეყნებს, რომ მოსკოვში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების ფონზე აღიარონ სსრკ-ის შემადგენელი რესპუბლიკების დამოუკიდებლობა“ (Bonnell, Cooper... 2015: 278). ასევე მან ღია წერილი გაუგზავნა ბორის ელცინს, სადაც მას თანადგომა გამოუცხადა (პრეზიდენტ ბ. ელცინს.. 1991: 1). ასევე მნიშვნელოვანია, რომ მან 20 ავვისტოს, „ბი-ბი-სი“-ს კორესპონდენტს ინგლისურ ენაზე მისცა ინტერვიუ და მთელს მსოფლიოს მოუწოდა არ ეცნოთ პუტჩისტები (კვესელავა 2007: 152).

ამგვარად, 1991 წლის ავვისტოში მოსკოვში მოხდარი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ფონზე, ჩვენ ვეცადეთ წარმოგვედგინა ბრიტანულ და ირლანდიურ პრესაში ასახული საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება აღნიშნული მოვლენისადმი და მთავარი

აქცენტი გავაკეთეთ იმაზე, თუ რომელ ასპექტებს გამოყოფდნენ განსაკუთრებით და როგორ იყო წარმოჩენილი მათი პოზიციები განხილულ გამოცემებში, რომელთა პუბლიკაციებიც დიდ როლს ასრულებდნენ საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური აზრის ფორმირებაზე, საქართველოს შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

- ▶ კვესელავა 2007: კვესელავა იგორ. საქართველოს უახლესი ისტორიის ქრონიკები II ზვიად გამსახურდია დისიდენტი პრეზიდენტი მონამე. თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2007;
- ▶ ჯოჯუა 2007: ჯოჯუა, დაზმირ. 1991 წლის აგვისტოს პუტჩი და საქართველო. სოხუმის უნივერსიტეტის შრომები, ტომი I ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია. თბილისი, „სოხუმის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2007;
- ▶ საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები 2013: საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები, ზვიად გამსახურდია, ტომი II, თბილისი, „ირიდა“, 2013;
- ▶ Bonnell, Cooper... 2015: Bonnell Victoria E., Cooper Ann, and Freidin Gregory. Russia At The Barricades Eyewitness Accounts of the August 1991 Coup. New York, Routledge Taylor & Francis Group. 2015;
- ▶ Гамсахурдиа 1996: Гамсахурдиа Звиад. За независимую Грузию. Москва 1996;
- ▶ მიმართვა დასავლეთის ქვეყნების ხალხებისა და მთავრობებისადმი 1991: მიმართვა დასავლეთის ქვეყნების ხალხებისა და მთავრობებისადმი, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991, №163. გვ.1;
- ▶ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის გაცხადება 1991: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991, №166, გვ. 1;
- ▶ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება... 1991: საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება თენგიზ კიტოვანის შინაგანი ჯარების – ეროვნული გვარდიის სარდლის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991, №166. გვ.1;
- ▶ ფლამანი 1991: ინტერვიუ გაზეთ „Le Figaro“-ს კორესპოდენტ ერიკ ფლამანთან. „ზვიად გამსახურდია: კეთილად დასრულდა საქმე, მაგრამ ეჭვები მაინც რჩება“, გაზ. საქართველოს რესპუბლიკა“, 1991, №170. გვ. 3;
- ▶ პრეზიდენტ ბ. ელცინს... 1991: პრეზიდენტ ბ. ელცინს. რსფსრ სახალხო დეპუტატთა საგანგებო სესიას. გაზ. „საქართველოს

რესპუბლიკა“, 1991, №165. გვ. 1;

- ▶ The Collapse Of Soviet Communism 1991: The Collapse Of Soviet Communism გაზ. „Irish Independent“. 24 აგვისტო, 1991. გვ. 11;
- ▶ Murray 1991: Murray John. Republics fear the Strength of the reborn Russian bear. ჟურნ. „Sunday Tribune“, August25th1991. გვ.11;
- ▶ Leader hints at „set-up“ coup 1991: Leader hints at „set-up“ coup, გაზ. „The Courier and Advertiser“ .. August24th1991. გვ. 15.

Giorgi Butskhrikidze

Researcher at The Center For Contemporary History
Ph.D. program of History, TSU

„AUGUST COUP“ OF 1991 IN MOSCOW AND THE ATTITUDE OF THE GEORGIAN GOVERNMENT TOWARDS IT (ACCORDING TO BRITISH AND IRISH PRESS MATERIALS) (SUMMARY)

Towards the end of the cold war, as the prospect of the USSR collapsing became realistic, the west began to pay closer attention to the region, and their interests expanded. The British press was noticeably active in this regard, attested by substantial evidence in the archives. Numerous journals reported on the state of the USSR daily. Special attention was paid to the nations that had turned against the regime and repression imposed by Moscow, namely the Baltic nations and Georgia.

The events that took place on August 18-21, 1991, are eminently complex. We attempt in this work to analyze how the British and Irish media described the position assumed by the Georgian republic and how the aforementioned events affected the state of the country. Naturally, the western media actively covered the events occurring at the time in the capital of the USSR. There are some curious findings about the attitude that the Georgian government had adopted at that time.

ქართულ-ოსური კონფლიქტის გადაჭრის მცდელობები და მათი წარუმატებლობის მიზეზები 1991-2003 წლებში

საკვანძო სიტყვები: ცხინვალი, კონფლიქტი, სამხრეთ ოსეთი, მოლაპარაკებები, კონფლიქტის დარეგულირების მაკროპოლიტიკური მეთოდები

Keywords: Tskhinvali, Conflict, South Ossetia, Negotiations, Macropolitical Methods of Conflict Resolution

1991-1992 წლებში ცხინვალის რეგიონში ქართულ და ოსურ მხარეს შორის საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა, რამაც მძიმე შედეგები მოიტანა როგორც ადამიანური მსხვერპლის, ისე ჰუმანიტარული თუ ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების კუთხით. ამას საბოლოოდ 2008 წლის აგვისტოში ცხინვალის რეგიონში მორიგი ომი და რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოზე განხორციელებული აგრესია მოჰყვა. კონფლიქტი დღემდე გადაუჭრელია და უარყოფითი გავლენა აქვს მთლიანად საქართველოსა და უშუალოდ კონფლიქტის რეგიონზე. შესაბამისად, სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული გარემოებების მიუხედავად, კონფლიქტის გადაჭრისთვის კონფლიქტის დაწყებიდან 2003 წლამდე პერიოდში გადადგმული ნაბიჯების შესწავლა და მათი წარუმატებლობის მიზეზების გაანალიზება აქტუალური საკითხია, რაც მოცემული ნაშრომის მიზანს წარმოადგენს.

ნაშრომის შესწავლის ფოკუსი 1991-2003 წლები იქნება. მოცემული პერიოდის განმავლობაში კონფლიქტის მოსაგვარებლად სხვადასხვა ტიპის ნაბიჯები გადაიდგა. აღსანიშნავია, რომ მხარეებს შორის ზოგი საკითხის ირგვლივ გარკვეული წინსვლა შეინიშნებოდა, თუმცა საბოლოო შეთანხმებამდე მისვლა მაინც ვერ მოხერხდა. აქედან გამომდინარე, კონფლიქტის დარეგულირებისა და გადაჭრის პროცესის ანალიზი და მისი წარუმატებლობის მიზეზების დადგენა საინტერესო განსახილველ საგანს წარმოადგენს.

კონფლიქტის გადაჭრის წარუმატებლობის მხოლოდ ერთ რაიმე კონკრეტულ მიზეზზე გადაბრალება საკითხის ზედმეტი გამარტივებისა და ზედაპირული შეხედულების გამოხატულებაა. პირიქით, შეთანხმების

მიღწევის შეუძლებლობის მიზეზები კომპლექსურია, რომელიც მოიცავს როგორც საშინაო, ისე საგარეო ფაქტორებს.

კვლევის პროცესში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის დიზაინი და მეთოდები. კერძოდ, ნაშრომი შემთხვევის შესწავლის მეთოდს, კონკრეტულად კი შემთხვევის შესწავლის ახსნით ტიპს დაეფუძნება. ასევე, შესწავლილი და გაანალიზებული იქნება ოფიციალური დოკუმენტები, შესაბამისი პერიოდების პირველადი და მეორეული წყაროები და ა. შ. ანალიზის სისტემატიზაციისა და გამარტივების მიზნით, ნაშრომში გამოყენებული იქნება თეორიული ჩარჩო, კერძოდ კლანსისა და ნეგლის მიერ შემოთავაზებული კონფლიქტების დარეგულირების მაკროპოლიტიკური მეთოდები. დასახელებული ავტორების მიერ ჩამოყალიბებული მაკროპოლიტიკური მეთოდები მოიცავს ჰეგემონურ კონტროლსა და უმცირესობების საკითხის სეკურიტიზაციას, არბიტრაციას, კანონიზაცია/ფედერალიზაციას, კონსტიტუციონალიზმის პრინციპს, კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციას და ა. შ. ჩამოთვლილი მეთოდები კონფლიქტის სხვადასხვა ეტაპისთვის ან სიტუაციისთვის არის რელევანტური. შესაბამისად, ქართულ-ოსური კონფლიქტის სხვადასხვა ეტაპი განსხვავებული მეთოდის მიხედვით იქნება გაანალიზებული, რაც 1990-იანი წლებიდან 2003 წლამდე კონფლიქტის დარეგულირებისა და გამოსავლის ძიების პროცესის სისტემატიზაციას მოახდენს და ანალიზს უფრო თანმიმდევრულს გახდის.

კონფლიქტის წინა პერიოდი

საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში ქართულ და ოსურ მხარეებს შორის დაპირისპირება გაღვივდა, რასაც სამი ტიპის გამოვლინება ჰქონდა: ე. წ. „კანონთა ომი“ თბილისსა და ცხინვალში არსებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელობას შორის, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფენებს შორის დაპირისპირება და ცხარე პუბლიცისტური დისკუსიები და საბოლოოდ, დაპირისპირება შეიარაღებულ ფორმირებებს შორის.

ე. წ. „კანონთა ომი“ 1989 წელს დაიწყო და თავდაპირველად შეეხებოდა ოსური მხარის მოთხოვნას ოსური ენის სტატუსის ამაღლებასთან დაკავშირებით, რაც თბილისმა არ დააკმაყოფილა. აღსანიშნავია, რომ ცხინვალში „ადამონ ნიხასის“ მიერ პირველი მიტინგის გამართვის სა-

ბაბი სწორედ ქართული ენის სტატუსთან დაკავშირებით მიღებული ცვლილებები იყო, რომელიც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ქართული ენის ყველა სფეროში ფართოდ გამოყენებასა და სავალდებულო სწავლებას უზრუნველყოფდა. ხოლო შემდეგ ცხინვალმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გარდაქმნის გადაწყვეტილება მიიღო და ოსური ენა სახელმწიფო ენად აღიარა. აღნიშნული გადაწყვეტილებები კი საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით გაუქმებულ იქნა, როგორც უკანონო (საქართველოს პარლამენტი 2006). ასევე დაპირისპირების საგანი გახდა საქართველოს ეროვნული მოძრაობის ლიდერების თაოსნობით, დაახლოებით, 15 ათასი ადამიანის ცხინვალისკენ დაძვრა, რაც ოსურმა მხარემ პროვოკაციად აღიქვა (საქართველოს პარლამენტი 2006).

„კანონთა ომი“ 1990 წელსაც გაგრძელდა – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭომ მიიღო დადგენილება „სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შესახებ“, რაც, ფაქტობრივად, საქართველოს შემადგენლობიდან გასვლას გულისხმობდა, თუმცა ამის უფლება საბჭოს არ ჰქონდა. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა ეს დადგენილება გააუქმა. მიუხედავად ამისა, ოსურმა მხარემ მაინც გააგრძელა სსრკ-ის შემადგენლობაში ცალკე რესპუბლიკად პოზიციონირება და საკუთარი ადმინისტრაციის დაკომპლექტება დაიწყო. მეტიც, მათ თბილისის მიერ დანიშნული მრავალპარტიული არჩევნები უკანონოდ მიიჩნია და საკუთარი არჩევნები ჩანიშნა. ოსების უმეტესობამ მთელ საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახლადარჩეულმა ხელმძღვანელობამ კი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რესპუბლიკად გადაქცევის შესახებ მიღებული უკანონო დადგენილებები გააუქმა. მიუხედავად ამისა, ოსურმა მხარემ მსგავსი ტიპის დადგენილებების მიღება, ხოლო ქართულმა მხარემ მათი გაუქმება განაგრძო. ოსურმა მხარემ არჩევნები მაინც ჩაატარა, თუმცა თბილისმა ის უკანონოდ და ბათილად სცნო. ამასთან, გამსახურდიას ხელმძღვანელობით საქართველოს უზენაესმა საბჭომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიც გააუქმა. აღნიშნულ გადაწყვეტილებას გამსახურდიას ოპოზიცია სამართლიანად, თუმცა მოცემული მომენტისთვის გაუმართლებლად აფასებდა. დასახელდა გადაწყვეტილების სამი არგუმენტი:

„1. 1922 წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომია შეიქმნა მკვიდრი ქართველი მოსახლეობის ნების საწინააღმდეგოდ და საქართველოს ინტერესთა საწინააღმდეგოდ;

2. ოს ხალხს აქვს საკუთარი სახელმწიფოებრიობა სსრკ-ს ტერიტორიაზე;

3. სამხრეთ ოსეთში საქართველოში მაცხოვრებელ ოსთა მხოლოდ მცირე ნაწილი ცხოვრობს“ (საქართველოს პარლამენტი 2006).

1990 წლის 11 დეკემბერს ავტონომიური ოლქის გაუქმებასთან ერთად ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობაც გამოცხადდა (საქართველოს პარლამენტი 2006). ამ პერიოდში ადგილზე მდგომარეობა მკვეთრად დაიძაბა და ვითარება სამხედრო შეტაკებებამდე მივიდა.

ასევე აღსანიშნავია, რომ გორბაჩოვის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებით, სსრკ-ის კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ გამოცხადდა, როგორც სამხრეთ ოსეთის ავტონომიის ამაღლების შესახებ, ისე მის გაუქმებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები, აგრეთვე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და მისით გათვალისწინებული ზომები (შსს-ს, სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგანი ჯარების მოხმობა ცხინვალისა და ჭავის რაიონებში). თუმცა თბილისმა გორბაჩოვის ბრძანება თავის მხრივ არაკონსტიტუციურად გამოაცხადა, რადგან მიიჩნევდა, რომ როგორც საბჭოთა კავშირის, ისე საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, სუვერენული სახელმწიფო იყო, რომელსაც საკუთარ ტერიტორიაზე ტერიტორიული უზენაესობა უნდა განეხორციელებინა და ყველა ორგანო დამორჩილებოდა (საქართველოს პარლამენტი 2006).

მოლაპარაკებები და კონფლიქტის დარეგულირების მცდელობები

ცხინვალის რეგიონში 1991 წლის 5-6 იანვარს დაწყებული საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტისთვის გადადგმული პირველი მნიშვნელოვანი მოვლენა 23 მარტს ყაზბეგში გამსახურდია-ელცინის შეხვედრა იყო, სადაც ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე სტაბილიზაციისთვის ერთობლივ მოქმედებებზე შეთანხმდნენ. კერძოდ, ყველა უკანონო ფორმირების განიარაღების მიზნით რუსეთისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროების გაერთიანებული

რაზმი უნდა შექმნილიყო, ასევე უნდა შექმნილიყო კონფლიქტის შემსწავლელი კომისია; რუსული, ქართული და ჩრდილო ოსური მხარის მონაწილეობით ლტოლვილების საკითხის მოსაგვარებლად ორი კომისია და ამ შეთანხმების კონტროლისთვის მუდმივი ჯგუფი. ხოლო კომისიებისა და რაზმების საბოლოო მიზნად რეგიონში მშვიდობისა და სიმშვიდის აღდგენა განისაზღვრა (23 მარტს ყაზბეგში ერთმანეთს... 1991: 1).

აღნიშნული შეთანხმება შესაძლოა კონფლიქტის მოგვარების პირველ მცდელობად იყოს განხილული. თუმცა გამსახურდია-ელცინის ყაზბეგის შეთანხმებით კონფლიქტის მოგვარება ვერ მოხერხდა, რასაც რამდენიმე მიზეზი განაპირობებდა. მათ შორის, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხელისუფლება კონფრონტაციულ ნაბიჯებს დგამდა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლების პოზიტიურ გზავნილებს უარყოფითად პასუხობდა (ხოსიტაშვილი, ჯგერენაია 2015). მაგალითად, გორბაჩოვის 7 იანვრის ბრძანებულებას, რომელიც სამხრეთ ოსეთს საქართველოს შემადგენლობაში აღიარებდა და აღნიშნავდა, რომ ავტონომიის სტატუსის ცვლილებას ცენტრალური ხელისუფლების თანხმობა სჭირდება, „სამხრეთ ოსეთის ყველა დონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს სესია“ ითვალისწინებდა და თავის ყველა გადაწყვეტილებაზე უარს ამბობდა, მაგრამ გორბაჩოვის ბრძანებულებას თბილისი აპროტესტებდა რეგიონიდან შეიარაღებული ფორმირებების გამოყვანის მოთხოვნის გამო. საქართველოს ხელისუფლებამ კონფრონტაციული გზა აირჩია და დიალოგის შანსი ხელიდან გაუშვა 1991 წლის 4 მაისს, როდესაც ცხინვალში სახალხო დეპუტატთა საბჭოს გადაწყვეტილებას, რომელიც სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაქმნას უარყოფდა, უპასუხა, რომ ოსური საბჭოს სესია უკანონო იყო და იურიდიული ძალა არ ჰქონდა (კობახიძე 2019: 13). ეს კი მიუთითებდა საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური ნების არქონაზე, რის გამოც კონფლიქტის ადრეულ ეტაპზევე დარეგულირების შესაძლებლობა ხელიდან იქნა გაშვებული.

მეტეც, გორბაჩოვის მიერ მისი 7 იანვრის ბრძანების შესრულების მოთხოვნის განმეორების პასუხად გამსახურდია წერდა, რომ ის ექსტრემისტებთან მოლაპარაკებას არ აპირებდა. არამედ აღნიშნავდა, რომ მოლაპარაკებებს რუსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის ხელმძღვანელობასთან აწარმოებდა (გამსახურდია 1991ა: 1). ასევე, კონფლიქტის მიმდინარეობისას საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით ცხინვალის რეგიონში მმართველობის ორგანოები უნდა შექმნილიყო

და სექტემბერში საკრებულოს არჩევნები ჩატარებულიყო (კობახიძე 2019: 14), რაც რეალობას მოწყვეტილი გადაწყვეტილება იყო და კონფლიქტის დარეგულირებას და ოსურ მხარესთან მოლაპარაკებას ხელს არ უწყობდა. ამ ნაბიჯებით ჩანს, რომ ქართული მხარე „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქთან“ დიალოგისთვის მზად არ იყო, რაც შეიძლება პოლიტიკური ნების არქონასთან ერთად, სახელმწიფოს მართვის ინსტიტუციური მეხსიერების არქონისა და გამოუცდელობის შედეგი იყოს.

გამსახურდია-ელცინის შეთანხმებით კონფლიქტის გადაუჭრელობაზე პასუხისმგებლობა მხოლოდ ქართულ მხარეს ვერ დაეკისრება, პირიქით – ელცინმა და რუსეთმა დამოკიდებულება შეთანხმების დადებიდან ძალიან მალე შეიცვალა, რაც 1991 წლის 31 მარტის დადგენილებაში აისახა. მაგალითად, ელცინი ყაზბეგის ოქმში აღიარებდა, რომ სამხრეთ ოსეთის ოლქი აღარ არსებობდა, ხოლო რსფსრ-ის სახალხო დეპუტატთა ყრილობის დადგენილებით, რომელსაც ხელს ელცინი აწერდა, საქართველოს ხელისუფლებას სამხრეთ ოსეთის „ავტონომიური ოლქის სტატუსისა და სახელმწიფო ხელისუფლების ყველა სტრუქტურის აღდგენას“, ბლოკადის მოხსნას, ვითარების სტაბილიზაციასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარე ტორეზ კულუმბეგოვის გათავისუფლებას სთხოვდა. შეიძლება ითქვას, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭომ ელცინს ყაზბეგში დაფიქსირებული პოზიცია შეუცვალა (Всехосетского Совета РСФСР 1991), რაც შეთანხმებული პუნქტების შეუსრულებლობის განმაპირობებელი მნიშვნელოვანი მიზეზია.

დადგენილება გამსახურდიამ საშინაო საქმეებში ჩარევად შეაფასა (გამსახურდია 1991ბ: 1) და შესაბამისად, ურთიერთობა დაიძაბა და თანამშრომლობა გართულდა. ყაზბეგის პროტოკოლით კონფლიქტის მოგვარების წარუმატებლობაში აღსანიშნავია სსრკ-სა და ოსური მხარის როლიც. კერძოდ, ოსურ და ქართულ მხარეს შორის შეტაკებები უარყოფითად აისახებოდა კონფლიქტის დარეგულირების შესაძლებლობაზე. სსრკ-მა კი ცხინვალში რეგულარული არმიის ნაწილები შეიყვანა, რაც ქართულმა მხარემ სუვერენიტეტის უხეშ დარღვევად შეაფასა (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი 1991). ასევე, სსრკ ოსებს დადგენილებებით უსახავდა იმედს, რომ ახალ „სამოკავშირეო ხელშეკრულებაში“ ცხინვალის სტატუსი ახლებურად შეიძლება ასახულიყო (კობახიძე 2019: 14). ეს ქმედებები კი ოსებს აქებებდა, კონფლიქტს აღვივებდა და კონფლიქტის მოლაპარაკებებით, განსაკუთ-

რებით ყაზბეგის პროტოკოლის მიხედვით, დარეგულირების მოტივაციას უმცირებდა. საბჭოთა ჯარების კონფლიქტის რეგიონში გამოჩენა და ზოგი წყაროს თანახმად, მათი ბრძოლებში უშუალო ჩართვა სსრკ-ს მოწოდებებსა და ერთობლივი კომისიის შექმნას (ზაქარეიშვილი 2019) ნდობას უკარგავდა.

შემოდგომაზე რსფსრ სამთავრობოთაშორისო კომისიის შექმნის იდეით გამოვიდა; თუმცა 24 ოქტომბერს სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საბჭომ „ოსეთის ერთიანობის აღდგენისა და რუსეთის შემადგენლობაში ერთიანი ოსეთის შესვლის თაობაზე“ გადაწყვეტილება მიიღო, ხოლო რუსეთის პარლამენტი საქართველოსადმი მკაცრი ეკონომიკური სანქციების დაწესების მოთხოვნით გამოვიდა. რუსული და ოსური მხარის ეს გადაწყვეტილებები კი კონფლიქტის გადაჭრას ძალიან ართულებდა და შესაძლებელია, შეფასდეს, როგორც კონფლიქტის დარეგულირების პროცესის დესტრუქცია. თავის მხრივ, ქართული მხარეც 2 დეკემბრის პრეზიდენტის ბრძანებულებით მხოლოდ სსრკ-ის ჯარების გაყვანაზე მოლაპარაკების მზაობას გამოთქვამდა, ხოლო ოსებთან მოლაპარაკებას ან „სამხრეთ ოსეთის“ საკითხის შესახებ მოლაპარაკებას არც კი განიხილავდა. აქედან გამომდინარე, კონფლიქტის გადაჭრის წარუმატებლობის მიზეზი იყო, როგორც საგარეო (სსრკ-სა და რსფსრ-ის ქმედებები), ისე საშინაო – საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა და ასევე ოსური მხარის ქმედებები, კერძოდ 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების შემდეგ 1992 წლის 3 იანვარს ოსურმა მხარემ „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის რეფერენდუმის ჩატარების დადგენილებით კიდევ ერთი დესტრუქციული ნაბიჯი გადადგა (ზაქარეიშვილი 2019).

საქართველოში გამსახურდიას დემოკრატიულად არჩეული მთავრობის სამხედრო გადატრიალებით დამხობის შემდეგ სამხედრო საბჭოს წევრები, ჯაბა იოსელიანი და თენგიზ კიტოვანი, განსხვავებით სხვა საკითხებისა, „სამხრეთ ოსეთთან“ მიმართებით იმავე პოლიტიკას ატარებდნენ და გამსახურდიას გადაწყვეტილებებს არ აუქმებდნენ. თუმცა ქართული მხარის გარკვეულწილად კონფრონტაციული პოლიტიკა გასაკვირი არაა, რადგან ოსური მხარის მიერ დამოუკიდებლობისა და რუსეთთან მიერთების შესახებ უკანონო რეფერენდუმის ჩატარებასა და შემდეგ „დამოუკიდებლობის აქტის“ მიღებას სამშვიდობო პროცესი ჩიხში შეჭყავდა. ძარის ტრაგედია¹ და მსგავსი მოვლენები მოლაპარა-

1 1992 წლის 20 მაისს ჯავა-ცხინვალის დამაკავშირებელ მონაკვეთზე, სოფელ ძარის გზაზე სატვირთო ავტომობილში დაუდგენელი შეიარაღებული დაჯგუფების მიერ

კებებს და კონფლიქტის გადაჭრას კიდევ უფრო ართულებდა.

თუმცა მოლაპარაკება 10 ივნისს შევარდნაძესა და ჩრდილოეთ ოსეთის ლიდერ გალაზოვს შორის ყაზბეგის შეხვედრით განახლდა, სადაც ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმდნენ. ხოლო 1992 წლის 24 ივნისს შევარდნაძე-ელცინს შორის სოჭში, დაღომისში, ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველო-ოსეთის კონფლიქტის მონესრიგების პრინციპების შესახებ (საქართველოს პარლამენტი 2006). შეიძლება ითქვას, რომ შეთანხმება არათანასწორი იყო (საქართველოს საზიანოდ), რაც მის წარმატებულობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა. კერძოდ, ცეცხლის შეწყვეტისა და შეიარაღებული ფორმირებების გაყვანის მიზნით იქმნებოდა შერეული საკონტროლო კომისია (შსკ) და შსკ-ს ხელმძღვანელობით – შერეული ძალები. 1992 წლის ვლადიკავკაზისა და 1994 წლის მოსკოვის შეთანხმებით დაზუსტდა, რომ შსკ-ში შედიოდნენ ქართული, რუსული, ჩრდილო და სამხრეთ ოსური მხარეები, ხოლო შერეული ძალების შემადგენლობა განისაზღვრა 500-500 რუსი, ოსური მხარისა და ქართველი ჯარისკაცებით და 300-300 რეზერვისტით იმავე მხარეებისგან. მართალია, შსკ-ში ეუთო-ს მისიის მონაწილეობაც გადაწყდა, მაგრამ შსკ-ში ქართული მხარე უმცირესობაში იყო (სამი ერთის წინააღმდეგ) და შერეულ ძალებში 1000 (500 რუსი და 500 ოსი) ჯარისკაცი 500 ქართველის წინააღმდეგ (საქართველოს პარლამენტი 2006).

მიუხედავად ამისა, ხელშეკრულება ცალსახად უარყოფითად ვერ შეფასდება, რადგან მან სიტუაციის სტაბილიზაციასა და შემდგომი სამშვიდობო პროცესის წარმართვას შეუწყო ხელი. მიუხედავად ამისა, ოსურმა მხარემ 1993 წელს „ძირითადი კანონი“ მიიღო და „სამხრეთ ოსეთი“ სუვერენულ დემოკრატიულ სახელმწიფოდ გამოაცხადა (საქართველოს პარლამენტი 2006), ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკამ „სამხრეთ ოსეთის“ რესპუბლიკის ცნობის შესახებ დადგენილება მიიღო (ღია საზოგადოება საქართველო 2005), რაც რუსეთის ხელისუფლებას არ დაუგმია (კობახიძე 2019: 15), მიუხედავად იმისა, რომ ასს რესპუბლიკას რუსეთში მსგავსი ქმედების უფლებაც კი არ ჰქონდა (საქართველოს პარლამენტი 2006). ეს ყოველივე მოლაპარაკებისა და თანამშრომლობის სულისკვეთებას ეწინააღმდეგებოდა.

1994 წელს საქართველოს დსთ-ში [იძულებითმა] განწვრიანებამ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა შეცვალა, მათ შორის ცხინვალის რე-

ჩაიცხრილა ჩრდილოეთ ოსეთში მიმავალი ეთნიკური ოსი მშვიდობიანი მოსახლეობა. ტრაგედიას 33 ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის, ქალები და ბავშვები, 16 ადამიანი კი დაშავდა.

გიონთან დაკავშირებითაც – გადაწყდა კონფლიქტის მოწესრიგებაზე მოლაპარაკებების დაწყება (კობახიძე 2019: 15). 1995 წლის 4 მაისს მიღებულ იქნა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ შეთანხმების პროექტი – შავი ვარიანტი, სადაც კონფლიქტის გადაწყვეტის ვერსიად განიხილებოდა ფედერაცია, სადაც სამხრეთ ოსეთს, როგორც ფედერაციის სუბიექტს საკუთარი კონსტიტუცია ექნებოდა (ზაქარეიშვილი 2019). 1995 წლის 30 ოქტომბერს კი ეუთოს მონაწილეობით ვლადიკავკაზში ქართულ-ოსური კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების ოქმს ხელი საქართველოს, რუსეთის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებმა მოაწერეს. ხელმოწერილი დოკუმენტი მოლაპარაკებათა პროცესის დაუყოვნებლივ დაწყებას ითვალისწინებდა. ასევე საექსპერტო ჯგუფებს უსაფრთხოების, ნდობის აღდგენის, ეკონომიკური აღდგენისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსის შესახებ წინადადებების მომზადება დაევალა (საქართველოს პარლამენტი 2006). საექსპერტო ჯგუფების მუშაობის შემდეგ ეუთო-ს ჩართულობით 1996 წელს კონფლიქტის მოწესრიგების მემორანდუმის პროექტი შემუშავდა, ჯერ მოხდა მისი პარაფირება, ხოლო 16 მაისს მოსკოვში „უშიშროების უზრუნველყოფისა და ურთიერთნდობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ მემორანდუმს ოთხივე მხარემ მოაწერა ხელი, რაც ეუთო-ს შეფასებით, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო. მემორანდუმის შესრულების კომუნიკეში სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემადგენლობაში ფედერაციულ სუბიექტად განიხილებოდა. მართალია, 1996 წელს ცხინვალის რეგიონში „საპრეზიდენტო არჩევნები“ გაიმართა, რაც საქართველომ უკანონოდ სცნო, მაგრამ არჩეულმა დე ფაქტო პრეზიდენტმა, ჩიბიროვმა და შევარდნაძემ შემდგომ შეხვედრა გამართეს და მიღწეულ პროგრესს ხაზი გაუსვეს (საქართველოს პარლამენტი 2006).

მოცემულ ეტაპამდე პოლიტიკურ საკითხებზე წინსვლის მიუხედავად ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ნაბიჯები არ გადადგმულა და ამ მხრივ მუშაობა 1997 წელს გააქტიურდა, რაც მოსკოვისა და ბორჯომის სამუშაო შეხვედრაში გამოიხატა. ასევე სოციალურ-ეკონომიკური საკითხები შევარდნაძე-ჩიბიროვმაც განიხილეს და 1998 წელს უცხოეთიდან დონორების მოძიებაზეც შეთანხმდნენ, მათ შორის იყო ევროპის კავშირიც. ამ პერიოდში ქართულმა მხარემ სოფელ მიტარბში ოსი ეროვნების მოსახლეობის დაბრუნებაც უზრუნველყო, რაც მოლაპარაკებებში პოზიტიური ნაბიჯი იყო (ზაქარეიშვილი 2019). „ქართულ-ოსური კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების მიზ-

ნით“ 1997 წელს მოსკოვში ქართული და ოსური სპეციალური უფლება-მოსილებით აღჭურვილი დელეგაციების შეხვედრა შედგა. შეხვედრის ოქმს ხელს აწერდნენ ჩრდილოეთ ოსეთი, რუსეთი და ეუთო-ც, თუმცა საინტერესოა, რომ ეუთო-ს წარმომადგენლები ფიქსირდებოდნენ მხოლოდ პიროვნული წარმომადგენლობის დონეზე და არა როგორც პროცესში მონაწილე მხარე. ეს კი მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ რუსეთი ცდილობდა, მთავარი მედიატორის როლი და მოლაპარაკებების გავლენის მოხდენის მაქსიმალური ბერკეტები შეენარჩუნებინა. ეუთო-ს წარმომადგენლების სტატუსის შესახებ ქართული მხარე ოფიციალურად წინააღმდეგი არ გამოსულა (საქართველოს პარლამენტი 2006), რაც შეიძლება შეცდომა ან უბრალოდ რუსეთის ზეწოლის შედეგი ყოფილიყო. აღნიშნულ შეხვედრაზე მიიღეს განცხადება „კონფლიქტის ზონაში ეკონომიკის აღდგენისა და განვითარების შემდგომი ღონისძიებების შესახებ“. ასევე იმსჯელეს მოლაპარაკებათა პროცესის შემდგომ განვითარებაზე და წამყვანი როლი საექსპერტო ჯგუფებს დაეკისრა. შემდეგ კი მხარეებმა კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ საკუთარ პროექტებზე მუშაობა და მათი წარდგენა დაიწყეს.

თუმცა ამ პერიოდში ქართული მხარის შეცდომებიც აღსანიშნავი იყო, რაც კონფლიქტის გადაჭრის წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზია. კერძოდ, საქართველო ოსური მხარის მოთხოვნაზე შეფასებულებით კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები, უარს აცხადებდა, რითაც შეცდომების აღიარებისა და ნდობის ჩამოყალიბების შანსს ხელიდან უშვებდა. ასევე, 1998 წელს გაერო-მ მოამზადა და საქართველოს შესთავაზა რესტიტუციის დოკუმენტი, თუმცა საქართველოს ის არ გამოუყენებია (ზაქარეიშვილი 2019), მაშინ როდესაც მსგავსი პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობდა ნდობის აღდგენასა და მოლაპარაკებებში პოზიტიური დინამიკის ჩამოყალიბებას.

სამშვიდობო პროექტები, რომლებზეც მუშაობა 1997 წლის შეხვედრის შემდეგ დაიწყო, 1999 წლის ეუთო-ს მისიის ანგარიშში უკვე მოცემული იყო ე. წ. შუალედური დოკუმენტების სახით (ქართული, რუსული და ოსური მხარის მიერ წარდგენილი ვერსიები). ეუთო, თავის მხრივ, პროცესის ხელშეწყობას ცდილობდა და ასევე აღსანიშნავია, რომ ეუთო-ს პოზიცია საზღვრების ურღვეობის პრინციპს ეფუძნებოდა (საქართველოს პარლამენტი 2006).

შეხვედრებზე ოსური მხარე ახალ დოკუმენტების მიღებისადმი გარკვეულწილად სკეპტიციზმით იყო განწყობილი, რადგან ამტკიცებდა,

რომ წინა დოკუმენტები შეუსრულებელი იყო (საქართველოს პარლამენტი 2006). აგრეთვე აღსანიშნავია, რომ 1999 წელს შეხვედრაზე ოსურმა მხარემ ხელმოწერილი დოკუმენტების იმპლემენტაციის გადახედვა მოითხოვა, განსაკუთრებით რეგიონის რეაბილიტაციის შესახებ – რაზეც ქართულმა მხარემ უპასუხა, რომ პოლიტიკური და სტატუსის საკითხთან შედარებით ეკონომიკური აღდგენის პრობლემისთვის პრიორიტეტის მინიჭებას არ ეთანხმებოდნენ (ჭანკვეტაძე 2019: 15). ეს კონფლიქტის გადაჭრის პროცესში გადადგმული ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეცდომა იყო, რადგან ეკონომიკური აღდგენა, ერთი მხრივ, ნდობას განამტკიცებდა, ურთიერთობებს დაახლოებდა და მეორე მხრივ, პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტისთვის საძირკველს შექმნიდა.¹ მეტიც, ეკონომიკური კავშირების განვითარება, ერთი მხრივ, ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებას ქმნის, რაც კონფლიქტის განვითარებას რისკს ამცირებს, რადგან ის ორივე მხარისთვის მეტად წამგებიანი ხდება (ასევე მხარეები უფრო დაინტერესებული ხდებიან კონფლიქტის არდაშვებით და კონფლიქტის თავიდან აცილებისთვის მეტი ფორმალური თუ არაფორმალური საკომუნიკაციო არხები შეიძლება ჩამოაყალიბონ). მეორე მხრივ, ეკონომიკური კავშირების განვითარებისას მისი სხვა ყველა სფეროში „გადაღვრის“ პოტენციალი არსებობს, რაც სხვა სახის კავშირების ჩამოყალიბება-განმტკიცებას უწყობს ხელს – აღნიშნული კონფლიქტის თავიდან არიდების და ინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფორმულაა და ქართული და ოსური საზოგადოებების რეინტეგრაციაშიც, მოსალოდნელი იქნებოდა, რომ პოზიტიური როლი შეესრულებინა.

სამშვიდობო პროცესის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 2000 წელს ვენაში გამართული შეხვედრა. როგორც ზემოთ აღინიშნა, შეხვედრამდე მხარეებმა კონფლიქტის გადაჭრის თავიანთი „შუალედური დოკუმენტები“ შექმნეს, რომლებიც ეუთო-ს მუშაობის შედეგად დაახლოვდა და ვენაში სწორედ შეუთანხმებელი საკითხები უნდა განხილულიყო. საბოლოოდ კი მოხდა „ბოდენის [შუალედური] დოკუმენტის“ პარაფირება, თუმცა სტატუსის, პირადობის მოწმობისა და საერთაშორისო გარანტიების საკითხები შეუთანხმებელი დარჩა (ზაქარეიშვილი 2019). ამ შემთხვევაში აღსანიშნავია ორივე მხარისგან დასახელებული საკითხების შესახებ კონსენსუსის მიღწევის პოლიტიკური ნების ნაკლებობა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში კომპრომისის მიღწევა შესაძ-

¹ აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს დღევანდელი მიდგომის სრული ანტიპოდაა.

ლებელი იქნებოდა.

„ბადენის დოკუმენტი“ სამშვიდობო პროცესის გაგრძელებისა და კონფლიქტის გადაჭრის კარგ პერსპექტივას ქმნიდა და კომპრომისის მიღწევის საშუალება არსებობდა, თუმცა ზემოთ დასახელებული ქართული მხარის მიერ დაშვებულ შეცდომებზე უფრო დიდმა პრობლემებმა იჩინა თავი და 1990-იან წლებში მიღწეული პროგრესი 2000-2003 წლებში რეგრესით შეიცვალა. კონფლიქტის გადაჭრას ხელს უშლიდა შეთანხმების მიღწევიდან მალევე დალომისის ხელშეკრულების დარღვევა, როგორც ცეცხლის შეწყვეტის დარღვევის, ისე რუსეთის მიერ სეპარატისტებისთვის იარაღის მიწოდების კუთხით (ლაჩაშვილი 2019). მაგალითად, 2000 წელს ცხინვალის რეგიონში ხუთი ეთნიკური ქართველი მოკლეს და ჩიბიროვის ძმის დაჯგუფება „ძონძების ბაზრობის“ ძალადობრივად ხელში ჩაგდებას შეეცადა (კობახიძე 2019: 17). ეს, ბუნებრივია, თბილისსა და ცხინვალს შორის ურთიერთობებს დაბავდა.

ასევე 2001 წელს ცხინვალში „რეფერენდუმზე“ დაყრდნობით „სამხრეთ ოსეთის კონსტიტუცია“ მიიღეს, რომელიც ცხინვალს სხვა სახელმწიფოსთან შეერთების საშუალებას აძლევდა. რუსეთმა კი დე ფაქტო ხელისუფლების სათავეში ჩიბიროვის ნაცვლად, რომელიც თბილისთან მოლაპარაკებებს ემხრობოდა, ხელისუფლებაში რადიკალი კოკოითის მოსვლას შეუწყო ხელი (ზაქარეიშვილი 2019), რაც თბილისი-ცხინვალის ურთიერთობებს აფუჭებდა.

თავის მხრივ, რუსეთის მიერ პანკისის დაბომბვის (2002 წლის აგვისტო) შედეგად საქართველო-რუსეთის ურთიერთობებიც დაიძაბა. რუსეთმა გააფუჭა როგორც თბილისი-ცხინვალის, ისე მოსკოვი-თბილისის ურთიერთობები და განაგრძობდა ოსური მხარის იარაღით მომარაგებას. შედეგად, „ბადენის დოკუმენტზე“ დაყრდნობით შემდგომი პროგრესის ან რაიმე სახის კომპრომისის მიღწევა შეუძლებელი გახდა.

ქართული მხარის მიდგომები თეორიულ ჟრილში

ულსტერის უნივერსიტეტისა (University of Ulster) და კონფლიქტის კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტის (International Conflict Research Institute) მიერ გამოქვეყნებულ კლანსისა (Clancy) და ნეგლის (Nagle) სტატიაში – „გაყინული კონფლიქტები, უმცირესობათა თვითმმართველობა, ასიმეტრიული ავტონომიები – კონფლიქტის მენეჯმენტისა და კონფლიქტის გადაჭრის ჩარჩოს ძიებაში“ (Clancy, Nagle 2009) – განხი-

ლულია კონფლიქტის დარეგულირების მაკროპოლიტიკური მეთოდები. მათი მისადაგება ცხინვალის კონფლიქტისადმი ქართული მხარის მიდგომებთან თბილისის სტრატეგიას უკეთ წარმოაჩენს და მეტად თვალსაჩინოს გახდის.

პირველ რიგში, კლანსი და ნეგლი ასახელებენ უმცირესობათა განსხვავებების აღმოფხვრის მაკროპოლიტიკურ მეთოდებს, როგორებიცაა გენოციდი, ეთნიკური წმენდა, დანაწევრება, სეცესია, ასიმილაცია/ინტეგრაცია და ასიმილაცია (ბუნებრივია, ავტორები მათ პოზიტიურ ქრილში არ განიხილავენ, არამედ ზოგადად არსებული მეთოდების კლასიფიკაციას ახდენენ). ჩამოთვლილთაგან არც ერთი მიდგომა თბილისის პოლიტიკას არ წარმოადგენდა (მიუხედავად იმისა, რომ დღეს ისმის რუსული პროპაგანდის უსაფუძვლო ბრალდებები საქართველოს მიერ სხვადასხვა დროს ოსების გენოციდის წარმოების შესახებ). ხოლო ჯერ კიდევ კონფლიქტის გაღვივებამდე სეცესიის გზა (ასევე გეგმები ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანების შესახებ) აირჩია ოსურმა მხარემ და სწორედ ამ სეპარატისტულმა მისწრაფებებმა გამოიწვია კონფლიქტის პროვოცირება.

შემდეგ კლანსი და ნეგლი ასახელებენ უმცირესობათა განსხვავებების მენეჯმენტის მაკროპოლიტიკურ მეთოდებს: ჰეგემონური კონტროლი და უმცირესობათა ურთიერთობების სეკურიტიზაცია, არბიტრაცია, კანტონიზაცია ან/და ფედერალიზაცია და კონსტიტუციონალიზმი/ძალაუფლების განაწილება. კონფლიქტის გაღვივების წინა პერიოდში ქართულმა მხარემ პირველი მეთოდი აირჩია. ე. წ. „კანონთა ომის“ წარმოების პროცესში ოსური მხარე სეცესიის პოლიტიკას ახორციელებდა და თავდაპირველად თბილისი მხოლოდ ამ პროცესს ეწინააღმდეგებოდა. თუმცა შემდგომ გამსახურდიას ხელისუფლებამ მეტი სიხისტე გამოიჩინა და უმცირესობის საკითხის გადანყვეტა ჰეგემონური კონტროლის გზით არჩია, რაც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების გადანყვეტილებაში გამოიხატა. თუნდაც თბილისს ამის სამართლებრივი ძალაუფლება ან/და ისტორიული არგუმენტები ჰქონოდა, ავტონომიური ოლქის გაუქმება მხოლოდ კონფლიქტის პროვოცირებას უწყობდა ხელს და არა მის მენეჯმენტს. ჰეგემონური კონტროლის მეთოდთან ერთად უმცირესობის საკითხის სეკურიტიზაციის ნიშნებს შეიცავდა ან უკვე ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და ცხინვალისა და ჯავის რაიონებში სხვადასხვა ორგანოს შეიარაღებული ძალების შეყვანის შესახებ გადა-

ნყვეტილება.

მას შემდეგ, რაც აღნიშნულმა მეთოდებმა უკუშედეგი გამოიღო, ქართულმა მხარემ არბიტრაციის გზა არჩია რუსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის ხელმძღვანელობასთან. თუმცა თავიდან თბილისი უშუალოდ ცხინვალთან დიალოგზე წინააღმდეგი იყო, რაც ცალსახად შეცდომად შეიძლება შეფასდეს. თბილისმა ეს შეცდომა გამოასწორა და შემდეგ კონფლიქტის დასარეგულირებლად ფედერალიზაციისა და კონსტიტუციონალიზმი/ძალაუფლების განაწილების მეთოდები აირჩია. კერძოდ, როგორც ზემოთაა განხილული, შეთავაზებულ დოკუმენტებში საქართველოს ფედერაციული მოწყობა განიხილებოდა, სადაც სამხრეთ ოსეთი ფედერაციული სუბიექტი იქნებოდა საკუთარი კონსტიტუციით და შესაბამისად, გარკვეული ძალაუფლებებითაც. ამ მხრივ „ბადენის დოკუმენტი“ მიღწევის მიუხედავად, მათ შორის, სტატუსსა და ძალაუფლების განაწილებასთან დაკავშირებული საკითხები მაინც გადაუჭრელი რჩებოდა. კონფლიქტის გადასაჭრელად ასევე გამოყენებულ იქნა კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციის მეთოდი, რაც მასში ეუთო-ს ჩართულობას გულისხმობდა. თუმცა ამას რუსეთი სრულად არ მიესალმებოდა და ეუთო-ს როლის დაკნინებასა და მისი დომინანტური როლის შენარჩუნებას ცდილობდა. 1991-2003 წლების პერიოდში გაკვირვებით ევროპეიზაციის მეთოდიც იყო ნახსენები – კონკრეტულად, შვედრენდაძე-ჩიბიროვის შეხვედრაზე ეკონომიკური აღდგენის განხილვის დროს უცხოეთიდან დონორების მოძიების კონტექსტში ევროპის კავშირიც იყო დასახელებული.¹

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ 1991-2003 წლებში კონფლიქტის გადაჭრის მცდელობების წარუმატებლობაში მთავარი როლი რუსეთის დესტრუქციულმა პოლიტიკამ შეასრულა, რომელმაც საბოლოოდ სამშვიდობო პროცესი ჩიხში განზრახ შეიყვანა. თუმცა მეორე მხრივ, თავისი როლი ითამაშა ჯერ საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური ნების არქონამ და გამოუცდელობის თუ სხვა მიზეზებით დაშვებულმა შეცდომებმა მოლაპარაკებების ყველა ეტაპზე. მართალია, გადამწყვეტი იყო, რომ ოსური და განსაკუთრებით, რუსული მხარის მიერ

¹ ევროპეიზაციის მეთოდი ერთ-ერთი საკვლევის პერიოდის შემდეგ, ბოლო წლებში, გახდა, როდესაც საქართველო სეპარატისტულ რეჟიმებს საერთო ევროპულ მომავალს სთავაზობს.

მოხდა მიღწეული პროგრესის უკუსვლა და სამშვიდობო პროცესის საბოტაჟი, რაც ცხინვალის რეგიონში რადიკალური ძალების მხარდაჭერასა და შეიარაღებაში გამოიხატებოდა, მაგრამ ასევე ცხადია, რომ ქართულმა მხარემ მოლაპარაკებებში არსებული შესაძლებლობები მაქსიმალურად ვერ გამოიყენა.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

- ▶ 23 მარტს ყაზბეგში ერთმანეთს... 1991: 23 მარტს ერთმანეთს შეხვდნენ რსფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ბორის ელცინი და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ზვიად გამსახურდია, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 1991, 26 მარტი, №58 (78), გვ. 1;
- ▶ გამსახურდია 1991ა: გამსახურდია ზვიად. სსრკ კავშირის პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №64 (84), 2 აპრილი, 1991 წელი, გვ. 1.
- ▶ გამსახურდია 1991ბ: გამსახურდია ზვიად. მიმართვა რუსეთის სფს რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა III საგანგებო ყრილობას. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №65 (85), 3 აპრილი, 1991 წელი, გვ. 1.
- ▶ კობახიძე 2019: კობახიძე, ოთარ. თბილისი, ცხინვალი, მოსკოვი - ორი ათწლეული აგვისტოს ომამდე. თბილისი: ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი. 2019; ხელმისაწვდომია: http://isnc.ge/isnc/images/edition/file/edition_25.pdf ბოლოს დამოწმებულია 09.05.2022;
- ▶ ლაჩაშვილი 2019: ლაჩაშვილი იაკობ. მითი და რეალობა რუსეთის, როგორც სანდო სახელმწიფოს შესახებ. თბილისი: „ფაქტ-მეტრი“, 2019. ხელმისაწვდომია: <https://factcheck.ge/ka/story/38264>
- ▶ ზაქარეიშვილი (კონსულტანტი) 2019: ქართულ ოსური კონფლიქტის დროითი წრფივი (1977-2008). ნაციონალიზმისა და კონფლიქტის კვლევის ინსტიტუტი. ხელმისაწვდომია: <https://www.sutori.com/story/k-art-ul-osuri-konp-lik-tis-droit-i-crp-ivi-1977-2008--746R3FMiftYruKBSnkEUAodd> ბოლოს დამოწმებულია: 09.06.2022
- ▶ საქართველოს პარლამენტი 2006: საქართველოს პარლამენტი. ინფორმაციული ცნობა „ქართულ-ოსური კონფლიქტის“ შესახებ. 2006;
- ▶ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი 1991: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

განცხადება. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, № 69 (89), 9 აპრილი, 1991 წელი, გვ. 1.

- ▶ ღია საზოგადოება საქართველო 2005: ქართულ-ოსური კონფლიქტის მიზეზების, დინამიკის, გადაწყვეტის გზების ძიებისა და სავარაუდო მიმართულებების შესახებ. თბილისი. ხელმისაწვდომია: http://iccn.ge/files/geo-ossetian_conflict_resolution_ways_2005_geo.pdf
- ▶ ჭანკვეტაძე 2019: ჭანკვეტაძე ნათია. ქართულ-ოსური კონფლიქტი: ფაქტი, ნარატივი და რისიც გვჯერა. თბილისი: ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი. 2019; ხელმისაწვდომია: http://isnc.ge/index.php/site/edition_detail/1/27
- ▶ ხოსიტაშვილი, ჯგერენაია 2015: საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები – ტომი IV: ზვიად გამსახურდი: საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე (190 წლის ნოემბერი – 1991 წლის აპრილი), ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები, ინტერვიუები (ნაწილი II). გვ. 92-98, 103-104;
- ▶ Clancy, Nagle 2009: Clancy M.A.C., Nagle John. Frozen Conflicts, Minority Self-Governance, Asymmetrical Autonomies – In search of a framework for conflict management and conflict resolution. University of Ulster, International Conflict Research Institute. United Nations University. 2009, ხელმისაწვდომია: https://www.researchgate.net/publication/339483575_Frozen_Conflicts_Minority_Self-Governance_Asymmetrical_Autonomies_-_In_search_of_a_framework_for_conflict_management_and_conflict_resolution
- ▶ Верховного Совета РСФСР 1991: ПОСТАНОВЛЕНИЕ СЪЕЗДА НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ РОССИЙСКОЙ СОВЕТСКОЙ ФЕДЕРАТИВНОЙ СОЦИАЛИСТИЧЕСКОЙ РЕСПУБЛИКИ О положении в Южной Осетии. ხელმისაწვდომია: <http://pravo.gov.ru/proxy/ips/?docbody=&prevDoc=102012914&backlink=1&&nd=102011091>

**CONFLICT RESOLUTION EFFORTS OF GEORGIAN-OSSETIAN
CONFLICT AND THE REASONS
FOR THEIR FAILURE IN 2003-1991
(SUMMARY)**

This paper begins with a brief description of the events of the final years of the Soviet Union, which led to the military confrontation in the Tskhinvali region in 1991-1992. Then the paper continues by discussing the steps taken to resolve the conflict since Georgia gained independence. This article describes and analyzes the peace process and the initiative to resolve the conflict up until 2003. In particular, the analysis focuses on why specific methods of conflict resolution were unsuccessful, what mistakes were committed in the process, and ultimately why the peace process failed. Additionally, macro-political methods of conflict resolution have been used to systematize the analysis of the process from the initial stages of the conflict to 2003. Initially, the Ossetian side tried to strip up separatist attitudes and chose the method of secession. The response of the Georgian side contained the characteristics of the methods of hegemonic control and the securitization of minority relations. Methods of arbitration, federalization, constitutionalism, and internationalization (including, to a lesser extent, Europeanization) were used in the subsequent peace process. The main reason behind the failure of the attempts at conflict resolution was the policy of the Russian Federation, which from a certain period was aimed at bringing the peace process to a standstill rather than arbitration and conflict resolution. The Ossetian side has taken some wrong steps, and the rise of radical forces backed by Russia in the separatists' leadership hijacked the negotiations. However, it should also be noted that the Georgian side also made several mistakes, in fact, at all stages of the conflict resolution and negotiations, and those mistakes also contributed to the failure of the process.

ეთნოლოგია

ინდივიდუალური და კოლექტიური შემოქმედების ურთიერთმიმართება შიოლა ლუდუშაურის ციკლის ტექსტებში

საკვანძო სიტყვები: ფოლკლორი, შიოლა ლუდუშაური, მთრეხელი, ბალადა, ინდივიდუალური შემოქმედება, როსტომ ჩხეიძე, ტრადიცია

Keywords: Folklore, Shiola Ghudushauri, Mtrekheli, Ballad, Individual atwork, Rostom Chkeidze, tradition

ქართული ხალხური ბალადის ერთ-ერთი ცნობილი პერსონაჟის, შიოლა ლუდუშაურის პიროვნულ მახასიათებლებზე მსჯელობისას თანამედროვე სამეცნიერო თუ პუბლიცისტურ ესეებში ურთიერთგანსხვავებულ შეხედულებებს ვხვდებით, რომლებიც ზეპირსიტყვიერი ტექსტების ინტერპრეტაციისას ნაკლებად აქცევენ ყურადღებას ფოლკლორის ტრადიციულ თავისებურებებს.

დღეს სოფელ სნოში შიოლა ლუდუშაურის სახელობის სულიერებისა და კულტურის ცენტრი ფუნქციონირებს. ამის შესახებ ცნობას საპატრიარქოს გაზეთ „კარიბჭის“ სტატიაში ვკითხულობთ: „ლუდუშაურებისთვის დიდი სიხარული იყო შიოლა ლუდუშაურის „დაბრუნება“ – მისმა დიდმა შთამომავალმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ლუდუშაურის წყლის პირას, ლუდუშაურის ციხის პირდაპირ აღმართა მისი ძეგლი, გაიხსნა მისივე სახელობის სულიერებისა და კულტურის ცენტრი“ (ცაგურიშვილი 2015). თავად ეს ფაქტი ჩვენთვის, ცხადია, მიუღებელია, რადგანაც ხალხურ გადმოცემებში ლუდუშაურს სრულიად საპირისპირო თვისებები მიეწერება და არა სულიერი და კულტურული ამაღლებულობა. შესაძლოა ბევრისათვის მსგავსი მსჯელობა არ იყოს გასაზიარებელი, თუმცა სიმართლე ერთია და ამას ვერც ერთი საერო თუ სასულიერო პირი ვერ შეცვლის.

თუ შიოლა ლუდუშაურის შესახებ ცნობების მოძიებას გადავწყვეტთ და ამისთვის ინტერნეტ სივრცეს გამოვიყენებთ, ადვილად ვიპოვით არაერთ ცნობას, მაგალითად, რომ „დავლათი ლუდუშაურთა ღვთისგან აქვს ნაბოძვარი“, – ამბობს ხალხური ლექსი (ცაგურიშვილი 2008) – თუ-

მცა ასეთი ხალხური ლექსის მოძიება ძალიან გაგიჭირდებათ, ხოლო თავად სტატიას არანაირი ცნობა არ აქვს დართული თუ ვისგან ან სადაა ჩანერილი აღნიშნული მასალა, სხვა შემთხვევაში კი მას ავთენტურად ვერ მივიჩნევთ. ფოლკლორში გაცილებით მრავლად ნახავთ ხალხის მჩაგვრელ შიოლას სახეს, თუნდაც ავიღოთ შემდეგი გადმოცემა – „ვისაც რო შამოეყრება, ტანზეით აბჯარს ჰყრისაო. სცარცვავს რჯულიან-ურჯულოს, ყამ არ აქვ ოსეთისაო. ცხვარ-ძროხა მოხვევთაი ფარობლივ მოვიდისაო. ბეგარს სდებს გუდამაყრელთა, მთიულეთ გადადისაო. ვინაც ხარს დაჰკლავს ქორასა, მხარ-გვერდსა ააჭრისაო. ბევრი ხათრობა არ იცის ქალისაი და ზლისაო. ვის ცოლიც მაენონების, დარდ არ აქვს იმის ქმრისაო“ (ჩხეიძე 1999). ამირან არაბული თავის სტატიაში „მშვილდ თაოდ უნდა მთრეხელსა...“ იმასაც მიუთითებს, რომ შიოლა პირველი ღამის უფლებითაც კი სარგებლობდა (არაბული 1993: 194). ასე რომ, დაუშვებელია ხალხური შემოქმედების გამოყენება უარყოფითი პერსონაჟის რეაბილიტაციისათვის.

ბალადა შიოლა ღუდუშაურის შესახებ შეიქმნა არაუადრეს XVII საუკუნის პირველი ნახევრისა. მისი მოღვაწეობა ემთხვევა ზურაბ არაგვის ერისთავის ხანას (შანიძე 2009: 397). განვიხილოთ ძირითადი ეპიზოდები ბალადის სიუჟეტიდან და ერთად ვიმსჯელოთ შიოლას პიროვნულ მახასიათებლებზე.

„აქნამდე, ღუდუშურო, სკამს იჯექ ერისთვისასა,
ეახლა გამისხორიგდი, მსახურს გაფერებ სხვისასა“
(შანიძე 2009: 50)

გამისხორიგდი განმარტებულია, როგორც გადასხვაფერება, გაუცნაურება. ჩემი აზრით, შესაძლოა ჰიბრისსაც¹ კი ნიშნავდეს. შიოლა ავინროობდა ადგილობრივ მოსახლეობას, ძარცვავდა გამვლელებსა და ბეგარას ახდევინებდა მაცხოვრებლებს.

„არ გაუტიე მთრეხელი, ხევს მიმავალი დისასა.
ცხენი მასთხოვე, გიბოძა, მშვილდს რაღად სთხოვდი რქისასა?“
(შანიძე 2009: 50)

ბალადა აგებულია გაამჰარტავებული პირის დასჯის მოტივზე. ში-

1 ჰიბრისი – აღნიშნავს ტიტანურ კადნიერებას, რომლითაც ადამიანი ცდილობს, ღმრთაებამდე ამაღლდეს და მასთან პაექრობს.

ოლა იმდენადაა გათავხედებული, რომ უკვე შარა-გზის ყაჩაღს დამსგავსებია. იგი მოგვაგონებს ბალადა „შემომეყარა ყივჩაღის“ პერსონაჟს, რომელიც უტიფრად ითხოვს ყველაფერს, რაც კი მგზავრს გააჩნია და მისი აღსასრული მკითხველში მწუხარებას არ იწვევს.

„გულს დახკრა, სხვაკე გავარდა ფალავანს აჩხვატისასა.

„კარგა ხანს სჭამე აჩხვატი, ეხლა მე გაჭმევ მინასა“

(შანიძე 2009: 51)

არც ღუდუშაურის მოკვლა აღუძრავს საზოგადოებას თანაგრძნობას. თანადგომას ისევ მთრეხელი იმსახურებს, რომელსაც ღუდუშაურის ძმები მოსაკლავად გამოუდგნენ.

„მიღმართა ყოვლანმიდასა, დედას მშობელსა ხთისასა:

კარნ არ დაუხვდეს ღიანი, ნაგებსა დედუფლისასა.

მივა და შაიხვენების ძმისა მამკლავი დისასა:

დაო, ვერ შამინახევდი? ცხონებას შენის ძმისასა!“

(შანიძე 2009: 51)

ამ ეპიზოდთან დაკავშირებით შეიძლება პარალელი გავავლოთ ქართული ხალხური ზღაპრის ფიგურალურ გამოთქმასთან, როდესაც მთავარი გმირი დევის დედასთან მიდის და „დედას“ ან „დედილოს“ ეძახის, შესაბამისად, დევის დედაც იძულებულია შვილივით მიიღოს ადამიანი, რომელსაც, დიდი ალბათობით, მისი შვილი უკვე მოკლული ჰყავს ან შემდეგ მოკლავს. ასე რომ არ მიემართა, მაშინ დევის დედა უთუოდ შეჭამდა. მთრეხელმაც სპეციალურად უთხრა დამეხმარე შენი ძმის სულის საცხონებლადო და ქალმაც უარი ვეღარ უთხრა, თორემ სადმე გზად რომ შეხვედროდნენ, ალბათ, საკუთრი ხელით მოკლავდა მთრეხელს. ხოლო ღვთისმშობლის ეკლესიის კარის ვერ გაღების ფაქტი მთრეხელის განწირულებას უსვამს ხაზს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ღირსეული ვაჟკაცია, მაინც ადამიანის მკვლელია, თუმცა ეს არ მეტყველებს ღუდუშაურთა სასიკეთოდ.

„წამოდი შავო და ბნელო, თუ სულს ვაამებ მკვდრისასა“

(შანიძე 2009: 51)

ანუ სტუმრის მიღება ისევ შიოლას სიკვდილით იხსნება. თუმცა საკუთარი ძმები საკვამურიდან ესვრიან ისარს (ან ისრებს) და სტუმარს მო-

უკლავენ. შეურაცხყოფილი და იღებს მძიმე გადაწყვეტილებას და შინ დაბრუნებულ ქმარს ავალებს სისხლის აღებას, სტუმრის მოკვლისთვის, ხოლო მთრეხელს დიდი პატივით დაკრძალავს (თეთრ ხარსაც კი შეაბამს მისთვის, რათა სასუფეველში ადგილი დაუმკვიდროს).

ასე რომ, ბალადის ზოგადი შინაარსი ცნობილია და აქ ერთი შეხედვით არაფერია სადავო. გაამპარტავნებულმა „აჩხვატელების ბატონმა“, ხალხის გადმოსახედიდან, სრულიად დამსახურებულად მიიღო გულში გაყრილი ისარი და ამის გამო არავინ გოდებს. ტრადიციული საზოგადოების არც ერთი წევრი არ გამოქომაგებია მოკლულ შიოლას.

თანამედროვე პუბლიკაციებში ასევე მიუთითებენ შიოლა ღუდუშაურის შესახებ სხვა ციკლის ტექსტებს, რომლებიც სავარაუდოდ XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში უნდა იყოს შექმნილი („ივერია“ 1902 №124; „კარიბჭე“ 2008). ისინი ღუდუშაურთა გვარის წარმომადგენლებს ეკუთვნიან და შიოლას დადებით პიროვნებად გვიხატავენ. ეს არც უნდა გაგვიკვირდეს, წინაპრებისადმი პატივისცემა ხომ ჩვენში ოდითგანვე მეტად ფასობდა. ამ თემაზე შექმნილი საგვარეულო ლექსები და გადმოცემები, ცხადია, საინტერესო და მნიშვნელოვანია, თუმცა, ამავე დროს, ეს ციკლი არ ემყარება ფოლკლორულ ტრადიციას, რის გამოც ისინი ინდივიდუალური შემოქმედების ნიმუშებად უნდა მივიჩნიოთ და არა ზეპირსიტყვიერ ტექსტებად.

სამეცნიერო ლიტერატურაში პირველი ადამიანი, რომელმაც სცადა შიოლას პიროვნებისათვის დადებითი მხრიდან შეხედა, როსტომ ჩხეიძე გახლდათ. მან საკმაოდ კარგად შეისწავლა შიოლას პიროვნება და გაამართლა ყველა ასპექტში, სადაც სულ ოდნავ მაინც შიოლას გამართლება შეიძლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ბატონი როსტომი ძალიან გულმოდგინედ ცდილობს დაამტკიცოს, რომ რეალურად მთრეხელი უღირსი დაქირავებული მკვლელი იყო და შიოლა – ხალხისთვის საყვარელი ბატონი, ვფიქრობ, ბოლომდე თავადაც არ სჯერა ეს ყოველივე. მის ერთ ქვეთავს ასეთი სათაური აქვს „ნუთუ არავის დაენანა შიოლა ღუდუშაური?“ მგონი მკვლევარი თავადაც გაცოცხლებულია ამ ფაქტით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ როსტომ ჩხეიძეს აქვს ამგვარი პოსტმოდერნისტული მიდგომა, უარყოფითი ტრადიციული პერსონაჟის რეაბილიტაციის მცდელობა, მაგ., მას რეაბიტირებული ჰყავს მურმანის პერსონაჟი თავის ნარკვევში „მურმანის ტრაგედია“ (ჩხეიძე 1995).

ავტორი მოიხმობს შიოლასადმი გამოთქმულ რამდენიმე ტექსტს. თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა ეს ტექსტები მოხვევთა სხვა გვარებში

გვხვდებოდეს გარდა ღუდუშაურთა საგვარეულოსი.

„ორი განოვის დედამა, არა გაგწირა ერთზედა.“

(ჩხეიძე 1999: 29)

მართლაც ვაჟკაცის შესაფერი სიტყვებია. ამას ცუდ ყმაზე ნამდვილად არ იტყოდნენ.

„შიოლაისა ნაქნარსა ველარც ვინ იქმოდ თემზედა.

შიოლა ღუდუშურსა დაჯდომა უღირს ჯარზედა“

(ჩხეიძე 1999: 29)

ან სულაც:

„შიოლა ღუდუშურო, ვეფხვი ხარ სალის კლდისაო.

ხმა შორს გაითქო, გავარდა, აჩხოტს ბატონად ზისაო“

(ჩხეიძე 1999: 29)

ბოლო ცნობა ჩაუნერია მედეა ბუჩუკურს პავლუშა ღუდუშაურისაგან 1965 წელს. შესაბამისად, ჩვენი მიზანია გავარკვიოთ, სად გადის გამყოფი ხაზი შიოლას ციკლის ტექსტებში ინდივიდუალურ და ფოლკლორულ შემოქმედებას შორის.

მივადექით კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს, რა აძლევთ დღევანდელ საზოგადოებაში ადამიანებს იმის თქმის საბაბს, რომ მთრეხელი თემისგან მოსყიდული მკვლელი იყო და შიოლა პირადი ღირსების შელახვისთვის არ მოუკლავს?

ერთი გადმოცემის თანახმად, თემი თათბირობს შიოლას მოკვლის თაობაზე და მთრეხელი უსასყიდლოდ იღებს საკუთარ თავზე ამ დავალების შესრულებას, მიზეზად შიოლას მიერ პაპამისის კარკუჩიდან აყრა და გაგდება სახელდება, თუმცა ეს ვერსია ნაკლებად სარწმუნოდ გვეჩვენება, რადგან ცოტა რთული დასაჯერებელია მაინცდამაინც იმ მომენტში რატომ გაახსენდა პაპამისის ჯავრი და გადანყვიტა შიოლას მოკვლა, ამის გაკეთება მანამდეც შეეძლო, თუ ისევ რაიმეს არ დაჰპირდნენ.

ამ ვერსიის გარდა გვაქვს კიდევ ერთი გადმოცემა, რომელიც უფრო ჩახლართულია და ზოგს შეიძლება დამაჯერებლადაც ეჩვენოს. ამ ამბის თანახმად, მთრეხელს და-ძმობის ფიცი ჰქონია მიცემული შიოლა ღუდუშურის დისთვის, ამ მოტივით იხსნება „ძმისა მამკლავის“ შეფარება სახლში. თუ ამ ხაზს გავყვებით, ისიც უნდა დავუშვათ, რომ მთრეხელი

მოსყიდული იყო. მან დაგეგმა შიოლას მკვლელობა, გაამზადა ძღვენი და წავიდა შიოლასთან, თუმცა ვიღაცამ გასცა, შიოლამ ამის შესახებ შეიტყო და გზად შეხვდა მთრეხელს, მთრეხელიც იძულებული გახდა ეცრუა და ეთქვა, რომ ძღვენი თავის დადნაფიცთან ანუ შიოლას დასთან მიჰქონდა, ამ ყველაფერს კი მოჰყვა შიოლას მკვლელობა. შესაბამისად შიოლას დას ძმებმა ფაქტობრივად კიდევ ერთი ძმა მოუკლეს მთრეხელის სახით, თანაც სტუმარი, სწორედ ამიტომ ვერ ჰპატიობს მათ ამ ქმედებას და ამბავი მოგვითხრობს, რომ „ორივე მხარეს – ქერეთაც და ლუდუშაურთაც – სამ-სამი მიცვალებული კიდევ ჩამოლაგდება“ და ასე იგება სისხლიანი ჯაჭვი (ჩხეიძე 1999: 36).

ცხადია, ამ გადმოცემის ავთენტურობის ან არასწორობის მტკიცებას ვერ დავინწყებთ, მაგრამ ეს ამბავი დეტექტიურ სიუჟეტს უფრო ჰგავს, ვიდრე ხალხურ გადმოცემას, ფოლკლორს არ უყვარს მსგავსი დრამატიზება და რეალური ფაქტებიდან ძალიან დაშორება, გავიხსენოთ თუნდაც სხვა ქართული საგმირო ბალადები: „თორღვა“,¹ „ხევსურები გორის ბრძოლაში“,² „სათრუსოდ“,³ „რკინის კარის შეწსნა“,⁴ ყველა ჩამოთვლილი ბალადა შესაძლოა ისტორიულ დოკუმენტად არ გამოდგეს, თუმცა მაქსიმალურად ახლოს დგას იმ დროინდელ რეალობასთან და შესანიშნავად გადმოსცემს შექმნილ ვითარებას. ეს რომ ყოფილიყო რომელიმე ავტორის შემოქმედება დაუფიქრებლად მივიღებდით, მაგრამ არა ფოლკლორში. ვფიქრობ, ამ ასპექტის განხილვისას როსტომ ჩხეიძე ტენდენციურია, როდესაც ბალადას უდარებს კონკრეტულ ავტორთა შექმნილ პერსონაჟებს, მაგალითად: სოფოკლეს ოიდიპოსს, რო-

1 „თორღვა“ – დაბეჭდილია აკაკი შანიძის ვარიანტი. მინდია ქისტაურის ნაამბობი 11.08.1913. დვალეთში. (შანიძე 2009: 410). ბალადა მოგვითხრობს ზებუნებრივი ძალის მქონე, თუმცა შემდგომში გამამართავნებული გმირის დაღუპვის ისტორიას, რომელიც სრულიად რეალური პირი გახლდათ. გადმოცემით თორღვა ადექსანდრე ბატონიშვილის (გვაქვს სხვა ვერსიებიც) უკანონო ძე იყო.

2 „ხევსურები გორის ბრძოლაში“ – ა ვარიანტი ეკუთნის აკაკი შანიძეს. მინდია ქისტაურის ნაამბობი 10.08.1913. თვალეთში. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ბადადა არა კრწანისის ბრძოლას, არამედ უსუფ-ფაშას ქართლში შემოსევას ასახავს 1744 წ. ამ მოსაზრებას აძლიერებს ისიც, რომ ერეკლეს „ნათათრალი“ ეწოდება („ტყვედ ყოფილა თათარში“-ო მინდიაშ) (შანიძე 2009: 422).

3 „სათრუსოდ“ – დაბეჭდილია ნიკო ურბნელის მიხედვით (ივერია, 1891, №90). მას იგი გაუგონია ბადია ბალიაურისაგან (შანიძე 2009: 428). ტექსტი იწყება შემდეგი ფრაზით: „ერეკლე ბატონიშვილი ას ღვთისგან დავლათიანი“ და შემდეგ მოთხრობილია ერეკლეს გადასვლა თერგის ხეობაში 1753 წელს (შანიძე 2009: 56).

4 „რკინის კარის შეწსნა“ – დაბეჭდილია თედო რაზიკაშვილის მიხედვით. პირველად იგი მან დაბეჭდა „კვალში“ (1893, № 23). „ხალხსა სწამს, მეფე ერეკლე და თამარ-ნეფე ცოცხლები არიან ღმერთთან და როცა გაუჭირდება საქართველის, მოეშველებიანო“ (შანიძე 2009: 431). ლექსში აღწერილია ერეკლე მეფის გარდაცვალება: „ვერ გაიგეთა, ქართველნო? შეგეწსნათ რკინის კარია. აღარ გყავთ ნეფე ერეკლე, არც მისი საომარია“ (შანიძე 2009: 59).

მელსაც რეალურად თვალები სულაც არ დაუთხრია; ბარათაშვილის სოლომონ მსაჯულს, რომელიც ერეკლემ, ავი ენების წყალობით, მალევე დაითხოვა; ევრიპიდეს მედეას, რომელსაც არც ერთი მითის მიხედვით საკუთარი შვილები არ დაუხოცავს; შექსპირის რიჩარდ მესამეს, რომელსაც უარყოფით პერსონაჟად წარმოგვიდგენს - „უმსგავსს და საპყარს ძალღნიც კი მყეფენ, როცა იმათ გვერდით უდგავარ...“ (ჩხეიძე 1999: 54). იგი მიიჩნევს, რომ მხატვრულ ქმნილებაში სრულიად დასაშვებია ისტორიული რეალობიდან გადახვევა და მისი შეცვლა, ცხადია, ვერც შევეწინააღმდეგებით. ავტორის მთავარი მისწრაფება ორიგინალური და ინდივიდუალური მახასიათებლების წარმოჩენაა და არა ისტორიული ფაქტის აღწერა, ამისთვის ისტორიის არაერთი სახელმძღვანელო მოგვეპოვება. ასე რომ, ავტორთათვის სრულიად ლოგიკურია აცდენა ისტორიულ სინამდვილესთან. ფოლკლორი კი ყოფიდან ამოდის და ადამიანთა ყოველდღიურობას ასახავს. იგი შემოფარგლულია ტრადიციებით, მან უნდა შექმნას ტექსტი, რომელსაც იმდროინდელი ტრადიციული საზოგადოება მიიღებს და შეითვისებს. უმართებულოა, როცა როსტომ ჩხეიძე გვეუბნება, ბალადაში ზოგი რამ სპეციალურადაა მიჩქმალული და გაბუნდოვანებული, რომ თითქოს ავტორს არ სურდა ლუდუშურის რეალური სახის ჩვენება. ავტორ-მთქმელს რომც სდომებოდა დაემალა რეალობა, ამას ხალხი არ აპატიებდა. „ფოლკი“ ვერ შეეგუება სიცრუეს და არ მიიღებს ტექსტს, რომელშიც ასახულია მათთვის მიუღებელი სიუჟეტი. შიოლა რომ კეთილი ბატონი ყოფილიყო და ხალხს ჰყვარებოდა, ისინი არ დაუშვებდნენ ისეთი ბალადის არსებობას, როგორც „შიოლა და მთრეხელი“.

ბალადა შიოლა ლუდუშაურის შესახებ ლიტერატურულად გადამუშავებული აქვთ ალექსანდრე ყაზბეგსა (დაუმთავრებელი მოთხრობები „შიოლა ლუდუშაური“ და „ნინო“) და გურამ დოჩანაშვილს („აჩხოტელების ბატონი“). მათ ჰყავთ თავიანთი ავტორები და ამიტომ, ცხადია, ისინი მხატვრულ ლიტერატურას განეკუთვნებიან და არა ფოლკლორს. აქ ვხვდებით ფაბულის ორიგინალურ და სახეცვლილ გააზრებას, რომელიც მაღალი მხატვრული ოსტატობითაა წარმოდგენილი. ლიტერატურულ ტექსტში ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ რეალობიდან უკიდურესი დაცილებაც კი, ეს ყოველივე ავტორის ხედვასა და სურვილზეა დამოკიდებული.

2010 წელს შეიქმნა ვიდეორგოლი შიოლა ლუდუშაურის შესახებ, ტექსტი აცდენილია ხალხურ ტრადიციას და მთლიანად ინდივიდუალ-

ლური შემოქმედების ნაყოფია. ვიდეორგოლში შიოლას სახე მისადაგებულია „კაი ყმის“ კრიტერიუმებთან, ხოლო მთრეხელის პიროვნულ მახასიათებლები დაკნინებულია, რომელიც, ჩემი აზრით, პოსტმოდერნისტულ მიდგომას წარმოგვიდგენს, როცა გმირი შეიძლება ანტიგმირად გამოიყვანონ და ანტიგმირი – გმირად. ამის მაგალითები თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურაში არცთუ იშვიათია (მაგ: როსტომ ჩხეიძის „მურმანის ტრაგედია“).

„შიოლა ღუდუშაური, ბატონი აჩხოტისაო,
სნოს ჭალას მადგა მთაზედა, გერგეთა დასწერს ჯვარსაო.
შიოლა ღუდუშაურო, სკამს ზიხარ ერისთვისასო,
მთრეხელმა გული გაგიპო, ბატონსა აჩხოტისასო,
მთრეხელმა ტაძარს მიმართა, მიმართა ყოვლადწმიდასო,
კარნი არ გაულო მთრეხელს დედამა უბნის მთისაო,
მამკვლელსა მზე დაუბნელდა, ვაი, დედას მთრეხელისასო,
ნეტარ არ შაიხვენებსა ძმისა მამკლავი დისასო.
მოჰდევენ ღუდუშაურნი, რისხვასა ჰგვანენ ღვთისასო,
ნუ მაჰკლავთ ჩემნო მამულნო, ნაწნავს ნუ მამჭრით თმისასო!
კარიდან არვინ შეუშო, საკმლიდან დაჰკვრნენ ისარსო.
უბნობენ წამაქცევასა იმ ახალციხის კლდისასო,
შიგ მოტანასაც ამბობენ ბებერის ჩამათისასო,
ვაჟკაცი იყავ გულადი, პურადი სტუმრისთვისაო,
კვლავაც სმენ შასანდობარსა ლალის არწივის მთისასო...
კაც იყავ ხევიჩი ნაქები, ვით ვეფხი სალის კლდისაო,
კვლავამც კი შაგენოდეხ სამება გერგეთისაო.
შიოლა ღუდუშაურო, ბატონო აჩხოტისაო!“

მოცემული ტექსტი ვიდეორგოლიდაანაა ამოღებული (შიოლა ღუდუშაური 2010), რომელსაც არანაირი ცნობები არ ახლავს მთქმელ-შემსრულებლის, ჩაწერის დროისა და ადგილის, აგრეთვე ჩამწერის ვინაობის შესახებ. ამ ყოველივეს გარეშე კი ხალხურ ტექსტს ავთენტურად ვერ მივიჩნევთ. არც დღეს დაწერილი ლექსი შეიძლება გამოვაცხადოთ ფოლკლორის ნიმუშად, რადგან ფოლკლორულ შემოქმედებას თავისი სპეციფიკური ნიშნები აქვს. ფოლკლორულ ნაწარმოებს არ ჰყავს ერთი კონკრეტული ავტორი. ხალხური შემოქმედება არ ეძებს ინოვაციებსა და ახალ სიუჟეტებს. იგი შემოფარგლულია ტრადიციებით. ხალხური

ტექსტი ზეპირად იქმნება, ვარიანტების სახით ზეპირად ვრცელდება და საზოგადოების მეხსიერება ინახავს, როგორც ძვირფას და მნიშვნელოვან განძს. ფოლკლორული შემოქმედების პროფანაცია დაუშვებელია.

ტრისტან მახაურს არაერთი ჩანაწერი შეუგროვებია შიოლას ავკარგიანობის დასადგენად, რომლებიც გადმოგვცემენ მოხევეთა წყრომას ერისთავისადმი.

„შენ არ იცოდი, მოხენი ყმობას არ იზმენ ცხვისასა;
სისხლის მწოველსა ბატონსა მსწავლებს ჩვენ უზღვნით ქკვისასა.
აზნაურობის ძებნაჩი გზას მაგცემთ სამარისასა.“
(ივანე ფიცხელაურის რედაქცია)

გვაქვს ასევე თინა ოჩიაურის მონათხრობი: „თორღვას მსგავს პირებს (იგულისხმება თორღვა ძაგანი), თავის თემს რომ ეჯიბრებოდნენ, ხალხის ნებასა და სურვილს არად აგდებდნენ, მოძმეებზე რომ თვითნებურად ბატონობდნენ, არასდროს მიუშვებდა ნებაზე ხალხი. არხოტელი თათხელიონი, ფშავში ასევე აღზევებულნი სულა-კურდღელა, თაღლაური, ხოლო ხევში ღუდუშაური საკუთარი თავგასულობის მსხვერპლნი გახდნენ“ (ოჩიაური 1964: 25).

ეგ კი არა, ბესარიონ გაბურს¹ 1925 წელს 94 წლის ბიჭა ღუდუშაურისგან ჩაუწერია გადმოცემა, რომლის თანახმადაც, მთრეხელი სრულიად შემთხვევით ხვდება ღუდუშაურს და არა წინასწარ განზრახულად. ასე რომ, თავად ღუდუშაურათა გვარშიც კი არ ეთანხმებოდა ყველა შიოლას კეთილ ბატონად წარმოჩენას.

ასე რომ, ბალადა „შიოლა და მთრეხელი“ ტრადიციული საზოგადოების მიერ შეთვისებული და გააზრებული ტექსტია და არა ინდივიდუალური შემოქმედება. ცალკეულ ადამიანთა გადმოცემებს შეიძლება ჰქონდეს არაადამაჯერებელი იერი, მაგრამ არა ხალხში გავრცელებულ ბალადას, რომელსაც არაერთი ვარიანტი მოეპოვება. ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ, გვეპოვა ზღვარი შიოლას ციკლის ტექსტებში ასახულ ფოლკლორულ ყოფასა და ინდივიდუალურ შემოქმედებას შორის.

1 გაბური (ანუ: გაბური) აბაისძე მარტიას ძე, ლექსებში: ბესარიონ, ბესარიონ ბალახაურისძე, ბალახაურისძე-გაბური, ჩავვირილა, ჩავვირილა არხოტიონი(აბაისძე მისი ნამდვილი შინაურული სახელია, ხოლო ოფიციალურად(ნათლობით) გიორგი ჰქვია). იგი არხოტიდანაა (სოფ. ქიმლა). ნაწილი ლექსებისა 1914-15 წლებშია დაწერილი პეტერბურგ-იურიევში (სადაც იგი იმყოფებოდა ომში დაჭრის შემდეგ) და კიდევაც დავბეჭდე წელიწდეულში, ნაწილი კი დევ 1926-1928 წლებშია დაწერილ-ჩაწერილი სოფ. ქიმლაში, სადაც იგი ამჟამად ცხოვრობს (შანიძე 2009: 806).

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

- ▶ არაბული 1993: არაბული ამირან, „მშვილდ თაოდ უნდა მთრეხელსა“: [ნარკვევი ქართულ ხალხურ ბალადაზე „შიოლა და მთრეხელი“], ჟურნ. „კლდეკარი“ №2, გორი, 1993, გვ. 194-205;
- ▶ მახაური 2003: მახაური ტრისტან, „ქართული ხალხური საგმირო ბალადა“: (სინამდვილე და პოეზია), თბილისი, ლომისი, 2003;
- ▶ ცაგურიშვილი 2015: ცაგურიშვილი თეა, „წმინდა ვახტანგ გორგასლის მადლის მქონე ღუდუშაურები ხევში გამორჩეულნი იყვნენ“, ჟურნ. „კარიბჭე“, 13.12.2015. ხელმისაწვდომია: <http://karibche.ambebi.ge/skhvadaskhva/istoria/4268-tsminda-vakhtang-gorgaslis-madlis-mqone-ghudushaurebi-khevshi-gamorcheulni-iyvnen.html> ბოლოს დამონმებულია 17.05.2022;
- ▶ ცაგურიშვილი 2008: ცაგურიშვილი თეა, სნო, ჟურნ. „კარიბჭე“, 15.12.2008. ხელმისაწვდომია: <http://karibche.ambebi.ge/skhvadaskhva/chemi-sofeli/3697-sno.html> ბოლოს დამონმებულია 17.05.2022;
- ▶ შანიძე 2009: შანიძე აკაკი, „ქართული ხალხური პოეზია“: ხევსურული, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, 2009;
- ▶ შიოლა ღუდუშაური 2010: ვიდეორგოლი სათაურით „შიოლა ღუდუშაური“, 2010, ხელმისაწვდომია https://www.youtube.com/watch?v=F4g8N_YRcOo ბოლოს დამონმებულია 17.05.2022;
- ▶ ჩხეიძე 1999: ჩხეიძე როსტომ, „ორი შიოლა“: ლიტერატურულ-ფოლკლორული ცდა, თბილისი, ლომისი, 1999;
- ▶ ჩხეიძე 1995: ჩხეიძე როსტომ, „მურმანის ტრაგედია“: ლიტერატურულ-ფოლკლორული ცდა, თბილისი, ლომისი, 1995.

INTERRELATIONSHIP OF INDIVIDUAL AND COLLECTIVE CREATIVITY IN A CYCLE TEXT OF SHIOLA GHUDUSHAURI (SUMMARY)

In traditional oral texts and modern publications, we encounter different viewpoints while discussing Shiola Ghudushauri's characteristics.

Ballad about Shiola Ghudushauri was created no earlier than the first half of the 17th century. His work age coincides with Zurab I's, Duke of Aragvi's age. According to Ballad, Shiola Ghudushauri stole a horse from the Mtrekheli, who was passing by and intended to steal his weapons too, but more Heli tore him apart. With these given conditions the story develops in the most dramatic way possible.

Modern publications, also refer to other cycle texts about Shiola Ghudushauri, which were probably created at the end of the 20th century and the beginning of the 21st century. They display Shiola as a protagonist. Ancestral poems and admissions created based on this topic, are indeed interesting and important, but also this cycle isn't based on folk tradition, because of this, we have to consider this as an individual artwork and not as an oral text. Accordingly, our purpose is to figure out where is the line between Shiola's cycle texts and Individual, and folk artwork.

Ballad about Shiola Ghudushauri is recycled by Alexander Kazbegi (unfinished stories 'ShiolaGhudushauri' and 'Nino') and Guram Dochanashvili ('Mr. of the Achkhotels). The abovementioned stories are extremely important and individual. They have their authors, therefore they do not belong to literature and the folk.

Passion for Shiola Ghudushauri has still hasn't faded in our age. Extremely important scientific publications were made about this topic by R. Chkhaidze, T. Makhauri, and A. Arabauli.

In 2010 video about Shiola Ghudushauri was created, In which there are texts attached about Shiola Ghudushauri, which is absolutely out of folk traditions and is the result of Individual artwork. It doesn't even have variations,

which is an essential sign of folk. Folk stories do not have one concrete author. Folk stories do not search for innovations and new actions. It only concerns traditions. Text is considered folk belonging only if it has basic, specific signs of folk artwork, including variations.

ელენე ნამორაძე, თათია გურგენიძე

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თსუ

საჩუქართან დაკავშირებული რიტუალები და მატერიალური „შენირულობანი“ ქართული ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით

საკვანძო სიტყვები: საჩუქრის ფენომენი, მატერიალური შენირულობანი, ქართული კულტურა

Keywords: phenomenon of gifts, material sacrifice, Georgian culture

დედამიწაზე თითოეული ადამიანი იღებს და გასცემს საჩუქარს, რასაც ურთიერთდახმარების, ვალდებულების და ზნეობრივი დატვირთვა აქვს. შესაძლოა, საჩუქარი გაუკეთოს ადამიანმა ადამიანს. ამავდროულად, ადამიანი ძღვენს სწირავს ღმერთს, რითაც საჩუქარი იღებს ზნეობრივთან ერთად რელიგიურ-საკრალურ დატვირთვასაც. ჩუქების ფენომენი ყველა კულტურაში არსებობს, თუმცა განსხვავებული სახით. საჩუქრის ფენომენი შესაძლოა, რომ იცვლებოდეს თავად კონკრეტული კულტურის შიგნითაც, რადგან მასზე აისახება ეპოქა და პერიოდი. მოცემულ სტატიაში შევეცდებით, ავსახოთ საჩუქრისა და შენირულობის ფენომენთან დაკავშირებული ძირითადი მომენტები ქართულ კულტურაში ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით.

წინამდებარე სტატიის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ფრანგი სოციოლოგისა და ანთროპოლოგის მარსელ მოსის ნაშრომი – „The Gift: Forms and Functions of Exchange in Archaic Societies“ („საჩუქარი: გაცვლის ფორმები და საფუძვლები არქაულ საზოგადოებაში“) (1966). მარსელ მოსის ძირითადი დებულება ისაა, რომ ადამიანის მიერ საჩუქრის

გაღება ნებაყოფლობითი ხასიათის არაა, ის ერთგვარი ვალდებულებაა და განპირობებულია მოვალეობის გრძნობით, რაც იწვევს იძულებას. მისი აზრით, არ არსებობს თავისუფალი საჩუქარი, რომელიც იქნება ვალდებულებისგან დაცლილი. ის გამოყოფს კონკრეტულ ვალდებულებებს, რომელიც მოიაზრებს, რომ ერთმა ადამიანმა უნდა გაიღოს საჩუქარი, მეორემ მიიღოს და შემდეგ უნდა მოხდეს უკან დაბრუნება. მათ შორის კი უმთავრესად მიიჩნევს უკან დაბრუნებას (Mauss 1966: 10-16).

ბრიტანელი ანთროპოლოგი ბრონისლავ მალინოვსკი მიიჩნევდა, რომ როდესაც ერთი ადამიანი მეორეს ჩუქნის საჩუქარს, მაშინ ის მასზე ამყარებს მოლოდინს, რომ მისგანაც მიიღებს საპასუხოდ, სხვაგვარად შესაძლოა, რომ ადამიანს აღარ გაუჩნდეს ხელმეორედ ჩუქების სურვილი (Mauss 1966: 18-30). მსგავსი ურთიერთობის სისტემაში ეს ურთიერთმოვალეობები დაბალანსებულია. ქართულ კულტურაშიც არის გავრცელებული ასეთი თვალსაზრისი გაცემა-მიღების ფენომენის შესახებ. მაგალითად, ხალხური ანდაზა გვასწავლის: „მადლი ქენი, ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდება“. შესაბამისად, რაიმეს გაცემის, გაჩუქების, შეწირვისას, არსებობს წინასწარი მოლოდინი, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ დაგიბრუნდება საზღაური. ეს ერთგვარად დაბანდებას ჰგავს. მოსის თვალსაზრისით, საჩუქარი განამტკიცებს ადამიანთა ურთიერთობებს გამომდინარე იქიდან, რომ ის ეფუძნება გაცვლის პრინციპს. საჩუქრის ზნეობრივი ხასიათიდან გამომდინარე, მისი ჩუქების შემდეგ ადამიანები ერთმანეთზე დამოკიდებულები ხდებიან, მათ შორის ჩნდება მჭიდრო კავშირი (Mauss 1966: 10-16). ეს თვალსაზრისი შეგვიძლია დავინახოთ ქართულ კულტურაში ქორწინებასთან დაკავშირებულ ტრადიციებში. უშუალოდ ქორწინებამდე ადამიანთა შორის ურთიერთვალდებულებას საჩუქრების გაცვლა წარმოადგენს, ეს კი ოჯახს ეკონომიკურ მოვალეობებს აკისრებს.

ქორწინება, რომელიც ყველა საზოგადოებისათვისაა დამახასიათებელი, ასევე მკაფიოდ ფესვგადგმულია ქართულ კულტურაში, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა საჩუქარი. ქართველ ეთნოლოგთა გამოკვლევებში საქორწინო ტრადიციებს დიდი ყურადღება ეთმობა. აუცილებლად უნდა გამოვყოთ ნუნუ მაჩაბლის ნაშრომი – „საქორწინო ინსტიტუტი ქართლში“ (1978), ასევე აღსანიშნავია თინა იველაშვილის ნაშრომი – „ქალის დანიშვნის ზოგიერთი თავისებურებანი ქართული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით“ (1989). როლანდ თოფჩიშვილი კი თავის წიგნში „საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლო-

გია“ (2010) ეხება ქორწინების ტრადიციას.

მას შემდეგ, რაც მკაცრად შემოწმდებოდა და გამოირიცხებოდა წყვილს შორის ნათესაური კავშირი, ვაჟის მხარე გოგონას ოჯახში გზავნიდა მოციქულს/შუამავალს ან მაჭანკალს, რომელსაც უნდა ეწარმოებინა „გაჩხრეკვა“, რათა შეეფასებინათ, თუ როგორი იყო გოგოს ოჯახის მატერიალურ-სოციალური მდგომარეობა და ასევე ამოწმებდნენ, თუ რამდენად ეხერხებოდა გოგონას ხელსაქმე და ფიზიკური შრომა. თუ ამ ფუნქციას ითავსებდა მაჭანკალი, მაშინ მას საქმის წარმატებით შესრულების შემდგომ უხვად ასაჩუქრებდნენ განეული შრომისათვის. ეს ტრადიცია შემორჩენილი აქვთ ფერეიდნელ ქართველებსაც და მას „გაკვეთას“ უწოდებენ. საჩუქრის სახით შუამავალს ქალისათვის ატანენ მწვანე საკაბე ქსოვილს ან ტკბილეულობას, ამის შემდეგ იმართება ჩაის სმა და მოლაპარაკება.

საქართველოში თითოეულ ტრადიციას აქვს თავისი წინასწარ დადგენილი რეგლამენტი, რომლის შესრულებაც აუცილებელია. სწორედ ასეა ქორწინების ჩვეულების შემთხვევაშიც განსაზღვრული წესით საჩუქრების გადაცემის ტრადიცია. მაგალითად, დანინდვისას მიჰქონდათ ნიშანი, ამ ფუნქციას თანამედროვე ეპოქაში ასრულებს ნიშნობის ბეჭედი, თუმცა წარსულში არ იყო აუცილებელი, რომ მიეტანათ სამკაული, ეს შეიძლება ყოფილიყო საკაბე ქსოვილი, მოსაკითხი პროდუქტი, ღვინო თუ სხვა რამ. საპასუხოდ კი გოგონას ოჯახი აუცილებლად შლიდა სუფრას და იმართებოდა ქეიფი. ამის შემდგომ იმართებოდა პატარა ან დიდი ნიშნობა. პატარა ნიშნობისას მისართმევი ძღვენი უფრო მოკრძალებული იყო. ამ შემთხვევაში გოგოს ოჯახში მიჰქონდათ საჩუქრები თავად საპატარძლოსთვის, ეს შეიძლება ყოფილიყო სამკაულები, ქაშმირის მანდილი, ხოლო ოჯახისთვის კი სურსათი, რომელიც საკმარისი უნდა ყოფილიყო ნიშნობის სუფრის სტუმრებისთვის. დიდი ნიშნობისას, რა თქმა უნდა, საჩუქარიც უფრო მასშტაბური იყო, ქალის დედისათვის მიჰყავდათ დედალი ცხვარი. ასევე ქალისათვის მიჰქონდათ ლოგინი, რომელსაც შემდგომ მზითვთან ერთად წამოიღებდა. არსებობს მოსაზრება, რომ ეს ჩვეულება დაკავშირებული იყო სყიდვით ქორწინებასთან, თუმცა გამართლებულ ვერსიად მიიჩნევა, რომ ამ პერიოდში სიძე იყო ვალდებული, შესაბამისი ხარჯი გაეღო როგორც თავის, ისე ქალის ოჯახში და სწორედ ამასთანაა დაკავშირებული საქორწინო ძღვენ-საჩუქრები (თოფჩიშვილი 2010: 296-311).

ქართველი მეცნიერი და ეთნოლოგი თინა იველაშვილი თავის ნაშ-

რომში „ქალის დანიშვნის ზოგიერთი თავისებურებანი ქართული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით“ (1989) აღნიშნავს, რომ საქართველოს ყველა კუთხისთვის დამახასიათებელი იყო დანიშნვა როგორც მცირეწლოვან, ასევე ზრდასრულ ქალ-ვაჟთა შორის. ავტორი მიუთითებს, რომ „წინდის“ გაღება მხოლოდ ვაჟის მხარეს ევალეობდა. მაგრამ, გამონაკლის შემთხვევაში საცოლევ უგზავნიდა საქმროს სხვადასხვა მცირე საჩუქარს. ქალის გამოსასყიდს არ წარმოადგენდა დანიშნვისას მირთმეული საჩუქრები. თუ ვაჟი ჩაშლიდა დანიშნვას, მაშინ ის აღარ ითხოვდა დასანიშნად მიტანილი საჩუქრების უკან დაბრუნებას. თუმცა, თუ ქალი ჩაშლიდა ნიშნობას, მაშინ „წინდის“ სახით მირთმეული ყველა ნივთი და ქონება უნდა დაბრუნებოდა ვაჟის ოჯახს (იველაშვილი 1989: 95-106).

იმის მიუხედავად, რომ ქორწინებისას მატერიალური მხარე დიდ მნიშვნელობას თამაშობდა, ჩვენი აზრით, ეს მაინც არ უნდა ყოფილიყო სყიდვით ქორწილი. პირველ რიგში, იმიტომ, რომ სყიდვით ქორწინებისას საფასურს იხდის ერთი მხარე, ქართულ საქორწინო ტრადიციაში კი ძღვენ-საჩუქრებს იღებს როგორც ვაჟის, ასევე ქალის ოჯახი. ქალს თავისი სახლიდან მიაქვს მზითვი, რომელიც ხშირ შემთხვევაში შესაძლოა იყო ძალიან ძვირადღირებული, რომლის ნაწილიც ხმარდება ახალ ოჯახს (მეუღლის ოჯახს). რაც შეეხება ვაჟს, მისი ოჯახი იღებს დიდ ხარჯს მთელი იმ საქორწინო საჩუქრების შესაგროვებლად და მისართმევად, რომელიც ტრადიციის ნაწილია. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ხარჯი, შესაძლოა, არათანაბარია, მაგრამ საჩუქრების გაცვლა მაინც ორმხრივია. შესაძლოა, ეს მატერიალური დანახარჯი და საჩუქრების დიდი ჩამონათვალი ემსახურებოდეს სამომავლოდ ახალი ოჯახის ფინანსურ სიძლიერეს, რომელმაც ეს დოვლათი უნდა მოიხმაროს. ამავდროულად, საქმე გვაქვს ორ ოჯახს შორის პატივისცემის გამოხატულებასთან, რომ იქ, სადაც გეგებებიან სუფრით, შენც ძღვენით ხელდამშვენებული უნდა მიხვიდე. ეს კი ქართულ კულტურაში ურთიერთობას ამჭიდროვებს.

ნიშნობიდან ქორწინებამდე პერიოდში, საერო თუ საუფლო დღესასწაულებზე, სასიძოს მხარე მიდიოდა გოგონას ოჯახში მოსაკითხად და ასევე თან მიჰქონდათ საჩუქრები, ეს ძირითადად იყო საკვები, აუცილებელი იყო ახალი თევზის მირთმევა. საქორწინო ხარჯს თავის თავზე სიძე იღებდა. ის ვალდებული იყო, რომ ეთავა ეკონომიკური ვალდებულება და ე. წ. „საქორწინო“ მიეტანა ქალის ოჯახისათვის, ეს იყო ხორცი, მარცვლეული, სასმელი, პურეული თუ სხვა რამ. „საქორწინო“

რომ აუცილებლად მისართმევი იყო, ამას მოწმობს ძველი ქართული სამართლის ძეგლები (თოფჩიშვილი 2010: 296-311). თავდაპირველად, ის მხოლოდ ნატურალური პროდუქტისგან შედგებოდა, თუმცა დროთა განმავლობაში, შემადგენლობა შეიცვალა. სიძეს ასევე ჰქონდა ვალდებულება, რომ თავისი საცოლის დედისათვის (თუ ძიძაც ჰყავდა მისთვისაც) მიერთმია საჩუქარი ე. წ. „ნაძუძური“, რომელიც ხშირ შემთხვევაში იყო საკაბე ქსოვილი ან ჩითი. გარდა ამისა, მექორწილე მხარეებს შორის ერთ-ერთი ეკონომიკური ვალდებულება იყო პატარძლისათვის პირის სანახავის მირთმევა. იმ შემთხვევაში თუ პატარძალს დედამთილი ფულს მიართმევდა, მაშინ ეს იქნებოდა ახლადშექმნილი ოჯახის საკუთრება, მაგრამ ისეთი ნივთები, როგორცაა სამკაულები თუ საკაბე, იყო ქალის პირადი საკუთრება. ეს იყო ზოგადქართული მოვლენა, რომელიც განსხვავებული საჩუქრების სახით გვხვდებოდა სხვადასხვა კუთხეში, მაგრამ ყველა მხარისათვის საერთო იყო ის, რომ ამ საჩუქარს პატარძალს მიართმევდა მამაკაცის მხარე და გაყრის შემთხვევაში ქალის საკუთრებად რჩებოდა (თოფჩიშვილი 2010: 296-311).

როდესაც ვსაუბრობთ ქორწინების ინსტიტუტზე, აუცილებელია, ვახსენოთ მზითვი, რომელიც წარმოადგენდა ქალის საკუთრებას (თოფჩიშვილი 2010: 296-311). ის, თუ რას გაატანდა ოჯახი გოგონას მზითვში, მეტყველებდა მათ მატერიალურსა და სოციალურ მდგომარეობაზე. იყო ნივთები, რომლებიც აუცილებლად უნდა გაეყოლებინათ, მაგალითად ლოგინი (საბნები და თეთრეული), ტანისამოსი, ჭურჭელი, მაგრამ, თუ ოჯახი იყო შეძლებული და დანიანურებული, მაშინ ამ ჩამონათვალს ემატებოდა ძვირფასი სამკაულები, სამეურნეო მიწა, რომლიდანაც აღებული შემოსავალი ასევე მისი (პატარძლის) იქნებოდა. საქართველოს კუთხეების უმრავლესობაში მზითვის მომზადება ითვლებოდა საკმაოდ მნიშვნელოვნად, ამიტომაც უთმობდნენ სათანადო ყურადღებას. მზითვი მნიშვნელოვანი იყო ვაჟის ოჯახისთვისაც, რადგან ეს იყო ის ძღვენ-საჩუქრები, რომლებსაც ახალი რძალი მოიტანდა. ამიტომაც, წინასწარ იმართებოდა მოლაპარაკებები, კერძოდ, დაწინდვამდე და ვაჟის ოჯახი ასახელებდა რაოდენობას, თუ რამხელა მზითვს ითხოვდა. მზითვი დიდწილად განსაზღვრავდა ქალის ბედს, რადგან ძალიან კარგი შესახედაობის გოგონები ზოგჯერ გაუთხოვრები რჩებოდნენ, რადგან მათ ოჯახს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ კარგი მზითვი მოემზადებინათ (თოფჩიშვილი 2010: 296-311).

კიდევ ერთი ტრადიცია იყო სამზითვო წიგნის შედგენა, სადაც ჩამო-

წერდნენ, თუ რა მიჰქონდა ქალს ქმრის ოჯახში, ეს იურიდიულ დოკუმენტს წარმოადგენდა და ამის საფუძველზე, გაყრის შემთხვევაში, დავაც აღარ ხდებოდა ნივთებზე (თოფჩიშვილი 2010: 296-311). დღესდღეობით, ეროვნული ბიბლიოთეკის საცავში დაცულია მრავალი მზითვის წიგნი, განსაკუთრებით დიდგვაროვნებისა, რომელშიც აღწერილია საკმაოდ მასშტაბური ქონება და მიუთითებს მის მნიშვნელოვნობაზე. ქართველ ისტორიკოსსა და საზოგადო მოღვაწეს ივანე ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ შეუძლებელია დადგენა, თუ როდიდან იღებს სათავეს ქალისათვის მზითვის გატანების ტრადიცია, თუმცა ითვლება, რომ ამ ტრადიციას ადრეფეოდალურ ხანაში უნდა ჩაჰყროდა საფუძველი. მართალია ამ მხრივ არსებობს სხვადასხვა მოსაზრებები, მაგრამ საბოლოოდ მზითვი გვიჩვენებს, რომ ქალი ოჯახისათვის იყო პიროვნება და არა უბრალოდ ნივთი. ქართლ-კახეთში „სათავანო“ ფული იყო მხოლოდ ქალის საკუთრება, რასაც ის საჩუქრად ღებულობდა თავისი ოჯახისგან. ამ ფულს ქალი ხან საკუთარი და ხანაც ქმარ-შვილის სამოსის შესაძენად ხარჯავდა. შესაბამისად, საქართველოში საქორწინო ძღვენ-საჩუქრების კუთხით, ორივე ოჯახი ურთიერთვალდებული იყო. ოჯახის ნათესავები ქორწინებას სავსე ხელით მიდიოდნენ და ძირითადად ნატურალური პროდუქტს ჩუქნიდნენ (თოფჩიშვილი 2010: 296-311).

ჩვენი აზრით, სტუმრების მხრიდან საჩუქრების მირთმევა იყო ერთი მხრივ, პატივისცემის, ხოლო მეორე მხრივ ურთიერთდახმარების გამოხატულება. რადგან ქორწინილი დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, შესაძლოა, მისი გაძღოლა მხოლოდ ერთ ოჯახს გასჭირვებოდა. გასათვალისწინებელია ის ვითარებაც, რომ იმ დროს ადამიანები ასეთი შეძლებულები არ იყვნენ, ყველაფერი სახლში მზადდებოდა და სუფრაც არ იყო ისეთი დახუნძლული სხვადასხვა კერძებით, როგორც დღეს.

ქართველი ეთნოლოგი ნუნუ მაჩაბელი თავის ნაშრომში – „საქორწინო ინსტიტუტი ქართლში“ (1978) აღნიშნავს, რომ ბატონყმობის დროს ყმის ოჯახიდან ქალის გათხოვებისას საჭირო იყო ბატონის ნებართვა. სხვაგვარად ჯვრისწერა ვერ შედგებოდა, რადგან აუცილებელი იყო, რომ მღვდლისთვის წარედგინათ ნებართვა. ასეთივე ცნობა ესაჭიროებოდა ყმა ქვრივის ხელმეორედ გათხოვებისას. ამ ცნობების მისაღებად, აუცილებელი იყო, რომ გარკვეული თანხა გადაეხადათ ბატონისათვის. ქვრივის გათხოვების შემთხვევაში ამას „საქვრივო“ ეწოდებოდა, ხოლო ქალის პირველად გათხოვებისას – „საჩექმე“. „საქვრივოს“ გადახდა შესაძლებელი იყო როგორც ფულით, ასევე საქონლით, ხოლო „საჩექმეს“

იხდიდნენ მხოლოდ თანხით. ხშირ შემთხვევაში, ბატონები იმდენად დაინტერესებულნი იყვნენ „საქრივო“ გადასახადით, რომ ქვრივებს ხელმეორედ გათხოვებას აიძულებდნენ (მაჩაბელი 1978: 247-249)

ქართულ საქორწინო ტრადიციაში მზითვის მნიშვნელობაზე თავის ნაშრომში ყურადღებას ამახვილებს ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მზია წერეთელიც („გენდერი – კულტურული და სოციალური კონსტრუქტი“ (2006)). ამ შემთხვევაში ჩანს, თუ როგორ აისახება გენდერი ძღვენ-საჩუქარზე. ის წერს, რომ ქართული ოჯახი განეკუთვნება ზოგადკავკასიურ ოჯახთა ტიპს და აქ დაახლოებით ისეთი მიდგომაა მზითვის მიმართ, როგორც სომხეთსა და აზერბაიჯანში. საქართველოს კუთხეების უმრავლესობაში მზითვს ჰქონდა მასშტაბური სახე და მოიცავდა სალოგინე თეთრეულს, საქონელსა თუ ჭურჭელს, თუმცა, მაგალითად მთაში ის უფრო მომცრო იყო და მხოლოდ ქალის პირად ტანსაცმელსა და ხელსაქმის ნივთებს მოიცავდა (წერეთელი 2006: 95-97).

ჩვენი აზრით, ეს განპირობებული იყო იმით, რომ მთაში ხალხს არ ჰქონდა ისეთი მატერიალური შესაძლებლობა, როგორც ბარში. შესაბამისად, მათ არ შეეძლოთ ქალისთვის მეტი ძღვენ-საჩუქარი გაეყოლებინათ ახალ ოჯახში. საინტერესოა ის დეტალიც, რომ ქალისათვის საქორწინო სამოსი ქმრის ოჯახს უნდა ეჩუქებინა და ესეც მათი მოვალეობა იყო. მზითვი დიდ როლს თამაშობდა გარიგებით ქორწინებისას, რადგან ამ საქმეს თაობდა მაჭანკალი, რომელსაც საქმის წარმატებით შესრულებისათვის უხვად ასაჩუქრებდნენ. მაჭანკლის გასამრჯელო მზითვის რაოდენობის ზრდასთან ერთად მატულობდა (წერეთელი 2006: 95-97).

საქართველოში კიდევ ერთი უძველესი და პატივსაცემი ტრადიციაა სტუმარ-მასპინძლობა, სადაც ასევე ვხვდებით საჩუქრის ფენომენს. „სტუმარი ღვთისააო“ – ასე ამბობენ საქართველოში, რაც მის მიმართ უდიდეს პატივისცემას გამოხატავს და ასეთივე დახვედრასაც უწყობდნენ მას. ეს ტრადიცია დღემდე გრძელდება და სტუმრის ღირსეულად მიღება-გასტუმრებას დიდი ყურადღება ეთმობა ჩვენს საზოგადოებაში. მასპინძელი, თავის მხრივ, სტუმარს ხელგაშლილი ხვდებოდა, თუმცა თავად სტუმარსაც მიჰქონდა საჩუქარი (ამ ტრადიციასაც ვიმეორებთ დღეს, რადგან სტუმრად უსაჩუქროდ მისვლა სირცხვილად ითვლება, რაც თავისთავად ვალდებულს ხდის ადამიანს, რომ შეიძინოს რაიმე მისართმევად). შესაბამისად, იმთავითვე დასაჩუქრების წესი სტუმარ-მასპინძელს შორის პატივისცემის გამოხატულება იყო. ეს

წესი დამკვიდრებული იყო როგორც საქართველოში, ასევე ჩრდილო-კავკასიელებთანაც. სტუმარს ოჯახში საჩუქრად უნდა მიეტანა სამკაულები, ნაქსოვი წინდები, თოფის ტყვია-წამალი, ხანჯალი ან სხვა რამ. სტუმრის მხრიდან საჩუქრის მირთმევა სავალდებულო იყო, როცა ის პირველად მიდიოდა მასპინძელ ოჯახში, ხოლო სხვა შემთხვევაში, ეს ხდებოდა სურვილის შესაბამისად. თავის მხრივ, მასპინძელი გაშლილი სუფრითა და დიდი პატივისცემით ეგებებოდა სტუმარს (თოფჩიშვილი 2010: 334-341).

ვფიქრობთ, საინტერესოა იმის წარმოჩენა, თუ როგორ აისახება საქართველოში საჩუქარში ეპოქალური რაკურსი. ამის ძალიან კარგი მაგალითია სასაჩუქრე ხალათი. ეთნოლოგი, ხელოვნებათმცოდნე გულიკო კვანტიძე თავის ნაშრომში, ქართულ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, აღწერს ხალათს, როგორც საჩუქარს აღმოსავლეთ საქართველოში. ისტორიული ფაქტების მიხედვით, მეფის კარზე სამოსის ჩუქება დამკვიდრებული იყო. ხალათის, როგორც საპატიო სამოსის, ჩუქებაში აისახებოდა იმჟამად არსებული პოლიტიკური ვითარება. ლეონტი მროველის („ქართლის ცხოვრება“) მიხედვით, ძველი წელთაღრიცხვის პირველ-მეორე საუკუნეებში ქართლის სამეფო საკმაოდ დაწინაურებული იყო მსოფლიო ასპარეზზე. სწორედ ამიტომ, მეფე ფარსმან მეორეს იმპერატორმა ადრიანემ ძვირფასი საჩუქრები გამოუგზავნა და თავისთან მიიწვია. მეფე ფარსმანმა არ მიიღო მიპატიჟება, თუმცა საპასუხოდ საჩუქრად გაუგზავნა მოოქროვილი მოსასხამები. მიპატიჟებაზე უარის თქმა იმპერატორმა შეურაცხყოფად მიიღო და ფარსმანის ნაბოძები ძვირფასი ხალათები გლადიატორებს ჩააცვა საცირკო წარმოდგენისას. ვითარება შეიცვალა მეექვსე საუკუნეში, როდესაც მეფე წათე პირველმა მოინდომა, რომ ირანს განდგომოდა და ეცნო ბიზანტიის ძლიერება. სწორედ ამიტომ, წათე ეახლა ბიზანტიის მეფე იუსტინიანე პირველს. ბიზანტიაში წათე მოინათლა და დაქორწინდა, იმპერატორისგან კი საჩუქრად მიიღო საპატიო სამოსი. მართალია, ორივე შემთხვევაში საჩუქარი სამოსია, თუმცა ერთ შემთხვევაში, ძღვენით გამოკვეთილია საქართველოს სიძლიერე, როცა მეფე თავად აგზავნის ძვირფას მოსასხამს, ხოლო მეორე შემთხვევაში კი მეფე ცნობს ბიზანტიის ჰეგემონობას და თავად იღებს ძვირფას სამოსს. საქართველოში ხალათის ჩუქება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში, როცა ქვეყანაში გაძლიერდა ირანული გავლენა. ირანის შაჰი ძვირფას ხალათებს ჩუქნიდა ქართველ მეფე-დედოფლებს. ამის მაგა-

ლითს ვხვდებით გიორგი მეათის, გიორგი მეთერთმეტისა და შაჰნავაზის შემთხვევაში. ისინი განსხვავებული ხარისხით აღიარებდნენ შაჰის უზენაესობას. თუმცა ნაჩუქარი ხალათის მორგება და ხალხის წინაშე გამოჩენა, მაინც იმის მაუწყებელი იყო, რომ ქართველი მეფეები აღიარებდნენ ირანის შაჰის ძლიერებას, ხოლო საქართველოში კი არც თუ ისე სახარბიელო ვითარება იყო პოლიტიკური სიძლიერის კუთხით. შემდგომში, ქართულ სამეფო კარზე ხალათის ჩუქება იმდენად დამკვიდრდა, რომ უკვე თავადაც დაიწყეს მისი საჩუქრად გაცემა. ამ წესის მკაფიოდ დამკვიდრებას ვხვდებით თეიმურაზ მეორის მეფობის პერიოდში, რომლის ჩანაწერებშიც ვკითხულობთ, რომ ხალათის ჩუქება ქორწილშიც ხდებოდა, მაგალითად სიდედრი ჩუქნიდა სიძეს (კვანტიძე 2016: 110-131).

ჩვენი აზრით, მსგავსი მაგალითები ცხადყოფს, თუ როგორ შეიძლება, ერთი და იგივე საჩუქრის დატვირთვა იცვლებოდეს ქვეყანაში არსებული საშინაო და საგარეო ურთიერთობების მიხედვით. ერთნაირი შინაარსობრივი დატვირთვის მქონე საჩუქარი, დროთა განმავლობაში, იცვლება შემადგენლობის მიხედვითაც. მაგალითად, თუ ადრე საქორწინო „ნიშანი“ შეიძლებოდა ყოფილიყო ნატურალური პროდუქტი, დღესდღეობით ეს არის მხოლოდ ოქროს ბეჭედი. ეს მეტყველებს იმაზე, თუ რა არის ძვირფასი და ღირებული კონკრეტულ ეპოქაში. აგრარული ეკონომიკის პირობებში, რა თქმა უნდა, ნატურალური პროდუქტი ან საკაბე ქსოვილი იყო ძვირფასი საჩუქარი, ხოლო ინდუსტრიულ პერიოდში ვითარება შეიცვალა და ის უფრო ძვირფასმა ნივთებმა ჩაანაცვლეს.

ჩუქება-შენიშვნის თავლსაზრისით ქართულ კულტურაში მნიშვნელოვან ფენომენს წარმოადგენს გლოვის რიტუალი. აქ ვხვდებით ძღვენ-საჩუქრის გაღებას, როგორც მიცვალებულის ოჯახისათვის სოლიდარობის გამოხატვის ფორმას, რომელიც შემდგომ ვალდებულია, რომ თავის მხრივ, ეს ადამიანები მიიწვიოს სარიტუალო სუფრაზე. მეორე არის შეწირვის ფენომენი, რომელიც კეთდება მიცვალებულის სახელზე მისი სულის საცხოვნებლად და ზოგ შემთხვევაში იმ ადგილის განსაწმენდელად, სადაც მიცვალებული ესვენა. აქ უკვე იკვეთება საჩუქრის ორივე ფორმა რელიგიურიც და ზნეობრივიც. მაგალითად, ხევსურეთში, როცა ოჯახში ჰყავდათ მომაკვდავი ადამიანი, მას მუჭში უდებდნენ ვერცხლის ფულს, რათა ამით შეძლებოდა თავისი ცოდვების გამოსყიდვა. ამავდროულად, ცდილობდნენ, რომ სიცოცხლეშივე გამოესყიდათ ადამიანის ცოდვები. მომაკვდავს გამოჰკითხავდნენ, თუ რა ცოდვა ჰქონდა

ჩადენილი, შემდეგ კი ცხვარს შესწირავდნენ და მისი სისხლით ხდებოდა სახლის კურთხევა. აქ შეიძლება გავავლოთ პარალელი ქრისტიანულ კულტურასთან, როცა მომაკვდავ ადამიანთან მიჰყავთ მღვდელი, რომელიც ცოდვებს შეუნდობს და აზიარებს. მართალია, ხევსურეთში ამ ყველაფერს უფრო რიტუალური სახე ჰქონდა, თუმცა ნათლად იკვეთება, რომ არსებობს სასუფევლის ცნება, სადაც ადამიანი ცოდვით დამძიმებული არ უნდა გაუშვან. პირიქითა ხევსურეთში აუცილებელი იყო, რომ დაკრძალვის დღეს მეზობლის ქალებს მიეტანათ ყველი და პური. თუმცა განსხვავებული იყო მატერიალური შეწირულობა ქელეხისათვის, რომლისთვისაც თითოეულ ოჯახს ათი ფუთი ქერი უნდა გაეღო. თუ ოჯახი ნებით არ გაიღებდა, შეეძლოთ, რომ ძალით წაერთმიათ. საპასუხოდ კი გარდაცვლილის ნათესავები მათ აძლევდნენ არაყს ან ლუდს. მიცვალებულს საგზაოს ატანდნენ საიქიოში, რომელსაც ასევე აქვს რიტუალური დატვირთვა. ფულისა თუ სხვა მატერიალური შეწირულობის გატანება ხდებოდა ოდითგანვე, ამას მოწმობს არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი სამარხები, სადაც მიცვალებულს ჩატანებული აქვს სხვადასხვა ნივთები (თოფჩიშვილი 2010: 356-367).

დაკრძალვის შემდეგ ხდებოდა საკლავის შეწირვა, მას ჰქონდა ორმაგი დატვირთვა – პირველი, ნათესავები აქამდე მარხულობდნენ, ხოლო ხორცის მირთმევა მარხვის დასასრულს ნიშნავდა და მეორე, ჰქონდა სარიტუალო დატვირთვა, საქონლის სისხლით უნდა მომხდარიყო მიცვალებულის სახლის კარის კურთხევა. მათ სჯეროდათ, რომ ის კერძები, რომლებიც ქელეხში იქნებოდა, მიცვალებულს დახვდებოდა საიქიოში. ეს წესი დღემდე ასეა და ითვლება, რომ ქელეხის სუფრა თუ საკურთხი „მისავალია“. ეს წესი მთლად წარმართული არ არის, პირიქით მართლმადიდებლურ რელიგიაშიც დამკვიდრებულია (თოფჩიშვილი 2010: 356-367).

მნიშვნელოვანი დეტალია საკურთხი, რომელსაც საქართველოში დღესაც აქტიურად ამზადებენ. თითოეულ კუთხეში საკურთხის მომზადების განსხვავებული წესია. აუცილებელია, ოჯახმა გასცეს საკურთხი და დაარიგოს მეზობლებში. ხევსურეთში უბედური შემთხვევის გამო გარდაცვლილ ადამიანზე ფიქრობდნენ, რომ მისი სული ეშმაკს ჰყავდა დაპატრონებული, ამიტომაც აუცილებელი იყო მისი გამოხსნა. ამისათვის კი ოჯახი ძღვენს ამზადებდა, რომელსაც ხატის მედროშეს უგზავნიდა, როცა ხატის დროშა იმ ადგილას მოხვდებოდა, სადაც უბედურება დატრიალდა, ხდებოდა სულის გამოხსნა და იქვე შესწირავდნენ შავ

ციკანს. ის ოჯახი, სადაც მიცვალებული ჰყავდათ, ითვლებოდა უწმი-
ნდურად, ამიტომაც აუცილებელი იყო რიტუალის ჩატარება და ოჯახის
განათვლა. ამისათვის კი დაკრძალვიდან მესამე დღეს შესწირავდნენ
ბატკანს, რომლის სისხლსაც ჯამში აგროვებდნენ და მთელ კარ-მიდა-
მოს მოასხამდნენ. ამის შემდეგ კი სჯეროდათ, რომ სახლში ანგელო-
ზები დაბრუნდებოდნენ. თუშეთში იცოდნენ დიდი ქელეხის გამართვა,
რა დროსაც ხარშავდნენ ლუდს და სწირავდნენ საკლავს. თავის მხრივ,
სტუმრებსაც მოჰქონდათ ძღვენი რიტუალური სუფრისათვის, ეს შე-
იძლებოდა ყოფილიყო ფული, ქერი, ყველი ან ძროხა. საქელეხო შე-
საწირის მიტანა იცოდნენ რაჭაშიც, სადაც ახლობლებს მოჰქონდათ
მრგვალი პური. ერთი წლის განმავლობაში კი მიცვალებულისათვის
ყოველდღე კეთდება საკურთხი (თოფჩიშვილი 2010: 356-367).

ქართველი ეთნოლოგი გიორგი ჩიტაიას თავის ნაშრომებში ძალიან
საინტერესოდ აქვს აღწერილი, თუ როგორ ხდებოდა თავად მიცვალე-
ბული კულტი, საქართველოს ზოგიერთ რეგიონში, რომლის მიმართაც
გასცემდნენ შესაწირს. მაგალითად, ის წერს, რომ პირიქითა ხევსურეთში
ცხოვრობდა ბერდიად გაგა, რომელიც იყო ცნობილი კაცი, გამორჩეული
მეომარი და რკინის ხელოსანი, რომლის გარდაცვალების შემდეგაც
მისი სახელობის დღეობა დაუწესებიათ და ყოველ წელს სწირავდნენ
საკლავს და მის სულს იღბალსა და გამრავლებას ევედრებოდნენ. სა-
კლავის შეწირვის კიდეც ერთ მაგალითად მოჰყავს ალიათ მგელას სა-
ფლავი, რომელსაც თანასოფლელები წმინდა ადგილად მიიჩნევდნენ,
ყოველ წელს მის სახელზე საკლავს კლავდნენ და ლოცულობდნენ.
ჩიტაია მიიჩნევს, რომ მიცვალებულის კულტთან მიმართებაში ერთ-ე-
რთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო გასაღები ხარჯი, რომელთა შორი-
საც გამოყოფს წლისთავის წესს, რომლის დროსაც შეწირულობა იყო
განსაკუთრებით გრანდიოზული (ჩიტაია 2001: 213-225). მართალია, რომ
ჭირის სუფრაზე შესაწირის ტრადიციას აქვს გარკვეული წარმართული
სახე, თუმცა მიგვაჩნია, რომ ყველგან გვხვდება ქრისტიანული ნიშნები,
რადგან ეს ყველაფერი ემსახურება ადამიანის საიქიო ცხოვრებაში უზ-
რუნველყოფას, სადაც ცოდვით დამძიმებული არ უნდა წავიდეს. ამავდ-
როულად, აღსანიშნავია, რომ შეწირვის ტრადიცია საფუძველს იღებს
ბიბლიიდან, სადაც ვხედავთ ღვთისთვის ძღვენის შეწირვის პირველ
მაგალითს კაენისა და აბელის მიერ. აქედანვე შეიძლება დავასკვნათ,
თუ რატომ ხდება უმეტესად ცხვრის შეწირვა, რადგან პირველი შესა-
წირი ნატურალურ პროდუქტთან ერთად სწორედ ცხვარი იყო.

საქართველო მართლმადიდებლური ქვეყანაა, შესაბამისად, ჩვენს ტრადიციებში დიდი ადგილი უჭირავს ქრისტიანულ რიტუალებს. ჩვენთან განსაკუთრებული პატივისცემით ხდება რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნა და შესაბამისი შესაწირის გაღება. ასე იყო ოდითგანვე, თუმცა შესაწირის შემცველობა ასევე ქრისტიანულ კალენდარზე დამოკიდებული, რადგან, თუ რელიგიური დღესასწაული, მაგალითად ბარბარობა, ემთხვევა მარხვის პერიოდს, მაშინ შესაწირიც სამარხვოა. თუმცა, თუ ხსნილის პერიოდია, მაშინ ხდება საკლავის შეწირვა. მართალია, მთიანეთში ქრისტიანობას ფეხი ძლიერად არ ჰქონდა მოკიდებული, თუმცა იქ ოდითგანვე დიდი ადგილი ეჭირა წმინდა გიორგის, ყველაზე მეტი სალოცავიც მისი სახელობისაა და შესაბამისად, მის სახელზე აკეთებდნენ შესაწირსაც, ძირითადად კლავდნენ ცხვარს (თოფჩიშვილი 2010: 392-403). რელიგიურ დღესასწაულებზე საკლავის შეწირვა გრძელდება დღემდე, მაგალითისათვის გავიხსენოთ ლომისობის დღესასწაული, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია ლომისის წმინდა გიორგისთან. ამ დღეს ხდება მასშტაბური შესაწირის გაღება. ლომისობას ასეულობით ცხვარი იკვლება, რადგან შესაწირის გაღების მსურველი ბევრია.

ქართველი ეთნოლოგი თეა ქამუშაძე თავის ნაშრომში „მარსელ მოსის საჩუქრის თეორია და ქართული ეთნოგრაფიული მასალა“ (2015) აღნიშნავს, რომ მარსელ მოსის თეორიის ინტერპრეტაციას ქართულ სინამდვილეშიც ვხვდებით, რამდენადაც შესამჩნევია მცდელობა, რომ მას მოარგონ ქართული ეთნოგრაფიული მასალები. ავტორის აზრით, ქართულ კულტურაში საჩუქრის ფენომენის გაგების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ქართველი ეთნოლოგისა და მეცნიერის ირაკლი სურგულაძის შრომები. სურგულაძე გამოყოფს საჩუქრის სხვადასხვა ფორმას მათ შორის, შესაწირავს, ნადიმს და მასთან ასოცირებულ ქცევებს, როგორებიცაა: გაცემა, გაფანტვა და ასე შემდეგ. იგი გაღების ფორმებს განიხილავს, როგორც სოციალურ პრესტიჟთან დაკავშირებულ ქცევებს. მას მიაჩნია, რომ ეს ქცევები მჭიდროდაა დაკავშირებული საიქიო ცხოვრების წარმოდგენებთან. აღნიშნული ფორმების ფუნქციონირების მიზნად, მიზნად მიიჩნევს ამქვეყნად სახელისათვის ბრძოლას და მიღწეული შედეგის იმ ქვეყნად გადატანას (ქამუშაძე 2015: 169-186).

რელიგიური დღესასწაულების გვერდით საქართველოში არსებობდა აგრარული დღესასწაულებიც, რაც განპირობებულია იმით, რომ საქართველოში მეურნეობის ერთ-ერთ უძველეს დარგს წარმოადგენს მი-

ნათმოქმედება. ეს დღესასწაულებიც დატვირთულია მატერიალური შეწირულობების მაგალითებით. ადამიანებს სჯეროდათ, რომ თუ გაიღებდნენ შესაწირს, მაშინ იმ წელს უხვი მოსავალი ექნებოდათ. მაგალითად, ბარაქისათვის აცხოვდნენ ნამცხვარს დიდი ღმერთის სახელზე, რომელსაც ხარებამდე ხელს არ კიდებდნენ და ყანაში ტოვებდნენ. ძირითადად ახალი წელი ითვლებოდა აგრარულ დღესასწაულებში ნაყოფიერებასთან დაკავშირებული რიტუალების პერიოდად. ახალი წლის წინა დღეს, გურიაში, სწირავდნენ ორ საგანგებოდ გაზრდილ მამალს, რათა მოსავლის კუთხით ბარაქიანი წელი ჰქონოდათ. ამავდროულად, ახალი წლის დილას ოჯახის უფროსი კაცი საკლავს ვენახში კლავდა, ხოლო თან წაღებული ღვინით კი უხვი მოსავლისათვის დაილოცებოდა. ეს რიტუალური შესაწირი გავრცელებული იყო თითქმის მთელ საქართველოში. კახეთში მოსავლის აღებისას აცხოვდნენ კვერებს, რომელსაც შემდგომ ოჯახის უფროსი გასცემდა და მინდორში მუშებს ურიგებდა, შემდეგ ცხვარს წირავდნენ და ყანას სისხლს მოასხამდნენ. მნიშვნელოვანი დღესასწაული იყო ბერიკაობა, რომელიც ტარდებოდა ბარაქიანობისა და უხვი მოსავლისათვის. ბერიკები, რომლებიც შესაბამისი სარიტუალო სამოსით იმოსებოდნენ, მთელ სოფელს დაივლიდნენ. თითოეული ოჯახი მათ დიდი სიხარულით ხვდებოდა და ძღვენს ატანდა, რათა ბედნიერი და ბარაქიანი წელი ჰქონოდათ (თოფჩიშვილი 2010: 403-424). გაცემა რომ ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი იყო საქართველოში, ამას ვხედავთ ქართულ წერილობით ძეგლებშიც, როგორცაა მაგალითად ვეფხისტყაოსანი: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“. აქედან გამომდინარე, ქართულ რწმენა-წარმოდგენებში ყოველთვის არსებობდა ის მოსაზრება, რომ კეთილდღეობისა და ბარაქის მოსაპოვებლად აუცილებელი იყო, ადამიანებს შესაწირი გაეღოთ. ეს იყო პატივისცემის გამოვლენაც, მსხვერპლის გაღებაც, რწმენაც და მადლიერებაც. ადამიანებს სჯეროდათ, რომ რასაც გაიღებდნენ უკანვე სასიკეთოდ შემოუბრუნდებოდათ.

ამრიგად, როგორც მოსი წერს საჩუქარის ფენომენი არის უნივერსალური ყველა საზოგადოებისათვის, რომელიც თავისი არსით სოციალურია, რადგან ადამიანთა შორის ურთიერთვალდებულებას აჩენს. ეს ვალდებულება კი ქმნის მჭიდრო კომუნიკაციას ადამიანთა შორის (Mauss 1966: 10-16). გამონაკლისი არც ქართული კულტურა და საზოგადოებაა. როგორც ვნახეთ, ჩვენი ძირეული საერო თუ საეკლესიო წეს-ჩვეულებები ძღვენ-საჩუქრების გაცვლასა და სხვადასხვა შეწირულობე-

ბის გაღებას მოიცავს. რაც, საბოლოო ჯამში ადამიანებს ერთმანეთთან აკავშირებს, რადგან უკუგება და ურთიერთვალდებულება თავის თავში მოიაზრებს მჭიდრო კომუნიკაციას. ეს მკაფიოდ შესამჩნევი იყო ქორწინებისას სარიტუალო საჩუქრების გაცვლაში, მზითვის ფენომენში, თუ მეზობელ-ახლობლების მიერ საჩუქრების მირთმევაში.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ ურთიერთდახმარების ფენომენი საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა, როცა ადამიანები ლხინისა თუ გლოვის დროს ერთმანეთს გვერდით ედგნენ და ეს ყველაფერი არა მხოლოდ მორალური, არამედ მატერიალური მხარდაჭერითაც გამოიხატებოდა. ადამიანი იმედოვნებდა, რომ მსგავს სიტუაციაში მის მიმართაც გამოიჩენდნენ ამგვარ მხარდაჭერას. ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანია საჩუქარში ეპოქალური რაკურსის ასახვა და მისი ხასიათისა თუ დანიშნულების ცვლილება, ასევე მისი მეშვეობით ქვეყნის იმჟამინდელი პოლიტიკური, ეკონომიკური, თუ სოციალური მდგომარეობის გამოხატვა. მნიშვნელოვანია იმის შეფასებაც, თუ როგორ ხდება საჩუქრის ორივე ბუნების (რელიგიურის და ზნეობრივის) გამოხატვა ერთი ტრადიციის ქვეშ, როგორიცაა გლოვა და მიცვალებულისა თუ მისი ოჯახის მიმართ პატივისცემის გამოხატვა. აქვე დიდ როლს თამაშობს შესანიშნავი, რომელიც, ასევე მნიშვნელოვანი ეკონომიკური ვალდებულებაა. ოჯახი მოვალეა თავისი მიცვალებულის სახელზე გაიღოს შესანიშნავი. ამავდროულად, მეზობელ-ახლობლების მიერ მორთმეული ძღვენ-საჩუქრებიც ეკონომიკური ვალდებულებაა როგორც მათი მხრიდან, ასევე მიმღები ოჯახის მხრიდანაც, რადგან მათ, თავის მხრივ, სარიტუალო სუფრა უნდა გამართონ.

შესანიშნავი ფენომენი მნიშვნელოვანია მართმადიდებლური თუ აგრარული დღესასწაულებისას. ამ დროს ადამიანები ასევე მოელიან უკუგებას, რადგან შესანიშნავი გაღების სანაცვლოდ სურთ, რომ მიიღონ ნყალობა, უხვი მოსავალი და ბარაქიანი წელი. მნიშვნელოვანია, თუ როგორ ვლინდება ქართულ ანდაზებსა და აფორიზმებში გაცემის, გასაჩუქრების ფენომენი: „მადლი ქენი ქვაზე დადე გაიარე წინ დაგხვდება“, „რასაცა გასცემ შენია რაც არა დაკარგულია“. მათი შინაარსიც, თავის მხრივ, ისაა, რომ გაცემა არის დაბანდება, თუ გასცემ, შენც მიიღებ ამისგან სარგებელს და სიკეთე უკან დაგიბრუნდება.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

- ▶ თოფჩიშვილი 2010: თოფჩიშვილი როლანდი, საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2010;
- ▶ იველაშვილი 1989: იველაშვილი თინა, ქალის დანიშვნის ზოგიერთი თავისებურებანი ქართული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით. მაცნე, 1989.
- ▶ კვანტიძე 2016: კვანტიძე გულიკო, ხალათი, როგორც საჩუქარი და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები აღმოსავლეთ საქართველოს ყოფაში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი კადმოსი VIII, თბილისი, 2016, გვ. 110-132;
- ▶ მაჩაბელი 1978: მაჩაბელი ნუნუ, ქორწინების ინსტიტუტი ქართლში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, 1978;
- ▶ ქამუშაძე 2015: ქამუშაძე თეა, მარსელ მოსის საჩუქრის თეორია და ქართული ეთნოგრაფიული მასალა, ირაკლი სურგულაძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის „მითი, კულტი, რიტუალი“ მოხსენებათა კრებული, თბილისი, 2015 გვ. 169-186;
- ▶ ჩიტაია 2001: ჩიტაია გიორგი, შრომები ხუთ ტომად, ტომი 4, საუნივერსიტეტო ლექციების კურსი ეთნოგრაფიაში – „სვეტები“. ქართული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი „მეცნიერება“ 2001.
- ▶ წერეთელი 2006: წერეთელი მზია, გენდერი - კულტურული და სოციალური კონსტრუქტი. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006.
- ▶ Mauss 1966: Mauss Marcel, The Gift: Forms and Functions of Exchange in Archaic Societies, London, Lowe, and Brydone (printers), 1996.

**GIFT-RELATED RITUALS AND MATERIAL „SACRIFICE“
ACCORDING TO GEORGIAN ETHNOGRAPHIC DATA
(SUMMARY)**

The article is about the phenomenon of gifts and material „Sacrifice“ in Rituals or Ceremonies in Georgian culture. As Moss writes, the phenomenon of the gift is universal to all societies, which is essentially social because it evokes dependence between people. This commitment is the reason for the close communication between people. Georgian culture and society are no exception.

Our basic secular and religious rites include the exchange of gifts. It connects people because understanding in itself implies close communication. These were clear in the exchange of ritual wedding gifts or the giving of gifts from neighbors. However, we would like to point out that the phenomenon of mutual aid has existed in Georgia since ancient times when people helped each other during the happiness or mourning, and all this was expressed not only moral but also in material support, although, of course, people expected similar Support. We think that it is important to reflect the epoch-making perspective in the gift and change its character or purpose, as well as to express the current political, economic or social situation of the country, which can be seen in the example discussed in the article - a robe as a gift in Eastern Georgia. It is also important to evaluate how both natures of the gift (religious and moral) are expressed under one tradition, such as mourning and respect for the deceased or his family. Sacrifice also plays a big role here, which is also an important economic obligation, because the family is obliged to make a sacrifice in the name of its deceased, which often required great material resources (and still is), and gifts given by neighbors are an economic obligation on their part. As well as from the host family, as they, in turn, have to hold a ritual supper. The phenomenon of sacrifice is important during Orthodox or agrarian holidays, during which people also expect a return because in return for making a sacrifice they want to receive mercy or an abundant harvest and

a fruitful year. It is important how the phenomenon of giving, giving gifts is revealed in Georgian literary monuments –, “What thou givest away is thine; what thou keepest is lost” (Shota Rustaveli). Their content in turn is that giving is an investment, if you give, you will also benefit from it and goodness will be returned to you.

წყაროს პუბლიკაცია

წერილები რუსულიდან ქართულად თარგმნა, შესავალი და შენიშვნები
დაურთო

ნიკოლოზ სარაჯიშვილმა

გიორგი ზდანოვიჩის აქამდე გამოუქვეყნებელი წერილი¹

საკვანძო სიტყვები: ხალხოსნობა, ზდანოვიჩის წერილები, რუსეთის იმპერია, ჩავარდნა, აკრძალული ლიტერატურა, ფრიჩები, მოსკოველთა წრე, სრულიად რუსეთის სოციალ-რევოლუციური ორგანიზაცია

Keywords: Narodism, Zdanovich's letters, Russian Empire, failure, Prohibited literature, Frichs, Circle of Moscovite, Social-Revolutionary Organization of all Russia

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბევრი ქართველი რევოლუციური მოღვაწე აქტიურ მონაწილეობას იღებდა რუსულ საზოგადოებრივ თუ სოციალ-პოლიტიკურ მოძრაობებში. ერთ-ერთი ასეთი პიროვნება სწორედ გიორგი ზდანოვიჩ-მაიაშვილია. ის პოლონელი სამხედრო ექიმის ფელიქს ზდანოვიჩისა და მაია მიქელაძის ოჯახში, 1855 წელს დაიბადა. სწორედ დედამისის სახელისგან მოდის მისი ფსევდონიმი – მაიაშვილი.

1871 წელს გიორგი ზდანოვიჩმა პეტერბურგის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩააბარა, ხოლო 1873 წელს სასწავლებელად პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში გადავიდა, საიდანაც იწყება მისი რევოლუციური ცხოვრება. ის სხვა ქართველებთან ერთად (მაგ. ივანე ჯაბადარი, ალექსანდრე ციციშვილი, მიხეილ ჩიკოიძე და სხვა) იყო „სრულიად რუსეთის სოციალ-რევოლუციური ორგანიზაციის“ ერთ-ერთი დამაარსებელი.

1875 წლის სექტემბერში ის დააპატიმრეს. მის დაპატიმრებას მთლიანი ორგანიზაციის ჩავარდნაც მოჰყვა, ვინაიდან სხვების მამხილებელი წერილები და ორგანიზაციის პროგრამაც სწორედ ზდანოვიჩს უპოვეს. 1877 წელს სხვებთან ერთად „50-ის“ პროცესზე გაასამართლეს და 6 წლითა და 8 თვით ციხიბრში გადაასახლეს. 1886 წლიდან ცხოვრობდა ტომსკში და ხელმძღვანელობდა „სიბირსკაია გაზეტას“. 1889 წელს გიორგი ზდანოვიჩი საქართველოში დაბრუნდა, ქუთაისში დასახლდა და

¹ წერილები გამოქვეყნებულია საისტორიო ჟურნალ „Красный Архив“-ში, 1927 წლის პირველ (მე-12) ნომერში, გვ. 188-204;

აქტიურად ჩაერთო ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ეკონომიკური საკითხების განხილვაში.

ისტორიკოსი დიმიტრი შველიძე ასე ახასიათებს მას: „გ. ზდანოვიჩი თავისი თანამედროვე პუბლიცისტებისგან უპირველესად პრაქტიკული აზროვნებით გამოირჩევა. იგი თეორიულ რეცეპტებს კი არ სთავაზობს მკითხველს, არამედ ცხოვრებისეულ გზებს, რეალური ვითარებიდან გამომდინარე პრაქტიკულ ორიენტაციას ეძებს. იგი მიესალმება მშრომელი გლეხობის გამამულიანების პროცესს და კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მამული „თუ კი ერთხელ ხელში ჩაიგდო ჩვენმა გლეხკაცმა, სიკვდილის მეტი ვეღარა გამოაცლის რა“. მეორე მხრივ, გ. ზდანოვიჩი ურჩევს ღარიბ თავადაზნაურობას შრომას მოჰკიდოს ხელი, დაინტერესდეს ალებ-მიცემობით და როგორმე მოერგოს იმ ახალ ეკონომიკურ წყობილებას, რომელიც გარდაუვალია ქვეყნისათვის. ეს იყო ერთადერთი გზა, რომელსაც შეეძლო თავადაზნაურობა ეხსნა გაპროლეტარებისაგან... გ. ზდანოვიჩი ენერგიულად ქადაგებდა, რომ ის სამრეწველო ობიექტები და ბურჟუაზიული დაწესებულებანი, რომელთა რიცხვიც სულ უფრო მატულობდა საქართველოში, ქართველი ერის, საზოგადოების ინტერესებს უნდა მომსახურებოდნენ“ (შველიძე 1993: 42).

მისი პუბლიცისტური წერილები უმეტესად სწორედ ეკონომიკურ საკითხებს ეხებოდა. როგორც ისტორიკოსი სიმონ ხუნდაძე წერდა, მისი და იაკობ ფანცხავას ნაწერები შემდეგში არჩილ ჯორჯაძის „საერთო მოქმედების ნიადაგის“ ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა (ხუნდაძე 1927: 169). 80-იან წლებში გ. ზდანოვიჩმა „უარყო ხალხოსნური დოქტრინა რუსეთისა და ასევე საქართველოს არაკაპიტალისტური გზით განვითარების შესაძლებლობის შესახებ და, პირიქით, ბურჟუაზიულ-ეროვნული პოზიციებიდან დაიწყო საქართველოსთვის კაპიტალიზმის განვითარების საჭიროების ქადაგება“ (შველიძე 1993: 41). მისი განსაკუთრებული ინტერესის ქვეშ ექცეოდა და აქედან გამომდინარე, მისი სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული, ყიათურის მარგანეცის მრეწველობასთან. სიკვდილის ბოლომდე თავმჯდომარეობდა ყიათურის მარგანეცის მრეწველთა საბჭოს, რომელიც ნიშნავდა სტიპენდიებს, აფინანსებდა ეროვნულ დაწესებულებებს.

1902 წლიდან გიორგი ზდანოვიჩი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ნამდვილი წევრი, ხოლო 1912 წლიდან ქუთაისის განყოფილების მუდმივი წევრი და გამგეობის თავმჯდო-

მარე იყო. ის გარდაიცვალა 1917 წლის 30 ივლისს, დაკრძალულია ქუთაისში.

წინამდებარე წერილები, რომელსაც უცვლელად, თარგმნილი სახით და შესაბამისი კომენტარებით ვაქვეყნებთ, XIX საუკუნის რევოლუციური მოძრაობის ისტორიის კვლევისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. ამ წერილებიდან ვიგებთ არა მხოლოდ „მოსკოველთა წრის“, არამედ ზოგადად, რუსეთის იმპერიაში მოქმედი რევოლუციური წრეების რევოლუციური საქმიანობის ზოგიერთ მეთოდებსა და გზებზე. წერილებში ნახსენები არიან სხვადასხვა, უმთავრესად კი ქართველი რევოლუციონერები, რაც მათი ბიოგრაფიის კვლევისთვისაც მნიშვნელოვანია.

სწორედ პირველი წერილი იყო ერთ-ერთი მთავარი მამხილებელი საბუთი, რომელიც გამოყენებულ იქნა სასამართლოზე „სრულიად რუსეთის სოციალ-რევოლუციური ორგანიზაციის“ წევრთა წინააღმდეგ.

წერილები პირველად 1927 წელს ე. კოროლჩუკმა გამოაქვეყნა ჟურნალ „კრასნი არხივში“. ქართულ სამეცნიერო სივრცეში წერილები მიმოქცევაში პირველად ჩვენ შემოგვაქვს.

ჟურნალის პირველ ნომერში ჩვენ მხოლოდ იმ წერილს გამოვაქვეყნებთ, რომელიც 50-ის პროცესზე ფიგურირებდა როგორც ერთ-ერთი მთავარი სამხილი.

გ. ფ. ზდანოვიჩის წერილი ივანოვო-ვოზნესენსკის ჰეზუს 1875 წლის 19 ივლისს

თქვენს წერილს თქვენ იწყებთ სიტყვებით: „პირველ რიგში“; დავინწყებთ ჩვენც ამნაირადვე. პირველ რიგში, უნდა დაგანახოთ, რომ თქვენ მეტისმეტი პრეტენზიები გაქვთ, თითქოს არ იცით აქაური პირობები. მეორე, ტყუილად ირჩებით დაამტკიცოთ, რომ თქვენი წერილი სწორადაა დაწერილი. ვერანაირი ეშმაკი მას ვერ გაიგებს. ჩვენ მას, როგორც დოკუმენტს ისე ვინახავთ. შარიანები არ ვართ და ამით დავასრულებთ თქვენთან პოლემიკას, თუმცაღა სურვილის შემთხვევაში, ბევრის მოძებნა შეიძლება, რის გამოც ღირს თქვენი გალანძღვა. მაგრამ ღმერთი თქვენკენ, გპატიობთ!

სიახლე ბევრია – კარგიც და ცუდიც. დავინწყით „მამებით“. ჩამო-

ვიდნენ მიხაილისა და ბეტკას მამები.¹ ჯერ პირველი, შემდეგ მეორეც. როგორც მამამ გადმოგვცა, მიხაილის საქმე კარგადაა: შეიძლება თავდებით გირაოთი გამოუშვან. ვნახოთ! ბეტკას საქმე უცნობია. მამა პიტერში წავიდა საფუსფუსოდ. საინტერესოა, რომ ჩვენ არ მოგვიძებნია და გაგვიცნია ერთმანეთისთვის ისინი, არამედ თავად შეკრეს პირი და უამბეს ერთმანეთს თავიანთი სევდის შესახებ. აღმოჩნდა, რომ მათ შეხების წერტილებიც აქვთ – და გაერთიანდნენ. ვფიქრობთ, მალე შედეგება „მამების“ წრე. დეიდაც ვიპოვეთ;² გოროდსკოის ნაწილში ზის; დავწერეთ წერილი, ის რატომღაც გაფითრდა, დახია და იატაკზე დაყარა. ამ უცნაურობის ახსნა არ გვაქვს. წერილი ვერას³ ხელით იყო დაწერილი. ფიოდორის საქმე თითქოს მიდიოდა და მზად იყო, თუმცა ციხის მსახური გააგდეს და კავშირი შეწყვეტილია.⁴ მიხაილო ითხოვს ივან ვას[ილევინის]⁵ დათანხმებას, უარი თქვას თავისი ჩვენებისგან მასზე, რომ ის გაიცნო ნიკოლაის⁶ მეშვეობით და იცნობდა როგორც მიხაილ პეტროვს. ჟენია⁷ არაა, სახლში წავიდა. ვფიქრობ მალე წავიდე გზის საქმეზე. გზა დაიკარგა: გინცბურელებმა⁸ ჩაიგდეს ხელში, ე. ი. იმგვარად მოაწყვეს, რომ მათი წიგნებიც ჩვენი გზის გავლით შემოდის. უნდა განადგურდეს გვირაბები. აი ასეთი წყეულები არიან გინცბურელები, ჩვენ კი დიდი დურაკები ვართ: ვენდობით, ისინი კი გვაცურებენ.

სამხრეთიდან საერთოდ გულდასაწყვეტი ამბებია. ივ. ალ. და სონია⁹ გადაჭრით უარზე არიან ოდესაში დარჩენაზე და კიევის გუბერნიაში წავიდნენ, სოფელში. ოდესაში მასთან ჩვენებს ჰქონდათ საუბარი და ის გავიდა ჩვენი ორგანიზაციიდან, დაგვცილდა. ეს იმითაა მამოტივირებული, რომ ის ადრე ცდებოდა, ფიქრობდა რა, რომ შესაძლებელი იყო რაიმე „ორგანიზაცია“. რამდენიც არ არწმუნეს, ის კლდესავით ურყევი

1 მიხაილი – ივანე სპირიდონის ძე ჯაბადარი. ბეტკა – ბეტია აბრამოვნა კამინსკაია.

2 იგულისხმება სოფია ილარიონის ასული ბარდინა.

3 ვერა სპირიდონის ასული ლუბატოვიჩი.

4 მიხეილ ჩიკოიძე პროპაგანდას ეწეოდა მოსკოვში, ფიოდორის სახელით. დაპატიმრეს 1875 წლის 4 აპრილს, მოკვლევის ბოლომდე არ ასახელებდა თავის სახელს და არ აძლევდა ჩვენებას. აქ საუბარია მისი გაქცევის მზადებაზე.

5 ივან ვასილის ძე ბარინოვი, მუშა, მისცა ჩვენება, რომლითაც ამხილა ჯაბადარი არალეგალური წიგნების გავრცელებაში. საბოლოოდ ჩვენებაზე უარი თქვა.

6 ნიკოლაი ვასილევინი, მუშა, ასრულებდა მნიშვნელოვან როლს მოსკოვის ჯგუფის მუშაობაში.

7 ევგენია დიმიტრის ასული სუბოტინა. მოსკოველთა წრის ერთ-ერთი მთავარი წევრი.

8 ასეე დახდნენ ლავრისტებს, ლავროვის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის – ლევ გინცბურგის სახელის გამო. საუბარია წიგნების ტრანსპორტირებაზე, რომელსაც ზდანოვიჩი კურირებდა.

9 მოკვლევამ ვერ გახსნა მათი სახელები.

დარჩა. რაღაც შაიკაში შევიდა, რომელიც არ ცნობდა ორგანიზაციას, მაგრამ ამავედროულად ძლიერი ცენტრალიზაციით. ნევრები არ უნდა იცნობდნენ ერთმანეთს, იყოფიან თანრიგებად და ა. შ., როგორც ჩვეულებრივ არის ხოლმე. ოდესიდან იწერებთან, რომ ამ კომპანიის შესახებ უარყოფითი ხმები დადის. ზოგადად, ჩვენ ცოტა თუ გვესმის ამ კომედიაში. ამას იწერებოდნენ ჩვენები, თავად კი ამასთან დაკავშირებით არ გვწერდა, მხოლოდ ხსნის თავის წასვლას ოდესიდან იმით, რომ ჰყავს რა ბევრი ნაცნობი, მისთვის იქ სახიფათოა დარჩენა. სისულელე, ათასგზის სისულელე! აქ რაღაც რიგზე არ არის, გავარკვევთ, ვნახავთ.

ვერა ტულაში იყო. ტულელები დანაშაულებრივად იქცევიან. მუშებს შორის უზარმაზარი ნაცნობობა აქვთ – და ჯერ კიდევ ერთი რევოლუციური წიგნიც არ წაუკითხავთ მათთვის, „სიფრთხილით“. ნიადაგი ძალიან კარგია, მრავალი რამის გაკეთება შეიძლება, უბრალოდ იქ უნდა გაიგზავნოს ვინმე მეტად ენერგიული, ვიდრე ეს თევზისმაგვარი მოღვაწეები, „ფრთხილი პროპაგანდისტები“, ივ. ალ-ის ნაწილები. ვფიქრობთ, რომ ოლგასა და ვანიუშას¹ იქ გადასახლება არ აწყენთ, ვინაიდან მათი ოდესაში დარჩენა სავსებით არ შეიძლება. მათ ეძებენ, ისინი არამზადა ზიგერმა დააბეზლა. ვახტელი იმავე დაბეზლებით ზის. ნადიმ² სამსახური უკვე იპოვა, ვასილისაც შეპირდნენ. თუ რაიმე მიზეზის გამო შეუძლებელი იქნება ოლგას ტულაში წასვლა, მაშინ მოგვიწვევს თქვენგან კაცის წართმევა, ვინაიდან ეს აუცილებელია პირველ რიგში იმიტომ, რომ იქ უზარმაზარი ნაცნობობაა და მშვენიერი ნიადაგი, მხოლოდ ბიძგია საჭირო, მეორე რიგში კი, ეს ზლობინი³ შეიძლება ივ. ალ.-მა გადაიბიროს. მაშინ ტულა წავიდა ჩვენი ხელიდან, ამის გაკეთება კი არ შეიძლება. „საპოგები“⁴ არსაიდან არაა. არანაირი ცნობები არაა არც სარატოველისგან, არც იგორისგან, ტულაში კი მით უმეტეს: მწერალი შეცვალეს, ახალია, რომელთანაც ზლობინი დაგვპირდა დალაპარაკებას, მაგრამ, ალაჰმა უწყის, როდის იქნება ეს ყოველივე. თუმცაღა ჟენია⁵ იწერება, რომ „არის იმედი“, რომ მანია⁶ მალე მიიღებს. იმედი კი

1 ოლგა სპირიდონის ასული ლიუბატოვიჩი. „ფრიჩების“ ნევრი, შემდეგში ივანე ჯაბადარის მეუღლე.

ივანე ოკლადსკი, ცნობილი პროფოკატორი. ორივენი ტულაში გადავიდნენ. ივანე ოკლადსკი ოლგას ძმის სახელით. დაკავებისას ოლგა დააკავეს, ხოლო ივანემა გაქცევა მოახერხა.

2 ნადეჟდა დიმიტრის ასული სუბოტინა, ამ პერიოდში ოდესაში მუშაობდა.

3 ივანე ანდრეის ძე ზლობინი, პროპაგანდას ეწეოდა ტულაში, მუშაობდა ქარხანაში. ყალბი პასპორტები.

4 ევგენია დიმიტრის ასული სუბოტინა.

6 მარია დიმიტრის ასული სუბოტინა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ორგანიზაციის საქმიანობაში აქტიურად არ იღებდა მონაწილეობას.

ბევრია, ხეირია ცოტა. ფეკლიუშა ცოლად გაყვა თავად მუტრუკს. ქორნილი გათამაშებულია, მამა კმაყოფილია. ფულს დაგვპირდა, მაგრამ ახლა ხელზე არ აქვს. ეგეც კარგია. გამკაზე¹ იცით... ყაბარდა რუსეთზე დაინიშნა. ყაბარდას საკითხზე. აქ ჩამოვიდა მუტ(რუკი) და ბევრი დამამშვიდებელი რამ მოყვა ყაბარდის შესახებ. ძლიერი აღელვება ადგილობრივ ახალგაზრდობაში, პარტიების ბრძოლა (პოლიტიკანებისა და სოციალისტების), სოციალისტები ჯაბნიან. საერთოდ საშინელი გამოცოცხლება და ცხოვრება. სვანეთში (მხარე კავკასიაში, ტომი განსაკუთრებული ენით, მაგრამ უმრავლესობა ქართულად საუბრობს, ცხოვრობენ მიუდგომელ ქვაბულში, მთებში) – ბუნტია. ამოჟლიტეს ჯარისკაცთა გარნიზონი, ამოხოცებს უფროსები, ჩახერგეს გზები. ეს ყველაფერი აქციზის გამო მოხდა. აქციზი არაყს დაადეს. ისინი არ ცნობენ ასეთ უკანონობას და პირშეკრულმა თავისუფალმა სვანებმა ხელი მოჰკიდეს თავის მუდამ მზადყოფ იარაღებს. დეტალები ცნობილი ჯერ კიდევ არაა, მაგრამ საქმე ცხელი უნდა იყოს. ნაცვალის მიერ გაგზავნილია ტრუბეცკოი ბუნტის მოსათვინიერებლად. ქუთაისში შეიპყრეს ოსები, რომლებმაც ცხენების რემა მორეკეს. დაკავება იმითაა მოტივირებული, რომ თითქოს ისინი გამოგზავნილი არიან ოსების მიერ ქართველებთან „მოლაპარაკებისათვის“. ღმერთმა ქნას! ამბობენ, რომ აფხაზეთი აბუნტდება. თურქეთში განდევნილი ჩერქეზები ფხიზლად არიან, სრულყოფილად მზად არიან, მხოლოდ შემთხვევას ელოდებიან. კავკასია, ერთი სიტყვით, საომარ ფეხზეა. იქ ათჯერ მეტი ჯარისკაცი გაიგზავნა, ვიდრე აქამდე იყო. ეს – კავკასიაა. და აი რუსეთს შეხედეთ. 1) ვაგზავნით კორესპონდენციას (სხვას) ჩიგირინზე. 2. სერპუხოვში, კონშინის ფაბრიკაში მუშების ბუნტი იყო. აბუნტდა 4,000 ადამიანი. ითხოვდნენ დღესასწაულის დღეს მუშაობის გაუქმებას, ე.ი. შაბათის ღამეს. უარი თქვეს მუშაობაზე. გაფიცვა 14 დღე გაგრძელდა. ისინი სრულებით დააკმაყოფილეს. იქ გუბერნატორი ვოეიკოვი და სხვა არამზადები, ხალხს ძალიან თავაზიანად ექცეოდნენ, მუშებს ემლიქვნელებოდნენ გაუგონრებად. ჩანს, შეეშინდათ. მსგავს კორესპონდენციას მიიღებთ მალე. 3) იყო ბუნტი ტულაში, სახელმწიფო ქარხანაში. ოსტატებმა დაკარგეს ან გაფლანგეს მანქანები (რამდენიმე), და მუშებს მოკითხეს. მათ უარყვეს და დაიწყეს ბუნტი, როდესაც მათ დააკისრეს ჯარიმა გაფლანგული მანქანების საფასურად. დეტალები არ ვიცით. ზღობინი კორესპონდენციას დაგვპირდა. 4. პიტერში კალატოზების გაფიცვა იყო კერძო მფლო-

¹ ანთიმოზ გამყრელიძე, ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტიური წევრი. საუბარი მიმდინარეობს მისა და ეკატერინა პეტრეს ასულ ტუმანოვას ფიქტიურ ქორწილზე.

ბელის წინააღმდეგ. 5. ამ დღეებში მთავარ შტაბში დაიყვირეს: „გაუმარჯოს რევოლუციას“. ახლა ჩხრეკაა, მაგრამ ვერაფერი იპოვეს. მწერლის გაგდება უნდოდათ, რომელმაც ასეთი „დერზკაია ფრაზა“ იყვირა, თუმცა რატომღაც შეიწყალეს. 6. პიტერში, კონნოს მოედანზე, სამი თუ ოთხი კვირის წინ განაჩენი წაუკითხეს ერთ „ადიუტანტს“, რომელიც, როგორც ერთნი ამბობენ, იპოვეს საბეჭდ დაზგასთან ვლადიმირის გუბერნიაში, სოფელ პავლოვში, სხვები ამბობენ, რომ ფაბრიკაში. ეს „ადიუტანტი“ რევოლუციურ სიტყვას ამბობდა: „ეს არაფერია, ბიჭებო, რომ დაგვსჯიან, გადაგვასახლებენ, არ დაეცეთ სულიერად, განაგრძეთ თქვენი საქმე. ძირს მეფე, ძირს მებატონეები“, და ა.შ.

გაგზავნეს ტელეგრაფი და გამოგზავნეს მედოლეები, რომლებმაც ჩაახშეს „წყული რევოლუციონერი“. აი, როგორ! წაიკითხეთ დამატებით პალენის ცირკულიარი, რომელსაც თქვენ გიგზავნით, როგორ ეშინია ჩვენს მთავრობას რევოლუციონერების და არაფრის გაკეთება არ შეუძლია. უშვებს შეცდომებს, რიგ არათანმიმდევრულ ქმედებებს: მათთვის დალუპვაა, ჩვენ კი ხელს გვაძლევს. ცირკულიარი გამოგზავნილია საზღვარგარეთ ცალკეულ ბროშურად დასაბეჭდად, შესაბამისი კომენტარებით. მას უზარმაზარი წარმატება ექნება. კაბას მიიღებთ კანკასთან,¹ მასთანვეა დაშვებული შენახვის წიგნები. ვინაიდან აქ ბევრი ფული არ გვაქვს, ჭერჯერობით გიგზავნით 100 მანეთს. ვაგზავნით წიგნებს, რევოლუციურებს პატრონებით. მოკალით, ისროლეთ, იმუშავეთ, იბუნტეთ. მწარეა ჩვენი ხვედრი! ხოხვა გვიწევს მე და ვერას: გაქცევას ვფიქრობთ. დიაკოვის საქმე დაიწყო. გაზეთების ნომრებს გამოგიგზავნით, სადაც იქნება ანგარიში საქმეზე. პირველ ნომერს ახლავე ვაგზავნით.

ჩანს, საინტერესო ცირკულიარის გამოგზავნას ვერ მოვასწრებთ. კატიასთან ერთად გამოვგზავნით.

P. S. ხომ არ გსურთ ფოსტით მიიღოთ m-lle გამკა (მართალია ის კანიაზე დაქორწინდა, მაგრამ მაინც არ კარგავს უფლებას ეწოდებოდეს m-lle'). ოდესის თემმა შემოგვთავაზა ჩვენს ორგანიზაციაში მივიროთ სანჩო.² ამას იმით ხსნიდა, რომ მისი თვისებების გარდა, როგორც ადამიანისა, რომ ის იქნება კავკასიაში და იქ საჭიროა ჩვენი კაცის ყოლა. ორგანიზაციის მოსკოველი წევრები თანახმანი არიან და მხარს უჭერენ ოდესელების შემოთავაზებას. საერთოდ შეფერხება მხოლოდ თქვენზეა, თორემ სხვა ყველა თანახმაა.³

1 ეკატერინა პეტრეს ასული ტუმანოვა.

2 ალექსანდრე ციციშვილი.

3 ბოლო ორი ფრაზა მიწერილია ვერა სპირ. ლუბატოვიჩის ხელით.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

- ▶ შველიძე 1993: შველიძე დიმიტრი, პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში, ნაკვეთი I, ფედერალისტები, თბილისი, გამომცემლობა „არსი“, 1993;
- ▶ ხუნდაძე 1927: ხუნდაძე სიმონ, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. 2, ნაროდნიკული და მარქსისტული სოციალიზმი საქართველოში, ტფ., სახელგამი, 1927;
- ▶ ისტორიული ჟურნალი „Красный Архив“, ტ. I (20), Москва, Ленинград, Государственное издательство, 1927.

სამეცნიერო თარგმანი

მარკ ბლოკი

ფეოდალური საზოგადოება¹ ნიგნი პირველი: უკანასკნელი შემოსევები თავი პირველი

მუსლიმები და უნგრელები

I. დაკყრობილი და ალყაშემორტყმული ევროპა

„თქვენ გახდით ღვთის მრისხანების შემსწრენი... ამის მიზეზი კი გახლავთ გაუკაცრიელებული ქალაქები, ჩამონგრეული თუ დამწვარი მონასტრები, გაპარტახებული მინდვრები... მდიდარი ჩაგრავს სუსტს, ხოლო ადამიანი დაემსგავსა ზღვის თევზს, რომელიც არეულობაში იწყებს თავისიანის დაგლეჯას“. ასე საუბრობენ შექმნილ მდგომარეობაზე ტროსლიში შეკრებილი რეიმსის მღვდელმთავრები, 909 წელს. IX და X საუკუნეების ლიტერატურა, სიგელები, საეკლესიო კრებების თათბირები სავსეა მსგავსი მოთქმებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაპყროთ წმინდა ორატორთა ბუნებრივ პესიმიზმს. ამ გამუდმებით ერთხმად განხილულ თემაში, რომელიც უფრო და უფრო მეტ ახალ ფაქტს და მოვლენას ავლენს, გაცილებით კარგია რაიმე უჩვეულოზე ყურადღების გამახვილება, ვიდრე ისევ ბანალურ საკითხებზე შეჩერება. ამ პერიოდში, ადამიანები, რომლებიც კარგად ხედავდნენ მიმდინარე მოვლენებს და შეეძლოთ მათი ანალიზი (ეს განსაკუთრებით სასულიერო პირებს ეხებათ), უდავოდ გრძნობდნენ, რომ ცხოვრობდნენ არეულობითა და ძალადობით მოცულ საზიზღარ გარემოში. შუა საუკუნეების ფეოდალიზმი ამ უსაზღვროდ მშფოთვარე ეპოქაში იბადება. გარკვეული გაგებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწორედ შექმნილი „ჩოჩქოლი“ აყალიბებს მას.

1 Marc Bloch. La société féodale ; t. I : La formation des liens de dépendance. 1939.

მიზეზთა შორის, რომლებმაც წვლილი შეიტანეს ამ ალიაქოთის ჩამოყალიბებაში თუ მის შენარჩუნებაში, იყო ისეთებიც, რომელთათვისაც სრულიად უცხო იყო ევროპული საზოგადოებების შიდა განვითარება. რამდენიმე საუკუნით ადრე გერმანიკული გამანადგურებელი შემოსევების ცეცხლში ყალიბდება ახალი დასავლური ცივილიზაცია, რომელიც გვევლინება გარშემორტყმული ციხე-სიმაგრის, ან უკეთესად რომ ვთქვათ, ნახევარზე მეტად დაპყრობილის სახით. გვევლინება ერთდროულად სამი მხრიდან: სამხრეთით ისლამის მიმდევრების, არაბების ან გაარაბებულების სახით; აღმოსავლეთით უნგრელთა სახით; ხოლო ჩრდილოეთით სკანდინავიელთა სახით.

II. მუსლიმები

ზევით ჩამოთვლილი მტრების ფონზე ისლამი უდავოდ შედარებით მცირე საფრთხედ გვეჩვენება. დიდი ხნის განმავლობაში, არც გალიას და, არც იტალიას, თავიანთი ღარიბი ქალაქების გარდა, რომლებიც ბრწყინვალეებით ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ ბალდადს ან კორდობას, არაფერი ჰქონდათ შესათავაზებელი. დასავლეთით, მუსულმანური სამყარო, ბიზანტიურთან ერთად, XII საუკუნემდე განიცდის ნამდვილ ჰეგემონიურ ეკონომიკას: ერთადერთი ოქროს მონეტები, როლებიც ჩვენს მხარეებშია მიმოქცევაში, შემოდის ბერძნული ან არაბული საამქროებიდან. თუ VIII და IX საუკუნეებმა ნახეს აქამდე გაერთიანებული დიდი სახალიფოს დაშლა, მის ნანგრევებზე აღმოცენებულ სხვადასხვა სახელმწიფოებს უზარმაზარი ძალაუფლება ჰქონდათ. მაგრამ ახლა ამ შემოსევებს უფრო ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდათ, ვიდრე სასაზღვრო ომებს. უკან მოვიტოვოთ აღმოსავლეთი, სადაც ამორიელთა და მაკედონიელთა დინასტიები (828-1056) მძიმედ და შეუპოვრად განაგრძობენ ბრძოლას მცირე აზიის ხელახლა დასაპყრობად. დასავლური საზოგადოებების შეჭახება ისლამურ სახელმწიფოებთან მხოლოდ ორ ფრონტზე ხდება.

თავდაპირველად, სამხრეთ იტალია იყო მსგავსი იმ სუვერენთა ნადირობის ველისა, რომლებიც აფრიკის უძველეს რომაულ პროვინციას მართავდნენ: ჯერ კაირუანის აღლაბიდეების ემირები; შემდეგ კი, უკვე X საუკუნიდან, ფატიმიდების ხალიფები. სიცილია, აღლაბიდეების შეწევნით, ნელ-ნელა გადადიოდა ბერძენთა ხელში, რომლებიც მას იუსტი-

ნიანეს დროიდან მოყოლებული მართავდნენ (საბოლოოდ უკანასკნელი გამაგრებული ადგილი – ტაორმინა, დაეცა 902 წელს). ამავდროულად, არაბებმა ფეხი მოიკიდეს ნახევარკუნძულზე. სამხრეთით ბიზანტიური პროვინციების გავლით, ისინი მიადგნენ ტირენიის სანაპიროს ნახევრად დამოუკიდებელ ქალაქებს და ლანგობარდიის პატარა სამთავროებს, რომლებიც მეტ-ნაკლებად იმყოფებოდნენ კონსტანტინოპოლის მორჩილების ქვეშ. XI საუკუნის დასაწყისში, მათ საბინის მთებამდე არსებული ტერიტორია მოიცვეს დაპყრობებით. თავდამსხმელთა ჯგუფის, რომელიც დასახლდა მონტე-არდჟენტარიოს ტყიან მთებში (გაეტასთან ახლოს), დამარცხება ვერ მოხერხდა 915 წელს (ვერც მოხერხდა მანამ სანამ მათი დაპყრობებიდან 20 წელიწადი არ გავიდა). 982 წელს, „რომაელთა იმპერატორი“, ახალგაზრდა ოტო II, რომელიც მიუხედავად საქსონური წარმოშობისა, თავს თვლის როგორც იტალიის, ისე დანარჩენი მხარეების მმართველად, და საკუთრივ ცეზარის მემკვიდრედ, მიემგზავრება სამხრეთში საბრძოლველად. იგი იღებს გაუგონარი სიგიჟის გადაწყვეტილებას (სხვათა შორის, შუა საუკუნეებში ხშირად დაშვებულ შეცდომას) და ზაფხულში, ამ მცხუნვარე მხარეში აგზავნის ჯარებს, რომლებიც არ არიან ამ კლიმატს შეჩვეულები, და 25 ივლისს, კალაბრის დასავლეთ მხარეში, მუსლიმთა რაზმებთან გადადის შეტევაზე. ეს, ალბათ, იყო ყველაზე დამამცირებელი დამარცხება. მუსლიმებმა ამ მხარეებისთვის ზიანის მიყენება განაგრძეს XI საუკუნეში ფრანგული ნორმანდიიდან მოსულ მოგზაურთა გამოჩენამდე, რომლებმაც დაიწყეს ბრძოლა განურჩევლად – ბიზანტიელებთან და არაბებთან. ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილთან ერთად სიცილიის გაერთიანებით, იმ ძლიერ სახელმწიფოს, რომელიც მათ საბოლოოდ ჩამოაყალიბეს, მუდამ უნდა დაეცვა გზა დამპყრობლებისგან, და ლათინურ და ისლამურ ცივილიზაციებს შორის ეთამაშა ძლიერი შუამავლის როლი. ამასაც ვხედავთ: იტალიაში ბრძოლა სარაცინელთა წინააღმდეგ, რომელიც დაიწყო IX საუკუნეში, კიდევ დიდხანს გაგრძელდა. მაგრამ ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ორივე მხრიდან, ტერიტორიული უპირატესობის ფონზე, აღინიშნება საკმაოდ სუსტი რყევები. კათოლიციზმში ეს, უპირველეს ყოვლისა, არ წარმოადგენდა განაპირა მიწების ინტერესის სფეროს.

მოულოდნელობის მეორე ხაზი იყო ესპანეთში. იქ, ისლამისთვის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა მძარცველურ თავდასხმებსა თუ ხანმოკლე ანექსიებს. ეს განპირობებული იყო იმით, რომ იქ მაჰმადიანები ძალიან

დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ და, რომ არაბთა მიერ დაარსებულ სახელმწიფოებს სწორედ ამ ქვეყანაში ჰქონდათ ცენტრები. როგორც შემდგომ, X საუკუნის დასაწყისში, აღმოჩნდა, სარაცინულ თავდასხმელთა ჯგუფებს არ ჰქონდათ დავიწყებული პირენეების გზები. მაგრამ ეს შორეული შემოსევები უფრო და უფრო იშვიათი ხდებოდა. უკიდურესი ჩრდილოეთის ნაწილის ხელახალი ქრისტიანული დაპყრობის გეგმა, უკუსვლებისა და დამცირებების მიუხედავად, ნელა პროგრესირდება. გალისიასა და მის ჩრდილო-დასავლურ მაღლობებზე, რომლებიც კორდობას ემირებსა თუ ხალიფებს არასდროს სჭერიათ მყარად, XI საუკუნის შუა ხანებიდან იწყება პატარა ქრისტიანული სამეფოების დაწინაურება, რომლებიც დუეროს რეგიონამდე, ხან დანაკუნებული და ხანაც ერთადერთი უფლისწულის მიერ იყვნენ გაერთიანებულები. შედეგად, მათ მდინარე ტახოს მიაღწიეს 1085 წელს. პირენეების ძირში, სხვა მხრიდან კი ებროს მიმართულებით, არსებული ტერიტორია კიდევ დიდხანს იყო მუსლიმთა ხელში. 1118 წლამდე სარაგოსა არ დაცემულა. ბრძოლები, რომლებიც თავის მხრივ არ გამოორიცხავდა შედარებით მშვიდობიან ურთიერთობას, ჩვეულებისამებრ დროებითი ზავებით ხასიათდებოდა. მათ თავიანთი კვალი დატოვეს ესპანურ საზოგადოებებზე. რაც შეეხება ევროპას, რომელიც მდებარეობდა „უღელტეხილების მეორე მხარეს“, ისინი მას თითქმის არ შეხებიან. გამონაკლისი მხოლოდ XI საუკუნის მეორე ნახევარია. მათ წარუდგინეს ევროპის რაინდობას ბრწყინვალე, ნაყოფიერი და ღვთისმოსავი თავგადასავლების შესაძლებლობა და ამავედროულად დაჰპირდნენ გლეხებს თავისუფალ მიწებზე დაფუძნებას, სადაც ესპანელი მეფეები და სენიორები ცდილობდნენ მათ მიზიდვას. მაგრამ გარდა ომებისა და ბრძოლებისა, საჭირო იყო მეკობრეობისა და ყაჩაღობისთვის ბოლოს მოღება. ძირითადად ამან განაპირობა სარაცინელთა ჩართულობა დასავლეთში ამ საერთო არეულობაში.

არაბები საკმაოდ დიდი ხანი იყვნენ მეზღვაურები. აფრიკაში, ესპანეთსა და, ძირითადად, ბალეარის კუნძულებზე მათი სამკვიდრებლებიდან მოყოლებული, არაბმა მეკობრეებმა შემოიარეს დასავლეთ ხმელთაშუა ზღვა. თუმცაღა, იმ წყლებში, სადაც შედარებით ცოტა მეზღვაური მოგზაურობდა, მეკობრეობას ცოტა ნადავლი მოჰქონდა. ზღვაზე კონტროლის გამო, სარაცინელები, როგორც თავის დროზე სკანდინავიელები, პირველ რიგში ხედავდნენ ნაპირების მიღწევის და იქ დიდი ძარცვა-გლეჯის მოწყობის საჭიროებას. 842 წლიდან ისინი ბრუნდე-

ბიან რონაში არლის მისადგომებამდე და იტაცებენ მათ გასასვლელზე ორივე ნაპირს. კამარგი გახდა მათი ყოველდღიური ბაზა. მალე მათ ბედმა გაუღიმა – მიეცათ უფრო უსაფრთხო ადგილი და დაპყრობის არეალების გაფართოების საშუალება.

იმ წელს, რომლის დაზუსტებით თქმაც ჩვენ არ შეგვიძლია (სავარაუდოდ უნდა მომხდარიყო 890-იან წლებში), ესპანეთიდან მომავალმა პატარა სარაცინულმა ნავმა პროვანსალის სანაპიროდან დაბერილი ქარის წყალობით მიაღწია თანამედროვე სოფელ სენ-ტროპეს მისადგომებს. დამპყრობლები დაიმაღნენ, დაელოდნენ მზის ჩასვლას და უკვე ღამეს დაიწყეს მეზობელი სოფლის მცხოვრებლების ხოცვა-ჟლეტა. მთიანი და ტყიანი – ასე ვეძახით იფნის ქვეყანას, ან თუ შეგვიძლია ვთქვათ „ფრენეს“ – ეს ადგილი თავდაცვისთვის იყო ზედგამოჭრილი. მოულოდნელად კამპანიაში მათმა თანამემამულეებმა მონტე-არდუენტარიოდან თავი გაიმაგრეს იქ, სიმაღლეზე, ტევრის ეკლების შუაგულში და თავიანთ თანამებრძოლებს დაუძახეს. ამგვარად შეიქმნა ყაჩაღთა ყველაზე სახიფათო ბუდე. გაძარცვული ფრეჯუსის გარდა ისე ჩანდა, რომ თავშესაფრად ქცეულ შემოდობილ ქალაქებს არ უნდა დამუქრებოდათ პირდაპირი დარტყმა. მაგრამ მთელს სანაპირო სიახლოვეში, ქალაქებს ეწიათ ყველაზე დიდი უბედურება. ფრენეს დამარბევლებმა ტყვედ უამრავი ადამიანი აიყვანეს, რომლებიც შემდგომ ესპანეთის ბაზრებზე გაყიდეს.

ასე რომ, მათ დიდი დრო არც დასჭირვებიათ თავიანთი თავდასხმების სანაპიროს გაღმა გადატანისთვის. თუმცაღა, ისინი რაოდენობრივად ძალიან ცოტანი იყვნენ დარჩენილნი, როგორც ჩანს, მათ ვერ გარისკეს რონის ხეობაში შეჭრა, რომელიც შედარებით უფრო მეტადაც დასახლებული იყო და უფრო ძლიერადაც იცავდა ქალაქებსა და სასახლეებს. მაგრამ ალჰური მასივი თავდამსხმელთა პატარა ჯგუფებს აძლევს ქედიდან ქედის, ან ტყიდან ტყის გავლით, შეუმჩნევლად შეღწევის საშუალებას. ერთადერთი წინაპირობაა, ადამიანი განაფული უნდა იყოს მთამსვლელობაში. მოდიოდნენ რა ან ესპანეთის სიერა-ნევადადან, ან მალრიბის მთებიდან, ეს სარაცინელები, როგორც ეს თქვანმინდა გალის ბერმა, იყვნენ „ნამდვილი თხები“. მეორე მხრივ, ალჰები, როგორც არ უნდა ჩანდეს ეს პირველი შეხედვიდან, არ წარმოადგენდა არახელსაყრელ ადგილებს სათარეშოდ. ხეობები ისე იყო განწყობილი, რომ ძალიან ადვილი ხდებოდა მაღალი გარშემორტყმული მთებიდან მოულოდნელად ჩამოსვლა. მაგალითად, გრესივუდიდან. ამავედრო-

ულად, აქა-იქ აღზევება დაიწყეს სააბატოებმა, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს ხდიდა მათ ძარცვა-გაქურდვას. სუბას ზემოთ, ნოვალური მონასტერი, საიდანაც ძალიან ბევრი მორწმუნე გაიქცა, დაარბიეს და დაწვეს 906 წელს. ზეკარიდან მოგზაურთა, ვაჭართა და „რომაელთა“ პატარა ჯგუფები იკრიბებოდნენ, რომლებიც მოციქულთა საფლავებზე სალოცავად მიდიოდნენ. და განა რა იყო იმაზე მაცდური, ვიდრე სწორედ ამ გასასვლელზე თვალყურის დევნა? 920 თუ 921 წლიდან მოყოლებული, დაიწყეს მარშის დროს ანგლო-საქსელი პილიგრიმებისთვის ქვებით თავების გატეხვა. ამ პერიოდიდან ეს თავდასხმები გამუდმებით მეორდება: არაბთა მიერ შეკრებილი მაროკოელთა რაზმები არ უშინდებიან შორს, ჩრდილოეთისკენ გამგზავრებას. 940 წელს ჩვენ მათ ვხვდებით რაინის ხეობის სიახლოვეში და ვალეს კანტონში, სადაც ისინი წმინდა მორიცის ცნობილ მონასტერს წვავენ. ამავე წელს, მათგან გამოყოფილ რაზმთაგან ერთ-ერთი, ეკლესიის გარშემო პროცესიის დროს ისრებით წმინდა გალის ბერებს ჟლეტს. ეს უკანასკნელი შემთხვევა სანახევროდ გადარჩენილი იყო ვასალთა პატარა ჯგუფის მიერ, რომელმაც ნაწილობრივ გაფანტა მტერი და შემდეგ საჩქაროდ მოიწვია აბატი. მონასტერში დარჩენილმა ტყვეთა ნაწილმა გმირულად მოიკლა თავი შიმშილით.

ალპებში წესრიგის მაკონტროლებელმა ძალამ ან პროვანსალურმა სოფლებმა დაძლიეს იმ დროის სახელმწიფო ძალები. ფრენეს მხარეში სხვა საშუალება, გარდა მოთარეშეთა „ბუნაგის“ განადგურებისა, აღარ იყო. მაგრამ აქ გამოჩნდა კიდევ ახალი დაბრკოლება. ციხე-სიმაგრისთვის ალყის შემორტყმა თითქმის დაუჭერებელი ჩანდა მისთვის ზღვაზე წვდომის მოსპობის გარეშე. სწორედ ამ ზღვით იღებდა იგი მთელ თავის დახმარებას. არც ქვეყნის მეფეები – დასავლეთით პროვანსისა და ბურგუნდიის მეფეები, ხოლო აღმოსავლეთით იტალიის, – და არც მათი გრაფები არ ფლობდნენ ფლოტს. ერთადერთი გამოცდილი მეზღვაურები, ქრისტიანთა გარდა, იყვნენ ბერძნები, რომლებიც ხანდახან ისეთივე მიზნისთვის იყენებდნენ ამას, როგორც სარაცინელები – მეკობრეობისთვის. განა 848 წელს არ მოაწყვეს მათი ეროვნების მეკობრეებმა ძარცვა-ქურდობა მარსელში? სინამდვილეში, ორ შემთხვევაში, 931 და 942 წლებში, ბიზანტიური ფლოტი გამოჩნდა ფრენეს სანაპიროს წინ, გამოიძახეს 942 წელს, დიდი ალბათობით და არა უმეტეს უკვე თერთმეტი წლით ადრე, იტალიის მეფე, არლუანელი ჰიუგის ბრძანებით, რომელსაც პროვანსში დიდი ინტერესები ამოძრავებდა. აღნიშნულმა ორმა მცდელობამ შედეგის გარეშე ჩაიარა. ასევე 942 წელს, ჰიუგს, რო-

მელიც ბრძოლის ველიდან გაიქცა, ვერ წარმოედგინა, რომ მოკავშირეებად სარაცინელების აყვანა იყო საჭირო, იმისათვის რომ მათი დახმარებით დაეკეტა ალპების გასასვლელები თავისი მეტოქეებისათვის (ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ ლომბარდიის ტახტისათვის), რომ მათ ველარ მიეღოთ სასურველი დახმარება? ამის შემდეგ დასავლეთ საფრანგეთის მეფე – დღეს რასაც „გერმანიას“ ვეძახით – ოტო დიდი, ხდება ლომბარდიის მეფე 951 წელს. იგი მოგზაურობდა იმისათვის, რომ ცენტრალურ ევროპაში და იტალიაშიც კი, ჩამოეყალიბებინა ის ძალაუფლება, როგორც უნდოდა, როგორც ეს გააკეთეს კაროლინგებმა – ქრისტიანებმა და მშვიდობის მთავარმა გამტარებლებმა. თვლიდა რა იგი თავს კარლოს დიდის შთამომავლად, რომლის საიმპერატორო გვირგვინიც უნდა მიეღო 962 წელს, იგი საკუთარ დანიშნულებად მიიჩნევდა სარაცინელთა თარეშისთვის წერტილის დასმას. თავდაპირველად ამისთვის იგი ცდილობს მიჰყვეს დიპლომატიურ გზას და ამის გამო აგზავნის კორდობას ხალიფასთან ბრძანებას ფრენეს მოსახლეობის ევაკუაციის შესახებ. მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს იგი ფიქრს ლაშქრობის დაწყებაზე, რასაც აღარც ახორციელებს.

მაგრამ 972 წელს, მძარცველებს მიაქვთ ძალიან დიდი და სერიოზული დარტყმა. დიდი სენ-ბერნარის უღელტეხილზე, დრანსის ხეობაში, კლუნის აბატს, მაიოლს, რომელიც იტალიიდან ბრუნდებოდა, მოულოდნელად ესხმიან თავს და მიჰყავთ ერთ-ერთ მთიურ სადგომში, რომელსაც სარაცინელები ძალიან ხშირად იყენებდნენ (იმის გამო, რომ არ შეეძლოთ ყოველ ჯერზე ბაზაში დაბრუნება). აბატი არ იყო გათავისუფლებული მანამ, სანამ ბერები არ გამოაგზავნიდნენ საკმაოდ დიდი რაოდენობის გამოსასყიდს. იმის გამო, რომ მაიოლმა, რომელმაც უამრავ მონასტერზე რეფორმა გაატარა, იყო ძალიან ბევრის მიერ პატივცემული, და ამავდროულად, თუკი შეგვიძლია ასე ვთქვათ, ბევრი მეფისა და ბარონის საყვარელი წმინდანი. ეს განსაკუთრებულად ეხებოდა პროვანსის გრაფს, უილიამს. უკანა გზაზე, ეს უკანასკნელი შეუერთდა ჯგუფს, რომელმაც მკრეხელობა ჩაიდინა და მას დიდი დამარცხება მიაყენა. ამის შემდეგ მან გააერთიანა რონის ხეობის რამდენიმე სენიორი, რომელზეც შემდგომ უნდა განაწილებულიყო კულტივაციის გამო დაბრუნებული მიწები და იგი ახორციელებს შეტევას ფრენეს ციხე-სიმაგრეზე. ეს უკანასკნელი, ამჯერად, ეცემა.

ეს გახდა სარაცინელებისთვის დიდმასშტაბიანი თარეშებისა და თავდასხმების დასასრული. პროვანსის სანაპირო, ისევე როგორც იტა-

ლიისა, ბუნებრივია, რჩება ყველანაირი შეტევის მიმართ ღია. XI საუკუნეში ჩვენ ვხედავთ ლერიჩის ბერებს, რომლებიც აქტიურად იწყებენ იმ ქრისტიანთა გამოსყიდვას, რომლებიც არაბმა მეკობრეებმა აიყვანეს და ესპანეთში წაიყვანეს. 1178 წლის თავდასხმამ მარსელში ბევრი ადამიანი ტყვედ ჩააგდო. მაგრამ პროვანსის სანაპირო და სუბალპურმა სოფლებმა შეძლეს კულტივაციის განახლება, ხოლო ალპური გზები ისევ გახდა, არც მეტად და არც ნაკლებად უსაფრთხო, ისევე, როგორც იყო ევროპული მთები. რაც შეეხება თავად ხმელთაშუა ზღვას, იტალიის, პიზის, გენუასა და ამაღლის სავაჭრო ქალაქები XI საუკუნის დასაწყისიდან გადავიდნენ თავდასხმებზე. სარდინიის მუსლიმების დევნისას, მალრიბის (1015 წლიდან) და ესპანეთის (1092 წელს) ნავსადგურებზეც კი ძებნის შედეგად, ისინი იწყებენ ამ ზღვების „განმენდას“, ვინაიდან სწორედ ეს ადგილი იყო შედარებით ნაკლებად დაცული – ხმელთაშუა ზღვაზე XII საუკუნემდე წესით სხვაგვარად არც უნდა ყოფილიყო – ასე იყო საჭირო მათი სავაჭრო საქმისთვის.

III. უნგრელთა შემოსევები

წარსულში ჰუნების მსგავსად, უნგრელებიც, ან მადიარეებიც, ისე მოულოდნელად გამოჩნდნენ ევროპაში, რომ შუა საუკუნეების მწერლებს, რომლებმაც მათ შესახებ ბევრი იცოდნენ, მიამიტიურად უკვირდათ რომაელ ავტორთა მიერ მათი არსად ხსენება. მათი პრიმიტიული ისტორია ჩვენთვის უფრო გაუგებარი და ბუნდოვანია, ვიდრე ჰუნებისა. ეს განპირობებულია იმით, რომ ჩინელთა წყაროები, დანყებული ჯერ კიდევ დასავლურ ჩანაწერებამდე, რომლებიც საშუალებას გვაძლევდნენ გავყოლოდით „ხუნუს“ კვალდაკვალ, ახლა დუმან. უეჭველია, რომ ახალი დამპყრობლები ასევე მიეკუთვნებოდნენ აზიატური სტეპების მომთაბარე ტომების თავისებურ სამყაროს: ხშირად ენით ძალიან განსხვავებულ, მაგრამ მსგავსი ცხოვრების წესის მქონე ადამიანებს; ჭაკების რძით, ნადირობით ან თევზაობით მარჩენალ ხალხს; მინათმოქმედებაში ერთმანეთის მოქიშპე ადამიანებს. ამ ფუნდამენტური თვისებებით მადიარეები კავშირს ამყარებენ ე. წ. ფინო-უნგრულ ლინგვისტურ ტიპთან. დღევანდელ დღეს არსებული დიალექტებიდან ყველაზე ახლოს დგას ციმბირული მოდგმის ხალხის ენებთან. მაგრამ შორეულ ქვეყნებში მისი გავრცელების დროს პრიმიტიულ ეთნიკურ ჯგუფებს შეერწყა

თურქული ენის ბევრი ელემენტი და შედეგად მან განიცადა ამ ჯგუფის ცივილიზაციების გავლენა.

833 წლიდან უნგრელები (რომელთა სახელიც პირველად ჩნდება ასპარეზზე) იწყებენ აზოვის ზღვის მიდამოებში ერთ ადგილზე მობინადრე მოსახლეობის შენუხებას – ხაზართა სახაკანოს და ბიზანტიური კოლონიებისა. მალე ისინი ქმნიან დნეპრის გზის მოჭრის საშიშროებას, რომელიც იმ დროისთვის განსაკუთრებულად აქტიური სავაჭრო გზა იყო, საიდანაც ხდებოდა ჩრდილოური ბენვის, რუსული ტყეებიდან მოპოვებული თაფლისა და ცვილის, ყველა კუთხიდან ნაყიდი ტყვეების გადაცვლა საქონელზე, ან კონსტანტინეპოლისა და აზიის ოქროზე. მაგრამ მათ განუწყვეტლივ დევნიან ახალი ურდოები – ურალის მთებიდან ჩამოსული პაჭანიკები. ბულგარეთის იმპერიამ წარმატებით გადაუკეტა მათ გზა სამხრეთიდან. ამგვარად შებოჭილები და მიუხედავად მათი პატარა ჯგუფების ნაწილის სურვილისა, რომ აღმოსავლეთით სტეპების სიღრმეში ჩამალულიყვნენ, მათი უმრავლესობა, დაახლოებით 896 წელს, კვეთს კარპატებს იმისათვის, რომ შემდეგ მოიცვას ტისას დაბლობები და დუნაის შუაგული. მეოთხე საუკუნიდან მოყოლებული შემოსევებით უამრავჯერ აოხრებული ეს ტერიტორია ევროპის რუკებზე უკვე დიდი თეთრი ლაქით არის აღნიშნული. მის დასახასიათებლად მემატთანე რეგინო პრიუმელი იყენებს სიტყვას „უდაბნო“ (ეს განმარტება, რა თქმა უნდა, გადატანითი მნიშვნელობისაა). მრავალფეროვან მოსახლეობას, რომელსაც ოდესღაც აქ მნიშვნელოვანი ახალშენები ჰქონდათ, ან ამ ტერიტორიაზე უბრალოდ გავლით იყვნენ ნამყოფები, სავარაუდოდ, უკან მოიტოვეს ბევრი პატარა, განუვითარებული ჯგუფები. უპირველეს ყოვლისა, აქ თანდათანობით დიდი რაოდენობით იჭრებოდნენ სლავური ტომები. გავრცელების არეალი უდავოდ რჩება ძალიან თავისუფლად – გეოგრაფიული ნომენკლატურის გადანაცვლება (მათ შორის მდინარეების) მადაიარების მოსვლის შემდეგ თითქმის დასრულებულია. გარდა ამისა, მას შემდეგ, რაც კარლოს დიდმა დაამარცხა ხუნძები, აღარ მოიძებნებოდა მტკიცედ ორგანიზებული სახელმწიფო, რომელსაც შეეძლო სერიოზული წინააღმდეგობა გაენია დამპყრობლებისთვის. მხოლოდ მორავების მეთაურებმა მიაღწიეს გარკვეულ წარმატებას ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, საკმაოდ ძლიერ და ან უკვე ქრისტიანულ სამთავროში: ეს იყო პირველი მცდელობა წმინდა სლავური სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა. უნგრელთა შემოსევებმა ის ერთხელ და სამუდამოდ გაანადგურა 906 წელს.

ამ დროიდან მოყოლებული უნგრელთა ისტორია ახალ მიმართულებას იღებს. ახლა თითქმის შეუძლებელია მათთვის მომთაბარეთა წოდება (ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით), როდესაც მათ დაბლობებზე (ეს დაბლობები დღევანდელ დღეს მათ სახელს ატარებს) უკვე აქვთ გამართული დასახლებები. მაგრამ ამიერიდან ისინი მიმდებარე ქვეყნებში ჯგუფებად იყოფიან; არ ისწრაფვიან იქ მიწების დაპყრობებისკენ; მათ ერთადერთ მიზანს წარმოადგენს ძარცვა-რბევა, იმისათვის რომ შემდგომ, ნადავლით დატვირთულები, დაბრუნდნენ თავიანთ მუდმივ სადგომებზე. მეფე სიმეონის გარდაცვალების შემდეგ (927) ბულგარეთის იმპერიის დაკნინებამ მათ ბიზანტიური თრაკიისაკენ გზა გაუხსნა, რომელსაც ისინი რამდენჯერმე აყაჩაღებენ. მათ განსაკუთრებულად იზიდავდა ყველაზე ნაკლებად დაცული დასავლეთი და ადრეული პერიოდიდანაც შევიდნენ მასთან კავშირში.

ჯერ კიდევ 862 წელს, კარპატების გადალახვამდე, მათმა ერთ-ერთმა ლაშქრობამ გერმანიის საზღვრებამდე მიაღწია. უფრო მოგვიანებით, არნულფმა, ამ ქვეყნის მეფემ, რამდენიმე მათგანი დანიშნა დამხმარე ძალად მორავებთან წინააღმდეგ მის ერთ-ერთ ბრძოლაში. 899 წელს, მათი ბრბოები ეშვებიან პადანის (პოს) დაბლობზე, მომდევნო წელს კი ბავარიაში. აქედან მოყოლებული, თითქმის არ გადის წელიწადი, როდესაც იტალიის, გერმანიის, და მალე გალიის მონასტრებში არ იწერება, ხან ერთი პროვინციის, ხანაც მეორის „განადგურება უნგრელთა მიერ“. განსაკუთრებით დაზარალდა ჩრდილოეთ იტალია, ბავარია და შვაბია; მთელი რეგიონი მდინარე ენსის მარჯვენა მხარეს, იქ სადაც კაროლინგებმა დააწესეს ზღვარი და არსებული მიწები თავიანთ სააბატოებს შეუერთეს, მიტოვებულ იქნა. მაგრამ თავდასხმებმა ამ საზღვრებს მიღმა გაცილებით დიდი ტერიტორია მოიცვეს. ეს უზარმაზარი სივრცე აუცილებლად შეაცბუნებდა წარმოსახვას, რომ არ მიგველო ყურადღებაში, რომ მოციქულთა გრძელი მოგზაურობები შეიძლებოდა მათთვის ძალიან გამოსადეგი ყოფილიყო; მენახირეების მომთაბარეობამ (რაც ამავდროულად მნიშვნელობით უკვე სტეპებში მძარცველს უტოლდებოდა) ნიადაგი გაუმზადა ყაჩაღთა მომთაბარეობას. ჩრდილო-დასავლეთისკენ საქსონიას, რომელიც გადაჭიმული იყო ელბიდან რაინის შუაგულამდე, დაესხნენ ჯერ 906 წელს, ამის შემდეგ კი თავდასხმებმა მუდმივი ხასიათი მიიღეს. იტალიაში მათ ოტრანტოს მიაღწიეს. 917 წელს ისინი ვოგეზების ტყეებისა და საალის ზეკარის გავლით, იპარებიან მერტის გარშემო განლაგებულ მდიდრულ სააბატო-

ებში. ამიერიდან, ლოთარინგია და ჩრდილოეთ გალია მათი ერთ-ერთი მუდმივი სანადირო ადგილი ხდება. აქედან ისინი მიდიან ბურგუნდიასა და ლუარის სამხრეთშიც კი. მიუხედავად იმისა, რომ მდელოებს მიჩვეულები იყვნენ, მაინც არასდროს შემდრკალან საჭიროების შემთხვევაში ალპების გადალახვაზე. იტალიიდან წამოსულები, სწორედ ამ „მოსახვევით სავსე მთებით“ ეშვებიან ისინი 924 წელს ნიმის რაიონში.

ისინი ყოველთვის არ გარბოდნენ ორგანიზებული ძალების წინააღმდეგ ბრძოლებიდან. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე მათგანში წარმატებაც მოიპოვეს. თუმცა უპირატესობას მაინც ჩვეულებისამებრ ტერიტორიაზე სწრაფად შეღწევას ანიჭებდნენ: ნამდვილი ველურები, რომლებიც ბელადებს ბრძოლებში მათრახით შეჰყავდათ; მაგრამ ამავედროულად თავზარდამცემი მეომრები; მოხერხებულები, როდესაც საქმე გვერდით შეტევაზე მიდგებოდა; მტრის დევნისას უმოწყალოები; და გამჭრიახები რთული მდგომარეობიდან თავის დაძვრენის საკითხში. შესაძლებელია, რომ მათთვის საჭირო იყო მდინარის, ან ვენეციური აუზის გადაჭრა? ისინი სასწრაფოდ იწყებენ ტყავის და ხის ნავების დამზადებას; ყოველ გაჩერებაზე სტეპელი ხალხისთვის შლიდნენ კარვებს; ან უბრალოდ მაგრდებოდნენ ბერებისგან მიტოვებულ სააბატოებში და შესაბამისად, იქიდან ებრძოდნენ გარშემომყოფებს. ველურებით ცბიერები, საჭიროების შემთხვევაში წინასწარ გაგზავნილი ელჩების მიერ ინფორმირებულები (ჯაშუშობაზე უფრო მეტად მოლაპარაკებების სანარმოებლად), ისინი საკმაოდ სწრაფად ეუფლებიან დასავლეთის პოლიტიკის მძიმე „ხელოვნებას“ – იყვნენ რა საქმის კურსში (განსაკუთრებით მათი თავდასხმებისათვის გამოსადეგი) და იცოდნენ რა ქრისტიან უფლისწულთა შორის განხეთქილებით სარგებლობა, ხან ერთი და ხან მეორე მტრის საქმეში ჩასადგომად.

როგორც ეს იმდროინდელ ყაჩაღთა სამყაროში იყო მიღებული, უნგრელებიც ხანდახან აიძულებდნენ მოსახლეობას, შეწყალების სამაგიეროდ, მათთვის გარკვეული რაოდენობის ფულის გადახდას; ზოგიერთი მათგანისგან მუდმივ ხარკსაც კი იღებენ: ბავარია და საქსონია რამდენიმე წლის გამავლობაში განიცდის ამ შეურაცხყოფას. მაგრამ ექსპლუატაციის ამ პროცესების განხორციელება არ იყო შესაძლებელი საკუთრივ უნგრეთის შემოსაზღვრულ პროვინციებში. სხვაგან ისინი კმაყოფილდებოდნენ რბევითა და ძარცვით. სარკინოზების მსგავსად, იშვიათად უტევდნენ გამაგრებულ ქალაქებს; როგორც კი ამ რისკზე მიდიოდნენ, მარცხდებოდნენ (ისე, როგორც დნეპრის მიდამოებში, კიე-

ვის კედლებს ქვეშ, მათი პირველი ლაშქრობების დროს). ერთადერთი მნიშვნელოვანი ქალაქი, რომელიც მათ დაიპყრეს იყო პავია. განსაკუთრებული სიმამაცე გამოიჩინეს ქალაქებსა და მონასტრებში, რომლებიც განცალკევებით იდგა სოფლებში, ან მდებარეობდა ქალაქის გარეუბანში, გალავანს მიღმა ტერიტორიაზე. როგორც ჩანს, მათ უპირველეს ყოვლისა გადაწყვიტეს საუკეთესო ტყვეების აყვანა – ხშირად ადგილობრივი მოსახლეობის ამოჟლეტის დროს მხოლოდ ახალგაზრდა ქალებისა და პატარა ბიჭების შეწყალება: უდავოდ თავიანთივე საჭიროებისა და სიამოვნებისათვის და ეჭვგარეშე, მათი შემდგომ გაყიდვისათვის. ხანდახან ამ ადამიანთა ბრბოს არც დასავლეთის ბაზრებზე გაყიდვას ერიდებოდნენ, სადაც ყველა მყიდველი არ იყო „ნაყიდის“ მიმართ შემწყნარებლურად განწყობილი (მაგალითად, 954 წელს, ვორმსის მიმდებარე ტერიტორიაზე შეპყრობილი ახალგაზრდა დიდგვაროვანი გოგონა ქალაქში გამოიყვანეს გასაყიდად). უფრო ხშირად კი ისინი მიჰყავდათ დუნაის რეგიონებში ბერძენ ვაჭრებთან.

IV. უნგრელთა შემოსევების დასასრული

ამავდროულად, სამხრეთ გერმანიაზე თავდასხმით შეშფოთებული დასავლეთ საფრანგეთის მეფე ოტო დიდი, 955 წლის 10 აგვისტოს, ლეხის სანაპიროზე ხვდება უკანა გზაზე მომავალ უნგრელთა დაჯგუფებებს. სისხლიანი ბრძოლის შემდეგ მან მათზე გაიმარჯვა და შეძლო უკან დადევნება მის სასარგებლოდ გამოეყენებინა. ძარცვა-რბევით, ან უკვე სადამსჯელო, ლაშქრობა უკანასკნელი უნდა გამხდარიყო. ახლა უკვე ბავარიის საზღვრებზე ყველაფერი შემოფარგლული იყო „ზღვართა შორის“ ბრძოლით. ოტომ მალე, კაროლინგთა ტრადიციის მიხედვით, ხელახლა დააწესა სასაზღვრო ზოლები. შედეგად შეიქმნა ორი: ერთი ალპებში – მურაზე; ხოლო მეორე უფრო ჩრდილოეთით – ენსზე. ეს უკანასკნელი, რომელიც უმალვე გახდა ცნობილი აღმოსავლეთის მცნების – „ოსტარიხის“, შემდგომ ავსტრიის, სახელით, საუკუნის ბოლოსთვის მიაღწია ვენას ტყეს, ხოლო მეთერთმეტე საუკუნის შუა ხანისკენ კი ლაიტასა და მორავას.

მიუხედავად მისი ბრწყინვალეებისა და მქუხარე ეფექტისა, ლეხის ბრძოლაში გამოყოფილ, განცალკევებულ საბრძოლო ძალებს ნამდვილად არ შეეძლოთ ბოლო მოეღოთ თავდასხმებისთვის. უნგრელები,

რომელთა კუთვნილი ტერიტორიაც არ დაზარალებულა, შორს იდგნენ საკუთარ თავზე ისეთივე გამანადგურებელი ძალის გამოცდილებისგან, როგორც ხუნძებმა დიდი ხნის წინ კარლოს დიდის დროს იწვნიეს. მათი ერთ-ერთი დაჯგუფების, რომელთაგან უმეტესობას ბრძოლა უკვე წაგებული ჰქონდა, დამარცხებას არ შეეძლო მათი ცხოვრების წესის შეცვლა. სიმართლე ის არის, რომ, 926 წლიდან მოყოლებული მათი თავდასხმები (უფრო მრისხანე, ვიდრე აქამდე) არ გამხდარა უფრო იშვიათი მოვლენა. 954 წლის შემდეგ ისინი შეჩერდნენ იტალიაში. 960 წლიდან კი, სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ, თრაკიაში თავდასხმები ჩამოდის პატარ-პატარა ძარცვებზე. ორი აზრი არ არის იმაზე, რომ ეს იყო შედეგი იმ ღრმა მიზეზებისა, რომლებმაც ნელ-ნელა შეიძინეს ელფერი.

იყო კი ნაყოფიერი და კეთილისმომტანი დასავლეთით უძველესი ტრადიციების გავლენით მოწყობილი ეს დიდი „გასეირნებები“? ყველაფრის გათვალისწინებით, შეგვიძლია ამაში ეჭვის შეტანა. თავიანთ გზაზე ურდოები ყველაფერს დიდ ზიანს აყენებდნენ. მათთვის ფაქტობრივად შეუძლებელი იყო დიდი რაოდენობის ნადავლით თავის დატვირთვა. მონები, რომლებიც მათ ფეხდაფეხ მისდევდნენ, სვლების შენელების საშიშროებას ქმნიდნენ; ამასთანავე მათზე თვალყურის დევნება სირთულეს უკავშირდებოდა. წყაროები ხშირად გვამცნობენ გაქცეულებზე, მათ შორის ბერამდე წაყვანილ რეიმსის მღვდელზე, რომელიც ერთ ღამეს დაუსხლტა თავის შემპყრობლებს, რამდენიმე დღით დაიმალა ქაობში, ბოლოს კი შეძლო თავის სოფლამდე მიღწევა. ძვირფასი ნივთების გადამტანი ეტლები, რომლებსაც უწევდათ იმ დროისთვის სავალალო და მოწინააღმდეგის შუაგულ გზაზე გავლა, იყო გადაადგილების ძალიან ტევადი, მაგრამ ევროპის მდინარეებზე ნორმანების ნავებთან შედარებით ნაკლებად საიმედო საშუალება. აოხრებული სოფლების ცხენებს ყოველთვის არ შეეძლოთ გამოკვება; ბიზანტიელმა გენერლებმა კარგად იცოდნენ, რომ „ყველაზე დიდი დაბრკოლება, რომელსაც უნგრელები თავიანთ ბრძოლებში შეიძლებოდა შეჭახებოდნენ, იქნებოდა საძოვრების უკმარისობა“. გზად მათ უწევდათ არაერთი ბრძოლის წამოწყება; გამარჯვების შემთხვევაშიც კი, ჯგუფები პარტიზანული ომებით განადგურებულები ბრუნდებოდნენ. ადგილი ასევე ჰქონდა ავადმყოფობას: რეიმსში მემათიანე ფლოდორდი თავის ანალებში (რომლებსაც ყოველდღე ავსებდა), 924 წელს, სიხარულით აღწერს მყისვე მიღებულ ახალ ამბავს დიზანტერიული „შავი ქირის“ შესახებ, რომლისგანაც, როგორც თავად ამბობს, დაიღუპა მრავ-

ვალი ნიმელი ყაჩალი. დროსთან ერთად, იზრდებოდა გამაგრებული ქალაქებისა და სასახლეების რიცხვიც, რაც, თავისთავად, ამცირებდა თავდასხმისათვის შესაფერის თავისუფალ ადგილებს. საბოლოოდ, 930 წლიდან, კონტინენტი ხდება ნორმანდული „უბედურებისაგან“ თითქმის სულ გათავისუფლებული; ამ პერიოდიდან მეფეებსა და ბარონებს შეუძლიათ უფრო თავისუფლად იმოქმედონ უნგრელების წინააღმდეგ და სისტემურად გაუწიონ მათ მეტოქეობა. ამ გადმოსახედიდან შეგვიძლია დავინახოთ, რომ ოტოს დამსახურება ნაკლებად გამოიხატება ლეხის ბრძოლაში მის მიერ გამოჩენილ სიმამაცეში, ვიდრე მის მიერ საზღვრების დადგენილების შემოღებაში. აუცილებლად უნდა ყოფილიყო მიღებული ნორმები, იმისათვის, რომ შეფერხებულიყო მადიართა გაერთიანება, რასაც უფრო და უფრო ნაკლები შემოსავალი მოჰქონდა, და პირიქით, უფრო და უფრო მეტ ადამიანს მოითხოვდა. მაგრამ მათი გავლენა ძლიერად არ გავრცელებულა, რადგან მადიარების საზოგადოება პარალელურ რეჟიმში განიცდიდა მნიშვნელოვან ცვლილებებს.

სამწუხაროდ აქ წყაროები თითქმის აღარაფერს გვანვძიან. სხვა მრავალი ერის მსგავსად, უნგრელებმაც მხოლოდ ქრისტიანობაზე მოქცევისა და ლათინიზმის განცდის შემდგომ დაიწყეს ისტორიული ხასიათის ჩანაწერების წარმოება. შეგვიძლია თვალი მოვკრათ, თუ როგორ მკვიდრდება თანდათანობით მიწათმოქმედება მეცხოველეობის გვერდით: ძალიან ნელი მეტამორფოზა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში გავრცელების არეალის მიხედვით შუალედურ რგოლს იკავებს მენახირეთა მომთაბარე ცხოვრების სტილსა და წმინდა მომუშავეთა აბსოლუტურად გამართულ საზოგადოებებს შორის. 1147 წელს, ბავარიელი ეპისკოპოსი ოტო ფრაიზინგელი ჯვაროსანთა ლაშქრობის დროს დუნაის ჩამოუყვება და შეძლებს იმდროინდელ უნგრელებზე დაკვირვებას. მათი ლერწმის (იშვიათად კი ხის) ქოხები სიცივის დროს თავშესაფრად ვერ გამოდგებოდა: „ზაფხულსა და შემოდგომაზე ისინი კარვების ქვეშ ცხოვრობენ“. ეს არის იგივე ალტერნაცია, რაც ცოტა უფრო ადრე არაბმა გეოგრაფმა შენიშნა ქვედა ვოლგის ბულგარელებთან. შესაძლებელი იყო ძალიან პატარა აგლომერაციების გადაადგილება. ქრისტიანიზაციის შემდეგ, 1012 და 1015 წლებს შორის, სინოდმა სოფლებს მათი ეკლესიისგან ძალიან დიდი მანძილით დაშორება აუკრძალა. რა მოხდება იმ შემთხვევაში თუ ისინი დაარღვევენ ამ მოთხოვნას? მათ მოუწევთ ჯარიმის გადახდა და „უკან მობრუნება“. ყველაფრის მიუხედავად, შორ მანძილზე ცხენოსნობისკენ მიდრეკილება იკარგება. უეჭველად,

ზაფხულის განმავლობაში ძარცვა-გლეჯით გამოწვეული დიდი მიგრაციები უკავშირდება მოსავლის მცირე რაოდენობას. მაღიარებში სავარაუდოდ ასიმილაციით გამოწვეული უცხოური ელემენტების (დიდი ხნის განმავლობაში სლავური ტომების მეტნაკლებად ერთ ადგილზე დასახლების; დასავლეთის ძველი სასოფლო ცივილიზაციების ტყვედ ჩავარდნილების) მოდიფიკაციების ცხოვრების წესში ჩართვა ღრმა პოლიტიკურ ცვლილებებთან შეთანხმებულ ურთიერთობას ამყარებდა.

ძველ უნგრელებთან სისხლით მონათესავე ან სავარაუდო ნათესაობრივი კავშირის მქონე პატარა საზოგადოებების ზევით, ბუნდოვნად ვხედავთ უფრო ფართო, მაგრამ არც ის მტკიცე გაერთიანებებს. იმპერატორი ლეონ VI ბრძენი წერს: „როგორც კი ბრძოლა მთავრდება, ისინი მიმოიფანტებიან თავიანთ კლანებსა და ტომებში“. ეს იყო იმ სტრუქტურის მსგავსი, რომელსაც დღევანდელ დღეს მონღოლეთი გვთავაზობს. შავი ზღვის ჩრდილოეთ რეგიონში ხალხის დარჩენის დროს, იყო მცდელობა, ხაზართა სახელმწიფოს მიბაძვით, რომ ურდოს ბელადებიდან ყველაზე მაღლა დაეყენებინათ „დიდი ბატონი“ (ამ სახელს გვანვდის ბერძნული და ლათინური წყაროები). არჩევანი შეჩერდა ვინმე არპადზე. აქედან მოყოლებული, მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია ვისაუბროთ გაერთიანებულ სახელმწიფოზე, არპადის დინასტია საკუთარ თავს ჰეგემონობისთვის „განწირულად“ თვლიდა. მეათე საუკუნის მეორე ნახევარში იგი ახერხებს (მაგრამ არა უბრძოლველად) მთელ ერზე საკუთარი ძალაუფლების დამყარებას. გაცილებით უფრო ადვილი იყო მდგრადი მოსახლეობის, ან ისეთის მაინც, ვინც მხოლოდ შემოფარგლული ტერიტორიის შიგნით გადაადგილდებოდა, დამორჩილება, ვიდრე სამუდამო ნაწილისთვის განწირული ნომადებისა. მიზანი, როგორც ჩანს, მიღწეულ იქნა 1001 წლისათვის, როდესაც არპადის შთამომავალი, უფლისწული ვაიკი იღებს მეფის ტიტულს. თავისუფალ ყაჩად და მოხეტიალე ბრბოთა გაერთიანებები დასავლეთის სამეფო-სამთავროების მიბაძვით გარდაიქმნა საკუთარ მიწაზე მყარად გამდგარ სახელმწიფოდ. როგორც ხშირად ხდება, ყველაზე სასტიკი ბრძოლები არ წყვეტენ კავშირს ცივილიზაციებთან; ყველაზე განვითარებული ბრძოლები კი შედარებით უფრო პრიმიტიულებზე საკუთარ გავლენას ამყარებენ.

დასავლური პოლიტიკური ინსტიტუტების გავლენას თან ახლდა უფრო ღრმა გარღვევა ხალხის ხედვებში. როდესაც ვაიკმა საკუთარი თავი მეფედ გამოაცხადა, იგი უკვე მონათლული იყო იშტვანის სახე-

ლით, რომელიც მას ეკლესიამ მისი წმინდანებთან დაყენებით შეუნარჩუნა. როგორც აღმოსავლეთ ევროპის ყველა რელიგიური, ვრცელი „ნეიტრალური მიწა“ (მორავიიდან ბულგარეთამდე და რუსეთამდე), წარმართული უნგრეთიც იყო „სულის მადებართა“ ორი ჯგუფის დავის საგანი. ეს უკანასკნელები წარმოადგენდნენ ერთმანეთისგან განსხვავებულ ორ დიდ სისტემას, რომლებიც ყოფდნენ ქრისტიანულ სამყაროს: ბიზანტიურად და რომაულად. უნგრელი მთავრები ინათლებოდნენ კონსტანტინეპოლში; ბერძნული ღვთისმსახურების მონასტრები XI საუკუნის დასაწყისამდე შემორჩა უნგრეთში. მაგრამ ბიზანტიურ მისიებს (რომლებიც ძალიან შორს მიემგზავრებოდნენ) საბოლოოდ თავიანთი მეტოქეებისთვის აუცილებლად უნდა მოელოთ ბოლო.

ამ დიდი „ტრანსფორმაციის“ საქმის აღსრულება თავის თავზე აიღო ბავარიის სამღვდელოებამ, რომელიც კავშირების დამყარების და შეკავშირების მიზნით სამეფო გვარებს შორის ქორწინების ინიციატივით გამოდიოდა. ეპისკოპოსმა პილგრიმმა, რომელსაც 971 წლიდან 991 წლამდე სათავეში ედგა პასაუს ეპარქიას, ეს საზრუნავი ითავა. იგი თავის ეკლესიას მიიჩნევდა უნგრელთათვის ისეთივე მნიშვნელოვანი როლის შემსრულებლად, როგორც უნდა ეკისრა მაგდებურგის მისიონერულ მიტროპოლიას ელბის მიღმა მყოფი სლავებისათვის და ბრემენს სკანდინავიელი ხალხისათვის. სამწუხაროდ, მაგდებურგისა და ბრემენისგან განსხვავებით, პასაუ იყო მხოლოდ ერთი უბრალო საეპისკოპოსო – ზალცბურგის საქორეპისკოპოსო ეპარქია. პასაუს ეპისკოპოსები, რომელთა ეპარქიაც სინამდვილეში დაარსებული იყო VIII საუკუნეში, თავს იმ ხალხთა მემკვიდრეებად მიიჩნევდნენ, რომლებმაც რომაელთა ეპოქაში დაიკავეს დუნაიზე მდებარე ლორხის ტახტი. ცდუნებას მიცემული (მის გარშემო მყოფი ბევრი სასულიერო პირის მსგავსად), პილგრიმი იწყებს მთელი სერია ცრუ ბულების გამოშვებას, რის გამოც ლორხი გახდა ცნობილი, როგორც „წარმართობის“ დედაქალაქი. დარჩენილი იყო მხოლოდ ამ უძველესი პროვინციის აღდგენა; პასაუს გარშემო (მიუხედავად ზალცბურგთან განყვეტილი ყველა კავშირისა) განახლებდა მისი ვითომდა ძველი რანგი, გაერთიანდება ახალი „წარმართული“ უნგრული საეპისკოპოსოები. თუმცაღა ვერ მოხერხდა ვერც პაპებისა და ვერც იმპერატორების დარწმუნება.

რაც შეეხებათ მადიარელ უფლისწულებს, თუკი ისინი თვლიდნენ, რომ მზად იყვნენ მონათვლისთვის, მაშინ უკვე უჩნდებოდათ სურვილი აღარ ყოფილიყვნენ დამოკიდებულები გერმანელ პრელატებზე. მისიო-

ნერებად და მოგვიანებით ეპისკოპოსებად უპირატესობას ანიჭებდნენ ჩეხთა, ან თუნდაც ვენეციელთა დანიშვნას. როდესაც, დაახლოებით 1000 წლისთვის, იშტვანმა მოაწესრიგა თავისი სახელმწიფოს საეკლესიო იერარქია, სახელმწიფო, პაპის თანახმად, მოექცა თავისივე მიტროპოლიის მმართველობაში. მისი გარდაცვალების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ მისმა მემკვიდრეებმა, რომელთა შორის ბრძოლები მიმდინარეობდა, წარმართად დარჩენილ ზოგიერთ მეთაურს პრივილეგიები დაუბრუნეს, საბოლოო ჯამში, მათ სერიოზულად არ დაუზარალებიათ მისი, ე. ი. მამის მიღწევები. დაგვირგვინებული მეფისა და არქიეპისკოპოსის მიერ ქრისტიანობის კიდევ უფრო გავრცელების უზრუნველყოფით, „სკვითი“ ხალხის უკანასკნელმა მოსვლამ, ოტო ფრაიზინგელის მიხედვით, საბოლოოდ განაცხადა უარი წარსულის საშინელ თავდასხმებსა და რბევებზე, იმისათვის რომ ამიერიდან მოთავსებულიყო საკუთარ მდელოებსა და საძოვრებზე. მეზობელი გერმანიის სუვერენებთან ომები კი გრძელდებოდა. მაგრამ ორ მობინადრე ერს შორის ახლა ერთმანეთს მეფეები დაუპირისპირდნენ.

გზამკვლევი ავტორთათვის

ჟურნალში გამოსაქვეყნებლად გამოგზავნილი სამეცნიერო სტატია შესაძლოა ეხებოდეს საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და კულტურის კვლევების საკითხებს. ასევე, ჟურნალში დასაბეჭდად მიიღება აკადემიური თარგმანები და სამეცნიერო-პუბლიცისტური წერილები.

სტატიები ანონიმური რეცენზირების გზით შეირჩევა. ავტორებს შესაძლებლობა ექნებათ გამოასწორონ რეცენზენტის შენიშვნები და სტატიის განახლებული ვარიანტი, ხელახლა წარმოადგინონ დასაბეჭდად.

პირველი ნომრისთვის ავტორებს სტატიის გამოგზავნა შეეძლება 2022 წლის 20 ნოემბრამდე. ელექტრონული ფოსტის მისამართი: studentresearches2021@gmail.com

სტატიის გაფორმების წესი

სტატიის ენა – ქართული. სტატიას აუცილებელია ბოლოში ახლდეს რეზიუმე ინგლისურ ენაზე.

სტატიის მოცულობა – 7-დან 15 გვერდამდე. ინგლისურენოვანი რეზიუმე უნდა იყოს ერთი გვერდი. რეზიუმე და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა არ ითვლება სტატიის საერთო მოცულობაში.

ფურცლის ზომა – A4

შრიფტის ზომა ტექსტისთვის – 11

შრიფტის ზომა სათაურისთვის – 13

ტექსტის შრიფტი – Sylfaen

სტრიქონებს შორის დაშორება – 1,15

ავტორებმა სტატიის დასაწყისში, მარჯვნივ, 11-იანი შრიფტით უნდა მიუთითონ სახელი, გვარი, სასწავლო დაწესებულება, კურსი, მიმართულება. აგრეთვე, სათაურის ქვემოთ, 10-იანი შრიფტით საკვანძო სიტყვები ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტატია უნდა გამოიგზავნოს Word და Pdf ფაილების სახით.

ლიტერატურის დამონშების წესი

ლიტერატურის დამონშების სტილი შიდატექსტურია.

წიგნი:

ერთი ავტორისთვის:

ციტირებისას უნდა მიეთითოს გვარი, გამოცემის წელი, გვერდი. მაგ., (ქავთარია 1990: 59). ხელმეორედ ციტირებისას წესი უცვლელია. ტექსტის ბოლოს გამოყენებული ლიტერატურის ნუსხაში უნდა დაინეროს გვარი, სახელი სრულად, წიგნის სახელწოდება, გამომცემლობა, გამოცემის ადგილი, წელი: მაგ., ქავთარია 1990: ქავთარია გრანი, ძმები გრაკხუსები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1990.

ორი ავტორისთვის:

ციტირებისას – მაგ., (მიქაბერიძე, ხოფერია 2020: 121). ლიტერატურის ნუსხაში **-მიქაბერიძე, ხოფერია 2020:** მიქაბერიძე ალექსანდრე, ხოფერია ნიკა, ნაპოლეონი 51 კითხვა და ამდენივე პასუხი, არტანუჯი, თბილისი, 2020.

ორზე მეტი ავტორისთვის:

ციტირებისას – მაგ., (გოგოლაძე, წითლანაძე... 2015: 89). ლიტერატურის ნუსხაში **-გოგოლაძე, წითლანაძე... 2015:** გოგოლაძე ანდრო, წითლანაძე თეა, ქარჩავა თეა, სილაგაძე ნიკოლოზ, საქართველო და ჯვაროსნული აღმოსავლეთი ჟაკ დე ვიტრის ცნობების მიხედვით, მერიდიანი, თბილისი, 2015.

წიგნში გარკვეული ნაწილის ავტორისთვის

ციტირებისას – მაგ., (ხვედელიძე 1988: 133). ლიტერატურის ნუსხაში უნდა მიეთითოს შესაბამისი ნაწილის სახელწოდება, წიგნის სახელწოდება და რედაქტორი. მაგ., ხვედელიძე 1988: ხვედელიძე მანანა, ძველი ეგვიპტე, წიგნში ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, რედ. გ. მელიქიშვილი, მეცნიერება, თბილისი, 1988.

სტატია

ერთი ავტორისთვის:

თუ სტატია დაბეჭდილია პერიოდულ გამოცემაში: ჟურნალში, გაზეთში ან კრებულში, მითითების წესი შემდეგია: ციტირებისას ფრჩხილებში იწერება ავტორის გვარი, პერიოდული ორგანოს გამოცემის თარიღი, გვერდი მაგ., (შველიძე 2018: 329). ლიტერატურის ნუსხაში უნდა მიეთითოს გვარი, სახელი სრულად, სტატიის სახელწოდება, პერიოდული ორგანოს სახელწოდება და ნომერი,

გამოცემის ადგილი, წელი, ის გვერდები, რომელზეც კონკრეტული სტატიაა დაბეჭდილი: მაგ., შველიძე 2018: შველიძე დიმიტრი, პატრიოტ-კონსერვატორთა დასი XIX საუკუნის საქართველოში, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები XIII, თბ., 2018, გვ. 324-336.

სტატიის ორი ან მეტი ავტორისთვის მოქმედებს იგივე წესი, რაც წიგნების შემთხვევაში.

ისეთი საგაზეთო სტატიისთვის, რომელსაც ავტორი მითითებული არ აქვს

ციტირებისას უნდა მიეთითოს გამოყენებული სტატიის სათაური, წელიდაგვერდი.მაგ.,(წერილირედაქტორთან1880:3).ლიტერატურის ნუსხაში გადავა შემდეგი სახით: წერილი რედაქტორთან 1880: წერილი რედაქტორთან, გაზეთი „დროება“, 1880, N149, გვ. 3.

*აღნიშნული ეხება როგორც სტატიებს ასევე წიგნებს. თუ საციტირებელ ავტორს ან ავტორებს ერთსა და იმავე წელს გამოქვეყნებული აქვთ ერთზე მეტი ნაშრომი და გამოგზავნილი სტატიის ავტორი რამდენიმე მათგანს იყენებს მაშინ სტატიაში პირველად ციტირებულ ნაშრომს დაესმის ა, მეორედ-ბ და ა.შ.

მაგ., ციტირებისას – (შველიძე 2021ა: 207); (შველიძე 2021ბ: 145). ლიტერატურის ნუსხაში შესაბამისად შველიძე 2021ა: შველიძე დიმიტრი, პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში, 1987-1992. თბილისი, „არტანუჯი“, 2021.; შველიძე 2021ბ: შველიძე დიმიტრი, აი ვინ იყო, ქართველნო, ვარლამ ჩერქეზიშვილი!, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021.

*უცხო ენაზე დაწერილი წიგნებისა და სტატიებისთვის მოქმედებს იგივე წესი.

ქართულენოვანი საისტორიო წყაროსთვის

მაგ., ციტირებისას – (ასწლოვანი მათიანე 1987: 125). ლიტერატურის ნუსხაში უნდა მიეთითოს გამომცემელი მაგ., ასწლოვანი მათიანე 1987: ასწლოვანი მათიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რევაზ კიკნაძემ, მეცნიერება, თბილისი, 1987.

ნათარგმნი ლიტერატურისათვის

მაგ., ციტირებისას – (მონტეფიორე 2012:449). ლიტერატურის ნუსხაში უნდა მიეთითოს მთარგმნელი მაგ., მონტეფიორე 2012: მონტეფიორე

საიომონ სებაგ, სტალინი წითელი მეფის კარი, მთარგმნელები: მ. ჭიჭეიშვილი, ა. მაყაშვილი, ე. მაჩიტაძე, ნ. მენაბდე, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2012.

უცხო ენოვანი საისტორიო წყაროსთვის, რომელიც ქართულ ენაზეა ნათარგმნი

მაგ., ციტირებისას – (ჰეროდოტე 1975: 217). ლიტერატურის ნუსხაში - ჰეროდოტე 1975: ჰეროდოტე, ისტორია, ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, ტ. I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1975.

ენციკლოპედიის სტატიისთვის

ციტირებისას მაგ., (ბახტაძე 2018: 16). ლიტერატურის ნუსხაში მიეთითება საენციკლოპედიო სტატიის ავტორი, სტატიის სათაური, ენციკლოპედიის სათაური, რედაქტორი. მაგ., ბახტაძე 2018: ბახტაძე მიხეილ, აზერბაიჯანის სასაზღვრო ფრონტი, 1920 წლის აპრილ-მაისი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) ენციკლოპედია-ლექსიკონი, რედ. დ. შველიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2018.

ლექსიკონისათვის

ციტირებისას მაგ., (ძველბერძნულ-ქართული ლექსიკონი 2019: 331). ლიტერატურის ნუსხაში მიითითებისას ძველბერძნულ-ქართული ლექსიკონი 2019: ძველბერძნულ-ქართულ ლექსიკონი, შემდგ. თ. გიორგობიანი, ლოგოსი, თბილისი, 2019.

საარქივო მასალებისათვის

ციტირებისას მიეთითითება არქივის აბრევიატურა (მაგ., სცსა), ფონდი, ნომერი, აღწერის ნომერი, საქმის ნომერი, ფურცლის ნომერი. მაგ., (სცსა ფონდი №416: აღწერა №4, საქმე №1032, ფურც. 1-4). ლიტერატურის ნუსხაში გადადის იგივე, თუმცა არქივის სახელწოდება იწერება სრულად, ხოლო ფრჩხილებში აბრევიატურა მაგ., საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა).

დისერტაციისათვის

ციტირებისას მაგ. (წურწუმია 2014: 47), ლიტერატურის ნუსხაში გადავა შემდეგი სახით – წურწუმია 2014: წურწუმია მამუკა, შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი (900-1700) ორგანიზაცია, ტაქტიკა, შეიარაღება. ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბილისი, 2014.

ბიბლიის, კლასიკური ტექსტებისა და უცხოური წყაროებისთვის დამონება ხდება კლასიკური წესით.

თექნიკური რედაქტორები:

ბექარი ბაინდურაშვილი

ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი

მედეა გვინჩიძე

ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი

კლიოს სკულპტურის ავტორი:

ალბერტ ვოლფი

გარეკანის დიზაინი:

მედეა გვინჩიძე

შურნალის ყდაზე გამოყენებულია ივანე ჯავახიშვილის შრიფტი:

<https://manuscript.ge/sazogado-mogvatseta-shriftebi/>

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel: +995 (32) 2250484, 6284; 6278
www.press.tsu.edu.ge

